

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეხუთე სექცია) პალატის გადაწყვეტილება

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

(საჩივარი No 16812/17)

2019 წლის 18 ივლისი

სტრასბურგი

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული გარემოებების შემთხვევაში. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

საქმეზე შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეხუთე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

ანგელიკა ნუსბერგერი, თავმჯდომარე,

იონკო გროზევი,

ვინსენტ ა. დე გაეტანო,

სიოფრა ო'ლირი,

მარტინს მიტსი,

ლატიფ ჰუსეინოვი,

ლადო ჭანტურია, მოსამართლეები,

და მილან ბლაშკო, სექციის განმწესრიგებლის მოადგილე,

2019 წლის 21 მაისისა და 11 ივნისის დახურული თათბირის შემდეგ,

გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც ბოლოს მითითებულ დღეს იქნა მიღებული:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობით რეგისტრირებული ორი კომპანიის – შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-სა (შემდგომში, „რუსთავი 2“) და შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ (შემდგომში, „ტელეკომპანია საქართველო“) და საქართველოს ორი მოქალაქის – ბ-ნი ლევან ყარამანიშვილისა და ბ-ნი გიორგი ყარამანიშვილის მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს წინააღმდეგ 2017 წლის 3 მარტს სასამართლოში შეტანილი საჩივარი (№16812/17).

2. მომჩივნებს წარმოადგენდნენ ქ-ნი თ. მურადაშვილი და ბ-ნი დ. სამაგლიშვილი, ადვოკატები, რომლებიც საქმიანობენ თბილისში. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი ბ. ძამაშვილი.

3. მომჩივნებმა განაცხადეს, რომ „რუსთავი 2“-ის წილების საკუთრებასთან დაკავშირებით სამოქალაქო დავის სასამართლო განხილვის დროს დაირღვა მათი სხვადასხვა უფლება, გათვალისწინებული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-10 და მე-18 მუხლებით და კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით.

4. საჩივრის შესახებ მთავრობას ეცნობა 2017 წლის 28 ნოემბერს. მომჩივნებმა და მთავრობამ, თითოეულმა წარადგინა წერილობითი მიმოხილვები საჩივრის მისაღებობასა და არსებით მხარესთან დაკავშირებით.

5. მოსაზრებები აგრეთვე მიღებულ იქნა საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) აპარატიდან

და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან, რომლებსაც სექციის თავმჯდომარემ მისცა ნებართვა, წერილობით პროცედურაში ჩართულიყვნენ მესამე მხარეებად (კონვენციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი და სასამართლოს რეგლამენტის 44-ე წესის მე-3 პუნქტი).

6. 2019 წლის 27 მაისს, მომჩივნებმა, სასამართლოს რეგლამენტის 28-ე წესის მე-2 პუნქტის შინაარსზე მითითებით, გააპროტესტეს მოსამართლე ლადო ჭანტურის მიუკერძოებლობა. პალატამ აღნიშნული შეისწავლა, სასამართლოს რეგლამენტის 28-ე წესის მე-4 პუნქტის შესაბამისად და 2019 წლის 11 ივნისს, კენჭისყრის საფუძველზე ერთხმად გადაწყვიტა, უარი ეთქვა მასზე, როგორც მთლიანად დაუსაბუთებელზე.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

7. პირველი მომჩივანი, „რუსთავი 2“ არის სატელევიზიო არხი საქართველოში, რომელიც ამ სახელით ფუნქციონირებს 1996 წლის 27 აგვისტოდან. მისი სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში.

8. მეორე მომჩივანი, „ტელეკომპანია საქართველო“ არის საქართველოში 1997 წლის 16 ივლისს დარეგისტრირებული მედია კომპანია. „ტელეკომპანია საქართველო“ ფლობენ მესამე და მეოთხე მომჩივნები. კერძოდ, მესამე მომჩივანი არის მეორე მომჩივნის წილების 60%-ის მფლობელი, ხოლო მეოთხე მომჩივანი ფლობს მისი წილების 40%-ს.

9. მესამე და მეოთხე მომჩივნები, ბ-ნი ლევან ყარამანიშვილი და ბ-ნი გიორგი ყარამანიშვილი, არიან ძმები და საქართველოს მოქალაქეები, დაბადებულები 1971 წლის 21 ოქტომბერსა და 1966 წლის 11 იანვარს და ცხოვრობენ თბილისში.

ა. „რუსთავი 2“-ის წილების გადაცემათა ქრონოლოგია საქმის მასალის მიხედვით

10. „რუსთავი 2“ დარეგისტრირდა 1996 წლის 27 აგვისტოს სამი დამფუძნებელი წევრის – ჯ.ა.-ს, დ.დ.-სა და ე.კ.-ს მიერ. იგი დაფუძნდა სარეკლამო სააგენტო შპს „გამა პლიუს“-ის რეორგანიზაციის შედეგად, რომელიც ადრე რეგისტრირებული იყო 1995 წლის 23 თებერვალს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №2/38 დადგენილებით და რომელის მესაკუთრეც იყო ზემოთ აღნიშნული სამი პირი. ამგვარად, 1996 წლის 27 აგვისტოსთვის, კომპანიის თავდაპირველი რეგისტრაციის თარიღისთვის, „რუსთავი 2“-ს მხოლოდ სამი მესაკუთრე ჰყავდა ჯ.ა. (33.3%), დ.დ. (33.3%) და ე.კ. (33.3%).

11. 2001 წლის 29 ნოემბერს, კერძო პირმა, ნ.ტ.-მ სამი დამფუძნებელი წევრისგან შეისყიდა „რუსთავი 2“-ის წილების 10%. გარიგება დაამოწმა ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2001 წლის 10 დეკემბერს. ამ თარიღიდან დაწყებული, კომპანიაში წილები შემდეგნაირად იყო განაწილებული: ჯ.ა. (30%), დ.დ. (30%), ე.კ. (30%) და ნ.ტ. (10%).

12. 2004 წლის 16 ივნისს, წილის ნასყიდობის ორი სხვადასხვა ხელშეკრულებით, ვინმე პ.კ.-მ „რუსთავი 2“-ის წილების 60% შეიძინა ჯ.ა.-სა და დ.დ.-სგან (30% თითოეული მათგანისგან). იმავე დღეს, პ.კ.-მ მის მიერ „რუსთავი 2“-ის ახლად შეძენილი 60%-იანი წილები მიჰყიდა ე.ხ.-ს, ბიზნესმენს. ამგვარად, დაწყებული 2004 წლის 16 ივნისიდან, „რუსთავი 2“-ის პარტნიორები იყვნენ ე.ხ. (60%), ე.კ. (30%) და ნ.ტ. (10%).

13. 2004 წლის 22 ივნისს, ე.კ.-მ „რუსთავი 2“-ის წილების თავისი 30% მიყიდა შპს „პანორამას“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომლის ერთადერთი მესაკუთრე იყო ე.ხ..

14. 2004 წლის 22 ოქტომბერს, შპს „რუსთავი 2“-ის პარტნიორთა კრებაზე, ნ.ტ.-მ შპს „რუსთავი 2“-ში თავისი წილები დათმო ორი დანარჩენი პარტნიორის – ე.ხ.-სა და შპს „პანორამას“ სასარგებლოდ. წილების დათმობა დაამოწმა ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2004 წლის 25 ოქტომბერს. შედეგად, 2004 წლის 25 ოქტომბრისთვის, ე.ხ. და შპს „პანორამა“, კომპანია, რომელსაც ექსკლუზიურად ფლობდა ბიზნესმენი, გახდნენ „რუსთავი 2“-ის ერთადერთი მესაკუთრეები (როგორც ეს პირი, ისე იურიდიული პირი შემდგომში ერთობლივად მოიხსენებიან, როგორც „ე.ხ.“).

15. 2005 წლის 26 დეკემბრის წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით, ე.ხ.-მ „რუსთავი 2“-ში თავისი წილების 22% დაუთმო მესამე მხარეს, შპს „პ.ს.“-ს.

16. 2006 წლის 13 სექტემბერს, შპს პ.-მ „რუსთავი 2“-ში თავისი 22%-იანი წილები მიჰყიდა შპს „პ.ს.ი.ჯ.“-ს.

17. 2006 წლის 17 ნოემბრით დათარიღებული წილების ნასყიდობის ორი სხვადასხვა ხელშეკრულებით, ქ.ბ.-მ რუსთავი 2-ში თავისი წილების დარჩენილი 78% დაუთმო სხვა მესამე მხარეს, შპს გ.-ტ.-ს.

18. 2006 წლის 29 ნოემბერს, შპს გ.-ტ.-მ „რუსთავი 2“-ში თავისი ახლად შეძენილი წილებიდან 23% განკარგა ზემოაღნიშნულ შპს „პ.ს.ი.ჯ.“-ზე.

19. 2006 წლის 1 დეკემბერს, შპს „გ.-ტ.“-მ „რუსთავი 2“-ში თავისი წილების დარჩენილი 55% დაუთმო ოფშორულ კომპანიას შპს „დ.რ.“-ს. ამ გარიგებაში, ამ უკანასკნელ კომპანიას წარმოადგენდა მესამე მომჩივანი.

20. 2007 წლის 2 თებერვალს, შპს „დ.რ.“-მ, მის მიერ ახლად შეძენილი „რუსთავი 2“-ის 55%-იანი წილები განკარგა სხვა კომპანიაზე, შპს „გ.გ.“-ზე.

21. 2008 წლის 10 ოქტომბერს, შპს „პ.ს.ი.ჯ.“-მ „რუსთავი 2“-ის წილების 45%-დან 15% აჩუქა ფიზიკურ პირს, ვინმე ი.ჩ.-ს. იმავე დღეს, და სხვა საჩუქრის სახით, ი.ჩ.-მ მიიღო შპს „გ.გ.“-ს მფლობელობაში არსებული „რუსთავი 2“-ის წილების 55%-დან 15%.

22. 2009 წლის 18 მარტს, შპს „გ.გ.“-მ რუსთავი 2-ის წილების თავისი დანარჩენი 40% გადასცა სხვა ახალ მხარეს, შპს „დ. ლ.“-ს სიმბოლურ ფასად – 1 (ერთ) ქართულ ლარად (ლარი შეადგენს დაახლოებით 0.40 ევროს).

23. იმავე დღეს, 2009 წლის 18 მარტს, ი.ჩ.-მ „რუსთავი 2“-ში თავისი წილების 30% გადასცა ზემოაღნიშნულ შპს „დ.ლ.“-ს სიმბოლურ ფასად -1 ლარად (დაახლოებით 0.40 ევრო).

24. 2011 წლის 28 ნოემბერს, შპს „პ.ს.ი.ჯ.“-მ „რუსთავი 2“-ის თავისი წილის დანარჩენი 30% დაუთმო ახალ სუბიექტს – შპს „ჩ.ი.“-ს 160 000 ლარად.

25. 2011 წლის 6 დეკემბერს, შპს „ჩ.ი.“-მ „რუსთავი 2“-ში მისი ახლად შეძენილი წილი (30%) დაუთმო მესამე მომჩივანს უცნობ ფასად – გადაცემული წილის ღირებულება უნდა განსაზღვრულიყო დამატებითი კონფიდენციალური ხელშეკრულებით.

26. 2011 წლის 6 დეკემბერს შპს „დ.ლ.“-მ თავისი წილის 60% გადასცა მესამე მომჩივანს და დარჩენილი 10% სხვა პირს – გ.გ.-ს, უცნობ ფასად – გადაცემული წილის ღირებულება უნდა განსაზღვრულიყო დამატებითი კონფიდენციალური ხელშეკრულებით.

27. 2012 წლის 4 ოქტომბერს, მესამე მომჩივანმა „რუსთავი 2“-ში კუთვნილი წილის 90%-დან 40% დაუთმო შპს „მ.ჯ.“-ს.

28. 2012 წლის 9 ოქტომბერს, შპს „მ.ჯ.“-მ კომპანია „რუსთავი 2“-ში თავისი ახლად შეძენილი წილი (40%) გადასცა მეოთხე მომჩივანს.

29. 2012 წლის 13 და 14 ნოემბერს, „რუსთავი 2“-ის პარტნიორთა კრების ოქმით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა დამატებითი უძრავი ქონების ჩადებით და მეორე მომჩივანს, კომპანიას, რომელსაც ფლობდნენ მესამე და მეოთხე მომჩივნები (იხ. პარაგრაფი 8 ზემოთ) გადაეცა „რუსთავი 2“-ის 51%-იანი წილი.

30. „რუსთავი 2“-ის წილების ზემოთ აღწერილი გადაცემების შედეგად, იმ დროისთვის, როდესაც წინამდებარე საქმეში სამოქალაქო სამართალწარმოება დაიწყო 2015 წლის 4 აგვისტოს (იხ. პარაგრაფები 48 და 74 ქვემოთ), „რუსთავი 2“-ის მესაკუთრეები იყვნენ მეორე მომჩივანი (51%), მესამე მომჩივანი (22%), მეოთხე მომჩივანი (18%) და ნ. (9%). ნ. იყო გ.გ.-ს მეუღლე და მან გ.გ.-ს წილი მემკვიდრეობით მიიღო დაუზუსტებელ თარიღში, გ.გ.-ს გარდაცვალების შემდეგ (იხ. პარაგრაფი 26 ზემოთ და 74 ქვემოთ).

ბ. მხარეთა წინააღმდეგობრივი განმარტებები იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ, წარმოადგენენ სახელმწიფოს მიერ წარმოებულ კამპანიას „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ

31. 2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც აღნიშნული პოლიტიკური პარტია არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, 2012 წლის აპრილში დააფუძნა, არჩევნები ხმათა 54.97%-ით მოიგო, ხოლო ყოფილმა მმართველმა პარტიამ, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ („ენმ“), რომელიც დაარსებული იყო ქვეყნის იმდროინდელი პრეზიდენტის, ბ-ნ მიხეილ სააკაშვილის მიერ და მჭიდროდ ასოცირდებოდა მასთან, მოიპოვა ხმათა 40.34%. ამის შედეგად, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“

მოახდინა ახალი მთავრობის ფორმირება და ბ-ნი ივანიშვილი გახდა პრემიერ-მინისტრი. პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელსაც პრეზიდენტის თანამდებობა 2004 წლის 25 იანვრიდან ზედიზედ ორჯერ ეკავა, თანამდებობაზე დარჩა თავისი მეორე მანდატის ვადის ამოწურვამდე, 2013 წლის 17 ნოემბრამდე. ამგვარად, 2012 წლის 1-ლ ოქტომბერსა და 2013 წლის 17 ნოემბერს შორის პერიოდში ადგილი ჰქონდა „პოლიტიკურ კოჰაბიტაციას“, ერთი მხრივ, კოალიცია „ქართულმა ოცნებას“ და პრემიერ-მინისტრს და მეორე მხრივ, პრეზიდენტ სააკაშვილს შორის.

1. მომჩივნების ვერსია

32. მომჩივნებმა სასამართლოს ყურადღება გაამახვილებინეს რამდენიმე შემთხვევაზე, რომლებიც ერთი შეხედვით ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ჩანდა, თუმცა, მათი აზრით, შეიცავდა იმ კარგად ორგანიზირებული კამპანიის ნიშნებს, რასაც კოალიცია „ქართულმა ოცნების“ მიერ ფორმირებული მთავრობა კულისებში აწარმოებდა „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ.

(ა) სხვადასხვა პროტაგონისტის მიერ მიცემული ძველი საჯარო ინტერვიუები

33. მომჩივნების განცხადებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანია და შემდგომი პერიოდი, ხასიათდებოდა უკიდურესი პოლარიზაციით. კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა ლიდერებმა რამდენჯერმე გააჟღერეს მუქარა პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, რომლის ძირითადი სამიზნე იყო „რუსთავი 2“. ამასთან დაკავშირებით, მომჩივნებმა მიუთითეს იმ სატელევიზიო ინტერვიუზე, რომელიც ბ-ნმა ივანიშვილმა მისცა 2012 წლის 2 აგვისტოს საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელშიც მან გამოთქვა მოსაზრებები „რუსთავი 2“-ის მესაკუთრეთა თანმიმდევრობისა და ე.კ.-ს (არხის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ყოფილი მესაკუთრე, იხ. პარაგრაფი 10 ზემოთ) და ქ.ბ.-ს (არხის სხვა ყოფილი მესაკუთრე, იხ. პარაგრაფი 14 ზემოთ) ინტერესების შესახებ.

34. საქმის მასალა შეიცავს ამ ინტერვიუს სრულ ჩანაწერს. ინტერვიუს მიხედვით, მაშინდელი ოპოზიციის ლიდერმა, ბ-ნმა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მას სჯეროდა, რომ ე.კ.-მ მოატყუა „რუსთავი 2“-ის ორი სხვა თანადამფუძნებელი კომპანიაში წილების თავდაპირველი გადაცემების დროს, რითაც ყველაზე მეტი სარგებელი მიიღო დანარჩენების ხარჯზე. მან დასძინა, რომ იმ ძველი გადაცემების დეტალები აღარ იყო საყურადღებო. ბ-ნმა ივანიშვილმა ინტერვიუში დამატებითი განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის ქ.ბ.-ს პირადად არ იცნობდა, კარგი აზრის იყო მასზე, ბიზნესმენზე, რომელსაც სურდა ქვეყნის განვითარება ეხილა და რომელიც თავდაპირველად „ენმ“-ის მხარდამჭერი იყო. ინტერვიუს დროს, ბ-ნმა ივანიშვილმა „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებს მხარდამჭერის პირობა მისცა და განაცხადა, რომ იმედოვნებდა, რომ ისინი ემსახურებოდნენ ქართული საზოგადოების ინტერესებს.

35. 2012 წლის 5 ოქტომბერს, „რუსთავი 2“-ის ორმა სხვა თანადამფუძნებელმა, დ.დ.-მ და ჯ.ა.-მ, რომლებმაც არხი ე.კ.-სთან ერთად 1996 წელს დააფუძნეს (იხ. პარაგრაფი 10 ზემოთ), გააკეთეს საჯარო განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი აპირებდნენ, სამართალწარმოების დაწყებას მათი უფლების აღსადგენად იმ კომპანიასთან დაკავშირებით, რომელიც მათ დაკარგეს.

36. 2012 წლის 17 ოქტომბერს, ტელეარხ „მანესტროზე“ (სხვა არხი) სატელევიზიო ინტერვიუს დროს, ქ.ბ.-მ განაცხადა შემდეგი:

„ჩემი მთავარი მიზანია [„რუსთავი 2“] ვიხსნა მატყუარებისა და მოძალადეებისაგან, რათა ეს არხი ჩადგეს სიმართლის [და] და ქართველი ხალხის ინტერესების სამსახურში და არა – სიცრუის ინტერესებში.“

იმავე ინტერვიუში, ქ.ბ.-მ აგრეთვე განაცხადა, რომ ის გეგმავდა იმ გარკვეული სხვა ბიზნეს ინტერესების დაბრუნებას, რომლებიც მისგან არაკანონიერად მიითვისეს ყოფილმა მმართველმა ძალებმა, და ხაზი გაუსვა, რომ „რუსთავი 2“-სგან განსხვავებით, ეს სხვა კომპანიები ყოველთვის იყვნენ მომგებიანები“.

(ბ) სისხლის სამართალწარმოება „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის წინააღმდეგ

37. 2012 წლის 15 ნოემბერს, ბ-ნი ნ.გვ., რომელიც წინა, „ენმ“-ს მიერ ფორმირებულ ხელისუფლებაში (იხ. პარაგრაფი 31 ზემოთ) იყო გენერალური პროკურორის მოადგილე, იუსტიციის მინისტრი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, დაინიშნა „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორად.

38. მისი დანიშნიდან მალევე, 2012 წლის 19 დეკემბერს ნ.გვ.-ს წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე კორუფციული დანაშაულისთვის, რომელიც, სავარაუდოდ, ჩადენილი იყო 2009 წელს, როდესაც მას ეკავა გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობა. ის გათავისუფლდა გირაოს სანაცვლოდ.

2013 წლის 14 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ნ.გვ.-ს ყველა ბრალდება მოუხსნა. გამართლება შემდგომში სრულად უცვლელად დატოვეს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა.

(გ) ე.კ.-ს 2012 წლის 25 დეკემბრის საჯარო ინტერვიუ

39. 2012 წლის 25 დეკემბერს, ე.კ.-მ, „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა (იხ. პარაგრაფები 10 და 33 ზემოთ), გამართა დიდი პრეს-კონფერენცია, რომლის მთავარი თემა იყო 2012 წლის აგვისტოში ბ-ნი ივანიშვილის მიერ მიცემული ინტერვიუს დეტალები. აღნიშნული კონფერენციის მსვლელობისას, ე.კ.-მ საჯაროდ გააჟღერა თავისი ინტერესის შესახებ, დაებრუნებინა „რუსთავი 2“. კერძოდ, ე.კ.-მ განაცხადა შემდეგი:

„თუ [დ.დ.] და [ჯ.ა.] კანონიერი მესაკუთრეები არიან, მაშინ მეც კანონიერი მესაკუთრე ვარ... თუ [ქ.ბ.] მართალია, მაშინ მეც მაქვს მოთხოვნის უფლება... არცერთ სასამართლოს შეუძლია საკუთრების დავის ჩემ გარეშე გადაწყვეტა... მე აგრეთვე მსურს, ბიძინა ივანიშვილს ვუთხრა, თვალეზში შემომხედოს, როცა „რუსთავი 2“-ზე საუბრობს, რადგან ორივე ჩვენგანმა ბევრი ისეთი რამ ვიცით, რაც თუ გამჟღავნდა, ბევრი ადამიანს მიაყენებს ზიანს.“

(დ) „მაყურებელთა რაოდენობის აღმრიცხველი“

40. 2014 წლის 24 თებერვალს, სახელმწიფო შემოსავლების სამსახურმა დაიწყო „TV MR საქართველოს“ (შემდგომში – „TV MR“), საქართველოში არსებული იმ ერთადერთი კომპანიის ინვენტარიზაცია, რომელიც იმ დროს ზომავდა სატელევიზიო რეიტინგს. აღნიშნულის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტორებმა კომპანიას სთხოვეს გაემჟღავნებინა ყველა იმ ოჯახის მისამართი, სადაც საქართველოს მასშტაბით ე.წ. „მაყურებელთა რაოდენობის აღმრიცხველი“ – ადამიანების მიერ ტელეარხების ყურების მონიტორინგის მიზნით, ტელევიზორებთან მიერთებული ელექტროაპარატურა იყო დამონტაჟებული. კომპანიის ხელმძღვანელობამ უარი თქვა ამ მოთხოვნის შესრულებაზე, იმ ფაქტის გამო, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია იყო მკაცრად კონფიდენციალური, კომპანიასა და კვლევის მონაწილეებს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით. პასუხად, სახელმწიფო შემოსავლების სამსახურმა „TV MR“ ფორმალურად დაარწმუნა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურად შეინახებოდა, ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ამგვარი სახის ინფორმაცია მიიჩნეოდა საგადასახადო საიდუმლოებად, რომლის გამჟღავნებაც იწვევდა ადმინისტრაციულ ან/და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. სახელმწიფო უწყებამ კომპანია, ასევე, დაარწმუნა იმაში, რომ მას კონფიდენციალურობის წესების დარღვევის ერთი შემთხვევაც კი არ ჰქონია. აღნიშნული გარანტიების მიუხედავად, „TV MR“-მ უარი თქვა დამორჩილებოდა სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის მოთხოვნებს, რამაც შესაბამისი შიდასამართლებრივი ნორმების მიხედვით, გამოიწვია კომპანიის დაჯარიმება 400 ლარით (დაახლოებით, 130 ევრო).

41. 2014 წლის 19 მარტს, „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა, ნ.გვ.-მ „TV MR“-ს აუდიტორულ შემოწმებას საჯაროდ უწოდა კამპანია იმ კერძო სატელევიზიო არხების წინააღმდეგ, რომლებიც შემოსავალს რეკლამიდან იღებდნენ. ნ.გვ.-ს თქმით, თუ „TV MR“ გაამხელდა, რომელ საცხოვრებლებში იყო დამონტაჟებული „მაყურებელთა რაოდენობის აღმრიცხველი“, საჭირო გახდებოდა შესაბამისი აპარატურის გადატანა სხვა, ანონიმურ საცხოვრებლებში, რისთვისაც საკმაოდ დიდი დრო იქნებოდა საჭირო. ნ.გვ.-მ შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ „რუსთავი 2“-ის ბიუჯეტი განახევრდებოდა, თუ ტელეარხების ყურების რეიტინგის ამსახველი მონაცემები არ გაიზომებოდა, რადგან კერძო რეკლამის მოცულობა არხზე დიდწილად ამ მონაცემებით განისაზღვრებოდა.

(ე) მიყურადება რუსთავი 2-ის შენობაში

42. 2014 წლის 6 მაისს, „რუსთავი 2“-მა საჯაროდ განაცხადა, რომ მთავრობა ახორციელებდა უკანონო მოსმენას მის შენობაში და ეთერში გადასცა ვიდეოჩანაწერი, რომელიც მტკიცებულების სახით, ანონიმურად მოიპოვა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ვიდეომასალა შეიცავდა არხის გენერალურ დირექტორ ნ.გვ.-სა და მის მოადგილეს შორის საუბრის ჩანაწერს. ამ საკითხზე მთავარმა პროკურატურამ იმავე დღეს დაიწყო გამოძიება. შემდგომში, ნ.გვ.-მ უარყო გამოძიების წინასწარი ვერსია მოვლენათა შესახებ, რომლის თანახმად, სამეთვალყურეო აპარატურა შესაძლოა დაემონტაჟებინა ყოფილ ხელისუფლებას. პირიქით, მან ახალი მთავრობა დაადანაშაულა სატელევიზიო არხის შენობაში ფარული კამერების უკანონოდ დამონტაჟებაში, მისი „ნდობით აღჭურვილი პირების“ მეშვეობით, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ კომპანიაში. ამ შემთხვევიდან მალე, უკანონო მიყურადებაში დადასტურებული როლის გამო, ნ.გვ.-მ გაათავისუფლა „რუსთავი 2“-ის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და მისი მოადგილე.

(ვ) კოალიცია „ქართული ოცნების“ სიტყვიერი თავდასხმები „რუსთავი 2“-ზე

43. მომჩივნების განცხადებით, იმ პერიოდში კოალიცია „ქართული ოცნების“ სხვადასხვა წარმომადგენელი და მთავრობის წევრი ინტენსიურად ახორციელებდნენ სიტყვიერ თავდასხმებს „რუსთავი 2“-ის მიმართ. ამგვარად, 2014 წლის 2 ივლისს, ვიცე-პრემიერმა ბ-ნმა კ.კა-მ (შემდგომში – „კ.კა.“), ჟურნალისტთა თხოვნის პასუხად, რომ დაეფიქსირებინა მისი მოსაზრება „რუსთავი 2“-ის წილების ერთი კერძო მხარიდან მეორეზე მრავალჯერ გადაცემის ისტორიის შესახებ, შემდეგი განცხადება გააკეთა:

„იმედია, „რუსთავი 2“ თავის მესაკუთრეებს დაუბრუნდება, ალბათ, ეს დრო დადგება“.

44. 2015 წლის 14 ივლისს გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ე.კ.-მ (იხ. პარაგრაფი 9 ზემოთ) კომენტარი გააკეთა ვიცე-პრემიერის ზემოაღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით:

„მთავრობა ცდილობს „რუსთავი 2“-ზე გავლენის მოპოვებას ჩემს ყოფილ პარტნიორებთან [დ.დ. და ჯ.ა.] გარკვეული გარიგებებში შესვლით ...[კ.კა.-ს] განცხადება „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით, ამ მხრივ, ძალიან საინტერესო დეტალია. მან განაცხადა, რომ არხი თავის მესაკუთრეებს დაუბრუნდებოდა ... მე ღიად ვაცხადებ, რომ თუ მიღებული იქნება რაიმე გადაწყვეტილება „რუსთავი 2“-ის მესაკუთრეობასთან დაკავშირებით, ეს იქნება წმინდად პოლიტიკური და არა სამართლებრივი გადაწყვეტილება.“

45. 2015 წლის 26 ოქტომბერს გაზეთისთვის მიცემულ ვრცელ ინტერვიუში პარლამენტის ერთ-ერთმა წამყვანმა წევრმა მმართველი კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ – გ.თ.-მ ქ.ხ.-ს მიერ იმ დროს უკვე დაწყებული სამართალწარმოება შემდეგი სიტყვებით მოიხსენია:

„[„რუსთავი 2“] არ არის ობიექტური არხი. ის ძალიან მიკერძოებულია. ჩვენ სამი წლის განმავლობაში ვართ ხელისუფლებაში, იმდენი კარგი რამ გავაკეთეთ ქვეყნისთვის და [„რუსთავი 2“-ს] ერთი დადებითი სიტყვაც არ უთქვამს ამის [ჩვენი მუშაობის] შესახებ... მხოლოდ უარყოფითი და სუბიექტური ახალი ამბები... ბუნებრივია, რომ ხელისუფლებაში მყოფ პირებს მობეზრდათ [ეს] ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია ... მათ მონახეს... ნამდვილი მესაკუთრე [რომელიც] ახლა გამოჩნდება [მონახეს ... გამოჩნდა რეალური მეპატრონე] ... და მხოლოდ ბუნებრივია ის, რომ ნამდვილი მესაკუთრე საქმის სამართლიან განხილვას ითხოვს“.

46. მომდევნო დღეს, 2015 წლის 27 ოქტომბერს, გ.თ.-მ გააკეთა სხვა სპონტანური განცხადება „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებთან კამათის დროს:

„ხვალ, „რუსთავი 2“ არსებობას შეწყვეტს“.

(ზ) ე.კ.-ს თვითმკვლელობა და ქ.ხ.-ს პრეტენზია „რუსთავი 2“-ის მესაკუთრეობაზე

47. 2015 წლის 15 ივლისს, ე.კ. საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს. მთავარი პროკურატურის მიერ ჩატარებული სისხლის სამართლის გამოძიებით დადგინდა, რომ მან თავი მოიკლა.

48. 2015 წლის 4 აგვისტოს, ქ.ხ.-მა, „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთმა ყოფილმა მესაკუთრემ (იხ. პარაგრაფი 14 ზემოთ), ოთხივე მომჩივნის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი აღძრა. შესაბამისი სამართალწარმოების დეტალები მოცემულია ქვემოთ (იხ. პარაგრაფები 74-174 ქვემოთ). მომჩივნების მიხედვით, ქ.ხ. არ ყოფილა სახელმწიფოს მიერ კომპანიის მესაკუთრეობასთან დაკავშირებით სამართლებრივი ბრძოლის წარმოებისთვის შემთხვევით შერჩეული, ვინაიდან ის იყო მმართველი ძალების წარმომადგენელი და მისი ახლო ნათესავები იყვნენ კოალიცია „ქართული ოცნების“ ღია მხარდამჭერები და ფინანსების შემწირველები.

(თ) პირადი მუქარები „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის წინააღმდეგ

49. 2015 წლის 21 ოქტომბერს, „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნ.გვ.-მ გააკეთა საჯარო განცხადება, რომ სამართალდამცავ ორგანოებთან კავშირების მქონე შუამავლებმა მისი დაშანტაჟება სცადეს მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების და იმის დამუქრებით, რომ იმ შემთხვევაში, თუ ის უარს იტყოდა თავისი თანამდებობიდან გადადგომაზე, გამოაქვეყნებდნენ უკანონოდ მოპოვებულ ვიდეო ჩანაწერებს, რომლებშიც სავარაუდოდ ასახული იყო მისი პირადი ცხოვრება.

2. მთავრობის ვერსია

50. მას შემდეგ, რაც მთავრობას ეცნობა ამ საჩივრის შესახებ, მან სასამართლოს წინაშე სადავოდ გახადა მომჩივნების მიერ წარდგენილი ფაქტების ნაწილი, როგორც განზრახ შეცდომაში შემყვანი, არასრული ან დავის საგანთან შეხებაში არ მყოფი. მათ გასაჩივრებული ფაქტები დამატებითი ინფორმაციით შეავსეს. ეს ინფორმაცია ან უკვე ასახულია მომჩივნის ზემოთ მოყვანილ ვერსიაში (იმდენად, რამდენადაც გარკვეული ნაკლებად სერიოზულ, თარიღებთან და ციფრებთან დაკავშირებული შეცდომების გასწორებას, ქართული ენიდან ციტატების თარგმნას და წმინდა რედაქციული ხასიათის ინფორმაციას ეხებოდა) ან წარმოდგენილია ქვემოთ, შეჯამების სახით (იქ, სადაც ფაქტების გაპროტესტება უფრო არსებითი ხასიათის იყო). მთავრობის კომენტარები სტრუქტურირებულია იმავე სათაურების მიხედვით, რაც გამოყენებული იყო მომჩივნების ვერსიის ნაწილში.

(ა) სხვადასხვა პროტაგონისტის მიერ მიცემული ძველი საჯარო ინტერვიუები

51. მთავრობამ სადავოდ გახადა მომჩივნების განცხადება იმის შესახებ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანია და შემდგომი პერიოდი ხასიათდებოდა უკიდურესი პოლარიზაციით და რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა ლიდერებმა რამდენჯერმე გააჟღერეს მუქარა პოლიტიკური ოპონენტების მიმართ, ამასთან, „რუსთავი 2“ წარმოადგენდა მთავარ სამიზნეს (იხ. პარაგრაფი 33 ზემოთ). მთავრობამ აღნიშნა, რომ მომჩივნებმა არ წარადგინეს რაიმე წყარო ასეთი მკვეთრად ფორმულირებული მტკიცების დასადასტურებლად.

52. რაც შეეხება ბ-ნი ბიძინა ივანიშვილისა და ქ.ბ.-ს მიერ 2012 წლის 2 აგვისტოსა და 17 ოქტომბერს გაკეთებულ საჯარო ინტერვიუებს, მთავრობა არ შეეწინააღმდეგა შესაბამის ციტირებებს (იხ. პარაგრაფები 34 და 36 ზემოთ), თუმცა, ამტკიცებდა, რომ ეს განცხადებები არ აჩვენებდა რაიმე კავშირს სახელმწიფოსა და ქ.ბ.-ს შორის ამ უკანასკნელის მიერ „რუსთავი 2“-ის ამჟამინდელი მესაკუთრეების წინააღმდეგ დაწყებულ სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით.

(ბ) სისხლის სამართალწარმოება „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის წინააღმდეგ

53. დამატებით, მთავრობამ აღნიშნა, ფაქტმა, რომ სისხლის სამართლის საქმე, რომელიც თავდაპირველად აღიძრა „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის წინააღმდეგ იმ კორუფციული დანაშაულებისთვის, რომლებიც სავარაუდოდ ჩადენილი იქნა 2009 წელს, რომლებშიც შემდგომ ის შიდა სასამართლოებმა გაამართლეს (იხ. პარაგრაფი 38 ზემოთ), არ ადასტურებდა, რომ სახელმწიფო ცდილობდა „რუსთავი 2“-ის გაჩუმებას ან, რომ შიდა სასამართლო სისტემა არ იყო დამოუკიდებელი.

(გ) ე.კ.-ს 2012 წლის 25 დეკემბრის საჯარო ინტერვიუ

54. მთავრობამ არ გააპროტესტა მომჩივნების ვერსია ე.კ.-ს მიერ 2012 წლის 25 დეკემბერს მიცემულ ინტერვიუსთან დაკავშირებით და არც რაიმე დამატებითი კომენტარი წარუდგენია ამის შესახებ.

(დ) „მაყურებელთა რაოდენობის აღმრიცხველი“

55. რაც შეეხება იმ ინვენტარიზაციის შემოწმებას, რომელიც სახელმწიფო შემოსავლების სამსახურმა ჩაატარა „TV MR“-სთან დაკავშირებით, იმ კომპანიის, რომელიც ახორციელებდა მაყურებლების მიერ ტელეარხების ყურების ქცევის მონიტორინგს (იხ. პარაგრაფები 40 და 41 ზემოთ), მთავრობამ განაცხადა, რომ მოცემული პროცედურა, რომელიც დაიწყო ქ. ბ.-ს მიერ „რუსთავი 2“-ის მესაკუთრეების წინააღმდეგ სასამართლო წარმოების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე (იხ. პარაგრაფი 48 ზემოთ), საერთოდ არ იყო დაკავშირებული ამ უკანასკნელ წარმოებასთან და წინამდებარე საჩივრის დავის საგანთან. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ ინვენტარიზაცია ვერ იქნებოდა გამოყენებული კონკრეტულად „რუსთავი 2“-ის სამიზნეში ამოსაღებად, რადგან ნებისმიერი სავარაუდო უარყოფითი შედეგი თანაბარ გავლენას მოახდენდა ქვეყანაში მოქმედ ყველა სხვა სატელევიზიო კომპანიაზე.

(ე) მიყურადება რუსთავი 2-ის შენობაში

56. „რუსთავი 2“-ის შენობაში საუბრის ფარული მოსმენის შემთხვევასთან დაკავშირებით, მთავრობამ წარადგინა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ როგორც კი მისმა გენერალურმა დირექტორმა გააკეთა საჯარო განცხადება (იხ. პარაგრაფი 42 ზემოთ) მთავარმა პროკურატურამ დაუყოვნებლივ დაიწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა).

57. ამ გამოძიების მსვლელობისას, „რუსთავი 2“-ის დაცვის სამსახურის უფროსმა 2014 წლის 8 მაისს

დაკითხვისას განაცხადა, რომ 2012 წლის 21 დეკემბერს მან დაინახა საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის, ბ-ნი მიხეილ სააკაშვილის დაცვა, რომლებიც ატარებდნენ გარკვეულ ტექნიკურ სამუშაოს, სპეციალური დანადგარების და ლითონის დასაკეცი კიბის გამოყენებით „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორისა და გენერალური დირექტორის მოადგილის ოფისებში. არ იცოდა რა წინასწარ ამ სამუშაოების შესახებ, დაცვის სამსახურის უფროსმა დაუყოვნებლივ აცნობა გენერალურ დირექტორს, ნ.გვ.-ს. თუმცა, ამ უკანასკნელმა სიმშვიდე შეინარჩუნდა და დაცვის სამსახურის უფროსს ურჩია, არ შეშფოთებულიყო არაფრის გამო და „მომავალში რაიმე დამატებითი ინციდენტებისგან თავი შეეკავებინა“.

58. სისხლისსამართლებრივი გამოძიების ფარგლებში მთავარმა პროკურატურამ აგრეთვე მოიპოვა „რუსთავი 2“-ის სათვალთვალო კამერების ჩანაწერი, დათარიღებული 2012 წლის 21 დეკემბრით, რომელზეც ჩანს იმ ადამიანების გამოსახულებები, რომლებიც, პროკურატურის თანახმად, იდენტიფიცირებულები იყვნენ, როგორც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც პირდაპირ ექვემდებარებოდნენ ყოფილ პრეზიდენტს, ბ-ნ სააკაშვილს. მთავრობამ ამ ჩანაწერის ასლი სასამართლოს გადასცა.

59. ნ.გვ., „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი აგრეთვე მოწმის სახით დაიკითხა მთავარი პროკურატურის მიერ. მან უარყო საუბარი სატელევიზიო არხის დაცვის სამსახურის უფროსთან მოსასმენი აპარატურის შესაძლო დამონტაჟებასთან დაკავშირებით იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც სავარაუდოდ კავშირი ჰქონოდათ პრეზიდენტ სააკაშვილთან.

(ვ) კოალიცია „ქართული ოცნების“ სიტყვიერი თავდასხმები „რუსთავი 2“-ზე

60. მთავრობა არ შეწინააღმდეგებია კ.კა.-სა და ე.კ.-ს საჯარო ინტერვიუებიდან ციტატებს „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით (იხ. პარაგრაფები 43 და 44 ზემოთ) და განაცხადა, რომ მომჩივნებმა ის შერჩეული ციტატები მოიშველიეს, რომლებიც მიზანმიმართულად იყო ამოღებული აღნიშნული ინტერვიუების საერთო კონტექსტიდან. მთავრობამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რადგან სამოქალაქო სამართალწარმოებამ „რუსთავი 2“-ის საკუთრების დავასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ყურადღება მიიქცია, მმართველი პარტიის ლიდერებს, მაგალითად, კ.კა.-ს და პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს ჟურნალისტები ხშირად უსვამდნენ შეკითხვებს ამ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, რომლებზეც მათ, ცხადია, პასუხი უნდა გაეცათ. ამგვარად, მთავრობამ წარადგინა ამონარიდები ზემოთ ნახსენები ორი საჯარო პირის მიერ გაკეთებული სხვა რამდენიმე ინტერვიუდან.

61. მაგალითად, 2016 წლის 31 მაისს, კ.კა.-მ, ჟურნალისტების მიერ კითხვის დასმისას განაცხადა, რომ „სამოქალაქო სამართალწარმოება [„რუსთავი 2“-თან დაკავშირებით] წარმოადგენდა სამართლებრივ დავას კერძო მხარეებს შორის, რომელიც სასამართლოებს უნდა გადაეწყვიტათ“ და დასკვნის სახით თქვა, რომ მას „არ შეეძლო კომენტარი გაეკეთებინა სასამართლო საქმეზე“.

62. რაც შეეხება ე.კ.-ს მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, რომ ბ-ნმა ივანიშვილმა განიზრახა კონტროლის მოპოვება საქართველოში დამოუკიდებელ მედია საშუალებებზე (კვლავ იხ. პარაგრაფი 44 ზემოთ), მთავრობამ განაცხადა, რომ ეს უბრალოდ ე.კ.-ს პირადი მოსაზრება იყო. არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ ამ ბრალდებების მხარდასაჭერად. ამის საპირისპიროდ, მთავრობამ წარადგინა დოკუმენტები, რომლითაც გამომჟღავნდა, რომ მალევე, როგორც კი 2012 წელს ბ-ნი ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი გახდა, მან გაყიდა კერძო სატელევიზიო კომპანია „მე-9 არხი“, რომელსაც ის იქამდე მრავალი წლის მანძილზე ფლობდა. 2013 წლის 19 აგვისტოთი დათარიღებულ საჯარო ინტერვიუში, ბ-ნმა ივანიშვილმა განმარტა თავისი მოქმედების მიზეზი და განაცხადა, რომ „მაღალი პოლიტიკური თანამდებობის [მაღალჩინოსნის] მიერ მედია კომპანიის ფლობის იდეა მიუღებელი იყო“.

63. სხვა საჯარო ინტერვიუების დროს, მაგალითად, 2015 წლის 24 ოქტომბერსა და 2016 წლის 7 ივნისს მიცემულ ინტერვიუებში, ბ-ნმა ივანიშვილმა, რომელიც იმ დროისთვის უკვე გადამდგარი იყო პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან, განაცხადა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება „რუსთავი 2“-ის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით წმინდად კერძო ხასიათის დავა იყო და რომ კომპანიის არსებული მესაკუთრეები უნდა დალოდებოდნენ დავის საბოლოო შედეგს, რომელიც სრულიად შესაძლებელია, რომ მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. ამ უკანასკნელი ინტერვიუს დროს, მან დამატებით განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ [მას] მიაჩნდა, რომ „რუსთავი 2“ ბევრ სიცრუეს ავრცელებდა, [მას] პირადად მაინც სურდა, რომ სატელევიზიო კომპანიას ყოველგვარი ცვლილების გარეშე გაეგრძელებინა მაუწყებლობა მომავალი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების სასარგებლოდ“.

64. რაც შეეხება გ.თ.-ს განცხადებებს (იხ. პარაგრაფები 45 და 46 ზემოთ), მთავრობა კვლავ შეედავა და განაცხადა, რომ მომჩივნები სასამართლოზე მანიპულირებდნენ მხოლოდ შერჩევითი ინფორმაციის წარდგენის გზით. მთავრობის განცხადებით, სიმართლე იმაში მდგომარეობდა, რომ გ.თ.-ს არასწორად ფორმულირებული განცხადებიდან ორი დღის შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა და მთავრობის სხვა მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, რომ მათ „კატეგორიულად უარყვეს პარლამენტის წევრის [გ.თ.-ს] პირადი მოსაზრება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით“. მთავრობამ განაცხადა, რომ, ზოგადად, გ.თ. ცნობილი იყო თავისი ექსტრავაგანტული საჯარო განცხადებებით. კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ თავისი მუდმივი უთანხმოების გამო, რომელიც გამოიწვია მისმა ხშირად განმეორებულმა სკანდალურმა საჯარო განცხადებებმა, გ.თ.-მ გადაწყვიტა უარი ეთქვა საპარლამენტო მანდატზე 2015 წლის 9 ნოემბერს და დაეტოვებინა პარტია. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების განმავლობაში, გ.თ., უკვე როგორც ოპოზიციის კანდიდატი, კოალიცია „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ პარლამენტში მოსახვედრად იბრძოდა.

65. მეორე მხრივ, მთავრობამ განაცხადა, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ნამდვილმა წამყვანმა ფიგურამ, იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა ი.დ.-მ შესაბამის დროს, ანუ 2015 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, „რუსთავი 2“-ის საკუთრების დავასთან დაკავშირებით გააკეთა შემდეგი განცხადებები:

„მედია თავისუფლება უადრესად მნიშვნელოვანია ... და მხარეებმა მიუკერძოებელ სასამართლოს უნდა მისცენ საშუალება, მიიღოს მიუკერძოებელი გადაწყვეტილება. [მთავრობა] მოხარული იყო, რომ [„რუსთავი 2“] არხი [სამოქალაქო] სამართალწარმოების დროს მაუწყებლობდა. თუმცა, საქმის შედეგი დამოუკიდებელი სასამართლოს ხელშია და ის არ უნდა გახდეს რომელიმე მხარის მიერ პოლიტიკური ქსელების დაწერის მიზნით კომენტარის გაკეთების საგანი.“

(ზ) ე.კ.-ს თვითმკვლელობა და ქ.ბ.-ს პრეტენზია „რუსთავი 2“-ის მესაკუთრეობაზე

66. მთავრობა შეეწინააღმდეგა მომჩივნების მიერ ე.კ.-ის თვითმკვლელობის ფაქტის მოხმობას და განაცხადა, რომ ეს იყო „ტრაგიკულ შემთხვევასთან“ დაკავშირებით დაუსაბუთებელი ცილისწამების მცდელობა (იხ. პარაგრაფი 47 ზემოთ). თვითმკვლელობის საქმეს არანაირი შეხება არ ჰქონდა მომჩივნების მიერ სადავოდ გამხდარ სამოქალაქო სამართალწარმოებასთან.

67. მთავრობამ წარადგინა ე.კ.-ის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის მასალის ასლი. ამ დოკუმენტებიდან ირკვეოდა, რომ ექვსასზე მეტი ადამიანი დაიკითხა მოწმის სახით და ათეულობით სასამართლო ექსპერტიზა ჩატარდა ე.კ.-ს ოჯახის წევრთა, ადვოკატებისა და მისი ოჯახის წევრების მიერ დასახელებული დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტების მონაწილეობით. ყველა ამ საგამოძიებო მოქმედების შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ ე.კ.-მ თავი მოიკლა. მთავრობამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ არც ე.კ.-ს ოჯახის წევრებს და არც მის ადვოკატებს ოფიციალურად არ გაუხდიათ სადავოდ გამოძიების რომელიმე ოფიციალური დასკვნა.

68. რაც შეეხება მომჩივნების პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ქ.ბ. იყო კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი (იხ. პარაგრაფი 48 ზემოთ), მთავრობა ამ არგუმენტს შეეწინააღმდეგა და განაცხადა, რომ ეს არანაირი ხელშესახები მტკიცებულებით არ იყო დადასტურებული. ამასთან დაკავშირებით, მთავრობამ დასძინა, რომ ქ.ბ.-მ სცადა საკუთრებაში დაებრუნებინა „რუსთავი 2“ ჯერ კიდევ 2008 წლის 1 დეკემბერს, ანუ კოალიცია „ქართული ოცნების“ შექმნამდე დიდი ხნით ადრე (იხ. პარაგრაფი 31 ზემოთ).

69. მთავრობამ აგრეთვე წარადგინა დამატებითი ინფორმაცია ქ.ბ.-ს მიერ დაწყებულ სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, რომლის მიზანი იყო მომჩივნების მიერ წარდგენილ თავდაპირველ ანგარიშში არსებული გარკვეული ფაქტობრივი შეცდომების შესწორება. ეს დამატებითი ინფორმაცია, სათანადოდ ასახულია ქვემოთ მოცემულ შესაბამის ტექსტში (იხ. პარაგრაფები 74-174 ქვემოთ).

(თ) პირადი მუქარები „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის წინააღმდეგ

70. მთავრობა დავობდა, რომ ნ.გვ.-ს მიერ შანტაჟთან დაკავშირებულ ბრალდებები (იხ. პარაგრაფი 49 ზემოთ) იყო დაუსაბუთებელი. მთავრობამ ამასთან დაკავშირებით მიუთითა ჩატარებულ შიდა სისხლისსამართლებრივი გამოძიების შედეგებზე.

71. ნ.გვ.-ს მიერ გამომძიებლებისთვის მიცემული ჩვენებების მიხედვით, ის 2015 წლის 21 ოქტომბერს

შეხვედა თავის მეგობარ ა.ა.-ს, რომელმაც სავარაუდოდ გააფრთხილა კოალიცია „ქართული ოცნების“ სახელით, რომ თუ ის „რუსთავი 2“-ის დირექტორის თანამდებობიდან არ გადადგებოდა ან/და არ შეწყვეტდა ქ.ბ.-ს მიერ დაწყებული სამოქალაქო სამართალწარმოებისთვის ხელის შეშლად, „ისინი“ გაასაჯაროებდნენ მის სატელეფონო საუბრებს, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას მისი პირადი ცხოვრების შესახებ, მათ შორის, საუბარს საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ ბ-ნ სააკაშვილთან სამაუწყებლო კომპანიის მართვასთან დაკავშირებით.

72. ნ.გვ.-ს ზემოაღნიშნული განცხადებების საფუძველზე, ა.ა. მოწმის სახით დაიკითხა. ამ უკანასკნელმა დაადასტურა თავისი ახლო მეგობრობა ნ.გვ.-სთან, აგრეთვე, მასთან 2015 წლის 21 ოქტომბერს შეხვედრის ფაქტი. თუმცა, ა.ა.-მ კატეგორიულად უარყო ვინმესგან რაიმე სახის შეტყობინების გადაცემა. როგორც ნ.გვ.-მ, ისე ა.ა.-მ დაადასტურეს, რომ მათ შეხვედრას სხვა არავინ ესწრებოდა და არცერთ მხარეს მათი საუბარი არ ჩაუწერია. შედეგად, შეუძლებელი იყო რაიმე სხვა საგამომიებო მოქმედების ჩატარება. ეს იყო უბრალოდ ნ.გვ.-ს სიტყვები, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა ა.ა.-ს ნათქვამთან. შედეგად, გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო შეწყდა.

გ. „რუსთავი 2“-ის თაობაზე საკუთრების დავის სასამართლო გადაწყვეტა

73. ორივე მხარის მიერ „რუსთავი 2“-ის საკუთრების დავის სასამართლო გადაწყვეტასთან დაკავშირებით წარდგენილი ფაქტები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად.

1. ქ.ბ.-ს მიერ შეტანილი სარჩელი

74. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2015 წლის 4 აგვისტოს, ქ.ბ.-მ, რომელიც „რუსთავი 2“-ის მფლობელი იყო 2004 წლიდან 2006 წლის ნოემბრამდე პერიოდში, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი „რუსთავი 2“-ის (პირველი მომჩივნის) და მისი მფლობელების – მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნების, ასევე ნ.-ს წინააღმდეგ, ვინც კომპანიის 9%-იან წილს ფლობდა (იხ. პარაგრაფი 30 ზემოთ). კიდევ ორი მოპასუხე ამ საქმეში იყო შპს ჰ. და შპს გ.-ტ., კომპანიები, რომელთაც ქ.ბ.-მ დაუთმო „რუსთავი 2“-ში მისი 100% წილი 2005 წლის 26 დეკემბრითა და 2006 წლის 17 ნოემბრით დათარიღებული აქციების შესყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე (იხ. პარაგრაფები 15 და 17 ზემოთ).

75. რაც შეეხება მოპასუხეებს შპს ჰ. და შპს გ.-ტ.-ს, ქ.ბ. ირწმუნება, რომ მას მაშინდელი მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა აიძულეს მიეყიდა კომპანიაში მისი კუთვნილი წილი აღნიშნული კომპანიებისთვის. იგი ირწმუნება, რომ „რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკით უკმაყოფილო პრეზიდენტმა სააკაშვილმა, თავის ოფისში დაიბარა ქ.ბ. და უბრძანა დაეთმო კომპანიაში მისი კუთვნილი წილი ზემოთ ხსენებული ორი კომპანიისთვის, რომლებიც პრეზიდენტის გარემოცვაში მყოფ სანდო პირებს ეკუთვნოდათ. პრეზიდენტი სააკაშვილი დაემუქრა ქ.ბ.-ს, რომ თუკი იგი უარს განაცხადებდა თანამშრომლობაზე, სახელმწიფო მას და მის ოჯახს პრობლემებს შეუქმნიდა. ამის შემდეგ, ქ.ბ. შეხვედა რამდენიმე სხვა სახელმწიფო მაღალჩინოსანს, როგორცაა შინაგან საქმეთა მინისტრი და გენერალური პროკურორი და მათ ყველამ განუცხადეს, რომ შეესრულებინა პრეზიდენტის მითითებები. შედეგად, ქ.ბ.-ს არ ჰქონდა სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ მიეყიდა კომპანიაში მისი კუთვნილი წილი ორი სხვა კომპანიისთვის 2005 წლის 26 დეკემბრითა და 2006 წლის 17 ნოემბრით დათარიღებული აქციების შესყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე, ჯამში 571 400 ლარად (დაახლოებით 214 000 ევრო). ფასი, რომელიც სახელმწიფომ ქ.ბ.-სთვის დააწესა, გაცილებით ნაკლები იყო აღნიშნული სატელევიზიო არხის რეალურ ღირებულებაზე. ამგვარად, სარჩელით, ქ.ბ.-მ მოითხოვა, აღნიშნული სადავო ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ამორალური და/ან იძულებით დადებული გარიგებები, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის და/ან 85-ე მუხლის თანახმად (იხ. პარაგრაფები 183 და 186 ქვემოთ).

76. თავისი პოზიციის გასამყარებლად, რომ მას აიძულეს დაეთმო „რუსთავი 2“, ქ.ბ.-მ წარადგინა „რუსთავი 2“-ის საბაზრო ღირებულების შეფასების ანგარიში. მან ასევე მიუთითა იმ ფაქტზე, რომ მას შემდეგ, რაც დათმო „რუსთავი 2“ და უამრავი სხვა ბიზნესინტერესები საქართველოში, იგი შემდგომი პოლიტიკური დევნის შიშით, იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა თავის ოჯახთან ერთად და მას პოლიტიკური თავშესაფარი მიანიჭეს გერმანიაში. ამასთან დაკავშირებით, ქ.ბ.-მ ასევე მიუთითა, რომ გერმანიაში ცხოვრებისას, საკუთარი ადვოკატების მეშვეობით, 2008 წლის 1 დეკემბერს სისხლისსამართლებრივი საჩივარი შეიტანა („2008 წლის 1 დეკემბრის სისხლისსამართლებრივი საჩივარი“) მთავარ პროკურატურაში, სადაც დეტალურად გაამხილა ყველა ის გარემოება, რომელიც ერთვოდა პრეზიდენტ სააკაშვილისა და სხვა კონკრეტული მაღალჩინოსნების მხრიდან მიღებულ მუქარებს. 2008 წლის 1 დეკემბრის სისხლისსამართლებრივი საჩივრის არსებობისა და მისი პოლიტიკური დევნის ფაქტის დამატებით მტკიცებულებად, ქ.ბ.-მ თავის სასარჩელო მოთხოვნას თან

დაურთო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშიდან შესაბამისი ამონაწერი საქართველოს შესახებ (იხ. პარაგრაფი 223 ქვემოთ). მან ასევე თან დაურთო მთავარ პროკურატურაში 2009 წლის 28 იანვარსა და 12 მარტს მის მიერ შეტანილი სისხლისსამართლებრივი საჩივრების ასლები, რომლებიც კიდევ ერთხელ იმეორებდა იმ ბრალდებებს, რომლებიც 2008 წლის 1 დეკემბერს მან წამოაყენა თავის პირველ საჩივარში.

77. რაც შეეხება „რუსთავი 2“-ის ამჟამინდელ მფლობელებს, მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივანებსა და ნ.-ს, ქ.ბ.-მ მოითხოვა, რომ 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის ზემოხსენებული კონტრაქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში, უკანონოდ მითვისებული ქონება – „რუსთავი 2“-ის 100% წილი – უნდა ჩამორთმეოდათ უკანონო მფლობელებს და დაბრუნებოდა მას. ქ.ბ.-მ ასევე მოითხოვა, რომ ამჟამინდელ მფლობელებს მისთვის გადაეხადათ დაახლოებით 18 000 000 აშშ დოლარი (დაახლოებით 15 000 000 ევრო) მიუღებელი შემოსავლის სანაცვლოდ.

78. რაც შეეხება პირველ მომჩივანს, ქ.ბ.-ს ერთადერთი მოთხოვნა მის მიმართ იყო ის, რომ ელიარებიან იგი არხის ლოგოს შემქმნელად და სამი გასართობი გადაცემის – „ფორტ ბოიარდი“, „ჯეო ბარი“, „უკანასკნელი გმირი“ – ავტორად. ქ.ბ.-მ ასევე პირველი მომჩივნისგან მოითხოვა ზიანის ანაზღაურება 500 000 აშშ დოლარის ოდენობით (დაახლოებით 449 000 ევრო), მისი ინტელექტუალური საკუთრების არამიზნობრივი გამოყენებისთვის.

79. საქმის არსებითი მხარის შესწავლისა და გადაწყვეტილების მოლოდინში იმისათვის, რომ უზრუნველყო სამოქალაქო სამართალწარმოების სათანადო მსვლელობა, ქ.ბ.-მ ასევე მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რათა ყადაღა დასდებოდა როგორც „რუსთავი 2“-ის კუთვნილ ქონებას, ასევე ინდივიდუალური მფლობელების წილებს კომპანიაში ისე, რომ ოთხ მომჩივანსა და ნ.-ს აღარ შეძლებოდათ კომპანიის განკარგვა ან ნებისმიერი ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გავლენას მოახდენდა კომპანიის კაპიტალსა თუ ფუნქციონირებაზე. დამატებით უზრუნველყოფის ღონისძიებად, მან ასევე მოითხოვა, დავის საავტორო უფლების ნაწილში, რომ „რუსთავი 2“-ს აკრძალვოდა მისი ლოგოს გამოყენება მანამ, სანამ საქმე განხილვის პროცესში იყო.

80. მოგვიანებით, იმავე დღეს, 2015 წლის 4 აგვისტოს, მან უკან გამოიხმო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული განაცხადის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა „რუსთავი 2“-ის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების მოთხოვნას.

81. ოთხივე მომჩივანმა, ასევე ორმა სხვა მოპასუხემ, შპს. ჰ.-მ და ნ.-მ ქ.ბ.-ს სარჩელის პასუხად წარადგინეს წერილობითი შესაგებლები. სხვა უამრავ პუნქტთან ერთად, ორი უმთავრესი არგუმენტი, რომლებიც მოპასუხეებმა წამოაყენეს, იყო ის, რომ ქ.ბ.-ს სარჩელი სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლით აშკარად ვადების დარღვევით იყო შეტანილი, ამავე კოდექსის 89-ე მუხლის საწინააღმდეგოდ (იხ. პარაგრაფი 187 ქვემოთ). მათ ასევე მიუთითეს, რომ მოსარჩელემ არასაკმარისი მტკიცებულება წარადგინა თავისი ბრალდებების გასამყარებლად, რომ იგი არასათანადო ზეწოლის ქვეშ მოექცა მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან. მათ განაცხადეს, რომ „უბრალოდ ის ფაქტი, რომ სისხლისსამართლებრივი საჩივარი იქნა შეტანილი გენერალურ პროკურატურაში, არ იყო საკმარისი იძულების შესახებ ბრალდების დამტკიცებულ ფაქტად გადასაქცევად, რადგან სამოქალაქო სასამართლოები თავისუფლები იყვნენ დაედგინათ საკუთარი ფაქტები დავის შესწავლის დროს.“ მომჩივნებმა და სხვა მოპასუხეებმა ასევე ახსენეს, რომ 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის (იხ. პარაგრაფები 15 და 17 ზემოთ) წილების შესყიდვის ხელშეკრულებებში მითითებული ფასი მეტნაკლებად შეესაბამებოდა იმ ფასს, რაც ქ.ბ.-მ თავად გადაიხადა კომპანიის წილების შესყიდვისას 2004 წელს (იხ. პარაგრაფები 12 და 13 ზემოთ). მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებმა ასევე გამოთქვეს პრეტენზია, რომ ისინი არ უნდა ჩაითვალოს არაკეთილსინდისიერ მფლობელებად, რამდენადაც კომპანიაში წილებთან დაკავშირებით მათ არასოდეს ჰქონიათ უშუალო ფინანსური გარიგებები ქ.ბ.-სთან.

82. თავიანთ შესაგებლებში, მომჩივნებმა აგრეთვე ხაზი გაუსვეს, რომ სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი არ ვრცელდება ამ საქმის ფაქტებზე, რომელთა შესწავლაც წესით უნდა მოხდეს კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებით. შესაბამისი ნაწილი მათი შესაგებლებიდან ასე იკითხება:

„მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 85-ე მუხლები. თუმცა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, იძულებით დადებული გარიგების შეფასების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, არამედ ამავე კოდექსის 85-ე-89-ე მუხლები (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 28 დეკემბრის განჩინება საქმეზე

N. AS-1404-1622-05). თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები და მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია არ იძლევა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.“.

83. რაც შეეხება დარჩენილ მოპასუხეს, შპს გ.-ტ.-ს, ამ კომპანიას არ წარუდგენია არანაირი შესაგებელი ქ.ხ.-ს სარჩელის საპასუხოდ.

2. საქმისწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

84. გამომდინარე იქიდან, რომ ქ.ხ.-ს 2015 წლის 4 აგვისტოს სარჩელი, სხვებს შორის, მოიცავდა მოთხოვნას საავტორო უფლების ნაწილში (იხ. პარაგრაფი 78 ზემოთ), იგი დაეწერა მოსამართლე თ.უ.-ს, რომელიც იყო სამი სამოქალაქო მოსამართლიდან ერთ-ერთი, ვისი სპეციალობაც მოიცავდა საავტორო უფლებების დავებს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

(ა) პროცედურული საკითხები

(i) 2015 წლის 5 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – „რუსთავი 2“-ის ქონებაზე ყადაღის დადება

85. 2015 წლის 5 აგვისტოს, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ქ.ხ.-ს შუამდგომლობის განხმილველმა მოსამართლე თ.უ.-მ, გამოიტანა განჩინება, რომლის მიხედვითაც ყადაღა დაედო „რუსთავი 2“-ის კორპორაციულ ქონებასა და ყველა მფლობელის წილს კომპანიაში, საქმის სასამართლოში განხილვის ვადით. ამგვარად, კომპანიას აეკრძალა საბანკო სექტორთან ურთიერთობა სესხის აღების მიზნით და ასევე ნებისმიერი უძრავი და მოძრავი ქონების გაყიდვა და გაქირავება, როგორცაა შენობები, მიწა, სამაუწყებლო აღჭურვილობა, ავტომობილები და ა.შ. კომპანიას ასევე აეკრძალა სხვა კომპანიებთან შესაძლო შერწყმა და მიერთება ან ნებისმიერი სხვა ცვლილების განხორციელება, რომელიც გავლენას მოახდენდა მის კორპორაციულ სტრუქტურაზე. ინტელექტუალური საკუთრების დავასთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ უარყო ქ.ხ.-ს მოთხოვნა, რომ პირველ მომჩივანს აკრძალვოდა არხის ლოგოს გამოყენება საქმის შესწავლის განმავლობაში, რამდენადაც ეს შეაფერხებდა არხის სათანადო ფუნქციონირებას.

86. თუმცა, კომპანიას თავისუფლად შეეძლო გაეგრძელებინა ქონების გამოყენება მაუწყებლობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნებისთვის. ამას გარდა, საქალაქო სასამართლომ ყადაღა არ დაადო პირველი მომჩივნის საბანკო ანგარიშებს, ქ.ხ.-ს მიერ ამ მოთხოვნის უკან გახმობის შემდეგ (იხ. პარაგრაფი 80 ზემოთ) და იმის საფუძველზე, რომ ასეთი ზომების მიღებას შეეძლო დაებრკოლებინა პირველი მომჩივნის სათანადოდ ფუნქციონირება და გამოეწვია გაკოტრება.

87. რაც შეეხებათ მფლობელებს – მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივანსა და ნ.-ს, მოსამართლე თ.უ.-მ დააკონკრეტა, რომ მათ უნდა აკრძალვოდათ ნებისმიერ ისეთ სამართალურთიერთობაში შესვლა, რომელსაც შეეძლო გამოეწვია კომპანიაში მათი კუთვნილი წილის საბოლოო ან დროებითი განკარგვა და მათ თავი უნდა შეეკავებინათ ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც შესაძლო გავლენას მოახდენდნენ „რუსთავი 2“-ის ფინანსურ მდგრადობასა და ნორმალურ ბიზნეს საქმიანობაზე.

88. მოსამართლე თ.უ.-ს აზრით, ზემოხსენებული დროებითი ზომები საჭირო იყო იმისათვის, რომ უზრუნველყოფილიყო მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირება ქ.ხ.-სა და კომპანიის ამჟამინდელ მფლობელებს შორის „რუსთავი 2“-ის წილებზე მიმდინარე საკუთრების დავაში.

(ii) სხვა პროცედურული საკითხები

89. 2015 წლის 18 აგვისტოს, მომჩივნებმა, რომლებიც საქმეში მოპასუხეებს წარმოადგენდნენ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვეს საქმის ერთი მოსამართლიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიისთვის გადაცემა.

90. იმავე დღეს მათ ასევე მოითხოვეს, რომ მოსამართლეს თავად გაეკეთებინა აცილება ამ საქმის შესწავლისგან, რადგან არსებობდა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ საქმის შესწავლა დაიწყო ე.წ. „Forum shopping“-ის გზით (პროცესი, როდესაც დავის მხარე ცდილობს მოძებნოს „საუკეთესო სასამართლო“, რათა საქმე განიხილოს მისთვის ხელსაყრელმა სასამართლომ). მომჩივნები დავობდნენ, რომ ქ.ხ.-მ, იცოდა რა რომ მოსამართლე თ.უ. 2015 წლის 4 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოში იყო ინტელექტუალური საკუთრების დავებში სპეციალიზებული ერთადერთი სამოქალაქო საქმეების

განმხილველი მოსამართლე, მან ხელოვნურად დაამატა თავის სარჩელში საავტორო უფლების მოთხოვნა, რომელიც აშკარად არ იყო საქმის არსთან დაკავშირებული.

91. 2015 წლის 11 და 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით, მოსამართლე თ.უ.-მ არ დააკმაყოფილა მომჩივნების მოთხოვნა საქმის სამმოსამართლიანი კოლეგიისთვის გადაცემაზე. ამის მიზეზად დასახელდა ის, რომ სამი მოსამართლის მიერ საქმის განხილვას, შეიძლება გამოეწვია ზედმეტი დაყოვნება საქმისწარმოებაში. რაც შეეხება მოთხოვნას აცილების შესახებ, მოსამართლემ განაცხადა, რომ მომჩივნების შიშები დაუსაბუთებელი იყო, რამდენადაც იგი არ იყო ერთადერთი მოსამართლე, რომელიც განიხილავდა საავტორო უფლებების დავებს თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამავე სასამართლოში მომუშავე ორი სხვა მოსამართლემ ფლობდა იგივე ექსპერტიზას. მოსამართლე თ.უ.-მ ასევე განმარტა, რომ საქმე განსახილველად მას დაეწერა ანბანის პრინციპით, „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ 1998 წლის 26 ივნისის საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი წესით.

92. 2015 წლის 29 სექტემბერს, მესამე და მეოთხე მომჩივნებმა ყოფილი თავდაცვის მინისტრის ნათესავთან (მყიდველი) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც 400 000 დოლარად (დაახლოებით 358 000 ევრო) გაყიდეს თავისი ერთობლივი 100%-იანი წილი „ტელეკომპანია საქართველოში“. ხელშეკრულების პირობების თანახმად, წილისთვის შეთანხმებული თანხის გადახდასთან ერთად, მყიდველმა იკისრა 6 მილიონი ამერიკული დოლარის (დაახლოებით 5.2 მილიონი ევრო) ინვესტიციის ჩადება „რუსთავი 2“-ში, რომლის ქონებაც დაყადაღებული იყო 2015 წლის 5 აგვისტოდან.

93. მესამე და მეოთხე მომჩივნებისგან წილების მყიდველის კანონიერმა წარმომადგენელმა საჯარო რეესტრისგან მოითხოვა ტელეკომპანია „საქართველოს“ წილების ოფიციალური გადაფორმება იმავე დღეს, 2015 წლის 29 სექტემბერს. თუმცა, რეესტრმა უარი თქვა წილების გადაცემის დარეგისტრირებაზე, რადგან წარმომადგენლის მიერ წარდგენილ მინდობილობაში არ იყო დაკონკრეტებული, რომ მას ჰქონდა უფლებამოსილება შეესყიდა წილი მყიდველის სახელზე. საჯარო რეესტრმა წარმომადგენელს მისცა ოცდაათი დღე მინდობილობაში არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად.

94. მომდევნო დღეს, 2015 წლის 30 სექტემბერს, დაახლოებით, დღის 2:30 საათზე, ქ.ბ.-მ, სასამართლოში შეიტანა კიდევ ერთი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობა და მოითხოვა ტელეკომპანია „საქართველოს“ ქონების დაყადაღებაც. მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა იმავე დღეს 5:39 საათზე და სადამოს 9:35 საათზე საჯარო რეესტრმა შესაბამისი ჩანაწერი შეიტანა, რითაც დაფიქსირდა მეორე მომჩივნის ქონებაზე ყადაღა.

95. „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნ.გვ.-მ დაუყოვნებლივ გააკეთა საჯარო განცხადება, რომ 2015 წლის 30 სექტემბრის მეორე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეუძლებელს ხდიდა 2015 წლის 29 სექტემბრის შესყიდვის ხელშეკრულების ამოქმედებას (იხ. პარაგრაფი 92 ზემოთ) და ამგვარად შეწყდა მაუწყებლობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინვესტიცია. ნ.გვ.-მ მოსამართლე თ.უ. დაადანაშაულა იმაში, რომ იგი ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა მოქრთამა და მისი მისამართით გააკეთა ისეთი განცხადებები, როგორებიცაა „მიწა დაიწვება ამ მოსამართლის ქვეშ“, „იგი ვერასოდეს იპოვის უსაფრთხო ადგილს ამ ქვეყანაში“ და მოიშველია რა ნაცისტური მნიშვნელობა, მან მოსამართლე თ.უ.-ს უწოდა „ზონდერ-მოსამართლე“ (ნ.გვ.-ს მიერ მოსამართლე თ.უ.-ს მისამართით გამოყენებული სხვა ეპითეტები იხ. პარაგრაფებში 175 და 176 ქვემოთ).

96. 2015 წლის 12 ოქტომბერს „რუსთავი 2“-მა გააშუქა ჟურნალისტური გამოძიება, მათი მტკიცებით, მოსამართლე თ.უ.-ს დედის წინააღმდეგ სისხლის სამართლის გამოძიების მიმდინარე საქმეზე. არხის ჟურნალისტების მტკიცებით, აღმოაჩინეს, რომ მოსამართლის დედამ 2014 წლის 7 იანვარს, ოჯახური კამათის დროს, ნაჯახის მეშვეობით ფიზიკური ზიანი მიაყენა საკუთარ სიძეს, კერძოდ მისი გარდაცვლილი ქალიშვილის ქმარს. ინციდენტის შემდეგ, პოლიცია დაუყოვნებლივ ჩაერია საქმეში და დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება. დაშავებული პირი გადაიყვანეს საავადმყოფოში სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად, თუმცა იმ ეტაპზე, მოსამართლის დედისთვის არანაირი ბრალი არ წაუყენებიათ. „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტების თანახმად, მხოლოდ 2015 წლის 24 სექტემბერს დაშავებული პირი უეცრად მსხვერპლად გამოაცხადეს და მოსამართლის დედას წაუყენეს ბრალი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის. „რუსთავი 2“-თან ინტერვიუს დროს, დაზარალებული მხარე აცხადებდა, რომ რამდენადაც ეს მისთვის ცნობილი იყო, მოსამართლე თ.უ.-მ სცადა დახმარებოდა დედამისს საკუთარი ძალაუფლებისა და კავშირების გამოყენებით, 2014 წლის 7 იანვარს მომხდარი ინციდენტის შემდეგ.

97. 2015 წლის 13 ოქტომბერს, მთავარმა პროკურატურამ გამოაქვეყნა საჯარო განცხადება, სადაც

კატეგორიულად გაემიჯნა „რუსთავი 2“-ის საქმეზე მიმდინარე სამოქალაქო საქმისწარმოებას და გამოთქვა სინანული, რომ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტური გამოძიების მიზნებისთვის მისგან ინფორმაცია არ გამოუთხოვიათ (იხ. წინა პარაგრაფი). ბრალდების ორგანომ კიდევ გაუსვა ხაზი იმ მიზეზებს, რის გამოც დაყოვნდა მოსამართლე თ.უ.-ს დედისთვის ბრალის წაყენება. კერძოდ, განცხადებაში განმარტებული იყო, რომ ინციდენტი მოხდა 2014 წლის 7 იანვარს, ოჯახური კონფლიქტის დროს, ქალსა და მის სიძეს შორის, მას შემდეგ, რაც ამ ქალის ქალიშვილი (სიძის მეუღლე) გარდაიცვალა და დარჩა 12 წლის ბავშვი. გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით (სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილი). რამდენადაც დანაშაული ეროვნული კანონმდებლობით დაკვალიფიცირდა, როგორც ნაკლებად მძიმე, გაითვალისწინეს რა დანაშაულის ჩამდენის ასაკი (სამოცდათხუთმეტი წელი) და ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასევე მისი შვილიშვილის ინტერესები, საგამოძიებო ორგანომ გადაწყვიტა, ბრალის წაყენებამდე, მიეცა მისთვის დრო დაზარალებულთან შესარიგებლად. ასეთი პროცედურული ნაბიჯი შეესაბამება ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას საგამოძიებო ორგანოებში. თუმცა, მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მხარეები ვერ შერიგდნენ, მთავარმა პროკურატურამ საქმე განაგრძო 2015 წლის 24 სექტემბერს, წაუყენა რა ბრალი მოსამართლე თ.უ.-ს დედას და მიანიჭა მის სიძეს დაზარალებულის სტატუსი. საჯარო განცხადება ასევე აკონკრეტებს, რომ შესაბამის დროს, გამოძიება უკვე დასრულებული იყო და საქმე უნდა გადასცემოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განსახილველად, რასაც მინიმუმამდე დაჰყავდა ნებისმიერი სახის გავლენა რაც შეეძლო პროკურატურას ჰქონოდა საბოლოო შედეგზე.

98. ყოველივე ზემოხსენებული ფაქტი, რომლებიც ნახსენებია პროკურატურის 2015 წლის 13 ოქტომბრის საჯარო განცხადებაში, დადასტურებულია შესაბამისი სისხლის სამართლის დოკუმენტური მასალების ასლით, რომელიც მთავრობამ სასამართლოს წარუდგინა მიმდინარე საქმის ფარგლებში (იხ. პარაგრაფი 324 ქვემოთ). როგორც მთავრობის მიერ წარდგენილი მასალებიდან შემდეგ გამოვლინდა, მოსამართლე თ.უ.-ს დედა თბილისის საქალაქო სასამართლომ 2017 წლის 11 დეკემბერს პასუხისგებაში მისცა სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის საფუძველზე. მისი ასაკის გათვალისწინებით, მას პირობითი სასჯელი მიესაჯა. სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და ამიტომაც გახდა საბოლოო.

99. 2015 წლის 16 ოქტომბერს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა, გააკეთა საჯარო განცხადება, „რუსთავი 2“-ზე 2015 წლის 12 ოქტომბერს გასულ ჟურნალისტურ გამოძიებაზე, ასევე არხის გენერალური დირექტორის მიერ მოსამართლე თ.უ.-ს მიმართ გამოხატულ პირად შეურაცხყოფებზე. მან მოუწოდა მოსამართლე თ.უ.-ს არ აეცილებინა საქმე. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ „მოსამართლეებმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ასეთ თავდასხმებს და თუკი ვერ გაუძლებენ ასეთი ტიპის თავდასხმებს, არამხოლოდ უნდა ჩამოშორდნენ საქმეს, არამედ სასამართლო ხელისუფლებიდან საერთოდ უნდა წავიდნენ.“ მან დასძინა, რომ „რუსთავი 2“ იყო პოლიტიკურად მიკერძოებული სატელევიზიო არხი, რომელსაც არანაირი საერთო არ ჰქონდა სიტყვის თავისუფლებასთან.

100. 2015 წლის 19 ოქტომბერს, მომჩივნებმა მოითხოვეს, რომ მოსამართლე თ.უ.-ს თავად აეცილებინა საქმე. მომჩივნებმა პირველ რიგში გაიმეორეს, რომ არსებობდა საქმის შესწავლის „forum shopping“-ის გზით წამოწყების საფრთხე (იხ. პარაგრაფები 90 და 91 ზემოთ). მომჩივნებმა შემდეგ მიუთითეს იმ ფაქტზე, რომ მოსამართლე თ.უ.-ს დედას ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის დანაშაულში. ისინი დავობდნენ, რომ ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან, შესაძლოა საექვო ყოფილიყო, რომ სისხლისსამართლებრივი გამოძიება განახლდა და ბრალი ოფიციალურად წაუყენეს ქალს ინციდენტიდან ოცი თვის შემდეგ, რაც მნიშვნელოვანი დაყოვნებაა. ამ საექვო გარემოებებმა, შესაძლოა საზოგადოებას აფიქრებინოს, რომ ასეთი ამოუხსნელი დაყოვნების შემდეგ, დაყოვნების რომელიც ემთხვეოდა „რუსთავი 2“-ის საკუთრების დავის შესწავლის დაწყებას, მოსამართლის დედის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის განახლებით, ხელისუფლებას სურდა ბერკეტი ჰქონოდა მოსამართლეზე.

101. მოსამართლის მიერ საქმის აცილების მოთხოვნაზე დამატებით საფუძველად მომჩივნებმა მიუთითეს რამდენიმე საჯარო პოსტზე, რომლებიც მოსამართლე თ.უ.-ს ცოლმა გააზიარა სოციალურ მედიაში (კონკრეტულად „Facebook“-ზე). კერძოდ, 2015 წლის 7 ივლისს, ანუ მანამ, სანამ საკუთრების დავის განხილვა დაევალებოდა მოსამართლეს, მისმა მეუღლემ „Facebook“-ზე გამოაქვეყნა „პოსტი“, რომელიც შეეხებოდა „იქს ფაქტორის“ ბოლო ეპიზოდს, სატელევიზიო მუსიკალურ კონკურსს, რომელიც გადიოდა „რუსთავი 2“-ის ეთერში. მისი სტატუსი შეიცავდა შემდეგ კომენტარს:

„X ფაქტორი კი არადა, მომიტევეთ, და შტერ-ფაქტორია, ჯერ რატომ ამღერებ არაასაკობრივ, 13 წლის

ბავშვისთვის აბსოლუტურად შეუფერებელ სიმღერას და მერე ასე საზიზღრად და სასტიკად, ყოველგვარი გამოსავლის გარეშე, იღებ გადაწყვეტილებას. ყოვლად არაპროფესიონალურად, ხეპრედ. თუმცა ეს ხომ საქართველოა, სადაც პრიორიტეტები, ღირებულებები აღრეულია და მის სადარაჯოზე გაუგებარი და მიუღებელი ჟიურის წევრები (ნათელია, ვინც მყავს მხედველობაში) დგანან.“

102. 2015 წლის 13 აგვისტოს, ეს არის დრო, როდესაც მისმა მეუღლემ 2015 წლის 5 აგვისტოს უკვე მიიღო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება „რუსთავი 2“-ის ქონების დაყადაღების სახით (იხ. პარაგრაფი 85 ზემოთ), მისმა ცოლმა ალევორიული მითითება გააკეთა დათა თუთაშხიაზე, ცნობილ ქართულ ნაწარმოებზე, შეადარა რა „რუსთავი 2“ არქივო სეთურს, ანუ ამ მოთხოვნის ბოროტმოქმედს¹. შესაბამისი „Facebook პოსტი“ ასე იკითხება:

„პირუქუ, ასინეთა, პირუქუ“ – ეს ცნობილი ლიტერატურული გმირის ცნობილი ფრაზაა... უბრალოდ ახლა სეთური და მამა-მარჩენალი რუსთავი 2-ია, ასინეთა კი ქართული საზოგადოების უმეცარი ნაწილი.“

103. კიდევ ერთ „Facebook პოსტში“, რომელიც გამოქვეყნდა 2015 წლის 2 ოქტომბერს, მოსამართლე თ.უ.-ს ცოლმა გააზიარა ვიდეო სატირისტული „Facebook“ გვერდიდან, რომელსაც ყადაღადადებული „რუსთავი 2“ ერქვა. ამ ვიდეოში ნაჩვენებია იყო „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ნ.გვ.-ს 2007 წლის ინტერვიუ, როდესაც იგი გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. ამ გაზიარებულ ვიდეოზე მან შემდეგნაირი კომენტარი გააკეთა:

„ნუ, გუშინდელ შეურაცხად სახესთან შედარებით, ეს გამოსვლა დახვეწილი არამზადას გამოსვლას მაინც ჰგავს...“

104. მოსამართლე თ.უ.-მ განიხილა და უარყო მომჩივნების მოთხოვნა მის მიერ საქმის აცილებაზე იმავე დღეს, 2015 წლის 19 ოქტომბერს. რაც შეეხება მისი ცოლის „Facebook პოსტებს“, მოსამართლემ განაცხადა, რომ მისი ცოლი ჩვეულებრივი ინდივიდია, რომელსაც აქვს სხვადასხვა საკითხებზე საკუთარი აზრების გამოხატვის თავისუფლება და რამდენადაც თავად მისი ცოლი არ არის შეზღუდული მოსამართლეთა ეთიკით, მას არასოდეს შეუთანხმებია თავისი „პოსტები“ ქმართან. მოსამართლემ ხაზი გაუსვა, რომ მან საერთოდ არ იცოდა ამ „პოსტების“ არსებობის შესახებ და რომ მისი ცოლი, მისგან განსხვავებით, ვერ შეიზღუდება გამოხატვის თავისუფლების რეალიზებისას. მოსამართლემ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მისი ცოლის ერთ-ერთი „Facebook პოსტი“ შეეხებოდა მხოლოდ სატელევიზიო არხის გენერალურ დირექტორს და არა უშუალოდ არხს. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ თავად ნ.გვ.-ს თავის წინა საჯარო განცხადებებში, არასოდეს დაუმაღავს მისი განზრახვა, რომ პროვოკაციაზე წამოეგო მოსამართლე, არაეთიკური ქცევის, კერძოდ სხვადასხვა შეურაცხყოფების გამოყენებით (იხ. პარაგრაფი 173 ქვემოთ).

105. რაც შეეხება დედამისის ირგვლივ არსებულ გარემოებებს, მოსამართლე თ.უ.-მ პირველ რიგში განაცხადა, რომ „სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების თანახმად“, დედამისი ვერ განიხილება მისი ოჯახის წევრად, რადგან იგი ცალკე ცხოვრობდა სხვა მისამართზე და არ იყო მასზე ფინანსურად დამოკიდებული. მან ასევე განაცხადა, რომ იგი ყოველთვის დისტანცირებული იყო დედამისის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესისგან. მისი პირადი ცნობისმოყვარეობა ამ საქმისადმი შემოიფარგლებოდა იმით, რომ საქმის მსვლელობაზე მოითხოვდა ინფორმაციას დედამისის ადვოკატებისგან. ადვოკატების მხრიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მან იცოდა, რომ სადავო ქმედება დედამისმა ჩაიდინა გამართლებული ემოციური დამაბულობის საფუძველზე, რამდენადაც მსხვერპლი – სიძე – მას რეგულარულად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. მან ასევე იცოდა, რომ განხილვის ქვეშ არსებული დანაშაულის ნაკლებად მძიმე ხასიათის გამო, პროცესი სავარაუდოდ დასრულდებოდა დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის მედიაციით.

106. მოსამართლე თ.უ.-მ განაცხადა, რომ რამდენადაც „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნ.გვ.-მ ორკესტრირება გაუწია საჯარო კამპანიას მის წინააღმდეგ, მას, როგორც რთულ და მგრძნობიარე საქმის შესწავლაზე მომუშავე მოსამართლეს, გააჩნდა მორალური და პროფესიული ვალდებულება მდგარიყო მყარად, მოეთმინა ზეწოლა და დაემტკიცებინა, რომ მას შეეძლო ემოქმედა საჭირო დამოუკიდებლობითა და მიუკერძოებლობით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ მის მიერ საქმის აცილება არ იყო გამართლებული და ამიტომაც უარი თქვა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მოსამართლის ეს გადაწყვეტილება შემდგომ ძალაში დატოვა როგორც სააპელაციო ისე საკასაციო სასამართლომაც (იხ. პარაგრაფები 147 და 173 ქვემოთ).

107. 2015 წლის 26 ოქტომბერს, მომჩივნებმა კონსტიტუციური სარჩელი შეიტანს საკონსტიტუციო

სასამართლოში. მოითხოვნდნენ, რომ არაკონსტიტუციურად გამოცხადებულიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოს სამოქალაქო საქმეებზე უფლებას აძლევდა გაეცა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების ბრძანება იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემდგომი გასაჩივრება იქნებოდა ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო. სარჩელი წარმოადგენდა მომჩივნების შეშფოთების შედეგს, რომ ქ.ბ.-ს შეეძლო მოეთხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების დაუყოვნებლივი აღსრულება იმ შემთხვევაში, თუკი საკუთრების დავას მოიგებდა. 2015 წლის 2 ნოემბერს, მიიღო რა წარმოებაში მომჩივნების კონსტიტუციური სარჩელი, საკონსტიტუციო სასამართლომ დროებით შეაჩერა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სადავო დებულებების მოქმედება.

(ბ) 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე

108. 2015 წლის 19 ოქტომბერსა და 3 ნოემბერს შორის პერიოდში, ორივე მხარის მონაწილეობით, მოსამართლე თ.უ.-მ ჩაატარა 8 სრულდღიანი საჯარო მოსმენა, რომელზეც საქმე არსებითად იქნა განხილული. როგორც ამ მოსმენის ტრანსკრიპტით დასტურდება, მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებს ჰქონდათ შესაძლებლობა თავისუფლად ედავათ მოსარჩელის მიერ წარდგენილ ყველა მტკიცებულებაზე, მათ შორის აუდიტორის საექსპერტო დასკვნაზე, რომელიც „რუსთავი 2“-ის საბაზრო ღირებულებას აფასებდა (იხ. პარაგრაფი 76 ზემოთ) და „რუსთავი 2“-ის ფინანსურ დოკუმენტებზე, რომელთაც ეყრდნობოდა ეს დასკვნა და შეეძლოთ აუდიტორისთვის პირადად დაესვათ კითხვები. 2015 წლის 3 ნოემბერს, მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა ქ.ბ.-ს რამდენიმე მოთხოვნა.

109. 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ქ.ბ.-ს მოთხოვნა მისი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ლოგოსთან და სამ გასართობ გადაცემასთან დაკავშირებით, რომელსაც იყენებდა და ამუშავებდა „რუსთავი 2“. შესაბამისად, მოსამართლემ ასევე არ დააკმაყოფილა საავტორო უფლებების შესაძლო დარღვევისთვის ქ.ბ.-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (იხ. პარაგრაფი 78 ზემოთ).

110. თუმცა, მოსამართლე თ.უ.-მ დააკმაყოფილა ქ.ბ.-ს მოთხოვნები შპს ჰ.სა და შპს გ.-ტ.-ს-თან და „რუსთავი 2“-ის ამჟამინდელ მფლობელებთან – მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივანებთან და ნ.-სთან დაკავშირებით – გააუქმა რა წილების შესყიდვის 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულებები, როგორც ბათილი და აღადგინა მოსარჩელის 100%-იანი წილის საკუთრება „რუსთავი 2“-ში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, მოსამართლემ განაცხადა შემდეგი. პირველ რიგში, მან აღნიშნა, რომ ხელშეკრულებების გაუქმების თაობაზე შეტანილი სარჩელის ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი იყო სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი, გარიგების იძულებით დადება (იხ. პარაგრაფი 75 ზემოთ). თუმცა, მოსამართლემ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა საკმარისი მტკიცებულება იძულების დასამტკიცებლად. ამგვარად, მართალია ქ.ბ.-მ შეიტანა სისხლისსამართლებრივი საჩივრები, მათ შორის 2008 წლის 1 დეკემბრის საჩივარი, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მხრიდან სავარაუდო ზეწოლის შედეგად საკუთარი ბიზნეს ინტერესების დაკარგვის თაობაზე, თუმცა მხოლოდ ამ საჩივრების შეტანის ფაქტი, გამოძიების მიერ კონკრეტული ფაქტების დადგენის გარეშე, როგორც არის მუქარისა თუ ძალადობის რეალური გამოყენება ქ.ბ.-ს წინააღმდეგ, ვერ მიიჩნევა სამოქალაქო სასამართლოს მიერ იძულების მტკიცებულებად. ამგვარად, მოსამართლე თ.უ.-მ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ ვერ შეასრულა მტკიცების ტვირთი.

111. რამდენადაც, მოსარჩელებს მიერ წარდგენილი ფაქტები არ იყო საკმარისი სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის მიზნებისთვის, მოსამართლე თ.უ.-მ გადაწყვიტა შეეფასებინა 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის წილების შესყიდვის ხელშეკრულებები სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით, სხვა სამართლებრივი საფუძველით, რომელსაც დაეყრდნო ქ.ბ. სასარჩელო მოთხოვნაში (იხ. პარაგრაფი 75 ზემოთ), კერძოდ შეეფასებინა შეიძლებოდა თუ არა, რომ აღნიშნული კონტრაქტები ყოფილიყო იურიდიული ძალის არმქონე (იხ. პარაგრაფი 183 ქვემოთ). ამასთან მიმართებით, მოსამართლემ მოიხმო აუდიტორის 2015 წლის 9 სექტემბრით დათარიღებული საექსპერტო დასკვნა, რომლითაც დადგინდა, რომ ღირებულების შეფასების აქტივებზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებით, „რუსთავი 2“-ის ღირებულება – კომპანიის აქტივებითა და ვალდებულებებით – 2005-06 წლებში შეადგენდა დაახლოებით 7 322 686 ლარს (დაახლოებით 2 727 041 ევრო). თუმცა, რამდენადაც მოსარჩელემ დათმო კომპანია სადავო წილების შესყიდვის ხელშეკრულებებით, საერთო ჯამში, ისეთ მცირე თანხად, როგორცაა 571 400 ლარი (დაახლოებით 212 766 ევრო), ეს მნიშვნელოვანი სხვაობა ფასში თავადვე ნიშნავდა, რომ კონტრაქტები არ ეფუძნებოდა ჯანსაღ საფუძველს, ეთიკურ და სამართლიან პრინციპებსა და საზოგადოებაში მიღებულ წესებს. მოსამართლემ ასევე განაცხადა, რომ საქმეში არსებული

დოკუმენტური მასალები არ ადასტურებდნენ იმასაც კი, რომ სადავო შესყიდვის ხელშეკრულებაში მითითებული სასაცილო ფასი – 571 400 ლარი – რეალურად გადაუხადა ქ.ბ.-ს შპს გ.-ტ.-მ და შპს. ჰ.-მ.

112. მოსამართლემ დამატებითი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ ზემოხსენებული შესყიდვის ხელშეკრულებების გზით, „რუსთავი 2“-ის წილების მოპოვების შემდეგ, შპს გ.-ტ.-მ და შპს ჰ.-მ დამატებით კიდევ გაასხვისეს ეს წილები, ძალიან მოკლე პერიოდში, კერძოდ თოთხმეტ დღესა და ცხრა თვეში, თითქმის იმავე ფასად, რა ფასადაც შეიძინეს ქ.ბ.-სგან. ყოველივე ეს გარემოებები, მკაფიოდ მიუთითებდა, რომ არცერთი ამ ორი მყიდველიდან, რეალურად არ იყო დაინტერესებული სატელევიზიო კომპანიის შესყიდვითა და მისი მართვით და უფრო მეტიც, რომ მედია არასოდეს წარმოადგენდა მათი ჩვეული ბიზნეს საქმიანობის ნაწილს. საბოლოო ჯამში, განსაკუთრებით კი დათმობილი საკუთრების ღირებულებასა და გადახდილ სასაცილო ფასს შორის არსებული აშკარა სხვაობიდან გამომდინარე, მოსამართლემ დაასკვნა, რომ წილების შესყიდვის 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულებები იყო მოჩვენებითი, დადებული საზოგადოებაში მიღებული წესების გაუთვალისწინებლად და შესაბამისად იურიდიული ძალის არმქონე სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე. ამგვარად, აღნიშნული ხელშეკრულებები იყო უცილოდ ბათილი (არარა), რის გამოც ყველა სამართლებრივი შედეგები, რომელიც დაკავშირებული იყო დეფექტიანი ხელშეკრულებებთან, ანულირდებოდა სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად (იხ. პარაგრაფი 184 ქვემოთ). ზემოხსენებული ფაქტობრივი მიგნებებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ უცილოდ ბათილი კონტრაქტებისთვის დადგენილი არ იყო სპეციალური ხანდაზმულობის ვადა, მოსამართლემ გადაწყვიტა გამოეყენებინა ზოგადი ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა, სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე.

113. მოსამართლემ დამატებით მიუთითა, რომ ლეგიტიმური იყო კომპანიაში ამჟამინდელი მფლობელების საკუთრებაში არსებული წილების დაბრუნება ქ.ბ.-ს სასარგებლოდ, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ვერ ჩაითვლებიან კეთილსინდისიერ შემძენებად. ამასთან მიმართებით, მოსამართლემ პირველ რიგში აღნიშნა, რომ მესამე მომჩივანი, რომელიც ყოველთვის სხვადასხვა ბიზნესს მართავდა თავის ძმასთან ერთად (მეოთხე მომჩივანი), იყო იმ კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელმაც შეიძინა „რუსთავი 2“ შპს გ.-ტ.-სგან 2006 წლის 1 დეკემბერს, ანუ მხოლოდ თოთხმეტი დღის შემდეგ რაც შპს გ.-ტ.-მ მოიპოვა საკუთრება ქ.ბ.-სგან. (იხ. პარაგრაფები 17 და 19 ზემოთ). სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მესამე და მეოთხე მომჩივნებმა იცოდნენ, რომ სასაცილოდ დაბალი იყო ის ფასი, რაც ქ.ბ.-მ მიიღო სატელევიზიო კომპანიის დათმობის სანაცვლოდ და ამგვარად, უნდა გაეცნობიერებინათ, რომ ყიდულობდნენ საკუთრებას აშკარა უკანონო გზით. ამასთან დაკავშირებით, მოსამართლე დაეყრდნო სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილს, რომლის თანახმადაც, მოძრავი ქონების, როგორცაა კომპანიის წილები, შემსყიდველი მესამე პირი, ვერ გახდება კეთილსინდისიერი შემძენი იმ საკუთრებისა, რომელიც უკანონოდ იქნა მითვისებული თავდაპირველი მფლობელისგან. თავის მსჯელობაში, მოსამართლე თ.უ.-მ ასევე მიუთითა 2008 წლის 1 დეკემბრის სისხლისსამართლებრივ საჩივარზე, ასევე მომდევნო სისხლისსამართლის საჩივრებზე, რომლებიც შეიტანა ქ.ბ.-მ მთავარ პროკურატურაში 2008-09 წლებში, რომლითაც ამ უკანასკნელმა მიიპყრო ხელისუფლების ყურადღება მის წინააღმდეგ ჩადენილ არამართლზომიერ ქმედებებზე. მოსამართლემ მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრების არსებობა ეროვნული ხელისუფლების შესაბამისი პირების თვალში უნდა შეწინააღმდეგებოდა „რუსთავი 2“-ის წილების შემდგომი გადაცემების სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის პრეზუმფციას.

114. მოსამართლის აზრით, არაკეთილსინდისიერი შემძენის სტატუსი არ იყო საკმარისი იმისათვის რომ აღნიშნული პირი ყოფილიყო პასუხისმგებელი სატელევიზიო არხის მიერ მოპოვებული მოგების ანაზღაურებაზე. შესაბამისად, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ქ.ბ.-ს მოთხოვნა მომჩივნების წინააღმდეგ, მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით, ცნო რა ეს მოთხოვნა დაუსაბუთებლად.

115. მხარეებს შეეძლოთ 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილების გასაჩივრება, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან თოთხმეტი დღის განმავლობაში.

(გ) 2015 წლის 5 ნოემბრის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება

116. 2015 წლის 5 ნოემბერს, აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით, ქ.ბ.-ს სარჩელის საფუძველზე, მოსამართლე თ.უ.-მ გამოიტანა გაჩინება კიდევ ერთი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ. კერძოდ, მან დანიშნა „რუსთავი 2“-ის დროებითი მმართველები, შესაბამისად უფლებამოსილება შეუჩერდა მაუწყებლობის გენერალურ დირექტორს ნ.გვ.-ს და ფინანსურ დირექტორს.

117. უზრუნველყოფის ღონისძიების დაკისრების ერთ-ერთ არგუმენტად მოსამართლემ მიუთითა, რომ

მოქმედი მენეჯმენტის ქვეშ მაუწყებლობა „ზედმეტად ორიენტებული იყო“ მიმდინარე სამოქალაქო დავის გამოუქვბაზე, რასაც შესაძლოა უარყოფით გავლენა მოეხდინა სატელევიზიო კომპანიის ჩვეულებრივ გადაცემებზე და გამოეწვია პოპულარულობის რეიტინგული მაჩვენებლების შემცირება. მოსამართლემ ასევე განაცხადა, რომ ზოგადად მედია საშუალებებმა უნდა გააშუქონ „საზოგადოებრივი ინტერესის“ ყველა საკითხი და არ უნდა იყვნენ „კონცენტრირებული მხოლოდ ერთ საკითხზე“. მოსამართლე თ.უ.-მ ასევე განაცხადა, რომ „კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა“ არსებული მენეჯმენტის პირობებში „რუსთავი 2“-ის რეპორტაჟების „სამართლიანობა და ობიექტურობა“. ობიექტურად გაშუქების მოვალეობის უგულვებელყოფა „საფრთხეს უქმნის მედიის ძირითად დანიშნულებას და პროფესიონალიზმს დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

118. 2015 წლის 13 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველად მიიღო რა მომჩივნების მეორე საკონსტიტუციო სარჩელი, შეაჩერა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლების გამოყენება, რომელთა საფუძველზეც მოსამართლე თ.უ.-მ დანიშნა „რუსთავი 2“-ის დროებითი მმართველები 2015 წლის 5 ნოემბერს.

119. 2015 წლის 27 ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა მოსამართლე თ.უ.-ს 2015 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება.

120. ფაქტობრივად 2015 წლის 5 ნოემბრის დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიება პრაქტიკაში არ გახორციელებულა მოცემულ პერიოდში მის გაუქმებამდე, შესაბამისად „რუსთავი 2“-ის დროებით მმართველებად დანიშნულ ადამიანებს ფაქტობრივად არ დაუწყიათ მოვალეობების შესრულება.

3. საქმისწარმოება თბილისის სააპელაციო სასამართლოში

(ა) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების პროცედურები

121. 2015 წლის 12 აგვისტოს ოთხივე მომჩივანმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში საჩივარი შეიტანა 2015 წლის 5 აგვისტოს უზრუნველყოფის ღონისძიებაზე, რომლის საფუძველზეც დაყადაღდა „რუსთავი 2“-ის აქტივები (იხ. პარაგრაფები 85-88 ზემოთ).

122. მომჩივნები ძირითადად დავობდნენ, რომ მოსამართლე თ.უ.-მ, უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ თავის გადაწყვეტილებაში, სათანადოდ არ ახსნა იყო თუ არა ნამდვილად აუცილებელი კომპანიის კუთვნილი აქტივების და მფლობელების წილების დაყადაღება. მოსამართლემ არ განმარტა რატომ არ იყო შესაძლებელი საკუთრების დავის არსებითად განხილვა, სატელევიზიო კომპანიის და მისი მფლობელების მიმართ ასეთი უკიდურესი ზომების გამოყენების გარეშე. მომჩივნები ჩიოდნენ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების არაპროპორციულ და გადაჭარბებულ ხასიათზე, რომელიც აშკარად გულისხმობდა მათ საკუთრების ინტერესებში ჩარევას. ისინი შიშობდნენ, რომ სადავო ღონისძიების ფაქტობრივი შედეგი წინააღმდეგობაში მოვიდოდა პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ სავარაუდოდ დასახულ მიზანთან. სატელევიზიო კომპანიას, სხვადასხვა უძრავი და მოძრავი აქტივების თავისუფლად და სრულად მართვის შესაძლებლობის გარეშე, შესაძლოა სერიოზული ფინანსური დანაკარგი განეცადა, რაც უარყოფით გავლენას მოახდენდა სათანადო დამოუკიდებლობით მედიასაქმიანობების განხორციელების შესაძლებლობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, მომჩივნებმა დააკონკრეტეს მედია სექტორში ბიზნეს საქმიანობის გარკვეული ასპექტები, როგორცაა, მაგალითად, მედიაპროდუქციის სეზონურობა, რამაც შექმნა საბანკო სექტორზე მუდმივი წვდომის შენარჩუნების საჭიროება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და სტრასბურგის სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტების ციტირებით, ოთხივე მომჩივანმა მიუთითა როგორც კომპანიის სხვადასხვა ქონებრივ ინტერესებზე, ასევე პირველი მომჩივნის ინფორმაციის გავრცელების უფლებაზე, რაც კონვენციის მე-10 მუხლით არის გათვალისწინებული.

123. მომჩივნების საჩივარი გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომლის შემადგენლობაც განსხვავდებოდა შემდგომში საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლეებისგან (იხ. პარაგრაფი 134 ქვემოთ). აღნიშნულმა პალატამ 2015 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა საჩივარი, ოდნავ შეასწორა 2015 წლის 5 აგვისტოს დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლები.

124. გადაწყვეტილების დასაბუთება სააპელაციო სასამართლომ დაიწყო იმის მითითებით, რომ მტკიცების სტანდარტი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებულ სამართალწარმოებებში ყოველთვის დაბალი იყო, ვიდრე ეს ჩვეულებრივ გამოიყენება სამოქალაქო სასამართლოს მიერ საკუთრებასთან დაკავშირებული დავების არსებითი განხილვისას. შესაბამისად, არ

იყო აუცილებელი გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საჭიროების განხილვა მტკიცებულებების შედარებითობის კუთხით. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკმარისი იყო იმის დადგენა, რომ ერთი შეხედვით არსებობდა გარემოება, რომელიც მოითხოვდა დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „რუსთავი 2“-ის წილების ერთი კერძო პირიდან მეორესთვის, დროის მნიშვნელოვნად მოკლე პერიოდებში, მრავალი გადაცემების ისტორიაზე (იხ. პარაგრაფები 10-28 ზემოთ). იმის გათვალისწინებით, რომ სატელევიზიო კომპანია წარსულში მარტივად გადადიოდა ხელიდან ხელში, არსებობდა ერთი შეხედვით რისკი იმისა, რომ შესაძლოა მომხდარიყო საკუთრების უფლების მორიგი ცვლილება მიმდინარე არსებითი განხილვის სამართალწარმოებებისას, რაც არამართებულად შეუშლიდა ხელს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლომ მიუთითა, რომ 2015 წლის 5 აგვისტოს დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიების ლეგიტიმური მიზანი იყო მომავალში სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ახალი ბარიერების შექმნის თავიდან აცილების საჭიროება.

125. შემდეგ სააპელაციო სასამართლომ განიხილა საკითხი, იყო თუ არა მოსამართლე თ.უ.-ს მიერ გამოყენებული ყველა დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიება ლეგიტიმური მიზნის პროპორციული. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ რამდენადაც ყველა სხვა ყადაღის ღონისძიება ჩანდა გონივრული, ვერ ჩაწვდა დასაბუთებას, რომელიც ზღუდავდა კომპანიის უფლებას მისი სხვადასხვა მოძრავი და უძრავი ქონების იჯარით გადაცემაზე (იხ. პარაგრაფი 85 ზემოთ). ეს კონკრეტული შეზღუდვა, რომელსაც არ ჰქონდა რაიმე რელევანტურობა ლეგიტიმურ მიზანთან, უნდა მოხსნილიყო და ტელეკომპანიას მიცემოდა თავისი აქტივების იჯარით გაცემის უფლება შეზღუდული, თუმცა განახლებადი ვადით (საიჯარო ხელშეკრულებების ვადა არ უნდა ყოფილიყო სამ თვეზე ხანგრძლივი).

126. სააპელაციო სასამართლომ ასევე განიხილა აკრძალვა, რომლითაც „რუსთავი 2“-ს ეკრძალებოდა შერწყმა-გაერთიანება (იხ. პარაგრაფი 85 ზემოთ). აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ ეს შეზღუდვა მიმართული იყო მხოლოდ კომპანიის გარე კორპორატიულ სტრუქტურაზე. თუმცა, ეს ზომა არ უნდა აღქმულიყო როგორც კომპანიისთვის აკრძალვა განახორციელებინა შიდა ორგანიზაციული ცვლილებები, რომელსაც მისი დირექტორი საჭიროდ ჩათვლიდა ხარჯების ოპტიმიზაციისთვის. შესაბამისად, კომპანიას თავისუფლად შეეძლო შიდა ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელება, როგორცაა ცვლილებები იერარქიასთან, შრომით კონტრაქტებთან და სხვადასხვა ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით.

127. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა 2015 წლის 5 აგვისტოს უზრუნველყოფის ღონისძიებით გათვალისწინებული დროებითი შეზღუდვების უმრავლესობა. 2015 წლის 20 ნოემბრის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ მცირედით ჩაასწორა წინა განჩინება, რომლის თანახმად, „რუსთავი 2“-ს მიეცა თავისი სხვადასხვა მოძრავი და უძრავი აქტივების იჯარით გაცემის უფლება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე ადასტურებდა, რომ კომპანიას შეეძლო შიდა ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელება.

128. 2015 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, სააპელაციო ინსტანციამ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება იყო საბოლოო და არ საჩივრდებოდა.

(ბ) საკუთრების დავის არსებით მხარესთან დაკავშირებული სამართალწარმოება

129. 2015 წლის 15 დეკემბერს ქ.ბ.-მ შეიტანა სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა საავტორო უფლების შესახებ სარჩელს პირველი მომჩივნის წინააღმდეგ და მიუღებელი შემოსავლის საკითხს მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებთან დაკავშირებით.

130. 2015 წლის 15 და 17 დეკემბერს მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებმა, შპს „კ.“ და ნ.-სთან ერთად, შეიტანეს სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე. არც პირველმა მომჩივანმა და არც შპს „გ.-ტ.“, ორმა სხვა მოპასუხემ საქმეში, არ გამოიყენეს სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლება.

131. მთელ რიგ სხვა პროცედურულ საკითხებს შორის, მომჩივნებმა კერძოდ, მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებმა (შემდგომში „აპელანტი მომჩივნები“), ეჭვქვეშ დააყენეს მოსამართლე თ.უ.-ს უარი საქმისწარმოებაში მონაწილეობიდან თვითაცილების შესახებ, სერიოზული გარემოებების არსებობის მიუხედავად, რომელიც სულ მცირე ობიექტური დამკვირვებელი პოზიციიდან, ეჭვქვეშ აყენებდა მის

დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას. აპელანტმა მომჩივნებმა დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის არარსებობის შესახებ საჩივრის გასამყარებლად მოიხმეს შესაბამისი შიდა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. აპელანტმა მომჩივნებმა ასევე მიუთითეს ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის წარმოებები მოსამართლის დედის წინააღმდეგ საექვოდ განახლდა საქმის განხილვის დროს, ასევე ის ფაქტი, რომ მოსამართლის მეუღლემ (ცოლი) საჯაროდ გამოხატა საკუთარი აშკარად უარყოფითი დამოკიდებულება „რუსთავი 2“-ის მიმართ. ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოყენებული წინასწარი და შუალედური უზრუნველყოფის ღონისძიებები აშკარად არაპროპორციული იყო და გავლენას ახდენდა არამხოლოდ კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ ხდებოდა ჩარევა არხის სარედაქციო დამოუკიდებლობაში. აპელანტმა მომჩივნებმა ასევე მიუთითეს სხვადასხვა მაღალი რგოლის სახელმწიფო ოფიციალური პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებზე, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის განცხადებაზე (იხ. პარაგრაფები 34, 43, 45 და 99 ზემოთ), რომელიც მათი აზრით წარმოადგენდა მოსამართლის თ.უ.-ს დამოუკიდებლობის ხელყოფას.

132. რაც შეეხება 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილების არსებით მხარეს, მომჩივნები ძირითადად ორიენტირებულნი იყვნენ ექვქვეშ დაეყენებინათ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2015 წლის 9 სექტემბრის ექსპერტის დასკვნის მტკიცებულებითი წონა, რომელმაც შეაფასა „რუსთავი 2“-ის წილების მაშინდელი ღირებულება (იხ. პარაგრაფი 111 ზემოთ), ასევე მოცემულ საქმეში სხვადასხვა ახალი დოკუმენტის დამატების შეუძლებლობა. ისინი ასევე დავობდნენ საქმის გარემოებების გათვალისწინებით სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის გამოყენებაზე. აპელანტი მომჩივნები აცხადებდნენ, რომ თუ წილების ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის საფუძველი იყო მხოლოდ შესაძლო შეუსაბამობა აღნიშნული ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ფასებსა და სადავო ქონების ფაქტობრივ ღირებულებას შორის, მაშინ საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო 55-ე მუხლის საფუძველზე. აპელანტი მომჩივნები ასევე ჩიოდნენ, რომ მოსამართლე თ.უ.-ს მიერ სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის განმარტება, რომლის საფუძველზეც მან უარი თქვა კეთილსინდისიერი მფლობელების დაცვაზე, იყო მცდარი.

133. 2016 წლის 16 თებერვალს მეორე მომჩივანმა შეიტანა მესამე საკონსტიტუციო საჩივარი (იხ. პარაგრაფები 107 და 118 ზემოთ) სამოქალაქო კოდექსის 89-ე და 138-ე მუხლების კონსტიტუციურობაზე (იხ. პარაგრაფები 186 და 187 ქვემოთ). საჩივარში მან აღნიშნა, რომ „შიდა სასამართლოების პრაქტიკის“ შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად შეწყდა 89-ე მუხლით გათვალისწინებული ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადის დენა, რამაც დაინტერესებულ მხარეებს მისცა კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადისთვის გვერდის ავლის გაუმართლებელი შესაძლებლობა.

134. აპელანტი მომჩივნების სააპელაციო საჩივარი გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელიც შედგებოდა სამი მოსამართლისგან – მოსამართლე ნ.ნ., მოსამართლე შ.ყ. და მოსამართლე ნ.გ. და 2016 წლის 31 მარტს ამ შემადგენლობით სააპელაციო კოლეგიამ ჩაატარა პირველი წინასასამართლო სხდომა.

135. 2016 წლის 27 აპრილს მიკერძოების საფუძველით ოთხივე მომჩივანმა მიმართა სააპელაციო ინსტანციის ერთ-ერთ მოსამართლეს მოსამართლე ნ.გ.-ს. აცილების მოთხოვნით. აღნიშნულთან დაკავშირებით, ისინი ეყრდნობოდნენ 2015 წლის 31 აგვისტოს და 20 ოქტომბრის ორ განცხადებაზე რაც გააკეთა არასამთავრობო ორგანიზაცია – საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციამ, რომელიც წარმოადგენს მათ შორის მოსამართლე ნ.გ.-ს და მოსამართლე თ.უ.-ს მიერ დაფუძნებულ მოსამართლეთა გაერთიანებას. აღნიშნულ განცხადებებში, სხვა საკითხებთან ერთად ასოციაციამ დაგმო „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნ.გვ. მოსამართლე თ.უ.-ს შეურაცხყოფისათვის და მოუწოდა საზოგადოებას და მედიას მიეცათ საშუალება ამ კონკრეტული მოსამართლისთვის და ზოგადად ქართული სასამართლოებისთვის გაეგრძელებინათ საქმის განხილვა ღირსეულ და მშვიდ გარემოში (დეტალები იხ. პარაგრაფებში 179-181 ქვემოთ). აპელანტი მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ვინაიდან არასამთავრობო ორგანიზაციამ პირდაპირ გამოუცხადა მხარდაჭერა მოსამართლე თ.უ.-ს, მოსამართლე ნ.გ.-ს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ჰქონდა აშკარა ინტერესთა კონფლიქტი.

136. წესდების შესაბამისად საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია დაფუძნდა 2013 წელს თვრამეტი პირის მიერ, მათ რიცხვში შედიოდა მოსამართლე თ.უ. და მოსამართლე ნ.გ. ასოციაციის ფუნქციონირების გაცხადებული მიზანი იყო „სასამართლოს დამოუკიდებლობის და გამჭვირვალობის გაზრდა, მართლმსაჯულების პროცესის გაუმჯობესება, მოსამართლეებისთვის უფლებამოსილების მინიჭება, მოსამართლეთა მხარდაჭერა და თვითრეგულაციის გაძლიერება, საზოგადოების ინფორმირებულობის და სამართლებრივი კულტურის ამაღლება“. მოცემულ საქმეში არსებული

ინფორმაციის შესაბამისად, საკუთრების დავის განხილვის დროს, მოსამართლე თ.უ. და მოსამართლე ნ. გ. სხვა ორმოცდაათ მოქმედ მოსამართლესთან ერთად, იყვნენ ასოციაციის წევრები. ზოგადად, საქართველოს მოსამართლეების ასოციაცია ცნობილი იყო აქტიური მონაწილეობით საჯარო განხილვებში ყველა იურიდიულ და სხვა საკითხებზე, რაც გავლენას ახდენდა სასამართლო სისტემაზე საქართველოში.

137. ოთხი მომჩივნის საჩივარი მოსამართლე ნ.გ.-ს აცილებაზე განხილულ და უარყოფილი იქნა, იმავე დღეს 2016 წლის 27 აპრილს, სააპელაციო სასამართლოს მიერ, სადაც მოსამართლე ნ.გ. არ იღებდა მონაწილეობას. პალატამ დაადგინა, რომ განცხადებაში მითითებული გარემოებები მოსამართლე ნ.გ.-ს მიუკერძოებლობის ეჭვქვეშ დასაყენებლად იყო არასაკმარისი.

138. როგორც 2016 წლის 27 აპრილს ჩატარებული მოსმენის ოქმებით დასტურდება, პირველი მომჩივნის ადვოკატმა, ზეპირი არგუმენტების გაცვლისას და სხვა სამი მომჩივნის იურიდიული წარმომადგენლების თანდასწრებით, დაადასტურა, რომ სააპელაციო კოლეგიის ერთ-ერთი მოსამართლე, მოსამართლე შ.ყ. იყო სისხლის სამართლის სპეციალისტი.

139. 2016 წლის 1 ივნისს ჩატარებული პრეს-კონფერენციის დროს, პირველი მომჩივნის გენერალურმა დირექტორმა საჯაროდ განაცხადა, რომ სატელევიზიო არხისთვის ცნობილი გახდა დისციპლინარული წარმოებების დაწყების შესახებ მოსამართლე ნ.გ.-ს წინააღმდეგ სასამართლო ეთიკის დარღვევის გამო. მან გამოთქვა შეშფოთება, რომ მიმდინარე დისციპლინარული წარმოებები შესაძლოა ხელისუფლებას გამოეყენებინა ბერკეტად აღნიშნული მოსამართლის წინააღმდეგ, რაც ეჭვქვეშ აყენებდა ამ უკანასკნელის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას საკუთრების დავის განხილვის პროცესში.

140. 2016 წლის 7 ივნისს, ქ.ბ.-მ გაიხმო 2015 წლის 15 დეკემბრის სააპელაციო საჩივარი (იხ. პარაგრაფი 129 ზემოთ). ამ ფაქტის, და იმის მიუხედავად, რომ პირველი მომჩივანი აღარ იყო თანამოპასუხე სასამართლო წარმოებებში, „რუსთავი 2“-ის ადვოკატები კვლავ განაგრძობდნენ სხვადასხვა პროცედურულ მოთხოვნებს, რომლებიც განიხილეს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა.

141. იმავე დღეს, 2016 წლის 7 ივნისს, გაიმართა ბოლო მოსმენა. როგორც აღნიშნული სხდომის ტრანსკრიპტიდან დასტურდება, მას შემდეგ რაც მხარეებმა დაასრულეს არგუმენტების გაცვლა, მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებმა წარადგინეს ოფიციალური, წერილობითი მოთხოვნა მოსამართლე ნ.გ.-ს აცილების შესახებ, სადაც მიუთითეს ის ფაქტი, რომ მის წინააღმდეგ დაწყებული იყო დისციპლინარული წარმოება სამოსამართლო ეთიკის და კანონის დარღვევისათვის. მომჩივნები შიშობდნენ, რომ ხელისუფლებას შესაძლოა მიმდინარე დისციპლინარული წარმოება გამოეყენებინა მოსამართლე ნ.გ.-ს მანიპულირების ბერკეტად. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ეს მოთხოვნა განუხილველად დატოვა. მისი გადაწყვეტილება განმარტა იმ ფაქტით, რომ აცილების შესახებ განცხადება წარდგენილი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურული მოთხოვნების დარღვევით. კონკრეტულად, სააპელაციო სასამართლომ უსაყვედურა მომჩივნებს იმის გამო, რომ არ განმარტეს თუ რატომ არ წარადგინეს ასეთი შუამდგომლობა სათანადო დროს, კერძოდ მას შემდეგ, რაც მათთვის ცნობილი გახდა იმ ფაქტების შესახებ, რომელიც მათ განცხადებას დაედო საფუძვლად.

142. 2016 წლის 9 ივნისს პირველმა და მეორე მომჩივნებმა წარადგინეს შუამდგომლობა მოსამართლე შ.ყ.-ს აცილების შესახებ, იმ ფაქტის მითითებით, რომ მოსამართლე შ.ყ. იყო სისხლის სამართლის სპეციალისტი. აღნიშნული ორი მომჩივანი აცხადებდა, რომ საეჭვო იყო სისხლის სამართლის მოსამართლის მიერ სამოქალაქო საქმის განხილვა. იმავე დღეს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, 2016 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების მსგავსად, აღნიშნული განცხადება განუხილველად დატოვა, იმის გამო რომ წარდგენილი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის დარღვევით.

143. მთლიანობაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში ჩატარდა სრული თერთმეტდღიანი საჯარო მოსმენა, როდესაც განხილულ იქნა საქმის არსებითი მხარე. როგორც სხდომის ოქმებით დასტურდება, მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებს ჰქონდათ შეუზღუდავი შესაძლებლობა სადავოდ გაეხადათ მოსარჩელების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ექსპერტის დასკვნა. გარდა ამისა, ამ სამ მომჩივანს შეეძლო, სააპელაციო სასამართლოს ნებართვით, საქმის მასალებისთვის ალტერნატიული ექსპერტის დასკვნის დართვა, რომელიც გამოსცეს მათ მიერ შერჩეულმა კერძო აუდიტორებმა და სადაც შეფასებული იყო „რუსთავი 2“-ის ღირებულება 2005-2006 წლებში.

144. 2016 წლის 10 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, აპელანტი

მომჩივნების 2015 წლის 17 დეკემბრის სააპელაციო სარჩელის დაუკმაყოფილებლობის და პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილების სრულად დაკმაყოფილების შესახებ. გადაწყვეტილებაში არ იყო მითითებული პირველი მომჩივანი, „რუსთავი 2“, როგორც საქმის მხარე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ უკანასკნელს არასოდეს არ წარუდგენია სააპელაციო საჩივარი (იხ. პარაგრაფი 130 ზემოთ).

145. პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა საკუთრების დავა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის (მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალავს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს) და 85-ე მუხლის (გარიგების დადების მიზნით პირის იძულება) ფარგლებში (იხ. პარაგრაფები 183 და 186 ქვემოთ). რაც შეეხება ამ ბოლო ნორმას, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელე მომჩივანმა ქ.ბ.-მ ვერ დაადასტურა ძალადობის არსებობა. თუმცა, ძალაში დატოვა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ საქმის გარემოებები უნდა განხილულიყო წინამდებარე დებულებით, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე.

146. სააპელაციო სასამართლომ შემდეგ გააკეთა დეტალური შეფასება, თუ რატომ იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ექსპერტის 2015 წლის 9 სექტემბრის დასკვნა გადაწყვეტი მტკიცებულება და მთელი რიგი შესაგებლების და განცხადებების მიუხედავად, თუ რატომ ვერ გააბათილეს მოპასუხებმა აღნიშნული მტკიცებულება ეფექტურად. ალბათობათა დაბალანსების მტკიცების სტანდარტის გამოყენებით, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა აშკარა შეუსაბამობის არსებობა 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის წილის ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ფასსა და იმ დროს „რუსთავი 2“-ის რეალურ ღირებულებას შორის. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადასტურა მოსამართლე თ.უ.-ს გადაწყვეტილების მართებულობა, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის და ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადის გამოყენების საკითხზე (სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილი) და დაადგინდა, რომ „რუსთავი 2“-ის ამჟამინდელი მფლობელები არ შეიძლებოდა მიჩნეულიყვნენ კეთილსინდისიერ შემძენებად.

147. რაც შეეხება მოსამართლე თ.უ.-ს 2015 წლის 19 ოქტომბრის აცვლებზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაზე საჩივარს (იხ. პარაგრაფები 104 და 131 ზემოთ), სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება მიუთითებდა, რომ მათი პრეტენზიების დასაბუთებისთვის მომჩივნების მიერ ციტირებული ფაქტობრივი გარემოებები არ იყო საკმარისი პირველი ინსტანციის მოსამართლის დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის ექვქვემ დასაყენებლად.

4. საკასაციო სასამართლოს წინაშე სამართალწარმოება

(ა) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების პროცედურები

148. 2016 წლის 17 ნოემბერს ოთხივე მომჩივანმა საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე და 199¹ მუხლების საფუძველზე (იხ. პარაგრაფი 196 ქვემოთ). მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ 2015 წლის 5 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო „რუსთავი 2“-ის კორპორაციულ ქონებასა და კომპანიის მფლობელთა წილებს, იყო უკანონო და არაპროპორციული და უნდა გაუქმებულიყო ან შეცვლილიყო სხვა ნაკლებად მკაცრი უზრუნველყოფის ღონისძიებით (იხ. პარაგრაფები 85-88 ზემოთ).

149. სავარაუდო უკანონობასთან დაკავშირებით, მომჩივნებმა მიუთითეს იმ ფაქტზე, რომ 2016 წლის 7 ივნისს ქ.ბ.-მ გამოიხმო თავისი საჩივარი პირველი მომჩივნის წინააღმდეგ მოთხოვნებთან დაკავშირებით (იხ. პარაგრაფი 140 ზემოთ). შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც ქ.ბ.-ს მოთხოვნა „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ უარყოფილ იქნა, ძალაში შევიდა 2016 წლის 7 ივნისს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე და 199¹ მუხლები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ან გაგრძელების შესაძლებლობას მხოლოდ სამართალწარმოების მონაწილე მხარის წინააღმდეგ იძლეოდა, ყადაღის შესახებ განჩინების განგრძობადი გამოყენება „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ უკანონო გახდა 2016 წლის 7 ივნისს.

150. რაც შეეხება 2015 წლის 5 აგვისტოს ყადაღის შესახებ განჩინების სავარაუდო არაპროპორციულ ხასიათს, ოთხივე მომჩივანმა განაცხადა, რომ დროებითი ღონისძიების განგრძობითმა გამოყენებამ გამოიწვია არასათანადო ჩარევა, პირველი მომჩივნის უფლებაში, ემოქმედა, როგორც წარმატებული და დამოუკიდებელი მედია საშუალება. შედეგად, კომპანიის მესაკუთრეებს, მათ შორის პირველ, მეორე და მესამე მომჩივნებს, მიადგათ მატერიალური ზიანი. ყადაღის შესახებ განჩინებას ჰქონდა მავნე ზიგაჟლინა

სატელევიზიო კომპანიის ფინანსურ მდგრალობაზე, რასაც შესაძლოა გამოეწვიოს მისი გაკოტრება და სამაუწყებლო საქმიანობის შეწყვეტა. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო გადაწყვეტდა, რომ შეუძლებელი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის გათვალისწინებით ყადაღის მთლიანად გაუქმება, მომჩივნებმა მოითხოვეს, რომ ყადაღის ის ნაწილი, რომელიც უკრძალავდა „რუსთავის 2“-ს, რომ იპოთეკით დაეტვირთა მისი უძრავი ქონება და აელო სესხი საბანკო სექტორიდან, ჩანაცვლებულიყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით, რომელიც აუკრძალავდა კომპანიას (პირველი მომჩივანი) გადაეხადა დივიდენდი მისი მესაკუთრეებისათვის – მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებისათვის.

151. 2017 წლის 2 მარტს საკუთრების შესახებ დავის არსებით ნაწილზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (იხ. პარაგრაფი 164 ზემოთ), უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მიიღო ცალკე განჩინება, რომლის საფუძველზე უარყო ოთხივე მომჩივნის მოთხოვნა მომხდარიყო 2015 წლის 5 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება. ამ გადაწყვეტილებით, დიდმა პალატამ მოკლედ განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც მან საბოლოოდ გადაწყვიტა კომპანიის აქციებთან მიმართებით საკუთრების შესახებ დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის შესაბამისად, აღარ იყო მიზანშეწონილი, განეხილა მომჩივნის მოთხოვნა უკვე ამოწურული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

152. 2016 წლის 12 და 13 ივლისს სამმა აპელანტმა მომჩივანმა, შპს „ჰ.“-სთან და ნ.-სთან ერთად შეიტანა საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის განჩინებაზე. საჩივარში დაფიქსირებული არგუმენტები ძირითადად იმეორებდა 2015 წლის 17 დეკემბრის საჩივრის არგუმენტებს. სამი მომჩივანი, ასევე ასაჩივრებდა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ სხვადასხვა პროცედურულ გადაწყვეტილებას, მათ შორის იმას, რომელიც ეხებოდა მოსამართლეების აცილების შესახებ მათ შუამდგომლობებს.

153. 2016 წლის 9 სექტემბერს, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეების პალატამ სამი აპელანტი მომჩივნის საკასაციო საჩივარი სცნო მისაღებად. 2016 წლის 21 ნოემბერს პალატამ საქმე განსახილველად გადასცა უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

154. 2016 წლის 1 აგვისტოს, ქ.ბ.-მ წარადგინა წერილობითი კომენტარები მომჩივნების საკასაციო საჩივართან დაკავშირებით.

155. 2016 წლის 28 ნოემბერს ოთხივე მომჩივანმა შეიტანა შუამდგომლობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს სხვა მოსამართლის, მ.თ.-ს, დიდი პალატის შემადგენლობიდან აცილების შესახებ.

156. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მომჩივნებმა მიუთითეს იმ ფაქტზე, რომ მას შესაძლოა ჰქონოდა წინასწარ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მიმართ, ვინაიდან სწორედ ამ უკანასკნელმა დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა ადრე, 2006 წელს, როდესაც ის იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, და აღნიშნულმა დისციპლინურმა პასუხისმგებლობამ გამოიწვია მისი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება.

157. რაც შეეხება მოსამართლე მ.თ.-ს, ოთხივე მომჩივანმა მიუთითა იმ ფაქტზე, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არჩევამდე, იგი მუშაობდა იურიდიული დეპარტამენტის უფროსად იმ ბანკში, რომლის მფლობელიც იყო ყოფილი პრემიერ-მინისტრი და მმართველი პარტიის – კოალიცია „ქართული ოცნების“ არაფორმალური ლიდერი, ბ-ნი ივანიშვილი (იხ. პარაგრაფი 31 ზემოთ). აგრეთვე, მომჩივნებმა, წარადგინეს მტკიცებულება, რომ მოსამართლე მ.თ.-მ 2012-დან 2014 წლამდე, შემოწირულობის სახით, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ გადაურიცხა 34 000 ლარი (დაახლოებით, 10 600 ევრო). აღნიშნულმა ფაქტმა დაადასტურა, რომ მოქმედი მმართველი პარტიის მიმართ მას ჰქონდა მკაფიო პოლიტიკური სიმპათიები. თუმცა, „რუსთავი 2“-ის დავის მიმართ არსებული პოლიტიკური მგრძობიარობის გათვალისწინებით, აშკარა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე მოსამართლისთვის საქმეში მონაწილეობა იყო შეუსაბამო.

158. იმავე დღეს, 2016 წლის 28 ნოემბერს, მეორე-მეოთხე მომჩივანმა უზენაეს სასამართლოს წარუდგინა ადგილობრივი სამართლებრივი ექსპერტის მიერ მომზადებული სასამართლოს მეგობრის მოკლე მოსაზრება საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ეხებოდა, სხვებს შორის, სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობებში იძულების გამოყენებას. როგორც საქმის მასალებიდან გაირკვა, ოქმი, რომელზეც ქ.ბ.-ს კომენტარი არ გაუკეთებია, დამატებულ იქნა საქმის მასალებში და უზენაესმა სასამართლომ სათანადოდ

გაითვალისწინა 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა, მომჩივნებისგან მიეღო გარკვეული დამატებითი მტკიცებულებები, იმის გამეორებით, რომ შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, მისი ფუნქცია იყო ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ უკვე დადგენილი ფაქტების საფუძველზე განეხილა მხოლოდ სამართლებრივი საკითხები.

159. მოვლენათა განვითარების ოფიციალური ვერსიის მიხედვით, 2016 წლის 1 დეკემბერს დიდი პალატის ცხრაწევრიანი შემადგენლობა განისაზღვრა და საქმის მასალები გადაეცათ შესაბამის მოსამართლეებს. იმ დროისათვის მხარეები არ იყვნენ ინფორმირებულები განსაზღვრულ შემადგენლობაში შემავალი წევრების შესახებ. თუმცა, მომჩივანთა თანახმად, დიდი პალატის შემადგენლობა არ განსაზღვრულა 2017 წლის 27 თებერვლამდე (იხ. პარაგრაფი 161 ქვემოთ).

160. 2017 წლის 6 და 17 თებერვალს აპელანტმა მომჩივნებმა მიმართეს უზენაესი სასამართლოს კანცელარიას დიდი პალატის შემადგენლობის თაობაზე. იმ დროისათვის უზენაესი სასამართლოს კანცელარიამ არ გაამხილა აღნიშნული ინფორმაცია.

161. 2017 წლის 27 თებერვალს უზენაესმა სასამართლომ ოფიციალურად აცნობა მხარეებს დიდი პალატის შემადგენლობის შესახებ და ასევე დააკონკრეტა, რომ საქმე განიხილებოდა 2017 წლის 2 მარტს. აღმოჩნდა, რომ როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ასევე მოსამართლე მ.თ., რომელთა აცილებასაც ითხოვდნენ აპელანტი მომჩივნები (იხ. პარაგრაფები 156 და 157 ზემოთ), შედიოდნენ დასახელებულ შემადგენლობაში. დიდი პალატის ცხრა მოსამართლის შემადგენლობას თავმჯდომარეობდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

162. 2017 წლის 2 მარტს, გარდა 2015 წლის 5 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ ოთხივე მომჩივნის საჩივართან დაკავშირებული ცალკე მიღებული განჩინებისა (იხ. პარაგრაფი 151 ზემოთ), უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მიიღო სხვა განჩინებაც მომჩივანთა რამდენიმე პროცედურული შუამდგომლობაზე (იხ. 152 და 155 პარაგრაფები ზემოთ). დიდმა პალატამ ეს განჩინება გამოიტანა საქმის არსებით მხარეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (იხ. 164-ე პარაგრაფი ქვემოთ). სხვა საკითხებთან ერთად, დიდმა პალატამ დაუშვებლად სცნო მომჩივანთა 2016 წლის 28 ნოემბრის შუამდგომლობა მოსამართლე მ.თ.-ს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის აცილების თაობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანთა მიერ წარმოდგენილი საფუძველები არ იყო საკმარისი მოსამართლეთა მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის კითხვის ნიშნის ქვეშ დასაყენებლად როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ტესტის მიხედვით, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად. კერძოდ, რაც შეეხება მოსამართლე მ.თ.-ს, დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ მომჩივნებმა ვერ შეძლეს აეხსნათ, რა კავშირი იყო მოსამართლის წარსულ საქმიანობასა და საკუთრების შესახებ დავის საგანს შორის. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან დაკავშირებით, დიდმა პალატამ თავდაპირველად აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ 2006 წელს ნ.გვ. მონაწილეობდა მის წინააღმდეგ წარმოებულ დისციპლინურ სამართალწარმოებაში, ეს ფაქტი არ იყო რელევანტური, რადგან ის განსახილველი საკუთრების დავის მხარეს არ წარმოადგენდა. დიდმა პალატამ ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს საკუთრების შესახებ დავა არ განუხილავს ერთი მოსამართლის შემადგენლობით, არამედ როგორც ცხრა მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიური ორგანოს წევრმა. სასამართლომ შემდეგ განმარტა, რომ მომჩივნებს არ წარმოუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რომელიც წარმოაჩენდა თავმჯდომარის მიერ ნ.გვ.-ს მისამართით ნეგატიურ განცხადებებს ან დამოკიდებულებას იმ შემთხვევებთან კავშირში, რომელიც მოხდა ათი წლის წინ. დიდმა პალატამ დამატებით ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მიუხედავად იმისა, თავმჯდომარის დისციპლინური წარმოება დასრულდა, 2006 წელს მის მიერ დაკავებული სასამართლო თანამდებობიდან გათავისუფლებით, ეს დისციპლინური პასუხისმგებლობა საბოლოოდ გაქარწყლდა და მან შეძლო ხელახლა არჩეულიყო ქვეყნის ყველაზე მაღალ სასამართლო თანამდებობაზე. მის კარიერაში ამ პოზიტიურმა ცვლილებებმა კიდევ უფრო შეამცირა ნ.გვ.-ს მიმართ თავმჯდომარის წარსულიდან მომდინარე პირადი მტრობის რისკი, რომელიც იმ დროისთვის დასრულებული და არარელევანტური იყო.

163. დიდმა პალატამ უარი განაცხადა ზეპირ მოსმენაზე და საქმის არსებით მხარეზე საბოლოო გადაწყვეტილება იმავე დღეს გამოიტანა.

(გ) 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება

164. 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით, რომელიც შედგებოდა 190 გვერდისგან, უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ერთხმად გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე გადაწყვიტა ახლებურად. მის გადაწყვეტილებაში, პირველი

მომჩივანი არ იყო მოხსენიებული როგორც მხარე (იხ. პარაგრაფები 130 და 140 ზემოთ).

165. დიდმა პალატამ გააკრიტიკა ქვედა ინსტანციის ორივე სასამართლო, რადგან მათ სამოქალაქო დავა გადაწყვეტეს სამოქალაქო კოდექსის არასათანადო დებულებების გამოყენებით. კერძოდ, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მოცემული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დავა არ უნდა გადაწყვეტილიყო სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის გამოყენებით, რომელსაც ქვედა ინსტანციის სასამართლოები ეყრდნობოდნენ, არამედ საქმე უნდა განხილულიყო სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის გამოყენებით. მართლაც, ქ.ბ.-ის სამოქალაქო სარჩელის არსი ადასტურებდა, რომ მას აიძულეს დაეთმო სატელევიზიო არხი 2005 წლის 26 დეკემბრის და 2006 წლის 17 ნოემბრის წილების ნასყიდობის ხელშეკრულებებზე ხელის მოწერით, რადგან მას ემუქრებოდნენ მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირები, როგორც არის საქართველოს პრეზიდენტი, შინაგან საქმეთა მინისტრი და მთავარი პროკურორი. უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ საკუთრების დავის განხილვისას სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის ჭრილში არ არსებობდა საჭიროება საქმის ახალი ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად. პირიქით, საკასაციო ინსტანციის სასამართლომ დააზუსტა, თავის პრეცედენტულ სამართალზე მითითებით, რომ „იძულება არის არა ფაქტი, არამედ სამართლებრივი შეფასება“, და დაადგინა, რომ „ქვედა ინსტანციის სასამართლოები შეცდნენ იძულების ფაქტობრივი გარემოების აღწერის საკუთარ სამართლებრივ შეფასებაში.“

166. რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადებს, რაც ვრცელდება იძულებით დადებული ხელშეკრულების ბათილობის შესახებ სარჩელზე სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლის მიხედვით, რითაც დადგენილია ერთწლიანი ვადა, დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ ხსენებული დებულების თანახმად შესაბამისი ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც იძულების მდგომარეობა წყდება. ქ.ბ.-ის შემთხვევაში, ვინაიდან მასზე იძულება განხორციელდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყოფილი ხელისფლების მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან, ეს მდგომარეობა გაგრძელდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლამდე. თუმცა, ხელისუფლების შეცვლამდეც, არსებობდა გარემოება, რასაც შეეძლო გამოეწვია სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლით დადგენილი ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადის შეჩერება. ქ.ბ.-ს უკვე გამოყენებული ჰქონდა უფლება სადაოდ გაეხადა ნასყიდობის ხელშეკრულებები მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ მისი საკუთრების მითვისების შესახებ სისხლისსამართლებრივი საჩივრის 2008 წლის 1-ლ დეკემბერს შეტანით.

167. დიდმა პალატამ განავითარა ალტერნატიული მსჯელობა იმის თაობაზე, იყო თუ არა ქ.ბ.-ის სარჩელი შეტანილი ხანდაზმულობის ვადის დარღვევით. სასამართლომ განაცხადა, რომ სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, იძულებით დადებული ხელშეკრულების ბათილობის შესახებ სარჩელი ასევე შეიძლება შეტანილი ყოფილიყო სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დაცვით, რომელიც მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებულ სამოქალაქო დელიქტებზე (იხ. პარაგრაფი 191 ქვემოთ).

168. დიდმა პალატამ ასევე აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულების შესაბამისად, რომელიც არეგულირებს ყველა სახის ხანდაზმულობის ვადებს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება ქონებრივი ინტერესის გამომხატველი სასამართლო სარჩელის ან სხვა საჩივრის შეტანით (იხ. პარაგრაფი 188 ქვემოთ). შესაბამისად, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ სახელმწიფო აპარატის მიერ ქონების მითვისების შესახებ სისხლისსამართლებრივი საჩივრის პროკურატურის ორგანოებში 2008 წლის 1-ლ დეკემბერს შეტანით ქ.ბ.-მა გააკეთა მოთხოვნა „რუსთავი 2“-ზე. შესაბამისად, ეს იყო 2008 წლის 1-ლი დეკემბერი, როდესაც ქ.ბ.-მა შეწყვიტა, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა – ერთწლიანი ვადა – რაც მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად 85-ე მუხლით გათვალისწინებული იძულების შემთხვევაში – ან სამწლიანი ვადა – რაც, როგორც წესი, მოქმედებს ამ კოდექსის 1008-ე მუხლის შესაბამისად ყველა სამოქალაქო დელიქტის მიმართ.

169. დიდმა პალატამ ხაზი გაუსვა, რომ ის დებულებები, რომლებიც უშვებენ ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნას ხელშეკრულების დადების მომენტიდან (*ab initio*), რომლის მაგალითს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი (იძულებით დადებული გარიგებები), უნდა იქნეს გამოყენებული განსაკუთრებული ყურადღებით. ამის მიზეზია ის, რომ ასეთი ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, გამოიწვევდა სამოქალაქო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების ბათილობას, რაც დააზიანებდა სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპს.

170. რაც შეეხება იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ ზეწოლა განხორციელდა ქ.ბ.-ზე სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან, დიდმა პალატამ ჩამოთვალა შემდეგი:

(i) ფაქტი, რომ ქ.ბ.-მა სისხლისსამართლებრივი საჩივარი შეიტანა მთავარ პროკურატურაში 2008 წლის 1-ლ დეკემბერს;

(ii) ფაქტი, რომ 2009 წლის 21 აპრილს ქ.ბ.-მა, რომელსაც ამ დროისთვის დატოვებული ჰქონდა საქართველო სახელმწიფოს მხრიდან დევნის გამო, მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი გერმანიაში;

(iii) ფაქტი, რომ ქ.ბ.-ის შესაძლო დევნა ნახსენები იყო 2009 წლის ადამიანის უფლებათა შესახებ ქვეყნის ანგარიშში, რომელიც გამოაქვეყნა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა;

(iv) ფაქტი, რომ 2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის 5 დეკემბერს ქ.ბ.-ს მიანიჭა წინა ხელისუფლების მიერ პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირის სტატუსი.

171. დიდმა პალატამ შემდეგ აღნიშნა, რომ სამოქალაქო სარჩელში ქ.ბ.-ის მიერ ყველა ამ ფაქტზე მითითება საკმარისი იყო ერთი შეხედვით იმის დასაშვებად, რომ სახელმწიფო თანამდებობის პირები მასზე ახორციელებდნენ ზეწოლას „რუსთავი 2“-ის დასათმობად 2005 და 2006 წლებში. ამის გათვალისწინებით, მტკიცების ტვირთი, რომ ქ.ბ. ტყუოდა გადავიდა მოპასუხეებზე, რომელმაც წერილობით არგუმენტებში არსებითად ვერ გააქარწყლეს მოსარჩელის ბრალდებები. ამასთან დაკავშირებით, დიდმა პალატამ ხაზი გაუსვა, რომ ერთ-ერთმა მთავარმა მოპასუხემ, შპს „გ.-ტ.“-მ უარი განაცხადა თავის უფლებაზე წარედგინა წერილობითი კომენტარები ქ.ბ.-ის პირველად სარჩელზე, ხოლო მეორე მთავარი მოპასუხე, შპს „ჰ.“ დუმდა ქ.ბ.-ის მიერ მისი იძულების შესახებ სარჩელის გასამყარებლად ზემოთმოყვანილ ამ ოთხივე ფაქტობრივ გარემოებაზე.

172. საბოლოოდ, დაეთანხმა რა ქვედა ორი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, დიდმა პალატამ დაადასტურა, რომ „რუსთავი 2“-ის კეთილსინდისიერ შემძენ და მფლობელ პირებად არცერთი ამჟამინდელი მესაკუთრე, განსაკუთრებით მესამე და მეოთხე მომჩივნები და მათივე კუთვნილი „ტელეკომპანია საქართველო“, შეიძლება განხილულიყო. მას შემდეგ ქ.ბ.-მა ჩამოთვალა ფინანსური ტრანზაქციების რიგითობა და ფაქტობრივი გარემოებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ქ.ბ.-ის მიერ კომპანიის შპს „ჰ.“-სთვის და შპს „გ.-ტ.“-სთვის 2005 წლის 26 დეკემბერს და 2006 წლის 17 ნოემბერს დათმობის შემდეგ (იხ. პარაგრაფი 15-19 ზემოთ), დიდმა პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მესამე და მეოთხე მომჩივნებმა თავიდანვე იცოდნენ ქ.ბ.-ზე უსამართლო და იძულებითი ფინანსური ვალდებულების დაკისრების თაობაზე.

173. თავის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში დიდმა პალატამ, სხვა საპროცესო საკითხებთან ერთად, ასევე იმსჯელა მომჩივნების საჩივრებზე იმის თაობაზე, რომ საქმე განიხილეს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა იმ მოსამართლეების მონაწილეობით, რომლებიც არ იყვნენ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. ეს საპროცესო საჩივრები არ დაკმაყოფილდა როგორც დაუსაბუთებელი და უმაღლესმა საკასაციო სასამართლომ დაადასტურა, რომ როგორც პირველი ინსტანციის მოსამართლე თ.უ., ასევე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ნ.გ. იყვნენ მართლები, რომ საკუთარ თავს არ მისცეს აცილება საქმეზე. ამასთან დაკავშირებით, უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ ეპითეტები, რომლებიც „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა გამოიყენა პირველი და სააპელაციო ინსტანციების მოსამართლეების მიმართ, რომლის მთავარი სამიზნე იყო მოსამართლე თ.უ., იყო მიუღებელი შეურაცხყოფა და სცდებოდა დასაშვები კრიტიკის საზღვრებს. უზენაესმა სასამართლომ ასევე მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ერთ-ერთი სატელევიზიო პრეს-კონფერენციის დროს გენერალურმა დირექტორმა, ნ.გ.-მ დაადასტურა, რომ იგი განზრახ უტევდა მოსამართლე თ.უ.-ს, რათა მოეხდინა მისი პროვოცირება და შეექმნა მისი აცილების წინაპირობა (ნ.გ.-ს ამ საჯარო განცხადების ვიდეო ჩანაწერი ასევე არის საქმის მასალებში).

174. უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მხარეებს იმავე დღეს გადაეცა. გადაწყვეტილების ასლი სრული მოტივაციით ჩაბარდა საჩივრის შემტან მომჩივნებს 2017 წლის 2 აპრილს.

5. შიდა სასამართლოების მოსამართლეებზე „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის სიტყვიერი თავდასხმები

175. საქმის მასალებში არსებული ვიდეო ჩანაწერების თანახმად, საქმის შეტყობინების შემდეგ მხარეების მიერ წარდგენილი დამატებების მიხედვით, გარდა იმ განცხადებებისა, რომელიც პირველი მომჩივნის გენერალურმა დირექტორმა გააკეთა მოსამართლე თ.უ.-ს მისამართით მას შემდეგ, რაც ამ მოსამართლემ 2015 წლის 30 სექტემბერს გამოსცა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე (იხ. პუნქტი 95 ქვემოთ), ნ.გ.-მ საჯაროდ მიაყენა შეურაცხყოფა ამ და სხვა მოსამართლეებს, რომლებიც

განხილავდნენ საკუთრების დავას შიდასახელმწიფოებრივ დონეზე. ამგვარად, 2015 წლის სექტემბრიდან 2017 წლის მარტამდე სხვადასხვა საჯარო ინტერვიუში, რომლებიც გადაიცემოდა „რუსთავი 2“-ის მიერ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა გამოიყენა ისეთი ტერმინები მოსამართლე თ.უ.-ს მიმართ, როგორც არის „გაუნათლებელი“, „კორუმპირებული“, „მარიონეტი“, „თემიდას ფსევდომსახური“, „ცულით შეიარაღებული“, „დაქირავებული“ და „არამზადა.“ და კვლავ, თ.უ.-ს და სხვა მოსამართლეების მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში საქმის განხილვაში, ნ.გვ.-მ მონაცვლეობით გამოიყენა ისეთი ეპითეტები, როგორც არის „მონა“, „კრიმინალური ჯგუფის ლიდერი“, „ჯალათი“, „კრიმინალი“, „არაკომპეტენტური“, „თაღლითი“, „ნადირლები“, „მექრთამე“, „მოღალატე“, „სამარცხვინო“ და სხვ.

176. 2017 წლის 3 მარტს, „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა უზენაეს სასამართლოს მიმართა შემდეგი განცხადებით: „უზენაესი სასამართლო არის ერთი დიდი სანაგვე ყუთი, რომელიც აწარმოებს სამართლებრივ ნაგავს და არა სამართლებრივ გადაწყვეტილებებს.“ იმავე საჯარო განცხადებაში, ნ.გვ.-მ ასევე დაახასიათა ქ.ბ., როგორც „ბიძინა ივანიშვილის მონა“ და „ყველა დროის იუდა“.

177. ამასთან, ნ.გვ.-მ ტელეფონზე დაურეკა და ეს საუბარი ჩაწერა თბილისის საქალაქო სასამართლოს იმჟამინდელ თავმჯდომარესთან მ.ა.-თან, როდესაც მომჩივნის საქმე იხილებოდა ამავე სასამართლოში. ამ ჩანაწერის მიხედვით, რომელიც საჯაროდ გადაიცა ქვეყნის რამდენიმე სატელევიზიო არხის მიერ, ნ.გვ.-მ სავარაუდო ფინანსური აქტივების სანაცვლოდ, მოსთხოვა მ.ა.-ს გადადგომა პროტესტის ნიშნად და გადადგომის დაბრალება მთავრობის სავარაუდო ზეწოლაზე მოსამართლეების მიმართ.

178. მოგვიანებით, 2016 წლის 4 ოქტომბრის საჯარო ინტერვიუში, ნ.გვ.-მ აღიარა, რომ მან მართლაც ჩაიწერა ზემოხსენებული საუბარი საქალაქო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარესთან. ჩანაწერის ავთენტურობა მოგვიანებით იქნა დადასტურებული ოფიციალური სასამართლო ექსპერტიზით.

6. საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის განცხადებები

179. 2015 წლის 31 აგვისტოს და 20 ოქტომბერს, საქართველოს მოსამართლეთა კავშირმა, მოსამართლეთა ეროვნულმა ასოციაციამ, გააკეთა ორი საჯარო განცხადება საკუთრების დავის ირგვლივ ატეხილ მედია-აჟიოტაჟთან დაკავშირებით (იხ. პარაგრაფი 134 ზემოთ).

180. ეს განცხადება თარიღდება 2015 წლის 31 აგვისტოთი და მის შესაბამის ნაწილებში ვკითხულობთ:

“... „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის განცხადება, რომელიც პირდაპირი ეთერით გადაიცა სატელევიზიო არხით, სადაც მან გამოიყენა ისეთი გამონათქვამები საქმის განმხილველი მოსამართლის [თ.უ.] მიმართ, როგორც არის „ზონდერ-მოსამართლე“, რომელიც მონაწილეობდა „სასამართლო ხელისუფლების დამხობის“ მცდელობაში, არ შეიძლება დარჩეს უპასუხოდ. ...

მოსამართლეთა ასოციაცია პატივს სცემს მედიის მუშაობას და გამოხატავს მზაობას, ინფორმირებული ჰყავდეს საზოგადოება და დაიცვას გამოხატვის თავისუფლება. მაგრამ, უნდა დავამატოთ, რომ ცილისწამებისა და მუქარის განცხადებები მედია საშუალებების წარმომადგენლების მხრიდან, და შეურაცხყოფა გამოთქმული მოსამართლეებისა და სასამართლო ხელისუფლების მისამართით არანაირ ღირსებას ჰმატებს მედია-გარემოს და კერძოდ, სატელევიზიო არხს. ასეთი დამოკიდებულება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ პროცესის მონაწილე მხარე განზრახ ცდილობდა დაეკნინებინა მოსამართლის ღირსება საზოგადოების თვალში, რათა მიეღწიათ მხარისთვის სასურველ შედეგს [დავაში] სასამართლოზე ზეწოლის გზით. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს განზრახვა არ განხორციელდება და მოსამართლეები არ გადაუხვევენ დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და თანასწორობის პრინციპებს. ...

გამოხატვის თავისუფლება ეჭვგარეშე წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები თმენით უნდა მოეკიდონ დასაბუთებულ კრიტიკას. თუმცა, უნდა დაიგმოს ის განცხადებები, რომელთა ერთადერთი მიზანი არის ცალკეული მოსამართლის დისკრედიტაცია, აშკარა მუქარა და შეურაცხყოფა. ...”

181. 2015 წლის 20 ოქტომბრის განცხადებიდან შესაბამის ამონარიდებში ვკითხულობთ:

“... მაგალითად, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი მიუთითებს რამდენიმე გარემოებაზე, რათა დაამტკიცოს ბრალდებები იმის თაობაზე, რომ განმხილველი მოსამართლე [თ.უ.] არ იყო მიუკერძოებელი. ერთ შემთხვევაში, გენერალური დირექტორი იხსენიებს ამ მოსამართლეს როგორც

‘იუსტიციის მინისტრის გუნდის წევრს’ და ‘როგორც ზონდერ-მოსამართლეს, რომელიც მოქმედებს ზემოხსენებული მინისტრის ბრძანებით.’ სხვა შემთხვევაში, [გენერალურმა დირექტორმა] დაადანაშაულა მოსამართლე კორუფციაში, კერძოდ იმაში, რომ მან აიღო ქრთამი უკანონო გადაწყვეტილების გამოტანის სანაცვლოდ. მესამე შემთხვევაში კი, „რუსთავი 2“-ის სატელევიზიო არხმა განაცხადა, რომ მოსამართლე ‘ტყვეობაში ჰყავდა პროკურატურას’ მოსამართლის დედის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამო. ...

რა მიზნებს ემსახურება „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის განცხადებები? უნდა აღინიშნოს, რომ მან თავად გასცა ამ კითხვას პასუხი. მას არასდროს უარყვია, რომ ყველა მისი განცხადება ემსახურებოდა მიზანს, რომ ხელოვნურად შეექმნა წინაპირობები საქმის განმხილველი მოსამართლის აცილებისთვის. ...

სასამართლო ხელისუფლების შტოს ინტერესებისთვის (და არა კონკრეტული მოსამართლის ინტერესებისთვის), უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი ორი საჭიროება:

1. სასამართლო დავის მედია გაშუქებამ უნდა მიიღოს ‘პარალელური სასამართლო პროცესის’ ფორმა;
2. თავიდან უნდა ავიცილოთ საზოგადოებაში წინასწარი შთაბეჭდილებებისა და წინასწარი განწყობის შექმნა [სასამართლო დავის კონკრეტული შედეგის მიმართ].

ზემოხსენებული ორი მოთხოვნის დაუცველობა ხელყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომელიც მოიცავს უფლებას, საქმე განიხილოს მიუკერძოებელმა სასამართლომ. ასეთ ვითარებაში, ნებისმიერი ინდივიდუალური მოსამართლის მიერ კონკრეტულ სასამართლო დავაზე გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება საზოგადოების მხრიდან აღქმული იქნება, როგორც სასამართლოზე არასასურველი გავლენის შედეგი.

მოსამართლეთა ასოციაცია ვერ დარჩება გულგრილი ზემოხსენებული ფაქტის მიმართ. ეს არ არის უბრალო, იზოლირებული ფაქტი, რომელიც დავიწყებას მიეცემა დროთა განმავლობაში. ამ ფაქტს შესაძლოა ჰქონდეს ხანგრძლივი გავლენა და მომავალშიც განმეორდეს. მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში არსებულმა იურიდიულმა წრეებმა შეფასება უნდა მისცეს, რამდენად ექცევა „რუსთავის 2“-ის და მისი წარმომადგენლების ქმედება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში...“

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

ა. იმ დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი

1. გარიგებასთან დაკავშირებული თავი

182. სამოქალაქო კოდექსის ცალკე თავი, რომელიც მოიცავს 50-ე-114-ე მუხლებს, ეხება გარიგებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

183. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლსა და 55-ე მუხლის 1-ლ პარაგრაფში ვკითხულობთ:

მუხლი 54 – მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი

„ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.“

მუხლი 55 – გარიგების ბათილობა გავლენის ბოროტად გამოყენების გამო

„1. გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის ამკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელიობით (გულუბრყვილობით).“

184. სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან.

185. კოდექსის მე-2 ქვეთავი, რომელიც მოიცავს 72-ე-89-ე მუხლებს, ეხება საცილო გარიგებების სამ

კონკრეტულ სახეს – შეცდომით, მოტყუებით და იძულებით დადებული გარიგებანი. ქვეთავის კონკრეტულ დებულებებში დამატებით მოცემულია შეცილების ვადები სამივე სახის საცილო გარიგების უართან დაკავშირებით.

186. რაც შეეხება იძულებით დადებულ საცილო გარიგებას, კოდექსის 85-ე მუხლი ამ ცნებას განსაზღვრავს შემდეგნაირად:

მუხლი 85 – იძულებით დადებული გარიგებანი

„გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას.“

187. თუმცა, 89-ე მუხლში მოცემულია იძულებით დადებული გარიგების სადავოდ გახდომის უფლებით სარგებლობის ხანდაზმულობის ვადა, 85-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. აღნიშნულ დებულებაში ვკითხულობთ:

მუხლი 89 – იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადა

„იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან.“

2. ვადების გამოთვლასთან დაკავშირებული თავი

188. სამოქალაქო კოდექსის ცალკე თავი, რომელიც მოიცავს 121-ე-46-ე მუხლებს, ეხება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სხვადასხვა ვადის გამოთვლის საერთო პრინციპებს. კერძოდ, 128-ე მუხლის მე-3 პუნქტსა და 138-ე მუხლში ვკითხულობთ:

მუხლი 128 – ცნება; სახეები

„1. სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ...

3. ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.“

მუხლი 138 – ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით

„ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ ...“

3. მოძრავ ნივთებთან დაკავშირებული თავი

189. სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც არის მოძრავ ნივთებზე საკუთრების მარეგულირებელი თავის (მოიცავს 186-ე-97-ე მუხლებს) ნაწილი, ვკითხულობთ:

მუხლი 187– კეთილსინდისიერი შემძენი

„2. მოძრავი ნივთების შემძენი ვერ იქნება კეთილსინდისიერი, თუ მესაკუთრემ ეს ნივთები დაკარგა, მოჰპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა თუ შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო. ეს შეზღუდვები არ მოქმედებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა ან/და აუქციონზე გასხვისებული ნივთების მიმართ.“

4. თავი დელიქტურ სამართალთან დაკავშირებით

190. სამოქალაქო კოდექსის კიდევ ერთი ცალკე თავი, რომელიც მოიცავს 992-ე-1016-ე მუხლებს, დაკავშირებულია დელიქტურ ვალდებულებებთან. 992-ე მუხლი დელიქტს განმარტავს შემდეგნაირად:

მუხლი 992 – დელიქტის ცნება

„პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“

191. 1008-ე მუხლი განსაზღვრავს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას დელიქტისათვის:

მუხლი 1008 – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

„დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.“

ბ. იმ დრის მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

192. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლ პუნქტში მოცემული იყო ზოგადი სამართლებრივი პრინციპი:

„ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. ...“

193. საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლში, რომელიც არეგულირებდა მოსამართლეთა აცილების შესახებ განცხადების შეტანის პროცედურას, ვკითხულობთ:

„მხარეებს შეუძლიათ წერილობით განაცხადონ აცილება. განცხადება აცილების შესახებ მოტივირებული უნდა იქნეს და გაკეთდეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს. აცილების თაობაზე შემდგომი განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი იმ პირისათვის, რომელიც აცილებას მოითხოვს, ცნობილი გახდა ან წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია მხარეთა პაექრობამდე.“

194. 83-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოების მხოლოდ ოფიციალურ მხარეებს – მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი – შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს და განცხადებების წარდგენის გზით, ისარგებლონ მათი საპროცესო უფლებებით.

195. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე-92-ე მუხლები არეგულირებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მესამე პირების სამოქალაქო სამართალწარმოებაში ჩაბმა. კერძოდ, ეს დებულებები განასხვავებს მესამე პირების ორ ქვეკატეგორიას: „მესამე პირები დავის საგანზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით“ (მუხლი 88) და „მესამე პირები დავის საგანზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე“ (89-ე-91-ე მუხლები). სამართლებრივ ნორმებში, რომლებიც ეხება ამ უკანასკნელ ქვეკატეგორიას, ვკითხულობთ:

მუხლი 89 – მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე

„ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე, შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი საქმეში მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ (მოსარჩელე და მოპასუხე). მესამე პირად დაშვების საკითხს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით წყვეტს სასამართლო.“

მუხლი 90 – მესამე პირის [დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე] ჩაბმა საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით

„1. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე შეიძლება ჩაბმულ იქნეს საქმეში ერთ-ერთი მხარის (მომჩივანი ან მოპასუხე) ინიციატივით, რისთვისაც იგი მიმართავს სასამართლოს მოტივირებული განცხადებით. ასეთი განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეიძლება გაკეთდეს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ზეპირი განცხადება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით სასამართლო გამოიტანს განჩინებას მესამე პირის საქმეში მონაწილეობისათვის ჩაბმის ან ასეთ ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ.“

2. ერთ-ერთი მხარის მომჩივნის ან მოპასუხის ინიციატივით, მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინება გასაჩივრდება არსებით გადაწყვეტილებასთან ერთად ზემდგომ სასამართლოში.“

მუხლი 91 – მესამე პირების [დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე] საპროცესო უფლებები

„მესამე პირები, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე,

სარგებლობენ მხარეთა საპროცესო უფლებებით და მათ ეკისრებათ მხარეთა საპროცესო მოვალეობები, გარდა უფლებისა, გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.“

196. XXIII თავში ჩამოყალიბებულია მუხლები 191-99⁽¹⁾ სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ამ თავის ყველაზე რელევანტურ ნორმებში ვკითხულობთ:

მუხლი 191 – განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

„მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას ან გამოიწვევს პირდაპირ და გამოუსწორებელ ზიანს. ... თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. ...“

მუხლი 194 – განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

„1. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც უნდა პასუხობდეს ამ კოდექსის 285-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომელშიც უნდა მითითდეს, უზრუნველყოფის რომელი კონკრეტული ღონისძიება შეარჩია სასამართლომ.

2. სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილ განჩინებაზე მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს საჩივარი. ...

3. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს 5 დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მოპასუხისთვის გადაცემის მომენტიდან.“

მუხლი 196 – სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორით

„1. მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა.

2. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე. ...“

მუხლი 197⁽¹⁾ – სასამართლოს მიერ საჩივრის [სარჩელის უზრუნველყოფის წინააღმდეგ] წარმოებაში მიღება და განხილვა, საჩივრისა და საქმის მასალების გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში

„1. სასამართლო საჩივარს [სარჩელის უზრუნველყოფის წინააღმდეგ] წარმოებაში იღებს ... ამ კოდექსით გათვალისწინებული წესების თანახმად.

2. თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად ... გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს

3. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღეს.

4. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.“

მუხლი 198 – სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

„1. საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს

გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად.

2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს [სამოქალაქო სამართალწარმოებაში]:

ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის ...“

მუხლი 199⁽¹⁾ – უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

„სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.“

197. 393-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს. სადავო გადაწყვეტილება უკანონოდ ჩაითვლება, თუ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა ან განმარტა კანონი.

198. 396-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი მოითხოვს, რომ მომჩივანმა თავი საკასაციო საჩივარში მიუთითოს იმ ფაქტებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი არა მხოლოდ არსებით, არამედ საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება.

199. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIX-L თავებში მოცემული 399-ე-412-ე მუხლები განსაზღვრავს საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების წესებს. ყველაზე რელევანტურ ნორმებში ვკითხულობთ:

მუხლი 404 – გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები

„1. საკასაციო სასამართლო ამოწმებს [სადავო] გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.“

მუხლი 407 – შემოწმების ფაქტობრივი საფუძველი

„1. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ან საქმის მასალებში. გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.“

2. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა [საკასაციო] სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.“

მუხლი 408 – საქმის ზეპირი განხილვა

„3. თუ საკასაციო სასამართლოს საქმის განხილვა არ მიაჩნია საჭიროდ, მას შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. მხარეებს უნდა ეცნობოთ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.“

მუხლი 411 – საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

„საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს [საბოლოო] გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.“

მუხლი 412 – სააპელაციო სასამართლოში საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად

„1. თუ ამ კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია, იგი აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად

უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს.

2. თუ საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო სამართლებრივი შეფასება, რომლის გამოც აუქმებს გადაწყვეტილებას, მაშინ ის განჩინებაში უთითებს, თუ რომელი ფაქტები საჭიროებს გამოკვლევას, რა მტკიცებულებებია შესაკრები და რა სხვა კონკრეტული საპროცესო მოქმედება უნდა შეასრულოს სააპელაციო სასამართლომ.“

200. LI თავში ფორმულირებულია 414-ე-მე-20 მუხლები კერძო საჩივართან დაკავშირებით. ყველაზე რელევანტურ ნორმებში ვკითხულობთ:

მუხლი 414 – კერძო საჩივარი

„1. კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება.“

მუხლი 415 – კერძო საჩივრის შეტანა

„კერძო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება. ...“

მუხლი 416 – ვადა

„კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან. ...“

მუხლი 417 – კერძო საჩივრის გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში

„კერძო საჩივარი საქმესთან ერთად [იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც ის მიიღო] გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს.“

მუხლი 419 – გადაწყვეტილება კერძო საჩივრის თაობაზე

„1. კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში. ...

3. ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.“

მუხლი 420 – კერძო საჩივრის განხილვის წესები

„კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.“

გ. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა

201. ორივე მხარემ წარადგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი არაერთი განჩინება იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ხდებოდა პრაქტიკაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების გამოყენება, კერძოდ, იმ ნორმების რომლებიც არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების პროცედურას.

1. მომჩივნების მიერ წარდგენილი პრაქტიკა

202. მომჩივნების მიერ წარდგენილ უზენაესი სასამართლოს განჩინებებს შორის ყველაზე რელევანტური მაგალითების მოკლე მიმოხილვა მოცემულია ქვემოთ.

(ა) უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 13 მაისის განჩინება (საქმე №ას-277-263-2016)

203. 2016 წლის 13 მაისის განჩინებით, რომელიც რეგისტრირებულია ნომრით – ას-277-263-2016, უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმეზე გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს, განჩინება. უზენაესმა სასამართლომ თავისი განჩინების მე-12, მე-14 და 21-28-ე პარაგრაფებში მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილით

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გასაჩივრების უფლება შემოიფარგლებოდა არა მხოლოდ მოპასუხით (194-ე მუხლის მე-2 ნაწილის მკაცრი განმარტების შესაბამისად), არამედ შეიძლებოდა გამოყენებულიყო იმ პირის მიერ, რომელსაც ეხება ანუ რომლის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებზეც ახდენს გავლენას გასაჩივრებული უზრუნველყოფის ღონისძიება (როდესაც 194-ე მუხლის მე-2 ნაწილი განმარტება ისეთ ზოგად ნორმებთან ერთად, როგორცაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი და 414-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

204. იმავე განჩინების 32-ე პარაგრაფსა და სარეზოლუციო ნაწილში, უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზარალებული პირის მიერ შეტანილი საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების წინააღმდეგ, უნდა შეისწავლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197⁽¹⁾, 419-ე და 420-ე მუხლების შესაბამისად, ანუ, იმ წესების მიხედვით, რომლებიც არეგულირებს კერძო საჩივრების განხილვას. ამრიგად, დაზარალებული პირის მიერ შეტანილი ასეთი საჩივარი, პირველ რიგში, უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომელმაც მიიღო უზრუნველყოფის ღონისძიება (თბილისის სააპელაციო სასამართლო) და მხოლოდ შემდეგ არის შესაძლებელი განიხილოს ზემდგომმა სასამართლომ (უზენაესი სასამართლო).

(ბ) უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 6 აპრილისა (საქმე № ას-175-164-2017) და 2015 წლის 6 იანვრის განჩინებები (საქმე № ას-1135-1081-2014)

205. 2017 წლის 6 აპრილისა და 2015 წლის 6 იანვრის განჩინებით, რომლებიც რეგისტრირებულია ნომრებით – ას-175-164-2017 და ას-1135-1081-2014, უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმეებზე უცვლელად დატოვა ქვემდგომი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებები. უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199⁽¹⁾ მუხლში მოცემული წესი, რომლის მიხედვითაც, როდესაც პირი აღარ არის მოპასუხე სამოქალაქო საქმეში (სხვა სიტყვებით, როდესაც საბოლოო და ძალაში შესული განჩინებით უარი ეთქვა მოპასუხის წინააღმდეგ მოთხოვნას), ამ პირის მიმართ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა გაუქმდეს, მაშინაც კი, თუ სხვა თანამოპასუხეებთან დაკავშირებით გრძელდება საქმის არსებითი განხილვა.

206. უზენაესმა სასამართლომ დამატებით დაადასტურა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199⁽¹⁾ მუხლში მოცემული წესი – სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არასტაბილურობა იმ პირის მიმართ, რომელიც აღარ არის მოპასუხე – უნდა განიხილებოდეს ამავე კოდექსის 197⁽¹⁾, 419-ე და 420-ე მუხლების შესაბამისად, ე. ი. კერძო საჩივრის განხილვის მარეგულირებელი ნორმების მიხედვით. ამრიგად, ასეთი საჩივარი, რომელიც შეტანილია მოსარჩელის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე განჩინების წინააღმდეგ, რომელიც გავლენას ახდენს ყოფილ მოპასუხეზე, თავდაპირველად უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომელმაც დაადასტურა გაუქმება (თბილისის სააპელაციო სასამართლო) და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განიხილოს ზემდგომმა სასამართლომ (უზენაესი სასამართლო).

(გ) უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის განჩინება (საქმე № ას8067732016)

207. 2016 წლის 29 დეკემბრის განჩინებით სამოქალაქო საქმის შესახებ, რომელიც დარეგისტრირდა ნომრით – ას-806-773-2016, უზენაესმა სასამართლომ უცვლელად დატოვა ქვემდგომი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დაადასტურა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199⁽¹⁾ მუხლში მოცემული წესი. აღნიშნული წესის მიხედვით, როდესაც პირი აღარ არის მოპასუხე სამოქალაქო საქმეში (ე.ი. როდესაც ამ მოპასუხის წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნას საბოლოოდ და შეუცვლელად ეთქვა უარი), ამ პირთან მიმართებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა გაუქმდეს, მაშინაც კი, თუ სხვა თანამოპასუხეებთან დაკავშირებით გრძელდება საქმის არსებითი განხილვა (განჩინების მე-14 და მე-15 პარაგრაფები).

208. უზენაესმა სასამართლომ დამატებით განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199⁽¹⁾ მუხლი იმის განსაზღვრით, რომ თუ სასამართლოს გამორჩა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება იმ პირთან მიმართებით, რომელიც აღარ არის საქმეში მოპასუხე, აღნიშნული პირი, ყოფილი მოპასუხე, უფლებამოსილი იყო მიემართა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებისთვის, ნებისმიერ შემდგომ ეტაპზე. უზენაესმა სასამართლომ დააზუსტა, რომ *ex post factum* ასეთი უფლება, რომ მოითხოვო გაუქმება, არ ექვემდებარებოდა არანაირ ვადას და შეიძლებოდა გამოყენებულიყო ნებისმიერ მომენტში. მან დამატებით აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებისთვის ნებისმიერი ასეთი საჩივარი *ex post factum* სასამართლოში უნდა შეტანილიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197⁽¹⁾ მუხლის შესაბამისად ანუ კერძო საჩივრის მარეგულირებელი წესების თანახმად (მე-15 პარაგრაფი

განჩინების *in fine*). კერძოდ, პირს, რომელიც აღარ არის მოპასუხე სამოქალაქო საქმეში, ჯერ უნდა შეეტანა კერძო საჩივარი იმ სასამართლოში, რომელმაც გამოტოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება. შემდეგ, აღნიშნულ სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება საჩივრის გაუქმებაზე და მხოლოდ შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი ზემდგომ სასამართლოში განჩინების გასაჩივრება კოდექსის 197⁽¹⁾ მუხლის მე-4 ნაწილის, 419-ე და 420-ე მუხლების შესაბამისად. ზუსტად ამგვარად მოხდა შესაბამისი გასაჩივრების პროცედურა ამ საქმეში, რაც დაადასტურა უზენაესმა სასამართლომ, როგორც შესაფერისი პროცესუალური გასაჩივრების საშუალება (მე-7-12, მე-15 *in fine*, მე-17-22-ე პარაგრაფები და 2016 წლის 29 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი).

(დ) უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 13 ნოემბრის განჩინება (საქმე № ას118511142012)

209. 2012 წლის 13 ნოემბრის განჩინებით, რომელიც რეგისტრირებულია ნომრით – ას-1185-1114-2012, უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმეზე განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლი. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული წესით, მოსარჩელეს ან მოპასუხეს უფლებამოსილება ჰქონდათ, როგორც სამართალწარმოების ფორმალურ მხარეებს, მოეთხოვათ მითითებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა სხვა ტიპის ღონისძიებით. მან დამატებით დააზუსტა, რომ მოსარჩელის ან მოპასუხის მიერ ამ წესის გამოყენება არ უნდა დაქვემდებარებოდა არანაირ ვადას და დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ განსახილველ საქმეში გარემოებების შეცვლაზე. განჩინებიდან, კერძოდ, მისი სარეზოლუციო ნაწილიდან, ასევე გამომდინარეობდა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი ტიპის მეორით შეცვლის შესახებ საჩივრები უნდა შეეტანათ მოსარჩელეს ან მოპასუხეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197⁽¹⁾, 419-ე და 420-ე მუხლების ანუ კერძო საჩივრის განხილვის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად.

(ე) უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინება (საქმე № ას934113908)

210. 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებით, რომელიც რეგისტრირებულია ნომრით – ას--934-1139-08, უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმეზე უცვლელად დატოვა ქვემდგომი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხე, სამართალწარმოების ფორმალური მხარე, უფლებამოსილი იყო მიემართა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი საგნის მეორე ქონებით შეცვლისთვის (ანუ ქონების ტიპი, რაზეც გავლენას ახდენდა უზრუნველყოფის ღონისძიება) სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. განჩინებიდან ასევე აშკარა იყო, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის საფუძველზე საჩივრები უნდა შეეტანათ მოსარჩელეს ან მოპასუხეს, კოდექსის 197⁽¹⁾, 419-ე და 420-ე მუხლების ანუ კერძო საჩივრის განხილვის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად.

(ვ) უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის განჩინება (საქმე № ას121511402015)

211. უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმის თაობაზე 2016 წლის 2 თებერვლის განჩინებით, რომელიც რეგისტრირებულია ნომრით – ას-1215-1140-2015, დაადასტურა წესი, რომელსაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199⁽¹⁾ მუხლი. აღნიშნულის შესაბამისად, როდესაც პირი აღარ არის მოპასუხე სამოქალაქო საქმეში (ანუ როდესაც ამ მოპასუხის წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნას საბოლოოდ და შეუცვლელად ეთქვა უარი), ამ პირთან მიმართებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა გაუქმდეს, მაშინაც კი, თუ სხვა თანამოპასუხეებთან დაკავშირებით გრძელდება საქმის არსებითი განხილვა. როგორც დასტურდება მოცემული სამოქალაქო საქმით, ეს წესი მოქმედებდა საკორპორაციო დავაზეც ანუ როდესაც ყოფილი თანამოპასუხე, რომელმაც წარმატებით მიაღწია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების (კომპანიის ქონების დაყადაღება) გაუქმებას 199⁽¹⁾ მუხლის საფუძველზე, წარმოადგენდა კომპანიას, რომლის ერთადერთი მფლობელი იყო მეორე თანამოპასუხე, ვის მიმართაც გაგრძელდა სამოქალაქო სამართალწარმოება (განჩინების მე-11 და მე-12 პარაგრაფები).

212. უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებისთვის 199⁽¹⁾ მუხლის საფუძველზე საჩივარი სასამართლოში უნდა შეტანილიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197⁽¹⁾ მუხლის შესაბამისად, ე. ი. კერძო საჩივრის განხილვის მარეგულირებელი ნორმების თანახმად.

(ზ) უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 6 მარტისა და 17 ნოემბრის განჩინებები (საქმეები № ას-28-25-2017 და ას-1113-1033-2017)

213. უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმეების თაობაზე 2017 წლის 6 მარტისა და 17 ნოემბრის განჩინებებით, რომლებიც რეგისტრირებულია, შესაბამისად, ას-28-25-2017 და ას-1113-1033-2017 ნომრებით, ერთი მხრივ დაადასტურა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის უფლების გამოყენება დაკავშირებული იყო სამართალწარმოების მხარესთან (მოსარჩელე, მოპასუხე და მესამე მხარე) და მეორე მხრივ, ასეთი საჩივარი არ ექვემდებარებოდა არანაირ ვადებს და შესაძლებელი იყო სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. უზენაესმა სასამართლომ დამატებით დაადასტურა, რომ 196-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის შესახებ საჩივარი უფლებამოსილ სასამართლოში უნდა შეეტანათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197⁽¹⁾ მუხლის შესაბამისად, ე. ი. კერძო საჩივრის განხილვის მარეგულირებელი ნორმების თანახმად.

2. მთავრობის მიერ წარდგენილი პრაქტიკა

214. მთავრობის მიერ წარდგენილ უზენაესი სასამართლოს განჩინებებს შორის ყველაზე რელევანტური მაგალითების მოკლე მიმოხილვა მოცემულია ქვემოთ.

(ა) უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 27 ოქტომბრისა და 2017 წლის 19 აპრილის განჩინებები (საქმეები № ას-1102-1051-2014 და ას-471-439-2017)

215. უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმეებზე 2014 წლის 27 ოქტომბრისა და 2017 წლის 19 აპრილის განჩინებებში, რომლებიც რეგისტრირებულია, შესაბამისად, ას-1102-1051-2014 და ას-471439 2017 ნომრებით, დაადასტურა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197⁽¹⁾ და 419-ე მუხლების შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა განხილულიყო მხოლოდ ორი ინსტანციის მიერ. ასევე, ზემდგომი სასამართლოს განჩინებები, რომლებიც დაკავშირებულია კერძო საჩივრის შეტანასთან, იყო საბოლოო და ძალაში შესული და დამატებითი საჩივრით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ საჩივრდებოდა.

(ბ) უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 მაისის განჩინება (საქმე № 194-194-2018)

216. უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმის შესახებ 2018 წლის 18 მაისის განჩინებაში, რომელიც რეგისტრირებულია ნომრით – 194-194-2018, მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპი – უფლების სასამართლო წესით დაცვა – არ შეიძლება შეეთავსოს შესაბამისი პროცედურული მოთხოვნების დარღვევით სასამართლოსთვის მიმართვის გარანტიას. თავისი ბუნებით, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს სხვადასხვა პროცედურულ წესებს. სამოქალაქო პროცედურით მინიჭებულია არა მხოლოდ უფლებები, ასევე დაკისრებულია პროცედურული ვალდებულებები და აღნიშნული ვალდებულებები უნდა შეესრულებინა ყველას, ვისაც სურდა მიემართა სასამართლოსთვის თავისი სამოქალაქო უფლებების დასაცავად (განჩინების მე-12 და მე-13 პარაგრაფები).

(გ) უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 მარტისა და 2016 წლის 29 ივლისის განჩინებები (საქმეები № ას-116-109-2015 და ას-650-621-2016)

217. უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმეებზე 2015 წლის 10 მარტისა და 2016 წლის 29 ივლისის განჩინებებში, რომლებიც რეგისტრირებულია, შესაბამისად, ას-116-109-2015 და ას-6506212016 ნომრებით, ერთი მხრივ დაადასტურა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის უფლების გამოყენება დაკავშირებული იყო სამართალწარმოების მხარესთან (მოსარჩელე, მოპასუხე და მესამე მხარე) და მეორე მხრივ, ასეთი გასაჩივრება არ ექვემდებარებოდა არანაირ ვადებს და შესაძლებელი იყო სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. უზენაესმა სასამართლომ დამატებით დაადასტურა, რომ 196-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის შესახებ საჩივარი უფლებამოსილ სასამართლოში უნდა შეეტანათ იმავე კოდექსის 197⁽¹⁾ მუხლის შესაბამისად, ე. ი. კერძო საჩივრის განხილვის მარეგულირებელი ნორმების თანახმად.

(დ) უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინებები (საქმე № ას6616282014)

218. უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმეზე 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინებაში, რომელიც დარეგისტრირებულია ნომრით – ას-661-628-2014, აღნიშნა, რომ „იძულების არაპირდაპირი მტკიცებულება შესაძლებელია წარედგინოს სასამართლოს ნების გამოვლენის შეზღუდვის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის დასამტკიცებლად“ სახელმეკრულებო ურთიერთობებში, სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის მნიშვნელობით.

(ე) უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით

219. სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით მთავრობამ წარადგინა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის საილუსტრაციო მაგალითები (იხ. პარაგრაფი 188 ზემოთ). კერძოდ, მათ წარმოადგინეს უზენაესი სასამართლოს მიერ 2002 წლიდან 2017 წლამდე (ე. ი. წინამდებარე საქმეში საკუთრების დავის საბოლოო განხილვამდე და განხილვის შემდგომ) გამოტანილი რვა განჩინება. თითოეული დადასტურდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის პრინციპი სამოქალაქო სარჩელის წარდგენით ან სისხლის სამართლის საქმის აღძვრით.

220. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი ზემოაღნიშნული განჩინება, რომელიც გამოტანილია სამოქალაქო საქმეზე 2002 წლის 15 მარტს და რეგისტრირებულია ნომრით – 3/1186-01, განსახილველი საქმის მსგავსად ეხებოდა ხანდაზმულობის ვადების საკითხს იძულებით დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 85-ე და 89-ე მუხლების შესაბამისად, იძულებით დადებული გარიგების ბათილობის უფლების გამოყენება შესაძლებელი იყო ერთი წლის განმავლობაში იმ მდგომარეობის დასრულებიდან, რაც უტოლდებოდა იძულებას. ამავე დროს, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა შეწყდეს თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სამოქალაქო სარჩელს ან შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ან აღსასრულებელი მოქმედების განხორციელება.

221. უზენაესმა სასამართლომ განსახილველ საქმეზე დაადგინა, რომ ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადის დენა 89-ე მუხლის თანახმად შეწყდა, როდესაც რ.ყ.-მ (აღნიშნულ საქმეში საჩივრის ავტორი) მიმართა პროკურატურას სისხლის სამართლის განცხადებით იძულებასთან დაკავშირებით, რის გამოც მან დადო გარიგება.

III. ეროვნული და საერთაშორისო მასალები

A. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2008 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ

222. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებულმა ანგარიშმა, 2008 წლის პირველ ნახევარში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, დაადასტურა (85-ე გვერდზე) 2008 წლის პირველ დეკემბერს ქ. ხ.-ის მიერ მთავარ პროკურატურაში სისხლისსამართლებრივი საჩივრის შეტანის ფაქტი „რუსთავი 2“-ის აქციების სავარაუდო იძულებით დათმობასთან დაკავშირებით.

B. საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ანგარიში, გამოქვეყნებული აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2010 წლის 11 მარტს

223. ამონარიდი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ზემოხსენებული ანგარიშიდან, „რუსთავი 2“-ის საკუთრების შესახებ დავასთან დაკავშირებით, იკითხება შემდეგნაირად:

„კერძო საკუთრებაში მყოფი ეროვნული მაუწყებლები „რუსთავი 2“ და „იმედი“, ქვეყნის ორი ყველაზე პოპულარული ტელევიზია და ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ზოგადად მიიჩნეოდა, რომ მთავრობის სასარგებლო სარედაქციო პოლიტიკა ჰქონდათ.

2008 წლის ნოემბერში „რუსთავი 2“-ის დამფუძნებელმა და ყოფილმა მესაკუთრემ, [ე. კ.] განაცხადა, რომ ხელისუფლებამ მისგან ტელეკომპანია მიიტაცა 2004 წელს. 2008 წლის დეკემბერში, „რუსთავი 2“-ის მომდევნო მესაკუთრემ, [ქ. ხ.], პროკურატურასა და პარლამენტში შეიტანა საჩივარი, რომ იგი იძულებული გახდა 2006 წელს დაეთმო საკუთრების უფლება ტელევიზიაზე, ხელისუფლების წარმომადგენლების ზეწოლის გამო. განცხადებებს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია“.

C. მოსამართლეთა ქცევის „ბანგალორის პრინციპები“

224. ბანგალორის 2001 წლის მოსამართლეთა ქცევის კოდექსის პროექტი (შემდგომში – „ბანგალორის პრინციპები“ მიღებული იქნა მოსამართლეთა ჯგუფის მიერ სასამართლო ხელისუფლების ერთიანობის განმტკიცების მიზნით და იგი გადახედულ იქნა 2002 წლის ნოემბერში, ჰააგაში, მრგვალი მაგიდის შეხვედრის ფარგლებში უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების შეხვედრის დროს. მასში

მოცემული მნიშვნელოვანი პრინციპები შემდეგნაირად იკითხება:

„ღირებულება 1: დამოუკიდებლობა

პრინციპი: სასამართლოს დამოუკიდებლობა არის სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი გარანტია. შესაბამისად, მოსამართლემ უნდა დაიცვას და ცხოვრებაში დაამკვიდროს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი, როგორც ინდივიდუალური, ისე ინსტიტუციური ასპექტით.

გამოყენება:

1.1 მოსამართლემ უნდა განახორციელოს თავისი სამოსამართლო ფუნქცია დამოუკიდებლად, მხოლოდ ფაქტების შეფასების საფუძველზე, კანონის შეგნებული გაცნობიერების შესატყვისად და ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე, წაქეზების, იძულების, მუქარის, ან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გარეშე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს.

1.2 მოსამართლე დამოუკიდებელი უნდა იყოს, როგორც მთლიანად საზოგადოების, ასევე მის მიერ განსახილველი საქმის კონკრეტულ მხარეთა მიმართ.

1.3 მოსამართლე უნდა იყოს თავისუფალი არა მხოლოდ ნებისმიერი, თანამდებობისათვის შეუსაბამო ურთიერთობის ან ზემოქმედებისგან ხელისუფლების აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო შტოების მხრიდან, არამედ ეს დამოუკიდებლობა ობიექტური დამკვირვებლისთვისაც თვალსაჩინო უნდა იყოს.

1.4 სამოსამართლო მოვალეობების განხორციელების დროს, როდესაც მოსამართლემ დამოუკიდებლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მან უნდა იმოქმედოს კოლეგა მოსამართლეების აზრისაგან დამოუკიდებლად.

1.5 მოსამართლემ უნდა დაიცვას და განამტკიცოს სამოსამართლო მოვალეობების შესრულების გარანტიები, რათა შეინარჩუნოს და გააძლიეროს მოსამართლეთა ინსტიტუციური და პრაქტიკული დამოუკიდებლობა.

1.6 მოსამართლემ უნდა გამოავლინოს და წახალისოს მოსამართლეთა ქცევის მაღალი სტანდარტები, სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით, რაც უმნიშვნელოვანესია სასამართლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

ღირებულება 2: მიუკერძოებლობა

პრინციპი: მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებაზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას.

გამოყენება:

2.1 მოსამართლემ თავისი სამოსამართლო ვალდებულებები უნდა განახორციელოს წინასწარი კეთილგანწყობის, ტენდენციურობისა ან წინასწარ შექმნილი ცუდი აზრის გარეშე.

2.2 მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ქცევა სასამართლოში და სასამართლოს გარეთ, ხელს უწყობდეს და აძლიერებდეს საზოგადოების, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა და სასამართლო პროცესის მხარეთა ნდობას მოსამართლეთა და სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობისადმი.

2.3 მოსამართლე, რამდენადაც ეს შესაძლებელია გონივრულობის ფარგლებში, უნდა მოიქცეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად შეამციროს ის გარემოებები, რომლებიც შეიძლება გახდეს მისთვის სასამართლო სხდომებში მონაწილეობისა და გადაწყვეტილების გამოტანის უფლების ჩამორთმევის საფუძველი.

2.4 მოსამართლემ არ უნდა გააკეთოს შეგნებულად რაიმე კომენტარი იმ საქმეზე, რომელსაც ის განიხილავს, ან რომელიც შეიძლება გახდეს მისი განხილვის საგანი, და რამაც შეიძლება, ვითარების გონივრულად შეფასებიდან გამომდინარე, რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ამ საქმის გადაწყვეტაზე ან ექვევებუ დააყენოს პროცესის აშკარა სამართლიანად წარმართვა. მოსამართლემ ასევე თავი უნდა შეიკავოს ისეთი საჯარო ან სხვა სახის კომენტარისაგან, რომელმაც შეიძლება, გავლენა მოახდინოს ამა თუ იმ პირთან ან საკითხთან დაკავშირებულ საქმის სამართლიან განხილვაზე.

2.5 მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე იმ შემთხვევაში, თუ მას არ შეუძლია საქმეზე მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღება, ან, იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტურ დამკვირვებელს შესაძლოა, გაუჩნდეს ეჭვი, რომ მოსამართლეს არ შეუძლია საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა.....მოსამართლე ვერ იქნება ჩამოცილებული საქმის განხილვაში მონაწილეობისაგან იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმის განსახილველად ვერ დაინიშნება ვერანაირი სხვა სასამართლო განხილვა, ან, საქმის სასწრაფოდ განხილვის აუცილებლობიდან გამომდინარე, მისი გადაწყვეტის დაყოვნებამ შესაძლოა გამოიწვიოს მართლმსაჯულების არასწორად განხორციელება. ...

ღირებულება 4: წესიერება

პრინციპი: წესიერება, წესიერების დემონსტრირება მოსამართლეთა ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების განუყოფელი ნაწილია.

გამოყენება:

4.1 მოსამართლისთვის დაუშვებელია არაკორექტული ქცევა და ასეთი ქცევის დემონსტრირება მის თანამდებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას.

4.2 საზოგადოების მხრიდან მუდმივი ყურადღება ვალდებულს ხდის მოსამართლეს, დაიცვას რიგი შეზღუდვები, რაც რიგითი მოქალაქისათვის შესაძლოა იყოს მძიმე, და ეს უნდა მიიღოს თავისუფლად და ნებაყოფლობით. კერძოდ, მოსამართლის ქცევა უნდა შეესაბამებოდეს მისი თანამდებობის მაღალ სტატუსს. ...

4.6 მოსამართლისათვის, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი მოქალაქისათვის, გარანტირებულია გამოხატვის, რწმენის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, თუმცა ამ უფლებების განხორციელებისას მოსამართლემ უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ ყოველთვის ზრუნავდეს მოსამართლის თანამდებობის მაღალი სტატუსის დაცვაზე და სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე. ...

4.8 მოსამართლემ არ უნდა დაუშვას თავისი ოჯახის წევრების, სოციალური თუ სხვაგვარი ურთიერთობების უარყოფითი გავლენა სამოსამართლო ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებულ მის ქმედებებსა და მის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებაზე.

4.9 მოსამართლეს არ აქვს უფლება, გამოიყენოს ან ისარგებლოს საკუთარი თანამდებობრივი ავტორიტეტით, ან დაუშვას მისი გამოყენება საკუთარი, თავისი ოჯახის წევრების ან ნებისმიერი სხვა პირების ინტერესების მისაღწევად. ასევე, მოსამართლემ არ უნდა იმოქმედოს იმგვარად, ან არ უნდა მისცეს სხვა პირებს იმგვარად მოქმედების უფლება, რაც შესაძლებელს გახდის შექმნას წარმოდგენა, რომ ვიღაც არასათანადო გავლენას ახდენს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებაზე მისი განსაკუთრებული მდგომარეობიდან გამომდინარე. ...

4.11 თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების პირობით, მოსამართლეს შეუძლია: ...

4.11.3 იყოს ოფიციალური ორგანოს, სამთავრობო კომიტეტის, კომისიის ან სათათბირო ორგანოს წევრი, თუ ამგვარი წევრობა არ არის შეუთავსებელი მიუკერძოებლობისა და მოსამართლის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის აღქმასთან ...

4.13 მოსამართლეს უფლება აქვს, დააფუძნოს ან გაწევრიანდეს მოსამართლეთა ასოციაციებში, მონაწილეობა მიიღოს სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც მოსამართლეთა ინტერესებს წარმოადგენენ. ...“

225. 2007 წლის მარტში სასამართლო ხელისუფლების გაძლიერების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფმა დაამტკიცა კომენტარები „ბანგალორის პრინციპებთან“ მიმართებით. მისი შესაბამისი ნაწილები იკითხება შემდეგნაირად:

„65. სასამართლოს გარეთ მოსამართლემ ასევე უნდა შეიკავოს თავი ისეთი წინასწარ გამიზნული გამონათქვამებისა და ქცევებისაგან, რომლებიც დიდი ალბათობით შეიძლება შეფასდეს მიუკერძოების გამოხატულებად. ყველაფერმა – ურთიერთობის წრემ, საქმიანმა ინტერესებმა ან, თუნდაც, შენიშვნებმა, რომლებსაც ის უვნებელ ხუმრობად თვლის – შეიძლება, ჩრდილი მიაყენოს მის მიუკერძოებლობას საზოგადოების თვალში. მოსამართლის თანამდებობის დაკავების შემდეგ უნდა შეწყვიტოს პოლიტიკური საქმიანობის მხარდაჭერა და პოლიტიკური ხასიათის ნებისმიერი კონტაქტის. მოსამართლის პოლიტიკური საქმიანობა, ისევე როგორც სასამართლოს გარეთ

გაკეთებული განცხადებები, რომლებიც საზოგადოებაში დაპირისპირებებსა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ეჭვქვეშ აყენებს მის მიუკერძოებლობას. მათ შეიძლება შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოება სასამართლო ხელისუფლებასა და აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო შტოს შორის არსებული ურთიერთობების ბუნებასთან დაკავშირებით. ამა თუ იმ პარტიის ან პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერი მოქმედება თუ განცხადება, გარკვეული განმარტების საფუძველზე ნიშნავს, რომ მოსამართლე საჯაროდ იკავებს დებატებში მონაწილე ერთ რომელიმე მხარეს. მიკერძოების შთაბეჭდილება უფრო იზრდება, თუ მოსამართლის მოქმედებები კრიტიკის ან გაკიცხვის ობიექტად იქცევა, რაც, როგორც წესი თითქმის გარდაუვალია. შეჯამების სახით რომ ითქვას, მოსამართლე, რომელიც თავის პრივილეგიურულ თანამდებობრივ მდგომარეობას იმისთვის იყენებს, რომ პოლიტიკურ სარბიელზე გამოვიდეს, ზიანს აყენებს საზოგადოების რწმენას სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობისადმი. თუმცა, არსებობს გამონაკლისები. მათ, კერძოდ, განეკუთვნება მოსამართლის მიერ შესაბამის დროს გამოთქმული კომენტარები სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუტის დასაცავად ან საზოგადოებისა თუ სპეციალიზებული აუდიტორიისათვის სამართლის კონკრეტული საკითხებისა და კონკრეტული გადაწყვეტილებების განმარტება, ასევე საქმიანობა, რომლის მიზანიცაა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერა. თუმცა, ასეთ შემთხვევებშიც მოსამართლემ შეძლებისდაგვარად თავი უნდა აარიდოს ისეთ პოლემიკაში ჩართვას, რომლებიც შეიძლება, პოლიტიკურად მიკერძოებულად ჩაითვალოს. მოსამართლე განურჩევლად უნდა ემსახუროს ყველას, მიუხედავად, მათი პოლიტიკური ან სოციალური შეხედულებისა. სწორედ ამიტომ, მოსამართლე შეძლებისდაგვარად უნდა იღვწოდეს საზოგადოების რწმენის და ნდობის შესანარჩუნებლად. ...

67. პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები. სასამართლო მიუკერძოებლობა გულისხმობს, როგორც რეალურ მიუკერძოებლობას, ასევე ობიექტური დამკვირვებლისაგან მის ასეთად აღქმას. როცა საუბარი იმ საკითხებს ეხება, რომლებიც სასამართლოსთანაა დაკავშირებული, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის დადგენის კრიტერიუმი არის, როგორც რეალურად არსებული წინააღმდეგობა მოსამართლის კერძო ინტერესებსა და საქმის მიუკერძოებლად განხილვის ვალდებულებას შორის, ასევე ის გარემოებები, რომლებიც ობიექტურ დამკვირვებელს ასეთი წინააღმდეგობის აღქმაზე მიუთითებდა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის ოჯახის წევრებს პოლიტიკური საქმიანობის სრული უფლება აქვთ, მოსამართლემ უნდა იცოდეს, რომ მისი ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების პოლიტიკურ საქმიანობას შეუძლია, თუნდაც მცდარი, მაგრამ უარყოფითი გავლენა მოახდინოს საზოგადოების წარმოდგენაზე მისი მიუკერძოებლობის შესახებ. ...

69. მოსამართლე უნდა ცდილობდეს, გადაარწმუნოს თავისი ოჯახის წევრები, მიიღონ მონაწილეობა ისეთ საქმიანობასა თუ გარიგებაში, რომლებიც შესაძლოა აღიქმებოდეს, როგორც მისი თანამდებობრივი მდგომარეობის არამართლზომიერად გამოყენება. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ თავიდან აცილებულ იქნეს მოსამართლის თანამდებობის არაკეთილსინდისიერი გამოყენება ან ფავორიტიზმი, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი დისკვალიფიკაციის რისკი. ...

81. მოსამართლის დისკვალიფიკაციის აღიარებული კრიტერიუმია მისი მიკერძოებულობის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის არსებობა. მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი აზრის არსებობის თაობაზე ეჭვის საფუძველი დგინდება სხვადასხვა ფორმულების გათვალისწინებით, როგორებიცაა: „მაღალი ალბათობა“, „რეალური შესაძლებლობა“, „დიდი ალბათობა“, ასევე „საფუძვლიანი ეჭვი“ მიკერძოების თაობაზე. მიკერძოების არსებობის შესახებ ეჭვი დასაბუთებული უნდა იყოს, ის უნდა მოდიოდეს გონიერი, სამართლიანი და ინფორმირებული ადამიანებისაგან, რომლებიც ყურადღებით შეისწავლიან საკითხს და მის შესახებ მოთხოვნილ ინფორმაციას მიიღებენ. ტესტი ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმით: „რა დასკვნას გამოიტანდა ისეთი პირი, რომელსაც გაანალიზებული ექნება და საკითხს რეალურად და პრაქტიკულად მიუდგება. მიიჩნევს თუ ასეთი პირი, რომ არსებობს უფრო მეტი ალბათობა იმისა, რომ წარმოდგენილი მოსამართლე გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად არ მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას?“ მოსამართლის ქცევა ფასდება ჰიპოთეტური გონიერი დამკვირვებლის პოზიციიდან, რათა ხაზი გაესვას გამოყენებული კრიტერიუმის ობიექტურობას, რაც დაფუძნებულია სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების აუცილებლობაზე და არ ეფუძნება სხვა კოლეგა მოსამართლეების მიერ მისი შესაძლებლობისა და შესრულებული სამუშაოს შეფასებას. ...

90. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, საფუძვლიანი ეჭვი წინასწარი განწყობის არსებობის თაობაზე შესაძლოა წარმოიშვას: (ა) თუ მოსამართლეს და განსახილველ საქმეში ჩართულ

საზოგადოების ნებისმიერ წევრს შორის პირადი მეგობრობა ან არაკეთილგანწყობა არის; (ბ) თუ მოსამართლე ახლოს იცნობს განსახილველ საქმეში ჩართულ საზოგადოების წევრს, განსაკუთრებით, თუ ამ პირის სანდოობა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს საქმის გადაწყვეტისათვის; (გ) თუ იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლემ უნდა განსაზღვროს ინდივიდის სანდოობა, მან უარი თქვა ამ პირის მტკიცებულებებზე წინა საქმეში ისეთი აშკარად პირდაპირი ნათქვამი ფორმით, რომ ისინი ეჭვქვეშ აყენებენ მოსამართლის შესაძლებლობას, მოგვიანებით ეტაპზე გონივრულად გამოიკვლიოს ამ პირის მტკიცებულებები; (დ) თუ მოსამართლე, განსაკუთრებით საქმის განხილვისას, მკვეთრად და გაუწონასწორებლად გამოთქვამდა მხარეთა შორის სადავო საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს იმის თაობაზე, შესწევს თუ არა მას უნარი, ობიექტურად განსაჯოს ეს საკითხი; ან (ე) თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო შესაძლოა, არსებობდეს დაეჭვების რეალური საფუძველი, თუ რამდენად შეძლებს მოსამართლე, უკუაგდოს არარელევანტური მოსაზრებები, ცრურწმენები და წინასწარი განწყობები და გამოიტანოს განსახილველ საკითხებზე ობიექტური სასამართლო გადაწყვეტილება. სხვა თანაბარი პირობების არსებობისას, დროის დინებასთან ერთად, ეს პროტესტი გახდება თანდათანობით სუსტი, კერძოდ, რაც უფრო მეტი დრო გავა იმ მოვლენიდან, რომელიც, სავარაუდოდ, საფუძვლად ედება მოსამართლის მიკერძოებასთან დაკავშირებულ საფრთხეს და კონკრეტულ საქმეს შორის, რომელზეც ეს პროტესტი წარმოიშვა. ...

143. მოსამართლის ოჯახის წევრები, მეგობრები, სოციალური, სამოქალაქო და პროფესიული კოლეგები, რომლებსაც ის რეგულარულად ეკონტაქტება და რომლებთანაც მსჯელობს ამა თუ იმ საერთო ინტერესზე ან საზრუნავზე და ენდობა და სჯერა, არიან იმ მდგომარეობაში, რომელიც შესაძლოა არასათანადო გავლენას ახდენდეს, მოსამართლის იმ ქმედებებზე, რომლებიც მის მიერ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებას უკავშირდება, ან ასეთ შთაბეჭდილებას ქმნიდეს. მათ შეიძლება, პირადი ინტერესი ამომრავებდეთ, ან მოქმედებდნენ, როგორც მხარეთა თუ ადვოკატის გავლენების გამავრცელებელი. მოსამართლემ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რომ ამგვარი ურთიერთობები არ ახდენდეს გავლენას, თუნდაც ქვეცნობიერად, მისი, როგორც მოსამართლის ქმედებაზე ან მის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე“.

IV. მესამე მხარის არგუმენტები

226. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა – ერთ-ერთი ამ საქმეში იმ ორ მესამე მხარედ ჩართულთაგან (იხ. პარაგრაფი 5 ზემოთ) – წარმოადგინა მისი მოსაზრებები ქვეყანაში მედია გარემოსა და სასამართლო სისტემის გამოწვევებთან დაკავშირებით. ყველაზე მნიშვნელოვანი ამონარიდები ამ წერილობითი კომენტარებიდან იკითხება შემდეგნაირად:

„დასაწყისშივე, სახალხო დამცველი ირწმუნება, რომ საქართველოში დამოუკიდებელი მედია აქტიურია და თავისუფლად გამოხატავს მრავალფეროვან შეხედულებებს. თუმცა, საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო ანგარიშის მიხედვით, მაკონტროლებელმა ჯგუფებმა გამოთქვეს შეშფოთება მედია პლურალიზმისთვის შეზღუდული გარემოსა და მედიაში სავარაუდო პოლიტიკური ჩარევის შესახებ, განსაკუთრებით მათ მიმართ ვინც კრიტიკულად არის განწყობილი. კერძოდ, კვლავ რჩებოდა შემფოთება, მთავრობის მიერ ზოგიერთი მედიასამუშაოების მიმართ ჩარევასა და სავარაუდო ოპოზიციის სასარგებლოდ მიკერძოებულ კრიტიკასთან დაკავშირებით, კერძოდ, ქვეყნის ყველაზე ფართოდ ყურებადი ტელევიზიის, „რუსთავი 2“-თან მიმართებით. ...

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას, არსებობს მინიშნებები, სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ჩარევასთან დაკავშირებით. ... სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ სამართლიანი სასამართლოს გარანტიები მოიცავს სასამართლოების ვალდებულებას, საკმარისად დაასაბუთოს თავიანთი გადაწყვეტილებები. მიუხედავად ამისა, სასამართლო გადაწყვეტილებებში საკმარისი დასაბუთების არარსებობა საქართველოში კვლავ იდენტიფიცირებულია, როგორც სტრუქტურული პრობლემა“.

227. მეორე მესამე მხარედ ჩართულმა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (იხ. პარაგრაფი 5 ზემოთ), წარმოადგინა თავისი მოსაზრებები ორ სამართლებრივ საკითხზე: (i) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 85-ე და 89-ე მუხლებს შორის ურთიერთმიმართება და (ii) ეროვნულ სასამართლოებში საქმეთა განაწილების პრინციპები.

228. მას შემდეგ, რაც საკუთარი სამართლებრივი ანალიზი წარმოადგინა შესაბამის

შიდასახელმწიფოებრივ სამართალსა და პრაქტიკასთან დაკავშირებით, მესამე მხარედ ჩართულმა შეაჯამა და გააკეთა შემდეგი დასკვნითი განცხადებები, თითოეულზე ამ ორ საკითხთან მიმართებით:

„30. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ არსებული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, როდესაც ხელშეკრულება ბათილია 85-ე მუხლის [სამოქალაქო კოდექსის] საფუძველზე, მოსარჩელის მიერ დაცული უნდა იქნეს ერთწლიანი შეცილების ვადა, როგორც ეს მოცემულია 89-ე მუხლში. ...“

42. როგორც ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, განსახილველი საქმეების განაწილების მარეგულირებელი წესები სასიცოცხლო როლს ასრულებს შესაბამისი მოსამართლეების მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, რომლებიც განიხილავენ საქმეს და ამგვარი წესების არარსებობამ მარტივად შეიძლება გამოიწვიოს უფლების ბოროტად გამოყენება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას სასამართლო ხელისუფლების შიდა დამოუკიდებლობას. ...“

სამართალი

I. სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის ფარგლები

ა. სასამართლოს წინაშე საქმისწარმოების დაწყება

1. სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის საფუძველზე, მომჩივნების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ

229. 2017 წლის 3 მარტს, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესზე დაყრდნობით, მომჩივნებმა მოითხოვეს სასამართლოსგან მოპასუხე სახელმწიფოსთვის შემდეგი დროებითი ღონისძიებების დაწესება:

„უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების აღსრულებისგან თავის შეკავება;

„რუსთავი 2“-ის დახურვისგან, ასევე დახურვის ხელშეწყობისა და წახალისებისგან, ან ნებისმიერი ფორმით მის მაუწყებლობაში ჩარევისგან თავის შეკავება;

კომპანიის მენეჯმენტის და/ან სარედაქციო საბჭოს შეცვლისგან თავის შეკავება, იქნება ეს უშუალოდ თუ წარმომადგენლების და/ან დაკავშირებული პირების მეშვეობით“.

230. რაც შეეხება მოთხოვნის საფუძვლებს, მომჩივნები აპელირებდნენ კონვენციის მე-10 მუხლში მითითებულ მომჩივნის უფლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქმე, ერთი შეხედვით, წარმოადგენდა ჩვეულებრივ სამოქალაქო დავას კერძო სუბიექტებს შორის, მომჩივანთა აზრით, სახელმწიფოს მიერ „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ სავარაუდოდ ორკესტრირებული კამპანიის ქრონოლოგია (იხ. პარაგრაფები 32-49 ზემოთ) იძლევა პოლიტიკური ინტერესების არსებობის ვარაუდის საფუძველს. როგორც ფაქტობრივად ერთადერთი ოპოზიციური სატელევიზიო არხი ქვეყანაში, რომლის სარედაქციო პოლიტიკას ვერ აკონტროლებდნენ ამჟამინდელი მმართველი ძალები, მომჩივნები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფო მანქანამ გამოიყენა ქ.ხ.-ს სხვაგვარად დაუსაბუთებელი სამოქალაქო სარჩელი ფარული მიზნის, ანუ თავისუფალი მედია საშუალების გაჩუმების მისაღწევად.

231. მომჩივნების მოთხოვნას დროებითი ღონისძიებების შესახებ არ ერთოდა შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებათა არცერთი ასლი, მათ შორის უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საკუთრებასთან დაკავშირებული დავის არსებით მხარეზე და იმავე დღეს მიღებული გადაწყვეტილება – 2015 წლის 5 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ (იხ. პარაგრაფები 151 და 164 ზემოთ). საჩივარი მხოლოდ შეიცავდა 2017 წლის 2 მარტის სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ასლს.

232. 2017 წლის 3 მარტს სასამართლომ, განსახილველი საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, გამოიყენა სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესი და მიუთითა მოპასუხე სახელმწიფოს, რომ: „მხარეთა ინტერესებიდან, ასევე სასამართლო პროცედურების სათანადოდ განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების აღსრულება უნდა შეჩერდეს და რომ ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს მომჩივანი კომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში ნებისმიერი ფორმით ჩარევისგან“. დროებითი ღონისძიება გაგრძელდა 2017 წლის 8 მარტამდე.

233. 2017 წლის 7 მარტს სასამართლომ გადაწყვიტა, გაეგრძელებინა შემდგომ შეტყობინებამდე 2017 წლის

234. 2018 წლის 28 მარტს მთავრობამ, საქმის მისაღებობისა და არსებითი მხარის შესახებ მოსაზრებების წარდგენასთან ერთად, მოითხოვა სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის მიხედვით დაკისრებული დროებითი ღონისძიების გაუქმება. სხვა არგუმენტებს შორის, აღნიშნეს, რომ გაუმართლებელია 39-ე წესის გამოყენება ისეთ საქმეში, რომლის მისაღებობასთან და არსებით მხარესთან დაკავშირებით არსებობდა სერიოზული კითხვის ნიშნები. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ რადგან დროებითი ღონისძიება ეყრდნობოდა კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე პირველი მომჩივნის საჩივარს, არ არსებობდა არანაირი გამოუსწორებელი რისკი მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით. სახელმწიფოს არ სურდა ჩარევა და არც ჩარეულა, „რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკაში ან ინფორმაციისა თუ იდეების გავრცელების უფლებაში. პირველი მომჩივნის სარედაქციო პოლიტიკა უცვლელი იყო 2012 წლის ოქტომბერში კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ და ასევე უცვლელი იყო შიდა და ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში.

235. 2018 წლის 28 ივნისს მომჩივნებმა უპასუხეს მთავრობის პოზიციას დროებითი ღონისძიების გაუქმების შესახებ და კვლავ მიუთითებდნენ თავიანთ არგუმენტებზე პირველი მომჩივნის კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლებებისთვის სავარაუდოდ არსებული რისკების შესახებ (იხ. პარაგრაფი 230 ზემოთ).

2. არსებით მხარეზე მომჩივანთა მიერ წარდგენილი საჩივრები

236. 2017 წლის 26 აპრილს თითოეულმა მომჩივანმა წარადგინა ოთხი დამოუკიდებელი საჩივარი კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე. მათ წარადგინეს რამდენიმე პრეტენზია კონვენციის მე-6, მე-10 და მე-18 მუხლების, ასევე კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე. საჩივრების ფორმების შესაბამისი ნაწილები, რომელშიც ცხრილის ფორმით (სექცია „F“ – „კონვენციის და/ან დამატებითი ოქმების სავარაუდო დარღვევა/დარღვევები და შესაბამისი არგუმენტები“) იყო მოცემული მათი საჩივრების აღწერა, შეიცავდა ქვემოთ მითითებულ ფორმულირებებს.

237. ამრიგად, პირველმა მომჩივანმა წარადგინა შემდეგი საჩივრები, რისთვისაც პირველ რიგში აპელირებდა კონვენციის დებულებებზე, რომლებსაც ეყრდნობა (ცხრილის მარცხენა მხარე), და შემდეგ აყალიბებდა ფაქტობრივ დეტალებს და სამართლებრივ არგუმენტებს (ქვემოთ მოტანილი ტექსტი უცვლელია):

„მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: „რუსთავი 2“-მა ვერ მიიღო სამართლიანი სასამართლო განხილვა მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-6 მუხლი. თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები იყვნენ მიუკერძოებულნი და მთავრობის ზეგავლენის ქვეშ. მთლიანობაში პროცესი ისე იყო კოორდინირებული, რომ უზრუნველყო გადაწყვეტილების მიღება მთავრობის ნდობით აღჭურვილი პირის [ქ. ხ.] სასარგებლოდ... [პირველი მომჩივნის საჩივრების აღწერაში მითითებული იყო სამივე ინსტანციის მოსამართლეთა სია, რომელნიც, მომჩივნის თანახმად, სხვადასხვა მიზეზით, არ იყვნენ დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი]. მართალია, ქ.ხ.-ს პრეტენზიები „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ უარყოფილი იქნა, დაყადაღების გადაწყვეტილება, რომელმაც მნიშვნელოვანი სირთულეები შეუქმნა „რუსთავი 2“-ის საქმიანობას, მიღებული იყო მიუკერძოებლობას მოკლებული მოსამართლეების მიერ... მოსამართლე თ.უ.-ს 2015 წლის 5 აგვისტოს განჩინება დაყადაღებასთან დაკავშირებით იყო არაკანონიერად გადაჭარბებული და თვითნებური. ამასთან, განჩინების ძალაში დატოვება უზენაესი სასამართლოს მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე მაშინ, როცა „რუსთავი 2“ აღარ იყო სამოქალაქო მოპასუხე, წარმოადგენდა აშკარა პროცესუალურ დარღვევას. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია კომპანიის მხრიდან იმ მოქნილობის გათვალისწინებით, რომელიც მან გამოიჩინა განჩინების, სულ მცირე, მოდიფიცირებასთან დაკავშირებით, რაც კომპანიას მისცემდა ნორმალური ყოველდღიური ფინანსური საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობას. მოთხოვნა უარყოფილი იქნა არასერიოზული არგუმენტის საფუძველზე, რომ გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე მიღებული იყო სამოქალაქო მოსარჩელეთა სასარგებლოდ.

მე-10 მუხლი: „რუსთავი 2“-ს აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს მთავრობის მხრიდან ჩარევის გარეშე საკუთარი სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრის და პოლიტიკოსთა თუ მათი გადაწყვეტილებების გაკრიტიკების უფლებას. საქართველოს მთავრობამ განახორციელა რიგი ღონისძიებები – დაშინება, ზეწოლა, ფინანსური დასხვა სახის პრობლემების შექმნა და ბოლოს საკუთრებასთან დაკავშირებით ორკესტრირებული დავა ნდობით აღჭურვილი პირის გამოყენებით – რათა შეეცვალა „რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკა და ჩაეხშო მისი კრიტიკული ხმა.

„რუსთავი 2“-ის წილებისა და საკუთრების განგრძობადი დაყადაღების, ასევე მენეჯმენტისთვის ფინანსური ვალდებულებების აღების აკრძალვამ შედეგად მოიტანა მნიშვნელოვანი დავალიანება საგადასახადო უწყების, მარეგულირებელი კომისიის, მაუწყებელთა ევროპული კავშირისა და სხვათა მიმართ... [პირველმა მომჩივანმა წარმოადგინა სავარაუდო ფინანსური სირთულეების დეტალური აღწერა]. მთავრობის პოლიტიკა და მისი წარმომადგენლებისა და ნდობით აღჭურვილი პირების მიერ მიღებული ზომები წარმოადგენს არაკანონიერ ჩარევას გამოხატვის თავისუფლებაში.

მე-10 მუხლი მე-18 მუხლთან ერთობლიობაში: „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ განხორციელებულმა ზომებმა, მათ შორის მენეჯმენტის დაშინებამ, რეიტინგის გაზომვაში ჩარევამ, სარეკლამო დროის რეგულირებამ და საკუთრების შესახებ დავის წამოწყებამ, ცხადყო საქართველოს მთავრობის ფარული განზრახვა, შეზღუდოს „რუსთავი 2“-ის გამოხატვის თავისუფლება. მაგალითად, მთავრობა აშანტაჟებდა ნ.გ.-ს და მოითხოვდა მისგან „რუსთავი 2“-დან წასვლას. ე.წ. შემოწმება სატელევიზიო რეიტინგების მზომავი კომპანიის TV MR საქართველოს მიერ, და ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ კანონში იყო სპეციალურად შექმნილი და გამიზნული „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი დაადასტურა კიდევ პარლამენტის წევრმა გ. თ.-მ.

მოსამართლე თ.უ.-ს 2015 წლის 5 ნოემბრის განჩინება „რუსთავი 2“-ში დროებითი მმართველების დანიშვნის შესახებ, ალბათ, ყველაზე ნათელი მაგალითია. მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა დებულებები დაუყოვნებლივი აღსრულების შესახებ, რითაც გადავადდა კომპანიის გადაცემა მთავრობის ნდობით აღჭურვილი პირისთვის [ქ.ბ.], მოსამართლე [თ.უ.-მ] დანიშნა „რუსთავი 2“-ის დროებითი მმართველები. 2015 წლის 5 ნოემბრის განჩინებაცხადყოფს მთავრობის ნამდვილ მოტივაციას: მოსამართლემ [თ.უ.] გააკრიტიკა „რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკა და განაცხადა, რომ კომპანია კონცენტრირებულია მის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესზე, რითაც საფრთხის ქვეშ აყენებს ქართული საზოგადოების უფლებას მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაზე. გარდა ამისა, მოსამართლის თანახმად, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებისას დაცული უნდა იყოს ობიექტურობისა და სამართლიანობის სტანდარტები, რის გარანტიასაც ამჟამინდელი მენეჯმენტი არ იძლევა. ამავე დროს, მოსამართლემ [თ.უ.] დროებით მმართველებს მიანიჭა შეუზღუდავი ძალაუფლება სარედაქციო პოლიტიკის შესაცვლელად, გადაცემების დასახურად, კომპანიის ჟურნალისტების გასათავისუფლებლად და ყველა მენეჯერული თუ წარმომადგენლობითი ფუნქციების შესასრულებლად.

დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 აგვისტოს განჩინებით „რუსთავი 2“-ს აკრძალა მოძრავი და უძრავი ქონების გაყიდვა და გაქირავება, იპოთეკით დატვირთვა და ნებისმიერი სახის ფინანსური ვალდებულების აღება, საბანკო სესხის ჩათვლით. 2015 წლის 5 აგვისტოს განჩინება გააკრიტიკეს ეუთოს წარმომადგენელმა მედიის საკითხებში, საქართველოს სახალხო დამცველმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა... [პირველმა მომჩივანმა წარმოადგინა 2015 წლის 5 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განჩინების აღსრულების წინააღმდეგ გასაჩივრების პროცედურული ქრონოლოგია] 2017 წლის 2 მარტს, თითქმის 4 თვის შემდეგ, უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვიტა ყადაღის ძალაში დატოვება. 2017 წლის 2 მარტის განჩინების თანახმად, დიდმა პალატამ განიხილა და გამოიტანა გადაწყვეტილება საქმის არსებითი მხარის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილებით, რითაც კომპანია დაუბრუნდა ქ.ბ.-ს, დიდი პალატის თანახმად, „რუსთავი 2“-ის მოთხოვნა ყადაღის მოხსნასთან დაკავშირებით უკვე აღარ იყო რელევანტური. უკანონო ყადაღის შედეგად, „რუსთავი 2“-ს დაუგროვდა მნიშვნელოვანი ფინანსური ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის, მარეგულირებელი კომისიის, მაუწყებელთა ევროპული კავშირისა და სხვათა მიმართ. „რუსთავი 2“-ის დავალიანება, საჩივრის წარდგენის მომენტისთვის, ჯამში შეადგენს 30 მილიონ ლარზე მეტს. „რუსთავი 2“-ის აქტივების განგრძობადი დაყადაღებით ირღვევა დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.

დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი მე-18 მუხლთან ერთობლიობაში: „რუსთავი 2“-ის აქტივების დაყადაღების მიზანია ამ მედია საშუალების განადგურება და არ ემსახურება კონვენციით განსაზღვრულ რომელიმე დებულებას საკუთრების უფლების შეზღუდვასთან მიმართებით. საკუთრების შესახებ დავა მთლიანად დაიგეგმა და იმართება საქართველოს მთავრობის მიერ „რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის მიზნით. ვიცე პრემიერ-მინისტრმა [კ.კა.] განაცხადა, რომ „რუსთავი 2“-ის მესაკუთრე შეიცვლებოდა. ბიძინა ივანიშვილმა ასევე გააკეთა განცხადება დავის შესახებ მანამდე, სანამ [ქ.ბ.-ს] სარჩელი შეტანილი იქნებოდა. კოალიცია „ქართული ოცნების“ დეპუტატმა გ.თ.-მ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების

მიღებამდე, ასევე განაცხადა, რომ „რუსთავი 2“ ერთ დღეში აღარ იარსებებდა“.

238. მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნების მიერ წარდგენილი სამი ინდივიდუალური საჩივარი შესაბამის ნაწილებში (სექცია „F“ – „კონვენციის და/ან დამატებითი ოქმების სავარაუდო დარღვევა/დარღვევები და შესაბამისი არგუმენტები“) შეიცავს იდენტურ ფორმულირებებს საჩივრების არსის აღსაწერად, მხოლოდ შესაბამისი მომჩივნების სახელების განსხვავებით (ქვემოთ მოტანილი ტექსტი უცვლელია):

„მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი („მიუკერძოებელი სასამართლოს“ და „პროცესის სამართლიანობის“ შესახებ): „ტელეკომპანია საქართველომ“/ლ. ყარამანიშვილმა/გ. ყარამანიშვილმა ვერ მიიღეს სამართლიანი განხილვა მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, როგორც ამას ითვალისწინებს კონვენციის მე-6 მუხლი. თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები იყვნენ მიკერძოებულნი და მთავრობის ზეგავლენის ქვეშ. მთლიანობაში პროცესი ისე იყო კოორდინირებული, რომ უზრუნველყო გადაწყვეტილების მიღება მთავრობის ნდობით აღჭურვილი პირის [ქ.ბ.] სასარგებლოდ... [მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნების საჩივრების აღწერაში წარმოდგენილია სამივე ინსტანციის მოსამართლეთა სია, რომელნიც, მომჩივნების თანახმად, სხვადასხვა მიზეზით, არ იყვნენ დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი].

ქართული სასამართლოს პროცედურები არ იყო სამართლიანი. მოსმენები გაიმართა უპრეცედენტოდ მოკლე ვადებში, ხოლო მომჩივნებს არ ჰქონდათ შემდეგი მოსმენისთვის მომზადების შესაძლებლობა. იურისტებს არ ეძლეოდათ არგუმენტების გაჟღერების შესაძლებლობა და მათ ხშირად აჯარიმებდნენ და აძევებდნენ სასამართლოდან. თბილისის საქალაქო სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ მომჩივნის წინააღმდეგ გადაწყვეტილების გამოტანით გადაუხვიეს დადგენილ პრაქტიკას. უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ სრულიად შეცვალა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოყენებული სამართლებრივი დასაბუთება, თუმცა დაადგინა ახალი ფაქტები ზეპირი მოსმენების გარეშე, სადაც მომჩივნებს არ მიეცათ გაბათილების შესაძლებლობა მტკიცებულებებისა და არგუმენტების წარდგენის გზით.

დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი (სასამართლო გადაწყვეტილებასთან მიმართებით, რითაც მომჩივნებს ჩამოერთვათ წილები): 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ჩამოართვა „ტელეკომპანია საქართველოს“/ლ. ყარამანიშვილს/გ. ყარამანიშვილს წილები „რუსთავი 2“-ში [მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებმა წარმოადგინეს ფაქტობრივი დეტალები მათი შესაბამისი პროცენტული წილების თაობაზე „რუსთავი 2“-ში]. ქართული კანონმდებლობა და არსებული პრაქტიკა იძლევა წილებისა და უძრავი ქონების კეთილსინდისიერი მესაკუთრეების მაღალი დონის დაცვის შესაძლებლობას. ჩანაწერები საჯარო რეესტრში, სადაც დარეგისტრირებულია წილებისა და უძრავი ქონების მესაკუთრეობა, მიიჩნევა უტყუარად. პრეზუმფცია შესაძლოა გაბათილდეს, თუკი მყიდველმა იცოდა, რომ რეესტრის ჩანაწერი არაზუსტია. ცოდნა უნდა დადასტურდეს მტკიცებულებით. პრინციპი „უნდა სცოდნოდა“ ვერ გამოდგება ამ შემთხვევაში. დიდმა პალატამ ვერ დაასაბუთა, რომ „ტელეკომპანია საქართველომ“/ლ. ყარამანიშვილმა/გ. ყარამანიშვილმა 2012 წელს იცოდნენ, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერი „რუსთავი 2“-ის წილების შესახებ არაზუსტია იყო. შესაბამისად, მომჩივანთა წილების დაბრუნება [ქ. ბ.-სთვის] არაკანონიერი იყო.

დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი მე-18 მუხლთან ერთობლიობაში: საკუთრებასთან დაკავშირებული დავა ორკესტრირებული იყო მთავრობის მიერ კრიტიკული მედია საშუალების გაჩუმების მიზნით, მისი მესაკუთრეების შეცვლის გზით. სამოქალაქო მოსარჩელე [ქ.ბ.] მხოლოდ მთავრობის ინტერესების გამტარი პირია. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა დააანონსა საკუთრების დავის დაწყება ჯერ კიდევ სარჩელის შეტანამდე, ასევე დაადასტურა, რომ ჰქონდა შეხვედრები და განხილვები [ქ.ბ.-სთან]. ბიძინა ივანიშვილმა, აგრეთვე, დაადასტურა, რომ იგი დაპირდა მხარდაჭერას ქ.ბ.-ს. გარდა ამისა, ვიცე-პრემიერმა, კ.კა.-მ განაცხადა, რომ „რუსთავი 2“ დაუბრუნდებოდა მის „ნამდვილ მესაკუთრეებს“. 2015 წლის 26 ოქტომბერს ჩაწერილ ინტერვიუში [ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული] მმართველი პარტიის – ქართული ოცნების წარმომადგენელმა, პარლამენტარმა გ.თ.-მ განაცხადა „რუსთავი 2“-სა და მიმდინარე საკუთრების დავის შესახებ: [მომჩივნებს მოაქვთ ციტატები გ.თ.-ს ინტერვიუდან, რომლებიც მითითებულია 45-ე და 46-ე პარაგრაფებში ზემოთ]. მოგვიანებით, პარლამენტარმა გ.თ.-მ დაამატა, რომ „რუსთავი 2“ ხვალ აღარ იარსებებს“. „რუსთავი 2“-ის დამფუძნებელი და დიდი ხნის განმავლობაში დირექტორი ე. კ. გარდაცვლილი იპოვეს საკუთარ ფარეხში მეორე დღეს იმ ინტერვიუს შემდეგ, რომელშიც მან

გააკრიტიკა მთავრობის დაუფარავი გეგმები „რუსთავი 2“-ის მესაკუთრის შეცვლასთან დაკავშირებით“.

239. 2017 წლის 28 ნოემბერს სასამართლოს რეგლამენტის 54-ე წესის მე-2 პუნქტის “ხ” ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემული საქმის შეტყობინებისას, სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მომჩივანთა საჩივრებში წარმოდგენილი პრეტენზიების განხილვის საფუძველზე (იხ. პარაგრაფები 236-38 ზემოთ), მიიჩნია, რომ პირველი მომჩივნის მიერ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-10 მუხლის, მე-18 მუხლისა და დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე შეტანილი საჩივრები ეხებოდა 2015 წლის 5 აგვისტოს განჩინებით ყადაღის სახით დაწესებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს (იხ. პარაგრაფები 85-88 ზემოთ). ხოლო, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-18 მუხლისა და დამატებითი ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე წარდგენილი მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივანთა საჩივრები ეხებოდა სამართალწარმოების მხოლოდ ძირითად ნაწილს – „რუსთავი 2“-ის წილებზე საკუთრების დადგენას (შემდგომში „საკუთრებასთან დაკავშირებული დავა“).

ბ. მხარეთა კომენტარები საქმის ფარგლებთან დაკავშირებით

240. თავიანთ დამატებით არგუმენტებში საქმის მისაღებობისა და არსებითი მხარის შესახებ, პირველმა მომჩივანმა („რუსთავი 2“) სურვილი გამოთქვა, მასაც შეეხებოდა საკუთრების დავა. მათ განაცხადეს, რომ აღნიშნული განზრახვა – საკუთრების დავის შედეგის, ასევე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გასაჩივრების თაობაზე – გამოხატეს თავიანთ თავდაპირველ საჩივარში, რომელიც ეფუძნება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს და მე-10 მუხლს (ეს უკანასკნელი განხილულია როგორც ცალკე, ისე მე-18 მუხლთან ერთობლიობაში). მეორე მხრივ, პირველმა მომჩივანმა დაადასტურა, რომ დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (განხილული როგორც ცალკე, ისე მე-18 მუხლთან ერთობლიობაში) საფუძველზე შეტანილი საჩივრები ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებზე.

241. რაც შეეხება მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებს, დაადასტურეს, რომ მათ მიერ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (განხილული როგორც ცალკე, ისე კონვენციის მე-18 მუხლთან ერთობლიობაში) საფუძველზე შეტანილი საჩივრები მიემართება საკუთრების დავას.

242. პასუხად, მთავრობამ განაცხადა, რომ საქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნის შემდეგ კითხვების დასმისას, სასამართლომ განსაზღვრა საქმის ფარგლები. შესაბამისად, ჩაითვალა, რომ პირველი მომჩივნის მიერ წარდგენილი საჩივრის ნაწილი ეხებოდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, ხოლო საკუთრების დავასთან დაკავშირებული საკითხები ეხებოდა მხოლოდ მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივანთა ინტერესებს. მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ ასეთი იყო თავად სასამართლოს მიერ დადგენილი საქმის ფარგლები, 2003 წლის ნოემბერში სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული წერილობითი პოზიციების შესახებ პრაქტიკული დირექტივის მე-14 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად (ცვლილებები შევიდა 2008 და 2014 წლებში) და რომ მხარეებმა პატივი უნდა სცენ ამ სასამართლო გადაწყვეტას.

243. შესაბამისად, მთავრობამ გამოთქვა პრეტენზია, რომ პირველი მომჩივნის მიერ შეტყობინების მიღების შემდეგ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ მისი საჩივრის გარკვეული ასპექტები უნდა განიხილებოდეს საკუთრების დავის კონტექსტში, არის გაუმართლებელი მცდელობა, რომლის მიზანია საქმის ფარგლების გაფართოება. მთავრობამ ხაზი გაუსვა, რომ მას არ მოეთხოვებოდა პირველი მომჩივნის იმ საჩივრებზე პასუხის გაცემა, რაც ეხებოდა საკუთრებასთან დაკავშირებულ დავას. მიუხედავად ამისა, მათი მხრიდან ამ დისკუსიაში ჩართვისგან თავის არიდება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს განხილული, როგორც ამ საკითხთან დაკავშირებით „რუსთავი 2“-ის უსაფუძვლო ბრალდებების მიღების გამოხატულება.

გ. სასამართლოს პოზიცია

244. სასამართლოსთვის „წარდგენილი“ საქმის ფარგლები, ინდივიდუალური საჩივრის უფლების უზრუნველყოფის ჭრილში, განისაზღვრება მომჩივნის საჩივრით ან „პრეტენზიის“ მიხედვით იმ გაგებით, როგორც იცის განისაზღვრება კონვენციის 34-ე მუხლში (იხ. ბოლოდროინდელი პრეცედენტის სახით *Radomilja and Others v. Croatia* [GC], nos. 37685/10 and 22768/12, §§ 108-09, 20 March 2018, და *Foti and Others v. Italy*, 10 December 1982, § 44, Series A no. 56). 34-ე მუხლის ფორმულირება ცხადყოფს, რომ კონვენციის ტერმინოლოგიაში ტერმინი „პრეტენზია“ ან საჩივარი შედგება ორი ნაწილისგან, კერძოდ, ფაქტობრივი ბრალდებებისა და მათი დასაბუთების მიზნით გაჟღერებული იურიდიული არგუმენტებისგან. ეს ორი ელემენტი გადაჯაჭვულია, რადგან გასაჩივრებული ფაქტი

განხილული უნდა იყოს შესაბამისი იურიდიული არგუმენტების ჭრილში, და პირიქით. ფაქტობრივი და იურიდიული ელემენტების ამ თანდაყოლილი კავშირის მაგალითია სასამართლოს რეგლამენტში. ამგვარად, სასამართლოს რეგლამენტის 47-ე წესის პირველი პუნქტის (e) და (f) ქვეპუნქტებში განმარტებულია, რომ ყველა საჩივარი უნდა შეიცავდეს, სხვა კომპონენტებთან ერთად, მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბებულ ფაქტობრივი გარემოებების, კონვენციის სავარაუდო დარღვევის/დარღვევების აღწერასა და შესაბამის არგუმენტაციას. 47-ე წესის მე-5 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის თანახმად, ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება გახდეს სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი (იხ. Radomilja and Others ციტირებული ზემოთ; §§ 110-11).

245. მართალია, სასამართლო სრულად არის უფლებამოსილი, განიხილოს, კონვენციის კონტექსტში, საჩივარში გასაჩივრებული გარემოებები, ასევე „განიხილოს ფაქტები განსხვავებულად“, იგი მაინც შეზღუდულია მომჩივანთა მიერ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში წარმოდგენილი ფაქტებით. თუმცა, ეს არ უშლის ხელს მომჩივანს, კონვენციის ფარგლებში მიმდინარე პროცესის მსვლელობაში განმარტოს ან განავრცოს თავისი თავდაპირველი არგუმენტაცია. სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს არა მხოლოდ თავდაპირველი საჩივარი, არამედ დამატებითი დოკუმენტებიც, რომლებიც ავსებს საჩივარს აქამდე გამოტოვებული ან ბუნდოვანი დეტალების განმარტებით. ასევე, სასამართლო შეიძლება ნათელი მოჰფინოს ასეთ ფაქტებს *proprio motu* (საკუთარი ინიციატივით) (იხ. ბოლოდროინდელი პრეცედენტის სახით, Radomilja and Others, მითითებული ზემოთ, §§ 121 და 122, და K.-H.W. v. Germany [GC], no. 37201/97, § 107, ECHR 2001II). თუკი მოპასუხე სახელმწიფოსთვის საჩივრის შესახებ შეტყობინების შემდეგ მომჩივანი წარადგენს ახალ პრეტენზიებს, რომლებიც ვერ განიხილება, როგორც თავდაპირველი საჩივრის განვრცობა, რომელზეც მხარეებმა უკვე გააკეთეს კომენტარი, სასამართლო, როგორც წესი, არ მიიღებს ასეთ ახალ საკითხებს განსახილველად (იხ., სხვებს შორის, Kovach v. Ukraine, no. 39424/02, § 38, ECHR 2008, და Saghinadze and Others v. Georgia, no. 8768/05, § 72, 27 May 2010).

246. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნების მიერ წარდგენილი თავდაპირველი საჩივრის შესაბამისი ნაწილების ფორმულირება, ყურადღებით წაკითხვისა და შესაბამისი ფაქტებთან შეჯერების შედეგად, არ ტოვებს ეჭვს ოთხივე მომჩივნის საჩივრების საგნის თაობაზე (იხ. პარაგრაფები 237 და 238 ზემოთ). შესაბამისად, ნათელია, რომ პირველმა მომჩივანმა წარმოადგინა რამდენიმე პრეტენზია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებმა („რუსთავი 2“-ის მესაკუთრეები) აქცენტი გააკეთეს საკუთრების დავის საკითხზე. თუკი პირველ მომჩივანს სურდა თავისი საჩივრის ფარგლების გაფართოება საკუთრების დავის საკითხზეც, მას შესაბამისი მკაფიო განცხადება უნდა გაეკეთებინა თავისი პირველადი საჩივრის “F” სექციაში – “კონვენციის და/ან დამატებითი ოქმების სავარაუდო დარღვევა/დარღვევები და შესაბამისი არგუმენტები” – როგორც ეს მან გააკეთა მოგვიანებით, შეტყობინების შემდგომ წარმოდგენილ მოსაზრებებში. მართლაც, სასამართლოს რეგლამენტის 47-ე წესის პირველი პუნქტის “F” და მე-2 პუნქტის “a” ქვეპუნქტის თანახმად, შეტანილი საჩივრების შინაარსისა და ფარგლების დადგენისას, სასამართლო ვერ გაითვალისწინებს რაიმე სხვა დოკუმენტს, გარდა კონვენციის სავარაუდო დარღვევის/დარღვევების შესახებ მომჩივნის მიერ მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბებული განცხადებისა. შესაბამისად, სწორედ თავად პირველი მომჩივნის მიერ თავისი საჩივრის შესაბამის ნაწილში აღწერილი კონვენციის სავარაუდო დარღვევების შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სასამართლომ (რომელიც უფლებამოსილია, გააკეთოს კონკრეტული საქმის ფაქტების მომჩივნისგან განსხვავებული სამართლებრივი კვალიფიკაცია ან საჭიროების შემთხვევაში, გააკეთოს ფაქტების განსხვავებული ინტერპრეტაცია [იხ. Foti and Others ციტირებული ზემოთ; § 44]) მიიჩნია, რომ პირველი მომჩივნის პრეტენზია ეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნების პრეტენზიები ეხება საკუთრების დავის საკითხს.

247. მიუხედავად ზემოთქმულისა, რადგან ხსენებული საჩივრები ნებისმიერ შემთხვევაში მიუღებელია ქვემოთ მოტანილი მიზეზების გამო (იხ. პარაგრაფები 270-74 ქვემოთ), სასამართლო არ მიიჩნევს, რომ არსებობს საჭიროება, დადგინდეს, ექცევა თუ არა განსახილველი საქმის ფარგლებში, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-10 და მე-18 მუხლების საფუძველზე, პირველი მომჩივნის შემდგომი მითითება საკუთრების დავის შედეგებთან დაკავშირებით (შეად. Radomilja and Others; §§ 122 და 129), რომელიც პირველად გაჟღერდა შეტყობინების შემდგომ საქმის მისაღებობისა და არსებითი მხარის შესახებ მოსაზრებებში.

II. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-10 და მე-18 მუხლების დარღვევა და კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა, როგორც ამას პირველი მომჩივანი აცხადებს

248. პირველი მომჩივანი, „რუსთავი 2“, ასაჩივრებდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-10 მუხლის შესაბამისად და კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად – ბოლო ორი დებულება მოყვანილი იყო როგორც ცალკე, ასევე კონვენციის მე-18 მუხლთან ერთობლიობაში – რომ 2015 წლის 5 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გახანგრძლივებულად გამოყენებამ, რითაც კომპანიის სხვადასხვა აქტივებს ყადაღა დაედო, იყო თვითნებური გადაწყვეტილება, რაც იყო არაპროპორციული ჩარევა მის საკუთრების უფლებაში, ჰქონდა კომპანიის სარედაქციო დამოუკიდებლობაზე ნეგატიური გავლენა და წარმოადგენდა ფარულ მცდელობას გაეჩუმებინათ იგი.

249. პირველი მომჩივანი ასევე ასაჩივრებდა, რომ მოსამართლე თ.უ.-ს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, და უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მ.თ.-ს ჩართვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების წარმოებაში პირველ და ბოლო ინსტანციაში წარმოადგენდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით, გათვალისწინებული დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევას.

250. პირველი მომჩივანი ასევე ასაჩივრებდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტს და მე-10 მუხლებს, უკანასკნელი დებულება მოყვანილია ცალკე, ასევე მე-18 მუხლთან ერთობლიობაში, საკუთრების დავასთან მიმართებით (იხ. პარაგრაფი 240 ზემოთ). კერძოდ, მომჩივანი აცხადებდა, რომ მას აღუკვეთეს სამართლიანი სასამართლოს უფლება, რადგან საკუთრების დავა განიხილეს მოსამართლეებმა, რომლებიც არ იყვნენ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. მომჩივანი ასევე აცხადებდა, რომ საკუთრების დავის შედეგი – უზენაესი სასამართლოს საქმის არსებითი განხილვით 2017 წლის 2 მარტს მიღებული გადაწყვეტილება, წარმოადგენდა სახელმწიფოს შენიღბულ მცდელობას შეეზღუდა დამოუკიდებელი სატელევიზიო არხი.

251. კონვენციის დებულებები, რომლებიც მოჰყავს პირველ მომჩივანს, ამბობს:

მუხლი 6

„1. ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების საფუძვლიანობის გამორკვევისას,....აღჭურვილია მისი საქმის....სამართლიანი....განხილვის უფლებით....კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

მუხლი 10

„1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...“

მუხლი 18

„დაუშვებელია ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით ნებადართული შეზღუდვების გამოყენება არა იმ მიზნით, რისთვისაც ისინია გათვალისწინებული .“

დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი

„ ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში....“

ა. მისაღებობა

1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების წარმოება

(ა) მთავრობის არგუმენტები

252. მთავრობამ თავდაპირველად განაცხადა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, არ მოქმედებს ამ საქმეში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების წარმოების მიმართ. ამასთან დაკავშირებით მთავრობა ამტკიცებდა, რომ სასამართლოს მიერ საეტაპო პრეცედენტული საქმისგან „*Micallef v. Malta*“ ([დიდი პალატა] no. 17056/06, პუნქტები 84-85, ECHR 2009)), განსხვავებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის გამოც ჩიოდა პირველი მომჩივანი – აქტივების დაყადაღება – არ შეიძლება განხილულიყო იმ სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების ქმედითად განმსაზღვრელ

საშუალებად, რომლებიც წარმოადგენდა საკუთრების დავის საგანს.

253. მთავრობამ ასევე გააპროტესტა, რომ, ყოველ შემთხვევაში, პირველი მომჩივნის მიერ შეტანილი საჩივრები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით შეტანილი იყო დაგვიანებით. ამგვარად, იმ დროს როდესაც პირველი მომჩივანი 2015 წლის 5 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განჩინებას ხდიდა სადაოდ, რადგან ამ განჩინებით ყადაღა დაედო მის აქტივებს, ამასთან მიმართებით საბოლოო შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება (იხ. ზემოთ 196-ე და მე-200 პარაგრაფებში ციტირებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლი და 419-ე. მუხლის მე-3 ნაწილი). ამ გადაწყვეტილებით საბოლოოდ ძალაში დარჩა სადავო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები განხილული იქნა მხოლოდ ორი ინსტანციის სასამართლოში, და მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების წარმოებაზე უმაღლესი იურისდიქციის მქონე ინსტანციისა, იყო საბოლოო და სავალდებულო. მთავრობამ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, რომ ეს მიდგომა მუდმივად იყო ფორმულირებული და მხარდაჭერილი უზენაესი სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში (იხ. პარაგრაფები 204, 206-07, 210 და 215 ზემოთ). რაც შეეხება 2016 წლის 17 ნოემბრის საჩივარს, რომელიც პირველმა მომჩივანმა სხვა სამომჩივანთან ერთად შეიტანა უზენაეს სასამართლოში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე და 199¹ მუხლების შესაბამისად (იხ. ზემოთ პარაგრაფი 148), ამგვარი მოქმედება იყო შეუსაბამო სამართლებრივი დაცვის საშუალება და ვერ შეაჩერებდა ექვსთვიანი ვადის დინებას. კერძოდ, მთავრობამ განაცხადა, რომ იმ დროს, როდესაც ეს სამართლებრივი დებულებები მოქმედებდა სამართალწარმოების მხოლოდ არსებული მხარეებისთვის, პირველმა მომჩივანმა შეუქცევადად დაკარგა გასაჩივრების უფლება როგორც თანამოპასუხემ 2016 წლის 7 ივნისს, როდესაც 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება პირველ მომჩივანთან დაკავშირებულ ნაწილში ძალაში შევიდა სააპელაციო ინსტანციის მიერ მისი ძალაში დატოვების შემდეგ. პირველმა მომჩივანმა აღიარა, რომ მას აღარ გააჩნდა ეროვნულ დონეზე მისი როგორც მხარის სტატუსი (იხ. პარაგრაფი 149 ზემოთ). მთავრობა ამტკიცებდა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, სამართალწარმოების მხოლოდ რეალურ მხარეებს აქვთ უფლება, საჩივარი შეიტანონ ეროვნულ სასამართლოებში. მთავრობამ ხაზი გაუსვა, რომ მას შემდეგ რაც პირველი მომჩივანი აღარ იყო თანამოპასუხე, მას არ განუცხადებია სურვილი, ჩართულიყო პროცესში მესამე მხარედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე-92-ე მუხლების შესაბამისად. ამასთან მიმართებით, მთავრობამ სასამართლოს ყურადღება გაამახვილა უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაზე (საქმე N194-194-2018), რომელიც ცალსახად ადგენდა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არცერთი დებულება შეიძლება განმარტებული იყოს ისე, რომ ანიჭებდეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს უფლებას, მიმართონ შიდა სასამართლოებს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის ძირითადი პროცედურული მოთხოვნების დაუცველად (იხ. პარაგრაფი 216 ზემოთ).

254. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ პირველი მომჩივნის 2016 წლის 17 ნოემბრის საჩივარი, გაუქმებინა 2015 წლის 5 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის შესაბამისად, იყო დაუსაბუთებელი. ამასთან, მან განაცხადა, რომ სადავოდ ქცეული აკრძალვა ეხებოდა ყველა მოპასუხეს ამ დავაში, არა მხოლოდ პირველ მომჩივანს. დაკისრებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება საჭირო იყო მისი ერთობლიობით, რადგან მას შემდეგაც, რაც პირველი მომჩივანი აღარ იყო თანამოპასუხე, საკუთრების დავა გაგრძელდა მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებთან, რომლებიც იყვნენ პირველი მომჩივნის მესაკუთრეები. ამის გათვალისწინებით, მესაკუთრეების კუთვნილი წილების ღირებულება დგებოდა გაუფასურების და გაქრობის რისკის ქვეშ, თუკი კომპანიას მიეცემოდა უფლება, შესულიყო სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობებში, როგორც ცალკე იურიდიული პირი. რაც შეეხება პირველი მომჩივნის მითითებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლზე (იხ. ქვემოთ პარაგრაფი 257), მთავრობა იმეორებს, რომ ამ დებულების ტექსტი ცალსახად ადგენს, რომ მას შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ სამართალწარმოების რეალური მხარეები – ან მოსარჩელე, ან მოპასუხე, ან მესამე მხარე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ან მის გარეშე (იხ. მათი არგუმენტი ზემოთ 253-ე პარაგრაფში). მთავრობამ ასევე ხაზი გაუსვა, რომ ყველა ზემოხსენებული პროცედურული ხარვეზის გათვალისწინებით, პირველი მომჩივნის 2016 წლის 17 ნოემბრის საჩივარი, რომელიც წარმოადგენდა შეუსაბამო სამართლებრივი დაცვის საშუალებას, არ იქნა არსებითად განხილული უზენაესი სასამართლოს მიერ (იხ. პარაგრაფი 151 ზემოთ). წინა მსჯელობის გათვალისწინებით, მთავრობა ასკვნიდა, რომ პირველი მომჩივნის 2016 წლის 17 ნოემბრის საჩივარი წარმოადგენდა უბრალო მცდელობას, შეეჩერებინა ექვსთვიანი ვადის დენა, რომელიც სხვაგვარად დაიწყებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2015 წლის 20 ნოემბერს გამოტანილი გადაწყვეტილებით, საბოლოო გადაწყვეტილება კონვენციის 35-ე მუხლის პირველი

პუნქტის მნიშვნელობით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების წარმოებასთან მიმართებით. ვინაიდან პირველმა მომჩივანმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების წარმოების შესახებ საჩივარი შეიტანა დაგვიანებით, 2017 წლის 3 მარტს, საჩივრის გარკვეული ნაწილი ცალსახად შეტანილი იყო ვადის დარღვევით.

255. სხვა შემთხვევაში, მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ პირველი მომჩივნის პრეტენზია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების წარმოებასთან დაკავშირებით იყო მიუღებელი შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების არამოწურვის გამო კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების შინაარსის გათვალისწინებით. კერძოდ, თუ პირველი მომჩივანი მიიჩნევდა, რომ 2015 წლის 5 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება გახდა უკანონო მას შემდეგ, რაც მან დაკარგა 2016 წლის 7 ივნისს თანამოპასუხის სტატუსი, მას უნდა შეეტანა კერძო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე-20-ე მუხლების შესაბამისად და მოეთხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება ამავე კოდექსის 199¹ მუხლზე მითითებით. რაც შეეხება პირველი მომჩივნის 2016 წლის 17 ნოემბრის საჩივარს, მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გარდა ასეთი საჩივრის შეტანის უფლების არქონისა, „რუსთავი 2“-მა სადავო საჩივრით მიმართა სულ სხვა შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოს. ამდენად, მან სარჩელი შეიტანა უზენაეს სასამართლოში, მაშინ როდესაც კერძო საჩივრის შეტანის წესები ნათლად ადგენდა, რომ ასეთი საჩივარი პირველად უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელმაც სავარაუდოდ დაუშვა პროცედურული დარღვევა. კერძოდ, თუკი პირველი მომჩივანი მიიჩნევდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ უგულვებელიყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება საავტორო უფლების წარმოების შეწყვეტის შემდეგ, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების მოთხოვნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის საფუძველზე პირველად უნდა შეეტანათ ამ უკანასკნელ სასამართლოში კერძო საჩივრის წესის შესაბამისად. ამ არგუმენტის გასამყარებლად, მთავრობამ მოუწოდა სასამართლოს, მხედველობაში მიეღო უზენაესი სასამართლოს შესაბამისი სამართლებრივი პრაქტიკა. კერძოდ, თავის 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (საქმე NAS-806-773-2016), რომლის ასლი წარედგინა სასამართლოს მომჩივნების მიერ (იხ. პარაგრაფები 207 და 208 ზემოთ), უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საჩივარი, რომელიც 199¹ მუხლის საფუძველზე ხორციელდება, უნდა იქნეს შეტანილი კომპეტენტურ სასამართლოში და უნდა იქნეს განხილული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹, 419-ე და 420-ე მუხლების შესაბამისად, დებულებები, რომლებიც არეგულირებენ კერძო საჩივრის შეტანის წესს.

(ბ) პირველი მომჩივნის არგუმენტები

256. პირველმა მომჩივანმა განაცხადა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ პროცედურები მოექცა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სამოქალაქო-სამართლებრივ ფარგლებში; მან განაცხადა, რომ სასამართლოს მიერ „მიკალეფის“ გადაწყვეტილებაში განსაზღვრული ორივე პირობა – დაკმაყოფილებულია (მიკალეფი, ზემოთ მითითებული, პარაგრაფები 84-85). კერძოდ, პირველი მომჩივანი აცხადებდა, რომ სადავო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ბუნების გათვალისწინებით – „რუსთავი 2“-ის აქტივების დაყადაღება – ასეთ ზომებს ჰქონდა მნიშვნელოვანი და პირდაპირი გავლენა სამოქალაქო უფლებაზე საკუთრების დავაში. პოზიციის გასამყარებლად პირველმა მომჩივანმა გაავლო მთელი რიგი პარალელები სასამართლოს გადაწყვეტილებასთან საქმეში – *Pekárny a cukrárny Klatovy, a.s., v. the Czech Republic (nos. 12266/07 and 3 others, § 6473, 12 January 2012)*.

257. მთავრობის შესაგებლების პასუხად, რომელიც გულისხმობს, რომ არ იქნა დაცული ექვსთვიანი ვადა და არ იყო ამოწურული შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებები, პირველმა მომჩივანმა დაადასტურა, რომ ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ერთი მხრივ აღარ იყო შესაძლებელი დამატებითი სააპელაციო საჩივრის წარდგენა 2015 წლის 5 აგვისტოს, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების წინააღმდეგ, მას შემდეგ რაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა 2015 წლის 20 ნოემბრით დათარიღებული თავისი საბოლოო სააპელაციო გადაწყვეტილება. თუმცა პირველი მომჩივანი აცხადებდა, რომ ზემოაღნიშნული ექვსთვიანი ვადის შეზღუდვა არ უნდა ათვლილიყო 2015 წლის 20 ნოემბრით დათარიღებული საბოლოო გადაწყვეტილებიდან, რადგან არსებობდა 2015 წლის 5 აგვისტოთი დათარიღებული სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების ექვსეულ დაცემის ორი დამატებითი შესაძლებლობა. კერძოდ, პირველმა მომჩივანმა მიუთითა სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 196-ე და 199¹ მუხლები, ორი დებულება, რომელიც მოიცავდა უზენაეს სასამართლოში წარდგენილი, 2016 წლის 17 ნოემბრით დათარიღებული განცხადების სამართლებრივ საფუძველს. რაც შეეხება 196-ე მუხლს, პირველი მომჩივანი აცხადებდა, რომ ამ დებულების საფუძველზე ნებისმიერ პირს ან ფიზიკურ პირს, რომლებზეც ვრცელდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – იქნება ეს მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი თუ უზრალოდ დაზარალებული საქმის მხარის სტატუსის გარეშე –

შეძლო მიემართა აღნიშნული დროებითი ზომის ერთი სახის მეორით შეცვლის მოთხოვნით. პირველმა მომჩივანმა ხაზგასმით აღნიშნა, უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე მითითებით, რომელიც ეხება სამოქალაქო საქმეს N AS-1185-1114-2012 (იხ. პარაგრაფი 209 ზემოთ), რომ საჩივრის წარდგენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის შესაბამისად, არ იყო შეზღუდული რაიმე ვადით და დამოკიდებული იყო მხოლოდ გარემოებების ცვლილებაზე არსებულ საქმეში. აღნიშნულთან დაკავშირებით დროში შეზღუდვების არარსებობა განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ შეუძლებელი იყო იმის გათვალისწინება, ზუსტად როდის იყო მოსალოდნელი დაკისრებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების უარყოფითი შედეგების დადგომა.

258. რაც შეეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნის შესახებ ალტერნატიულ დებულებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლი), პირველმა მომჩივანმა განაცხადა, რომ მითითებული დებულება იყო სათანადო სამართლებრივი დაცვის საშუალება, რადგან ქ.ბ.-ს მიერ საავტორო უფლების დარღვევის შესახებ სარჩელზე უარის თქმის და პირველ მომჩივანთან დაკავშირებით დავის შეწყვეტის შემდეგ, თბილისის სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო გაეუქმებინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება „რუსთავი 2“-ის აქტივების დაყადაღების შესახებ. ვინაიდან სასამართლომ არ შეასრულა ეს ვალდებულება, პირველ მომჩივანს მიეცა უფლება 199¹ მუხლის შესაბამისად წარედგინა სააპელაციო საჩივარი 2015 წლის 20 ნოემბრის საბოლოო სააპელაციო გადაწყვეტილების წინააღმდეგ უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში, უზენაეს სასამართლოში. აღნიშნულთან დაკავშირებით, პირველი მომჩივანი აცხადებდა, რომ შესაბამისი ადგილობრივი კანონი და პრაქტიკა არ ავალდებულებდა მას წარედგინა მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ან ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე, კერძო სააპელაციო საჩივრებისთვის განსაზღვრული პროცედურის საფუძველზე (რომლის საფუძველზე სააპელაციო საჩივარი პირველად წარდგენილი იყო იმავე სასამართლოში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მხარის უფლებებზე ან ინტერესებზე). პირველი მომჩივანი ასევე აცხადებდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება არ ჩაბარდა მას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პირველმა მომჩივანმა განაცხადა, რომ უფლება ჰქონდა გაეგზავნა 2016 წლის 17 ნოემბრით დათარიღებული თავისი საჩივარი პირდაპირ უზენაეს სასამართლოში. პირველმა მომჩივანმა ასევე მიუთითა, რომ სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოყენება, 196-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების ანალოგიურად, არ ექვემდებარებოდა სამართლებრივ შეზღუდვებს და აქედან გამომდინარე არ შეიძლება ითქვას, რომ 2016 წლის 17 ნოემბრით დათარიღებული მისი განცხადება ხანდაზმული იყო.

259. რაც შეეხება საკითხს, ჰქონდა თუ არა პირველ მომჩივანს საჭირო პროცედურული სტატუსი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე და 199¹ მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის დროებითი ღონისძიების გაუქმების ან შეცვლის შესახებ საჩივრის წარდგენისთვის მას შემდეგ, რაც დაკარგა თანამოპასუხის სტატუსი, „რუსთავი 2“ აცხადებდა, რომ მას ამის უფლება ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ზოგადი წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფდა სასამართლო დაცვის უფლებას ყველასთვის (იხ. პარაგრაფი 192 ზემოთ). გარდა ამისა პირველმა მომჩივანმა მიუთითა უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაზე, NAS-277-263-2016 საქმეში, იმის დასადასტურებლად, რომ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ის ღია იყო იმ პირისთვისაც კი, რომელიც არ იყო სამოქალაქო წარმოებების მხარე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გასაჩივრებასთან დაკავშირებით, რომელიც გავლენას ახდენდა მის უფლებებზე (იხ. პარაგრაფი 203 ზემოთ). რაც შეეხება აღნიშნულ სამართალწარმოებებში ჩართვის შესაძლებლობას მესამე მხარის უფლებამოსილებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე-92-ე მუხლების შესაბამისად (იხ. პარაგრაფი 195 ზემოთ), პირველი მომჩივანი აცხადებდა, რომ საჩივრის წარდგენა ასეთი პროცედურული სტატუსის მოპოვებისთვის, იქნებოდა მიზანშეუწონელი. პირველი მომჩივანის მოსაზრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ უზენაესმა სასამართლომ, ფაქტობრივად განიხილა მისი 2016 წლის 17 ნოემბრის განცხადება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, პროცედურული ხარვეზის დადასტურების გარეშე (იხ. პარაგრაფი 151 ზემოთ). ნებისმიერ შემთხვევაში პირველმა მომჩივანმა ასევე მიუთითა, რომ მისი სხვადასხვა აქტივების დაყადაღება 2015 წლის 5 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველზე, იყო განგრძობადი სიტუაცია, რომელიც უწყვეტად გაგრძელდა მისი საჩივრის შეტანის თარიღიდან 2017 წლის 2 მარტამდე, უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხზე და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების თარიღი საკუთრების დავის არსებით ნაწილზე.

260. ზემოაღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით, პირველმა მომჩივანმა პრეტენზია გამოთქვა,

რომ ექვსთვიანი ვადის ათვლა დაიწყო უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებიდან, რომლის საფუძველზე უმაღლესმა სასამართლომ არსებითად განიხილა მისი 2016 წლის 2 მარტის საჩივარი, რომელიც წარდგენილი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე და 199¹ მუხლების შესაბამისად. ანალოგიურად, ვინაიდან მან მიმართა სათანადო სამართლებრივი დაცვის საშუალებებს საბოლოოდ დაწესებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გასაჩივრებასთან დაკავშირებით, პირველმა მომჩივანმა განაცხადა, რომ მისი საჩივრები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების პროცედურების შესახებ, მიუღებელი არ იყო შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებების არამოწურვის გამო, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების მნიშვნელობის ფარგლებში.

(გ) სასამართლოს შეფასება

261. მოცემულ საქმეში სასამართლო საჭიროდ არ თვლის განიხილოს კომპლექსური საკითხი იმის დასადგენად ექვევა თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების პროცედურები მოცემულ საქმეში კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ფარგლებში, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში მომჩივნის მიერ წარდგენილი საჩივრის ნაწილი მიუღებელია სხვა მიზეზის გამო.

262. სასამართლო მიუთითებს, რომ პირველი მომჩივნის საჩივრების არსი სასამართლოს წინაშე არის ის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 აგვისტოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ, რომლის თანახმად დაყადაღდა მისი სხვადასხვა აქტივები და ხელი შეუშალა კონკრეტულ იურიდიულ ურთიერთობებში შესვლას, დაწესებული იქნა სამართლიანი სასამართლოს გარანტიების დარღვევით და დაარღვია მისი კონკრეტული უფლებები კონვენციის თანახმად. ვინაიდან სავარაუდოდ დარღვევების არსი იყო ზემოხსენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების შესრულების დაკისრება, პირველი საკითხი, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს არის ის თუ რას ადგენდა საბოლოო ეროვნული გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების პროცედურებთან მიმართებით. ამ კითხვის პასუხი არის მკაფიო, რადგან ადგილობრივი კანონი ნათლად განმარტავს, რომ პროცედურები უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით, იწარმოება მხოლოდ იურისდიქციის ორ დონეზე, მეორე და უმაღლეს ინსტანციაში, კერძო სააპელაციო საჩივრებისთვის განსაზღვრული პროცედურების და აღნიშნულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებების შესაბამისად (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 197¹- და 419-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ასევე უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა, მითითებული პარაგრაფებში 204, 206-7, 210 და 215 ზემოთ). ეს საკითხი არც კი გახადა სადაო პირველმა მომჩივანმა (იხ. პარაგრაფი 257 ზემოთ). შედეგად ეს იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომელმაც საბოლოოდ ძალაში დატოვა 2015 წლის 5 აგვისტოთი დათარიღებულ სადავო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და მიუთითა რომ შემდგომ გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა (იხ. პარაგრაფი 128 ზემოთ) რომელიც წარმოადგენდა საბოლოო ეროვნულ გადაწყვეტილებას კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში.

263. მეორე კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, უკავშირდება პირველი მომჩივნის პრეტენზიას, რომ დროებითი ზომების დაკისრებამ 2015 წლის 5 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განჩინების საფუძველზე, შექმნა „განგრძობადი სიტუაცია“. სასამართლო თვლის, რომ ეს არგუმენტი დაუსაბუთებელია პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, რადგან როცა კონვენციის უფლების სავარაუდოდ დარღვევა გამოწვეულია კონკრეტულ დროში განხორციელებული კონკრეტული მოვლენით (სასამართლო გადაწყვეტილების მიღება ან სხვა წერილობითი სამართლებრივი აქტი ამის მკაფიო მაგალითია), ასეთი შემთხვევის სამართლებრივი შედეგები, რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში, არ კვალიფიცირდება „განგრძობად სიტუაციად“ კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებული ექვსთვიანი ვადის ათვლის მიზნებისთვის (იხ., ბევრ სხვა წყაროებს შორის, *Călin and Others v. Romania*, nos. 25057/11 and 2 others, §§ 58-60, 19 July 2016; *Posti and Rahko v. Finland*, no. 27824/95, §§ 39-40, ECHR 2002VII; *Meltex LTD v. Armenia* (dec.), no. 37780/02, 27 May 2008; and *Petkov and Others v. Bulgaria* (dec.), nos. 77568/01 and 2 others, 4 December 2007).

264. მესამე და ბოლო კითხვა სასამართლოს წინაშე პირველი მომჩივნის საჩივრების შესაბამისი ნაწილის მისაღებობასთან დაკავშირებით, არის 2015 წლის 5 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განჩინების გასაჩივრების გარეშე ძალაში დატოვების შემდეგ 2015 წლის 20 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე, შეიძლებოდა თუ არა პირველი მომჩივნის 2016 წლის 17 ნოემბრის საჩივრის, რომელიც მოითხოვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე და 199¹ მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას ან შეცვლას, განხილვა,

როგორც დამატებითი სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამოწურვის შესახებ წესი, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოითხოვს, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც უნდა ამოიწუროს არის მხოლოდ ის საშუალებები, რომლებიც ხელმისაწვდომი და საკმარისია გამოსაყენებლად სავარაუდო დარღვევების გამოსწორებისათვის. (იხ. *Selmouni v. France* [GC], no. 25803/94, § 74, ECHR 1999-V). თუმცა მომჩივანი არ არის ვალდებული მიმართოს სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რომლებიც არ არის ადეკვატური ან ეფექტური (იხ. *Akdivar and Others v. Turkey*, 16 September 1996, § 67, Reports 1996IV), და ასეთი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების მცდელობას აუცილებლად ექნება „საბოლოო გადაწყვეტილების“ განსაზღვრისათვის შედეგები და შესაბამისად, ექვსთვიანი ვადის წესი ამოქმედების საწყისი წერტილის ათვლის მიზნებისთვის (შეადარეთ, მაგალითად, *Prystavka v. Ukraine* (dec.), no. 21287/02, 17 December 2002, and *Kucherenko v. Ukraine* (dec.), no. 41974/98, 4 May 1999).

265. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო სათანადოდ ითვალისწინებს მხარეთა მრავალ არგუმენტს იმ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა თუ არა პირველ მომჩივანს სათანადო *locus standi* სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე და 191¹ მუხლების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ მხარეებმა გაცვალეს მოსაზრებები იმ საკითხზე, რომ მას შემდეგ რაც აღარ იქნება თანამოპასუხე, პირველ მომჩივანს კვლავ ექნება თუ არა საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება ზემოაღნიშნული ორი დებულების საფუძველზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირველ მომჩივანს ექნებოდა საჩივრის წარდგენის სათანადო უფლება, ცხადია, რომ ეროვნული კანონმდებლობის და პრაქტიკის გათვალისწინებით აღნიშნული საჩივარი უნდა წარდგენილიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹, 419-ე და 420-ე მუხლების შესაბამისად, კერძოდ, იმ წესების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებს კერძო სააპელაციო საჩივრების განხილვას. ნამდვილად, უზენაესი სასამართლო პრაქტიკის, მათ შორის პირველი მომჩივნის მიერ წარდგენილი გადაწყვეტილებების განხილვა, თანმიმდევრულად მეტყველებს, რომ საჩივრები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ, იდენტური იყო იმდენად რამდენადაც მათი განხილვა ეხებოდა კერძო სააპელაციო საჩივრებს (იხ. პარაგრაფები 206, 208, 209-212 და 217 ზემოთ). კერძო სააპელაციო საჩივრების დამუშავება კოდექსის 197¹, 419-ე და 420-ე მუხლების შესაბამისად, თავის მხრივ გულისხმობდა, რომ ასეთი სააპელაციო საჩივარი პირველად წარდგენილი უნდა იყოს სასამართლოში, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია მხარის პროცედურული უფლებები და ინტერესები.

266. კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმის ფარგლებში განხილულის მსგავს ვითარებაში, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (საქმე N AS-806-773-2016) დაადგინა, რომ როდესაც ეროვნულმა სასამართლომ ვერ გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლში ჩამოთვლილი წინაპირობებიდან ერთ-ერთის მატერიალიზების შემდეგ, აღნიშნულის გასაჩივრება დაზარალებულ მხარეს შეეძლო კერძო სააპელაციო საჩივრის შეტანით იმავე კოდექსის 197¹ მუხლის შესაბამისად (იხ. 207-ე და 208-ე პარაგრაფები ზემოთ). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო აღნიშნავს, რომ კოდექსის 196-ე და/ან 199¹ მუხლების თანახმად, პირველი მომჩივნის მიერ საჩივრის შეტანის პროცედურულად ერთადერთი სწორი გზა თბილისის სააპელაციო სასამართლოში კერძო სააპელაციო საჩივრის შეტანა იქნებოდა, სწორედ იმ სასამართლოში, რომელმაც სავარაუდოდ ვერ შეძლო სადავო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება ამ კონკრეტულ მომჩივანთან დაკავშირებით ძირითადი სამართალწარმოების დასრულების შემდეგ. რადგან პირველი მომჩივანი ასე არ მოიქცა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მან არ გამოიყენა გაცხადებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები ოფიციალური მოთხოვნების და ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. როგორც ეს ინტერპრეტირებული და გამოყენებულია შიდა სასამართლოების მიერ. ეს უკანასკნელი გარემოება პირველი მომჩივნის 2016 წლის 17 ნოემბრის პროცედურულად ხარვეზიან საჩივარს ავტომატურად უკარგავს მნიშვნელობას ექვსთვიანი წესის გამოთვლის მიზნებისთვის (შეადარებისთვის იხ. მაგალითად, *Rezgui v. France* (dec.), no. 49859/99, 7 November 2000; *Polcarová v. the Czech Republic* (dec.) [Committee], no. 52256/15, § 58, 15 May 2018; and *Szasz v. Slovenia* (dec.) [Committee], no. 53257/13, §§ 24-27 10 October 2017).

267. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე და 199¹ მუხლებში გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები მოიცავს განსაკუთრებულ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში. სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც ეს იყო აღიარებული პირველი მომჩივნის მიერ და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საჩივრის შეტანა ზემოთ აღნიშნული დებულებებიდან ერთ-ერთის მიხედვით არ ექვემდებარებოდა დროში შეზღუდვას, თუმცა,

სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს ფართოდ დამკვიდრებულ პრეცედენტულ სამართალზე, რომლის მიხედვითაც, სასამართლო დაცვის საშუალებები, რომლებიც დროში ზუსტ შეზღუდვას არ ექვემდებარება, ქმნის გაურკვევლობას და მნიშვნელობას უკარგავს კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ექვსთვიანი ვადის წესს, არ წარმოადგენს ეფექტურ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს 35-ე მუხლის 1ლი პუნქტის მიხედვით (იხ. სხვა მრავალ წყაროებთან ერთად მაგალითად: *Galstyan v. Armenia*, no. 6986/03, § 39, 15 November 2007; *Williams v. the United Kingdom* (dec.), no. 32567/06, 17 February 2009; *Kolu v. Finland* (dec.), no. 56463/10, 3 May 2011; and *Denisov v. Russia* (dec.), no. 33408/03, 6 May 2004). მართლაც, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის ან მოხსნის მოთხოვნის შესაძლებლობა არ იყო რეგულირებული კონკრეტული დროის შეზღუდვით და მისი გამოყენება თავისუფლად იყო შესაძლებელი ნებისმიერ დროს, თუ გარკვეული გაუთვალისწინებელი გარემოებები გამოიკვეთებოდა, სამართლებრივი დაცვის საშუალებების ასეთი მახასიათებლები იწვევს მიუღებელ გაურკვევლობას, სასამართლო პროცესის საბოლოო გადაწყვეტილებასთან მიმართებით (შედარებისთვის იხ. მაგალითად, *Smadikov v. Russia* (dec.), no. 10810/15, §§ 39, 41, 46 and 49, 31 January 2017).

268. ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირველი მომჩივანი 2016 წლის 17 ნოემბრის საჩივარს პროცედურული ფორმლობების გათვალისწინებით შეიტანდა (იხ. ზემოთ 266-ე პარაგრაფში აღნიშნული მსჯელობა), აღნიშნული საჩივარი ვერ იქნებოდა მიღებული მხედველობაში ექვსთვიანი ვადის შეზღუდვის ათვლისთვის, რადგან იგი დაეყრდნობოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე და 199¹ მუხლებს, ორ განსაკუთრებულ დაცვის საშუალებას, რომლებიც არ თავსდებოდა შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების ნორმალურ ჯაჭვში, რომლებიც გათვალისწინებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განსახილველად (შეადარეთ, *mutatis mutandis* მაგალითად, *Martynets v. Russia* (dec.), no. 296¹2/09, 5 November 2009, and *AO "Uralmash" v. Russia* (dec.), no. 13338/03, 10 April 2003). ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ხდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გასაჩივრება სასამართლოში, გათვალისწინებულია სამართლებრივი დაცვის მხოლოდ ის საშუალებები, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულებრივი შიდა სამართალწარმოების ჯაჭვის ნაწილს, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისთვის, მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა, რომ მოგვიანებით ადგილი ჰქონოდა რაიმე სახის შესაძლო სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენებას არსებითი სასამართლო განხილვის პარალელურად. (იხ. მაგალითად: *RTBF v. Belgium*, no. 50084/06, §§ 90-91, ECHR 2011 (extracts); *Hachette Filipacchi Associés v. France* (dec.), no. 71111/01, 2 February 2006; and *Maurice v. France* (dec.), no. 11810/03, 6 July 2004).

269. ამგვარად, სასამართლო ასკვნის, რომ პირველი მომჩივნის 2016 წლის 17 ნოემბრის საჩივარი არ წარმოადგენდა სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებას კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისთვის. იგი განმარტავს, რომ თარიღი, როდესაც დაიწყო ექვსთვიანი ვადის ათვლა, იყო 2015 წლის 20 ნოემბერი, ეს იყო თარიღი, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ძალაში დატოვა სადავო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება (შედარებისთვის იხ. *Tucka v. the United Kingdom* (no. 1) (dec.), no. 34586/10, §§ 12-15, 18 January 2011; *Riedl Riedenstein and Others v. Germany* (dec.), no. 48662/99, 22 January 2002; and *Babinsky v. Slovakia* (dec.), no. 35833/97, 11 January 2000). თუმცა, რადგან პირველმა მომჩივანმა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მე-10 და მე-18 მუხლების და დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად საჩივრები 2017 წლის 3 მარტს შეიტანა, აღნიშნული საჩივრები მიუღებლად უნდა იქნეს ცნობილი კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების თანახმად.

2. „რუსთავი 2“-ის წილებზე საკუთრების დავის არსებით მხარესთან დაკავშირებული სამართალწარმოება

270. მთავრობამ განაცხადა, რომ რადგან პირველი მომჩივანი არ წარმოადგენდა საკუთრების შესახებ დავის მხარეს, მას არ გააჩნდა უფლება, საჩივარი წარმოედგინა ამ განხილვასთან მიმართებით კონვენციის დარღვევის შესახებ, კონვენციის 34-ე მუხლის გათვალისწინებით. მათ ასევე განაცხადეს, რომ თუ პირველი მომჩივანი მიიჩნევდა, რომ საკუთრების შესახებ დავამ გავლენა იქონია მის რომელიმე უფლებაზე, მას უნდა მიემართა სასამართლოსთვის და მოეთხოვა დავაში მესამე მხარედ ჩართვა დამოუკიდებელი სარჩელით ან მის გარეშე (ასევე იხ. 253-ე პარაგრაფი ზემოთ). ამასთან, მიუხედავად უმოქმედობისა, რაც სასამართლო პროცესში მესამე მხარედ ჩართულობას ეხებოდა, მთავრობამ განაცხადა, რომ პირველი მომჩივნის საჩივრები საკუთრების დავასთან დაკავშირებით მიჩნეული უნდა იქნეს მიუღებლად, რადგან შიდა დაცვის სამართლებრივი საშუალებები ამოწურული არ იყო კონვენციის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით.

271. პირველი მომჩივანი არ დაეთანხმა. პირველ რიგში მან განაცხადა, რომ რადგან მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნები, მისი მესაკუთრეები საკუთრების შესახებ უფლებებს იცავდნენ დავის მიმდინარეობისას, შესაბამისი შიდა სამართალწარმოება პირდაპირ გავლენას ახდენდა კონვენციით გათვალისწინებულ მის სხვადასხვა უფლებაზე. მეორე – პირველმა მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ ის ვალდებული არ იყო, მოეთხოვა მესამე მხარედ ჩართვა, რადგან ასეთი საჩივარი მისი აზრით, წასაგებად იქნებოდა განწირული. კერძოდ, პირველმა მომჩივანმა განაცხადა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლი, რომელიც სამართალწარმოებაში მესამე მხარის ჩართულობას განსაზღვრავს დამოუკიდებელი საჩივრის გარეშე – ფაქტიურად ვერ იქნებოდა გამოყენებული მოცემულ ვითარებაში, რადგან შიდა დებულების ტექსტის გათვალისწინებით, მისთვის შეუძლებელი იყო მტკიცება, რომ საკუთრების შესახებ დავის შედეგი გავლენას მოახდენდა მის სამოქალაქო უფლებებზე და პასუხისმგებლობებზე *vis-à-vis* მომჩივნის, ქ.ხ., ან მოპასუხეების, მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნების.

272. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი მომჩივნის არგუმენტები შეიცავს წინააღმდეგობას. ერთი მხრივ მან განაცხადა, რომ მომჩივანს, ქ.ხ.-ს უფლება თუ ექნებოდა, აღესრულებინა შიდა სასამართლოს საბოლოო განჩინება საკუთრების შესახებ დავაზე და გახდებოდა პირველი მომჩივნის ერთადერთი მესაკუთრე, პირველ მომჩივანს შეეზღუდებოდა უფლება, შეენარჩუნებინა სარედაქციო თავისუფლება ახალი მფლობელის ზემოქმედებისგან (იხ. პარაგრაფები 230 და 250 ზემოთ). მეორე მხრივ, პირველმა მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ საკუთრების შესახებ დავის შედეგი სავარაუდოდ ვერ მოახდენდა გავლენას მის სამოქალაქო უფლებებზე და პასუხისმგებლობებზე რომელიმე მხარის მიმართ.

273. სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ მაშინაც კი, თუ დავუშვებთ, რომ პირველი მომჩივანი მართალი იყო, როდესაც აცხადებდა, რომ ვერ ჩაერთვებოდა საკუთრების შესახებ დავაში მესამე მხარედ, ეს არგუმენტი კიდევ უფრო აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ „რუსთავი 2“ ვერ იქნება სუბიექტი საკუთრების შესახებ დავაში. პირველი მომჩივანი კომპანია, წარმოადგენდა საკუთრების შესახებ დავის ობიექტს მოსარჩელეს და მოპასუხეებს, მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივანებს შორის. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პირველი მომჩივანი აღიარებდა, რომ მისი უფლებები და სამართლებრივი ინტერესები ეროვნულ დონეზე წარმოდგენილი იყო მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნების მიერ. ამასთან, იგივე სამი მომჩივანი, როგორც პირველი მომჩივნის მესაკუთრეები, მათი უფლებების ფარგლებში განაგრძობენ ამ უკანასკნელის ინტერესების გაჟღერებას სასამართლოს წინაშე (იხ. პარაგრაფი 279 ქვემოთ). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველ მომჩივანს არ შეუძლია განაცხადოს, რომ დამოუკიდებელი და დაუცველი ინტერესი გააჩნია საკუთრების შესახებ დავასთან დაკავშირებით. თუმცა, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ფართოდ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, პირს არ შეუძლია გაასაჩივროს მისი კონვენციით მინიჭებული უფლებების დარღვევის შესახებ იმ სასამართლო განხილვის ფარგლებში, რომელზეც მხარეს არ წარმოადგენდა (იხ. მაგალითად, *Štimac and Kuzmin-Štimac v. Croatia* (dec.), no. 70694/12, § 50 27 September 2016; *Duran v. Turkey* (dec.), no. 79599/13, § 11, 19 May 2015; and *Kugler v. Austria* (dec.), no. 65631/01, 27 November 2008).

274. აქედან გამომდინარე, სასამართლო აღნიშნავს, რომ საკუთრების დავასთან დაკავშირებით პირველი მომჩივნის საჩივრები, მაშინაც კი, თუ დავუშვებთ, რომ ისინი თავსდება მიმდინარე საქმის ფარგლებში (იხ. პარაგრაფი 247 ზემოთ), არ შეესაბამება კონვენციის დებულებებს 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის გათვალისწინებით და უარყოფილი უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

III. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-18 მუხლისა და კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა, რაზეც დავობდა მეორე-მეოთხე მომჩივანი

275. მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივანი, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, დავობდნენ, რომ საკუთრების დავაზე სასამართლო განხილვა იყო უსამართლო, რადგან საბოლოო ეტაპზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, მოულოდნელად შეცვალა დავის სრული სამართლებრივი სტრუქტურა, რომელიც ვითარდებოდა ქვედა ინსტანციის სასამართლოებში სამართალწარმოების დროს. ამგავრად, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მაშინ, როდესაც დავა ქვედა ინსტანციის სასამართლომ განიხილა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თვალსაზრისით, უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გადაიტანა სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლზე.

276. ისინი, აგრეთვე, დავობდნენ, რომ უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში მოცემული საფუძვლები არ იყო საკმარისი და/ან იყო აშკარად თვითნებური და არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს.

277. სამი მომჩივანი ასევე დავობდა, რომ მოსამართლე თ. უ. (პირველი ინსტანციის სასამართლოში), მოსამართლეები ნ.გ. და შ.ყ. (თბილისის სააპელაციო სასამართლოში), მოსამართლე მ.თ. (უზენაეს სასამართლოში) და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აცილებული უნდა ყოფილყვნენ საკუთრების დავის განხილვისაგან, რადგან არსებობდა გარემოებები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდა მათ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, რაც არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამის პრინციპებს. რაც შეეხება მოსამართლე ნ.გ.-ს, მეორე-მეოთხე მომჩივანმა ეჭვქვეშ დააყენა მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ორი სხვადასხვა საფუძვლით: (i) მოსამართლე თ.უ.-სთან მისი სიახლოვის გამო, რადგან ორივე იყო მოსამართლეთა ასოციაციის დამფუძნებელი წევრი (იხ. პარაგრაფი 136 ზემოთ) და (ii) იმ ფაქტის გამო, რომ მოსამართლის მიმართ მიმდინარეობდა დისციპლინური სამართალწარმოება საკუთრების დავის განხილვის დროს (იხ. პარაგრაფი 141 ზემოთ).

278. მეორე-მეოთხე მომჩივანმა კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე, ეჭვქვეშ დააყენა საკუთრების დავის შედეგი.

279. ბოლოს, კონვენციის მე-18 მუხლზე მითითებით, დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში, სამმა მომჩივანმა შინაარსობრივად გაიმეორა პირველი მომჩივნის მოსაზრება, რომელიც ეხებოდა საკუთრების დავაზე სასამართლო განხილვაში სახელმწიფოს ჩარევას, რომელსაც ჰქონდა პირველი მომჩივნის გაჩუმების ფარული მიზანი.

280. კონვენციის შესაბამისი დებულებები მოცემულია 251-ე პარაგრაფში ზემოთ.

ა. მისაღებობა

1. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე საჩივრების მისაღებობა

(ა) მთავრობის არგუმენტები

281. რაც შეეხება მეორე-მეოთხე მომჩივნის საჩივრებს, რომლებიც ეხება სასამართლო განხილვის ბოლო ეტაპზე საკუთრების დავის სავარაუდო მოულოდნელ გადაკვალიფიცირებას სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლიდან 85-ე მუხლზე, მთავრობამ პოზიცია დააფიქსირა, რომ ეს საჩივრები იყო აშკარად დაუსაბუთებელი. კერძოდ, საქმის შესაბამის გარემოებებზე მითითებით, მთავრობამ განაცხადა, რომ ფაქტობრივად, საკუთრების დავა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ განხილული იყო სამოქალაქო კოდექსის ორივე მუხლის – 54-ე და 85-ე მუხლების შესაბამისად. ამდენად, მეორე-მეოთხე მომჩივანს ჰქონდა სათანადო შესაძლებლობა, რომ ქვედა ინსტანციებში სასამართლო განხილვისას ჩამოეყალიბებინათ და განემარტათ საკუთარი პოზიცია ორივე სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით. ასეთ ვითარებაში, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი საქმის გარემოებების მიმართ, არ წარმოადგენდა სიახლეს, რასაც ადგილი ჰქონდა საბოლოო ეტაპზე. აგრეთვე, მეორე-მეოთხე მომჩივნის მიმართ, ადგილი არ ჰქონია არავითარ უსამართლობას, რომელიც წარმოიშვებოდა უზენაეს სასამართლოში ზეპირი მოსმენის არარსებობის გამო. მთავრობა აცხადებდა, რომ უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, რომ კანონის საფუძველზე, უარი ეთქვა ამგვარ მოსმენაზე, არ არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ ინსტანციის ფარგლებში განიხილული იქნა მხოლოდ სამართლებრივი საკითხები. მთავრობა ასევე აცხადებდა, რომ იმ ფაქტმა, რომ მეორე მომჩივანს შეეძლო უზენაეს სასამართლოში წარედინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, მაშინ, როცა მოწინააღმდეგე ქ.ხ., რომელმაც არ წარადგინა რაიმე საპასუხო კომენტარი (იხ. პარაგრაფი 158 ზემოთ), შესაბამისი მომჩივნები უპირატეს პოზიციაში ჩააყენა მის ოპონენტთან პირისპირ.

282. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ მეორე-მეოთხე მომჩივნის საჩივრები იმის შესახებ, რომ უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება შეიცავდა არასათანადო და/ან თვითნებურ დასაბუთებას, იყო, აგრეთვე, აშკარად დაუსაბუთებელი. მეორე-მეოთხე მომჩივნის საჩივრები ყურადღებით იქნა შესწავლილი უზენაესი სასამართლოს მიერ, რომელმაც პასუხი გასცა მათ მიერ წარდგენილ თითოეულ საკითხს. მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შესაბამისი მომჩივნები სასამართლოს წინაშე არ დავობდნენ, რომ უზენაესმა სასამართლომ საკუთრების დავა განიხილა უყურადღებოდ ან დაუშვა დაუდევარი ტექნიკური ხასიათის შეცდომები ან არასწორად განმარტა მათი არგუმენტები (მთავრობამ მოიხსენია საქმე *Donadze v. Georgia*, no. 74644/01, §§ 16 და 31-40, 2006 წლის 7 მარტი). მთავრობამ დეტალური მითითება გააკეთა მეორე-მეოთხე მომჩივნის კონკრეტულ პრეტენზიებზე და სთხოვა სასამართლოს, ყურადღება გაემახვილებინა იმ ფაქტზე, რომ უზენაესმა სასამართლომ განიხილა ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებული მათი არგუმენტები და გაეცა დამაჯერებელი და გონივრული პასუხები შესაბამის შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე

დაყრდნობით. კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ გარკვევით და სათანადოდ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადებიდან გამომდინარე, როგორც *lex specialis*, და აგრეთვე, ამავე კოდექსის 1008-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის გამოყენება ამ საქმის გარემოებების მიმართ არ იყო ხანდაზმულობის ვადით შეზღუდული (იხ. პარაგრაფები 166-168 ზემოთ).

283. რაც შეეხება საკუთრების დავის განხილვაში ჩართული მოსამართლეების დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას, მთავრობამ პოზიცია დააფიქსირა ზოგიერთი საჩივრის მისაღებობასთან დაკავშირებით. კერძოდ, მან განაცხადა, რომ საჩივრები მოსამართლე ნ.გ.-ს მიმართ, რამდენადაც ამ ერთ კონკრეტულ მოსამართლესთან დაკავშირებული პრეტენზია ეხებოდა მის წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინურ სამართალწარმოებას (იხ. პარაგრაფი 277 ზემოთ) და მოსამართლე შ.ყ.-ს მიმართ იყო მიუღებელი, რადგან ამოწურული არ იყო დავის შიდასამართლებრივი საშუალებები, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად. მთავრობამ აღნიშნა ის ფაქტი, რომ შესაბამისი საჩივრები ამ ორი მოსამართლის მიმართ, რომ მოეხდინათ თვითაცილება, არასოდეს ყოფილა არსებითად განხილული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისი საპროცესო დებულებების საფუძველზე (იხ. პარაგრაფები 141-142 ზემოთ).

284. მთავრობას არ გაუპროტესტებია იმ საჩივრების მისაღებობა, რომლებიც ეხებოდა მოსამართლე თ.უ.-ს; მოსამართლე ნ.გ.-ს, რამდენადაც საეჭვო იყო ამ უკანასკნელის სავარაუდო სიახლოვე, მოსამართლე თ.უ.-სთან; მოსამართლე მ.თ.-სა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, და წარმოადგინა თავისი არგუმენტები მხოლოდ საჩივრის არსებით მხარესთან მიმართებით (იხ. პარაგრაფი 277 ზემოთ და პარაგრაფები 323-328 ქვემოთ).

(ბ) მეორე-მეოთხე მომჩივნის არგუმენტები

285. მეორე-მეოთხე მომჩივანი აცხადებდა, რომ უზენაესმა სასამართლომ მოულოდნელად სრულად შეცვალა ის სამართლებრივი საფუძველი, რომლის შესაბამისად საკუთრების დავა თავდაპირველად იქნა განხილული. შედეგად, სამი მომჩივანი დავობდა, რომ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, წარედგინათ არგუმენტები (ზეპირად ან წრილობით) სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენდა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დარღვევას. მათ განაცხადეს, რომ უზენაეს სასამართლოს არ ჰქონდა 85-ე მუხლის გამოყენების უფლება, რადგან მათ წარადგინეს საკასაციო საჩივარი სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად. სხვა სიტყვებით, უზენაესი სასამართლო გასცდა მათი საჩივრის ფარგლებს. 85-ე მუხლის გამოყენება საკუთრების დავასთან დაკავშირებული გარემოებების მიმართ იმ სიტუაციაში, როდესაც ქვედა ინსტანციის ორმა სასამართლომ ეს საქმე განიხილა მხოლოდ 54-ე მუხლის შესაბამისად, უტოლდებოდა ახალი ფაქტობრივი გარემოებების შექმნას. სამი მომჩივანი ასევე აცხადებდა, რომ თუ უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ 85-ე მუხლი წარმოადგენდა *lex specialis* განსახილველი დავის შემთხვევაში, მას თვითონ არ უნდა გადაეწყვიტა საქმე და უნდა დაებრუნებინა დაბალი ინსტანციის სასამართლოებისთვის ხელახალი განხილვისთვის. უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის მიხედვით განხილვა, ამ სამართლებრივი მიდგომის უეცარი ცვლილების შესახებ ნებისმიერი წინასწარი შეტყობინების გარეშე, და ზეპირ მოსმენაზე უარის თქმა წარმოადგენდა „სამართლებრივ სიახლეს“, რამაც გააკვირვა მომჩივნები და დაარღვია არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის დებულებები, არამედ დატოვა ისინი ეფექტური შესაძლებლობის გარეშე, რომ წარედგინათ მათი სამართლებრივი არგუმენტები.

286. მეორე-მეოთხე მომჩივნის აზრით, უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში მოცემული არგუმენტები ეყრდნობოდა შიდა კანონმდებლობის არასწორად განმარტებასა და საქმის მასალების არასწორ შეფასებას. ისინი თავის ვრცელ განცხადებებში ამბობდნენ, რომ მათ პრეტენზიაზე საპასუხოდ, უზენაეს სასამართლოს სათანადოდ არ განუმარტავს, თუ რატომ არ იყო შეზღუდული ამ საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის გამოყენება 89-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის მიხედვით, ეს უკანასკნელი წარმოადგენს *lex specialis* 85-ე მუხლთან მიმართებით. მეორე-მეოთხე მომჩივანმა ასევე გააპროტესტა უზენაესი სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლში მოცემული ხანდაზმულობის ვადის შესახებ დებულების გამოყენება, რადგან ეს უკანასკნელი იყო სრულად შეუსაბამო სახელშეკრულებო ურთიერთობებში იძულების საკითხის განხილვისთვის. მეორე-მეოთხე მომჩივნის აზრით, უზენაესმა სასამართლომ ასევე ვერ შეძლო სათანადოდ აეხსნა, რომელი მტკიცებულებებით დაადგინა, შესაძლებლობების ბალანსის გამოყენებით, ის ფაქტი, რომ ქ.ბ. იძულებული იყო ხელი მოეწერა წილების შესყიდვის 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულებებზე. სამი მომჩივანი ასევე ჩიოდა, რომ სისხლის

სამართლის 2008 წლის 1 დეკემბრის საჩივარი, რომელშიც სავარაუდოდ ქ.ბ., აღწერდა მასზე განხორციელებული ზეწოლის გარემოებებს, არ ფიგურირებდა სამოქალაქო საქმის მასალებში, მიუხედავად იმისა, რომ ის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში მოხსენებული იყო, როგორც მნიშვნელოვანი მტკიცებულება. იმ შემთხვევაშიც კი, რომ მოსარჩელე ქ.ბ.-ს ნამდვილად წარედგინა სისხლის სამართლის საჩივარი 2008 წლის 1 დეკემბერს, სამი მომჩივანი, ადგილობრივი სამართლებრივი ექსპერტის კომენტარზე მითითებით, დავობდა, რომ სისხლის სამართლის საჩივრის უბრალოდ აღძვრა არ შეიძლებოდა საკმარისი ყოფილიყო იმისათვის, რომ გავლენა მოეხდინა სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლით განსაზღვრული ვადის ათვლაზე. კერძოდ, სხვებს შორის, მომჩივნების მიერ წარდგენილი სამართლებრივი კომენტარები შეიცავდა განცხადებას, რომელიც არ იყო გამყარებული სასამართლო პრაქტიკით, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას არ შეეძლო გამოეწვია ხელშეკრულების გაუქმების უფლებით სარგებლობა 89-ე მუხლის შესაბამისად.

287. რაც შეეხება მთავრობის პოზიციას იმ საჩივრების მისაღებობის თაობაზე, რომლებიც ეხებოდა მოსამართლე ნ.გ.-სა, რამდენადაც მასთან დაკავშირებული საჩივარი ეხებოდა მის მიმართ აღძრულ დისციპლინურ სამართალწარმოებას (იხ. პარაგრაფი 284 ზემოთ) და მოსამართლე შ.ყ.-ს დამოუკიდებლობასა და მოიუკერძოებლობას, მეორე-მეოთხე მომჩივანმა განაცხადა, რომ 2016 წლის 7 და 9 ივნისს აცილების შესახებ შესაბამისი წერილობითი შუამდგომლობის წარდგენით (იხ. პარაგრაფები 141 და 142 ზემოთ) მათ სათანადოდ ამოწურეს დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებები. მოსამართლე ნ.გ.-სთან დაკავშირებით მეორე მომჩივანი, აცილების შესახებ შუამდგომლობის ასლის წარდგენის გარეშე, ამტკიცებდა, რომ მან პირველ მომჩივანთან ერთად მოსამართლესთან დაკავშირებით პირველად პრეტენზიები წარადგინა 2016 წლის 3 ივნისს. რაც შეეხება მათი საჩივრის დანარჩენ ნაწილს, რომელიც ექვეყნეშ აყენებს მოსამართლე თ.უ.-ს; მოსამართლე ნ.გ.-ს, რამდენადაც საექვო იყო მისი სავარაუდო სიახლოვე მოსამართლე თ.უ.-სთან; მოსამართლე მ.თ.-სა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დამოუკიდებლობასა და მოიუკერძოებლობას, მთავრობის მხრიდან შეპასუხების არარსებობის გათვალისწინებით, (იხ. პარაგრაფი 284 ზემოთ), სამი მომჩივანი აცხადებდა, რომ ეს საჩივრები ასევე გამოცხადებული უნდა ყოფილიყო მისაღებად.

(გ) სასამართლოს შეფასება

(i) ბოლო ინსტანციის სასამართლო განხილვისას საკუთრების დავაზე სამართლებრივი გადახედვის გაუმართლებელ ცვლილებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის მისაღებობა

288. თავდაპირველად, და მეორე-მეოთხე მომჩივნის არგუმენტების საპასუხოდ, სასამართლო იმეორებს, რომ მისი ფუნქცია არ არის განსაზღვროს, დაიცვას თუ არა შიდა სასამართლოებმა საკუთრების დავის განხილვისას მატერიალური ან საპროცესო კანონმდებლობის ნორმები (მაგალითისთვის იხ. *Bochan v. Ukraine* (no. 2) [GC], no. 22251/08, § 61, 2015 წლის 5 თებერვალი). შესაბამისად, კონვენციიდან გამომდინარე, სრულიად არაარსებითია, შეეძლო თუ არა უზენაეს სასამართლოს, შიდაკანონმდებლობის შესაბამისად, გაეუქმებინა თბილისის სააპელაციოს სასამართლოს გადაწყვეტილება და 2017 წლის 2 მარტს მიეღო დავასთან დაკავშირებული საბოლოო გადაწყვეტილება ქვედა ინსტანციის სასამართლოებისათვის საქმის ხელახლა განსახილველად გადაგზავნის გარეშე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლაში არაფერია უჩვეულო, ისევე როგორც მის მიერ სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით საბოლოო, საკასაციო ინსტანციის, გადაწყვეტილების მიღებაში (კერძოდ, იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლი, რომელიც მითითებულია 199-ე პარაგრაფში ზემოთ; და მაგალითისთვის, შეადარეთ *G.S. v. Georgia*, no. 361/13, §§ 25 27, 2015 წლის 21 ივლისი; *Gogitidze and Others v. Georgia*, no. 6862/05, § 36, 2015 წლის 12 მაისი, და *Gorelishvili v. Georgia*, no. 12979/04, §§ 1619, 2007 წლის 5 ივნისი).

289. სასამართლოს წინაშე დასმული საკითხი არ ეხება იმას, საკუთრების დავაზე გადაწყვეტილების მიღებისას, უზენაესმა სასამართლომ დაარღვია თუ არა შიდასაპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ფარგლები, (შეადარეთ *Sotiris და Nikos Koutras ATTEE v. Greece*, no. 39442/98, § 17, ECHR 2000XII), არამედ ეხება იმას, გამოიწვია თუ არა მისმა საბოლოო გადაწყვეტილებამ საპირისპირო პროცესსა და დაცვის საშუალებების თანასწორად მიღებაზე მეორე-მეოთხე მომჩივნის უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად. აღნიშნულთან დაკავშირებით, ერთადერთი შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც სამმა მომჩივანმა სასამართლოს წინაშე გააჟღერა, არის მათ მიერ იმაზე მითითება, რომ სასამართლოს ბოლო, საკასაციო ინსტანციაზე, სავარაუდოდ შეიცვალა სამართლებრივი განხილვის მიდგომა (იხ. პარაგრაფი 285 ზემოთ). სასამართლო, არ გამორიცხავს, რომ პრინციპულად, სასამართლოს ბოლო და უმაღლეს ინსტანციაზე, სასამართლო

განხილვასთან დაკავშირებულმა მოულოდნელმა ცვლილებამ, კონკრეტულ გარემოებებში, მომჩივანი, მოპასუხესთან მიმართებით, შეიძლება დააყენოს არახელსაყრელ მდგომარეობაში მის მიერ შესაბამის სასამართლოზე გავლენის მოხდენის მიზნით, სამართლებრივი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობის თვალსაზრისით. (იხ. *mutatis mutandis*, *Súsanna Rós Westlund v. Iceland*, no. 42628/04, §§ 40-41, 2007 წლის 6 დეკემბერი). აგრეთვე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, საკუთრების დავასთან მიმართებით სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, მოეთხოვებოდათ შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა (მაგალითისთვის იხ. *Clinique des Acacias and Others v. France*, nos. [65399/01](#) and 3 others, § 38, 2005 წლის 13 ოქტომბერი, და *Skondrianos v. Greece*, nos. [63000/00](#) and 2 others, §§ 29-30, 2003 წლის 18 დეკემბერი).

290. მიუხედავად ამისა, მომჩივანთა თავდაპირველი პრეტენზიების საწინააღმდეგოდ, მთავრობისთვის საქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან და მხარეთა მიერ დამატებითი არგუმენტების წარდგენის შემდეგ ნათელი გახდა, რომ საკუთრების დავა, სამოქალაქო კოდექსისი მხოლოდ 54-ე მუხლის საფუძველზე არასოდეს განხილულა ქვედა ინსტანციის – თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს დონეზე. პირიქით, ქ.ბ.-ს 2015 წლის 4 აგვისტოს სამოქალაქო სარჩელიდან და აგრეთვე, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებში მოცემული სამართლებრივი საფუძვლებიდანაც ირკვევა, რომ სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი მუდმივად განიხილებოდა სამართალწარმოების განმავლობაში. მეორე-მეოთხე მომჩივანს ჰქონდა საკმარისი შესაძლებლობა, რათა 85-ე მუხლთან მიმართებით შიდა სასამართლოებში წარედგინა საკუთარი არგუმენტები, და პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა სათანადოდ განიხილეს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში (იხ. პარაგრაფები 75, 81, 110-11 და 145 ზემოთ). სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ მეორე-მეოთხე მომჩივანი პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ დაცვით სიტყვაში აღნიშნავდა, რომ საკუთრების დავასთან დაკავშირებულ გარემოებებთან მიმართებით სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 85-89 მუხლები და არა 54-ე მუხლი (იხ. პარაგრაფი 82 ზემოთ). აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგოდ, როდესაც სამივე მომჩივანმა განაცხადა, რომ საქმე განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლო უცნაურად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ არსებული დროისათვის, ისინი აკრიტიკებდნენ უზენაეს სასამართლოს აღნიშნული სამართლებრივი დებულების გამოყენებისთვის.

291. გარდა ამისა, სასამართლო ვერ ადგენს, რომ ქ.ბ.-ს მეორე-მეოთხე მომჩივანთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა უზენაეს სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებისას. ორივე მხარეს მიეცა თანაბარი შესაძლებლობა წარედგინათ წერილობითი მოსაზრებები, და არცერთ მათგანს არ შეეძლო წარედგინა ახალი ფაქტობრივი მტკიცებულება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე (იხ. *Súsanna Rós Westlund*, მოცემულია 71-ე პარაგრაფში ზემოთ). უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ მეორე-მეოთხე მომჩივანი მოწინააღმდეგესთან მიმართებით, იყო პროცედურულად უპირატეს მდგომარეობაში, იქედან გამომდინარე, რომ გარდა სხვა სამართლებრივი საკითხებისა, მხოლოდ მათ მიეცათ შესაძლებლობა, უზენაესი სასამართლოს წინაშე წარედგინათ სასამართლოს მეგობრის მოკლე მიმართვა, სხვებს შორის, სამოქალაქო კოდექსის 85-ემუხლის თაობაზე (იხ. პარაგრაფი 158 ზემოთ). რაც შეეხება მეორე-მეოთხე მომჩივანის პრეტენზიას, რომ მათ არ განუხილავთ სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი საკუთარ სამართლებრივ არგუმენტაციაში, სასამართლო ვერ ხედავს თუ რა მხრივ შეიძლება მიეწეროს აღნიშნული ფაქტი უზენაეს სასამართლოს. მომჩივანებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ, რომ 85-ე მუხლი, 54-ე მუხლთან ერთად, მითითებული იყო მოსარჩელე ქ.ბ.-ს მიერ, და რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლომაც აღნიშნული სამართლებრივი დებულებები განიხილა საკუთარ გადაწყვეტილებებში. თუ, ზემოაღნიშნული გარემოებებისა და მიუხედავად, მომჩივანებმა გადაწყვიტეს, რომ 85-ე მუხლი არ განეხილათ საკუთარ სამართლებრივ არგუმენტაციაში, აღნიშნული გამოწვეული იყო მათი უმოქმედობით ან ტაქტიკური არჩევნით, და ნებისმიერ შემთხვევაში, მათ უნდა გაითვალისწინონ საკუთარი მიდგომის თანმდევი სამართლებრივი მოვლენები უზენაესი სასამართლოს წინაშე მოცემულ საქმესთან დაკავშირებით (შეადარეთ, *mutatis mutandis*, *Roberts and Roberts v. the United Kingdom* (dec.), no. [38681/08](#), § 37, 2011 წლის 5 ივლისი).

292. სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საკუთრების დავა განეხილა სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის ჭრილში, რომელზეც პირველად მიუთითა მოსარჩელემ და რომელიც განიხილეს ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა, იყო სამართლებრივი და არა ფაქტობრივი შეფასება (იხ. პარაგრაფი 165 ზემოთ). არსებითად, უზენაესმა სასამართლომ, საქმისთვის ორივე მხარის მიერ წარდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით, მხოლოდ მკაფიოდ წარმოაჩინა საქმის

სამართლებრივი მხარე და დადასტურა მოსარჩელის არგუმენტაცია იძულებასთან მიმართებით, რომელსაც საქმის აღძვრის მომენტიდანვე ეწინააღმდეგებოდა მეორე-მეოთხე მომჩივანი. შედეგად, არ შეიძლება ითქვას, რომ დარღვეულ იქნა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები (შეადარეთ ძალიან მსგავს გარემოებებს შემდეგ საქმეში *APBP v. France*, no. [38436/97](#), §§ 30-34, 2002 წლის 21 მარტი). ამ უკანასკნელი დასკვნის შესაბამისად, ფაქტი, რომ უზენაესმა სასამართლომ აღარ ჩაატარა ზეპირი მოსმენები, ვერ წარმოშობს სადავო საკითხებს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად. საკასაციო ინსტანციას ჰქონდა სრული შესაძლებლობა, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ შესაბამისი სამართლებრივი დებულებების ინტერპრეტაციები სათანადოდ განეხილა მხოლოდ მხარეთა მიერ წარდგენილი წერილობითი მოსაზრებებისა და საქმესთან დაკავშირებული სხვა მასალების საფუძველზე, მითუმეტეს, რომ ქვედა ორი ინსტანციის სასამართლოში ორივე მხარის არაერთი ზეპირი მოსმენა გაიმართა (იხ. როგორც აღნიშნული ქვეყნისთვის სპეციფიური საქმეები, *Rizhamadze v. Georgia*, no. [2745/03](#), §§ 37-40, 2007 წლის 31 ივლისი და *Gogoladze v. Georgia*, no. [4683/03](#), §§ 31-37, 2007 წლის 11 დეკემბერი).

293. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბოლო ინსტანციის სასამართლო განხილვისას საკუთრების დავაზე სამართლებრივი განხილვის გაუმართლებელ ცვლილებასთან დაკავშირებით მეორე-მეოთხე მომჩივნის მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს, არსებითად დაუსაბუთებელია და უნდა იქნეს უარყოფილი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (a) და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

(ii) უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში არასაკმარისი და/ან თვითნებური მსჯელობის თაობაზე საჩივრის მისაღებობა

294. მხარეთა მიერ წარმდგენილი მოსაზრებების შესაბამისად, სასამართლო განსაზღვრავს, რომ მეორე-მეოთხე მომჩივნის არგუმენტები უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებასთან მიმართებით, ძირითადად კონცენტრირებული იყო სამ მოთხოვნაზე:

- უზენაესმა სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა 85-ე მუხლით გათვალისწინებულ იძულებასთან მიმართებით, აღნიშნულის მაგივრად მას უნდა გამოეყენებინა ამავე კოდექსის 89-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა;
- ქ.ბ.-ს მიერ 2008 წლის 1 დეკემბერს სისხლისსამართლებრივი საჩივრის წარდგენა არ შეიძლება დადასტურდეს, რადგან სამოქალაქო საქმის მასალებში არ არსებობს მისი ასლი, და ნებისმიერ შემთხვევაში, ამგვარი სარჩელი ვერ შეაჩერებდა ხანდაზმულობის ვადის დინებას;
- უზენაესმა სასამართლომ ვერ განმარტა, თუ რომელი მტკიცებულებით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელე ქ.ბ.-მ იძულებით დათმო „რუსთავი 2“-ის წილები.

295. სასართლო იმეორებს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უფრო მეტი ფარგლები აქვთ სამოქალაქო უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას ვიდრე სისხლისსამართლებრივ საქმეებთან მიმართებით (იხ. სხვა საქმეებს შორის, *Levages Prestations Services v. France*, no. [21920/93](#), § 46, 1996 წლის 23 ოქტომბერი, და *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, §32, no. [14448/88](#), 1993 წლის 27 ოქტომბერი). შესაბამისად, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები სამოქალაქო უფლებებთან მიმართებით ნაკლებ სირთულეებს წარმოშობს, ვიდრე სისხლისსამართლებრივ ბრალდებებთან მიმართებით (იხ. *Bartaia v. Georgia*, no. [10978/06](#), §§ 28 და 32, 2018 წლის 26 ივლისი; იხ. ასევე *König v. Germany*, no. [6232/73](#), § 96, 1978 წლის 28 ივნისი). გარდა ამისა, თავისი ხანგრძლივი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის შიდა სასამართლოთა ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომების განხილვა, თუ ამგვარი დარღვევები არ ხელყოფს კონვენციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს, მაგალითად, როდესაც კონკრეტულად შეიძლება ითქვას, რომ ისინი წარმოადგენენ კონვენციის მე-6 მუხლთან შეუსაბამო „უსამართლობის“ საფუძველს. აღნიშნული დებულება უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, იგი არ ადგენს მტკიცებულებათა მისაღებობის წესებს ან იმ მეთოდებს, რომელთა მიხედვითაც აღნიშნული მტკიცებულებები უნდა შეფასდეს. აღნიშნული განეკუთვნება შიდა კანონმდებლობისა და სასამართლოების კომპეტენციას. როგორც წესი, შიდა სასამართლოების მიერ მტკიცებულებათა შეფასება და მათთვის მნიშვნელობის მინიჭება არ განეკუთვნება სასამართლოს განხილვის საგანს. სასამართლო არ უნდა მოქმედებდეს როგორც მეოთხე ინსტანციის ორგანო და შესაბამისად მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ქრილში არ განიხილავს შიდა სასამართლოთა გადაწყვეტილებებს თუ აღნიშნული გადაწყვეტილებები არ იქნება მიჩნეული მიკერძოებულად და არსებითად დაუსაბუთებლად. „შეფასების აშკარა ხარვეზის“ ცნებასთან დაკავშირებული მოსაზრების თანახმად (*une erreur manifeste d'appréciation* – საფრანგეთის ადმინისტრაციული სამართლის პრინციპი), როგორც იგი გამოყენებულია კონვენციის მე-6 მუხლის 1-

ლი პუნქტის ფარგლებში, თუ შიდა სასამართლოს მიერ სამართალთან ან ფაქტთან მიმართებით შეცდომა იმდენად აშკარაა, რომ ობიექტური შემფასებლის შეხედულებით, ასეთი გადაწყვეტილება არცერთ სასამართლოს არ უნდა მიეღო, ამგვარი არსებითი შეცდომა შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც პროცესის სამართლიანობის დარღვევა (მაგალითისთვის შეადარეთ, *Bochan v. Ukraine (no. 2)* [GC], no. [22251/08](#), §§ 61-62, ECHR 2015).

296. რაც შეეხება მეორე-მეოთხე მომჩივნის პირველ მოთხოვნას, რომელიც ეხება უზენაესი სასამართლოს სავარაუდო უმოქმედობას, იძულებასთან მიმართებით 89-ე მუხლის საფუძველზე კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გამოყენებასთან დაკავშირებით (იხ. პარაგრაფი 286 ზემოთ), სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მოთხოვნა არსებითად დაუსაბუთებელია. 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ 89-ე მუხლში მითითებული ხანდაზმულობის ვადა საქმის გარემოებებს სპეციფიურად ეხება 85-ე მუხლთან ერთად. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ქ.ბ. იმყოფებოდა იძულების განგრძობით მდგომარეობაში 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, რამაც გამოიწვია ქვეყანაში მმართველი ძალის ცვლილება. საკასაციო ინსტანციმ შემდეგ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლზე, რომელიც ეხება ხანდაზმულობის ვადის ათვლის შეწყვეტის ზოგად წესს. აღნიშნულთან დაკავშირებით, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ქ.ბ.-მ, 2008 წლის 1 დეკემბერს სისხლისსამართლებრივი საჩივრის წარდგენით, 138-ე მუხლის მნიშვნელობით, შეწყვიტა 89-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა. სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლის საფუძველზე არსებული მდგომარეობის ანალიზზე დამატებით, უზენაესმა სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა რომ იძულების აქტი იმდენად აშკარა იყო, რომ შესაძლებელი იყო მისი მიჩნევა სამოქალაქო დელიქტად, და სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის საფუძველზე, სამოქალაქო დელიქტთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის წარსადგენად ხანდაზმულობის ვადა მოიცავს სამ წელს. ამრიგად, უზენაესმა სასამართლომ მსჯელობა წარმართა ალტერნატიული მიმართულებით, და განაცხადა, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ მდგომარეობას მივიჩნევდით სამოქალაქო დელიქტად, 1008-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა 138-ე მუხლის ფარგლებში მაინც შეწყვეტილად ჩაითვლებოდა, რადგან სისხლისსამართლებრივი საჩივარი წარდგენილ იქნა 2008 წლის 1 დეკემბერს. სხვა სიტყვებით, ერთი და იგივე შედეგი დადგებოდა – კერძოდ, ხანდაზმულობის ვადა იქამდე შეწყდებოდა ვიდრე მდგომარეობა გაუტოლდებოდა იძულების ან დელიქტის ფარგლებს – იმისდა მიუხედავად, გამოყენებული იქნებოდა 89-ე მუხლის ერთწლიანი ვადა თუ სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის სამწლიანი ვადა.

297. სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ უზენაესი სასამართლოს დასკვნები ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით, ეხმაურება კარგად დამკვიდრებულ შიდა სასამართლო პრაქტიკას (იხ. პარაგრაფები 219 და 220 ზემოთ). განსაკუთრებულ საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საქმეში N. 3 / 1186-01, რომლის თანახმადაც, არ შეიძლება ითქვას, რომ უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება იყო შეუსაბამო წინა შიდა სასამართლო პრაქტიკასთან. სასამართლო კვლავ ადგენს, რომ მეორე-მეოთხე მომჩივანმა ძალიან კარგად იცოდა ზემოაღნიშნული შიდა სამართლებრივი პრაქტიკის არსებობა სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე და 138-ე მუხლებთან დაკავშირებით – სისხლისსამართლებრივი საჩივრის შეტანის გზით შესაბამისი ერთწლიანი ვადის შეწყვეტა – იმიტომ, რომ ეს იყო მეორე მომჩივნის მიერ 2016 წლის 16 თებერვალს წარდგენილი საკონსტიტუციო სარჩელის საგანი (იხ. პარაგრაფი 133 ზემოთ). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება ითქვას, რომ უზენაესმა სასამართლომ იძულებასთან მიმართებით თავიდან აიცილა სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა, ან შეცდა შესაბამისი შიდა კანონმდებლობის განმარტებისას, როდესაც დაადგინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის შესაბამისად, შესაბამისი ხანდაზმულობის ვადა გავიდა (შეადარეთ, მაგალითად, *Andelković v. Serbia*, no. 1401/08, § 27, 1401/08, §27, 2013 წლის 9 აპრილი).

298. რაც შეეხება მეოთხე მომჩივნის პრეტენზიას, 2008 წლის 1 დეკემბრის სამოქალაქო საქმის მასალებში თავდაპირველი სისხლის სამართლის საჩივრის არარსებობის შესახებ, სასამართლო აღნიშნავს, რომ არც სამი მომჩივანი აპროტესტებს ამ სისხლის სამართლის საჩივრის არსებობას შიდა დონეზე. მეორე-მეოთხე მომჩივანი ამ საქმესთან დაკავშირებით მხოლოდ პასუხობს ქ.ბ.-ს მითითებას, რომ „სისხლის სამართლის საჩივრის არსებობის უბრალო ფაქტი ... საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ ძალადობის ფაქტი დადგენილიყო ...“ (იხ. პარაგრაფი 81 ზემოთ). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საქმის მასალები შეიცავს ქ.ბ.-ს 2009 წლის 28 იანვრისა და 12 მარტის შემდგომი ორი სისხლის სამართლის საჩივრის ასლს, რომელთა დოკუმენტები 2008 წლის 1 დეკემბრის სისხლის სამართლის საჩივრის შინაარსს იმეორებდა. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ ქ.ბ.-მ სისხლის სამართლის საჩივარი წარადგინა 2008 წლის 1 დეკემბერს

ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, რადგან ასახული იყო 2008 წლის სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშში და ასევე, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში „რუსთავი 2“-ის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ (იხ. პარაგრაფები 222 და 223 ზემოთ). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვერ იზიარებს მეორე-მეოთხე მომჩივნის პრეტენზიას, რომ სამოქალაქო საქმის მასალებში 2008 წლის 1 დეკემბრის სისხლისსამართლებრივი საჩივრის არარსებობამ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები გახადა ამკარად დაუსაბუთებელი (შეადარეთ, *Khamidov v. Russia*, №72118/01, § 174, 2017 წლის 15 ნოემბერი).

299. და ბოლოს, მეორე-მეოთხე მომჩივნის მტკიცების შესახებ, რომ უზენაესმა სასამართლომ ვერ დააკონკრეტა, რა მტკიცებულებებმა დაადასტურა ძალადობის ფაქტი, სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესმა სასამართლომ შემდეგი მტკიცებულებები მოიხსენია:

(i) 2008 წლის 1 დეკემბრის ქ.ბ.-ს თავდაპირველი სისხლისსამართლებრივი საჩივარი, აგრეთვე მისი ორი შემდგომი 2009 წლის 28 იანვრისა და 12 მარტის სისხლისსამართლებრივი საჩივარი, რომლის ფარგლებშიც იგი პროკურატურის ორგანოებს გამუდმებით მიუთითებდა იძულების შემცველ ფაქტებზე;

(ii) ის ფაქტი, რომ 2009 წლის 21 აპრილს ქ.ბ.-მ, რომელმაც იმ დროისთვის საქართველო დატოვა სახელმწიფოს მხრიდან დევნის გამო, გერმანიაში პოლიტიკური თავშესაფარი მიენიჭა;

(iii) ის ფაქტი, რომ ქ.ბ.-ს დევნა იქნა აღნიშნული აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2009 წლის ადამიანის უფლებათა შესახებ ანგარიშში;

(iv) ის ფაქტი, რომ 2012 წლის ოქტომბერში მმართველ ძალებში ცვლილებების შემდეგ საქართველოს პარლამენტმა ქ.ბ.-ს წინა მმართველი რეჟიმის მიერ პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირის სტატუსი მიენიჭა.

300. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შესაბამის შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში სახელმწიფოებო ურთიერთობების საფრთხე შეიძლება დადგინდეს არაპირდაპირი მტკიცებულებებითაც და რომ მტკიცებულებათა დადგენა იყო არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საგანი (იხ. პარაგრაფები 165 და 292 ზემოთ), არ შეიძლება ითქვას, რომ უზენაესმა სასამართლომ არ მიუთითა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ ძალადობის ელემენტს.

301. საბოლოო ჯამში, არ შეიძლება ითქვას, რომ მეორე-მეოთხე მომჩივნის პრეტენზიებმა გამოავლინა, სულ მცირე საკამათო საფუძვლებით, უზენაესი სასამართლოს რაიმე „შეფასების ამკარა ხარვეზი“ 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების დასაბუთებაში.

302. შედეგად, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე წარდგენილი მეორე-მეოთხე მომჩივნის შესაბამისი საჩივარი „მეოთხე ინსტანციის“ ხასიათისაა, ამკარად დაუსაბუთებელია და, შესაბამისად, უნდა იქნეს უარყოფილი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (a) და მე-4 პუნქტების მიხედვით.

(iii) საკუთრების დავის განხილვაში ჩართული მოსამართლეების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული საჩივრების მისაღებად

303. სასამართლო ადგენს, რომ მეორე-მეოთხე მომჩივანი, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ეჭვქვეშ აყენებს საკუთრების დავის განხილვაში მონაწილე რიგ მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. კერძოდ, ისინი პრეტენზიას გამოთქვამდნენ თ.უ.-ს მიმართ, რომელმაც დავა განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მოსამართლეების ნ.გ.-სა და შ.ყ.-ს მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ სააპელაციო ინსტანციაში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მ.თ.-სა და ამ უკანასკნელის თავმჯდომარის მიმართ. სასამართლო ასევე ადგენს, რომ მოსამართლე ნ.გ.-ს წინააღმდეგ მეორე-მეოთხე მომჩივანმა წარადგინა 2 დამოუკიდებელი საჩივარი – პირველი, რომელიც ეხება მოსამართლე თ.უ.-სთან სავარაუდო სიახლოვეს და მეორე, რომელიც დაკავშირებულია მის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მთავრობამ გააპროტესტა ზოგიერთი საჩივრის მისაღებად. კერძოდ, არ დაეთანხმა საჩივარი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა მოსამართლე ნ.გ.-ს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, მის წინააღმდეგ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების გამო და მოსამართლე შ.ყ.-სთან დაკავშირებულ საჩივარს.

304. სასამართლო თვლის, რომ იმისათვის, რომ მომჩივანმა შეძლოს მოსამართლის მიუკერძოებლობისა

და/ან დამოუკიდებლობის ექვქვემ დაყენება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მან უნდა აჩვენოს, რომ აღნიშნული მოსამართლის აცილება მოითხოვა შიდა დონეზე, შესაბამისი პროცედურული წესების დაცვით (შეადარეთ, სხვა მრავალ საქმეს შორის, *Posokhov v. Russia* (dec.), no. 63486/00, 2002 წლის 9 ივლისი; *Roberts and Roberts*, მითითებული ზემოთ, § 37; და *Yasar v. Turkey* (dec.), no. 30500/96 1999 წლის 1 ივნისი). მოცემული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მეორე-მეოთხე მომჩივნის განცხადებები მოსამართლე ნ.გ.-ის აცილების შესახებ, რამდენადაც ამ უკანასკნელის მიმართ მიმდინარეობს დისციპლინარული სამართალწარმოება და მოსამართლე შ.ყ.-ს აცილების შესახებ, განუხილველი დარჩა იმის გამო, რომ მომჩივნებმა არ შეასრულეს შესაბამისი პროცედურული მოთხოვნები. კონკრეტულად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი – დებულება, რომელიც განსაზღვრავს ოფიციალურ წესებს აცილების შუამდგომლობის წარდგენის შესახებ – იმპერატიულად მიუთითებს, რომ ასეთი წარდგენილი შუამდგომლობა შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და მაქსიმუმ, მანამ, სანამ მხარეები გაცვლიან თავიანთ ბოლო ზეპირ არგუმენტებს, მეორე-მეოთხე მომჩივანმა, ფაქტობრივად, მიმართა 2016 წლის 7 და 9 ივნისს მხარეთა პოზიციების გაცვლის შემდეგ (იხ. პარაგრაფები 141 და 142 ზემოთ). მომჩივნებმა დამაჯერებლად არ განუმარტეს შიდა სასამართლოს, რატომ იცდიდნენ ხანგრძლივი დროით, შუამდგომლობის წარდგენამდე. მეორე მხრივ, სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში არსებული მასალების შესაბამისად, მომჩივნებმა უფრო ადრე იცოდნენ ან უნდა სცოდნოდნენ იმ ფაქტების შესახებ, რომლებსაც ემყარებოდა აცილების თაობაზე მათი შუამდგომლობები. აქედან გამომდინარე, მოსამართლე შ.ყ.-სთან დაკავშირებით, მომჩივნებს 2016 წლის 27 აპრილსთვის უნდა სცოდნოდნენ ამ კონკრეტული მოსამართლის სპეციალიზაციის შესახებ სისხლის სამართალში (იხ. პარაგრაფი 138 ზემოთ), ხოლო რაც შეეხება დისციპლინარული სამართალწარმოებების დაწყებას მოსამართლე ნ.გ.-ის მიმართ, მათ აღნიშნული ფაქტის შესახებ უნდა სცოდნოდნენ 2016 წლის 1 ივნისისთვის, როდესაც „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ის ახსენა პრეს-კონფერენციაზე (იხ. პარაგრაფი 139 ზემოთ). სასამართლო ითვალისწინებს მეორე მომჩივნის მტკიცებას, რომ ამას ადგილი ჰქონდა 2016 წლის 3 ივნისს, როდესაც მიმართა მოსამართლე ნ.გ.-ს აცილების მოთხოვნით, პირველ რიგში, დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველზე (იხ. პარაგრაფი 287 ზემოთ). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა მომჩივანმა არ წარადგინა მტკიცებულება, საქმის არსებული მასალები მკაფიოდ მიუთითებს, რომ მეორე მომჩივანმა ხელმოწერილი შუამდგომლობა შესაბამისი საფუძველით ხსენებული მოსამართლის აცილების შესახებ წარადგინა 2016 წლის 7 ივნისს (იხ. პარაგრაფი 141 ზემოთ).

305. სასამართლო ადასტურებს, რომ კარგად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებული ამოწურვის წესები უნდა მოქმედებდეს შიდა კანონმდებლობაში განსაზღვრული ოფიციალური მოთხოვნებისა და ხანდაზმულობის ვადების დაცვით (იხ., სხვა მრავალ საქმეს შორის, *Ben Salah Adraqui and Dhaima v. Spain* (dec.), no. 45023/98, ECHR 2000IV, და *Rezgui*, მითითებული ზემოთ). სასამართლოს მოსაზრებით, ერთგვარად სწორია, როდესაც განიხილება შიდა მოსამართლეების აცილების მოთხოვნები (იხ. მაგალითად, *Yasar*, მითითებული ზემოთ). ამდენად, სასამართლოს შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლში მითითებული ოფიციალური მოთხოვნების შესაბამისად, მეორე-მეოთხე მომჩივანმა არ გააუღერა პრეტენზიები მოსამართლეების შ.ყ.-სა და ნ.გ.-ს მიმართ (დისციპლინური სამართალწარმოებების ფაქტებთან მიმართებით), კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე წარდგენილი მათი საჩივრების შესაბამისი ნაწილი უარყოფილი უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების შესაბამისად, დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებების არამოწურვის გამო.

306. რაც შეეხება მეორე-მეოთხე მომჩივნის დანარჩენ პრეტენზიებს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, რომლებიც ექვქვემ აყენებენ მოსამართლე თ.უ.-ს, მოსამართლე ნ.გ.-ს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, მისი მოსამართლე თ.უ.-სთან სავარაუდო სიახლოვის გამო, მოსამართლე მ.თ.-სთან – უზენაესი სასამართლოს მოსამართლესა და ამავე ინსტანციის თავმჯდომარესთან, სასამართლო, მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მთავრობის მხრიდან შეწინააღმდეგების არარსებობიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრეტენზიები წარმოქმნის ფაქტისა და კანონის მნიშვნელოვან საკითხებს კონვენციის მიხედვით, რომელთა განსაზღვრა მოითხოვს საქმის არსებითი მხარის განხილვას. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ საჩივრის ეს ნაწილი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (a) პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. არ დადგინდა მისი მიუღებლად გამოცხადების რაიმე სხვა საფუძველი. შესაბამისად, ის უნდა გამოცხადდეს მისაღებად.

2. კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად წარდგენილი საჩივრების მისაღებობა ცალკე და კონვენციის მე-18 მუხლთან ერთობლიობაში

307. სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, პირველად განიხილოს კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად წარდგენილი საჩივრები ცალკე, შემდეგ კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად წარდგენილი საჩივრები, წინა დებულებასთან ერთობლიობაში.

(ა) კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრები

308. სასამართლოს შესაბამის პრეცედენტულ სამართალზე მითითებით, მთავრობამ განაცხადა, რომ მეორე-მეოთხე მომჩივანსა და ქ.ბ-ს შორის საკუთრების შესახებ დავის სასამართლო განხილვა არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს მიერ ხსენებული მომჩივნების საკუთრების უფლებებში ჩარევად (იხ., მაგალითად, *Zagrebačka banka d.d. v. Croatia*, no. 39544/05, § 250-51, 12 დეკემბერი 2013).

309. მეორე-მეოთხე მომჩივანი არ დაეთანხმა და აცხადებდა, რომ საკუთრების შესახებ დავის შედეგი წარმოადგენდა პირველ მომჩივანში მათი წილების უკანონო ჩამორთმევას.

310. სასამართლო აღნიშნავს, რომ კერძო სამართლებრივი დავები თავისთავად არ იწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას კონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად (იხ., *mutatis mutandis*, *Ruiz Mateos v. the United Kingdom*, no. 13021/87, კომისიის 1988 წლის 8 სექტემბრის განჩინება, განჩინებები და ანგარიშები (DR) 57, გვ. 268 და 275; *Tormala v. Finland* (განჩინება) no. 41258/98, 2004 წლის 16 მარტი; *Eskelinen v. Finland* (განჩინება), no. 7274/02, 2004 წლის 3 თებერვალი; *Kranz v. Poland* (განჩინება), no. 6214/02, 2002 წლის 10 სექტემბერი; და *Skowronski v. Poland* (განჩინება) no. 52595/99, 28 ივნისი 2001). კერძოდ, მხოლოდ ის ფაქტი, რომ სახელმწიფო თავისი სასამართლო სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს ფორუმს ასეთი კერძო სამართლებრივი დავის განხილვისთვის, არ წარმოშობს სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლებებში ჩარევას კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად (იხ., მაგალითად, *Kuchař and Štis v. the Czech Republic* (განჩინება) no. 37527/97, 1998 წლის 21 ოქტომბერი). სახელმწიფო შესაძლოა იყოს პასუხისმგებელი ასეთი განხილვებით გამოწვეულ ზიანზე, თუ სასამართლო გადაწყვეტილებები არ არის მიღებული შიდა სამართლის შესაბამისად ან არის ნაკლოვანი თვითნებურობის ან აშკარად დაუსაბუთებლობის გამოკონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლის საწინააღმდეგოდ (იხ., მაგალითად *Vulakh and Others v. Russia* no. 33468/03, § 44, 2012 წლის 10 იანვარი). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს იურისდიქცია იმის შესამოწმებლად, რომ შიდა სამართალი სწორად იყოს განმარტებული და გამოყენებული, შეზღუდულია და მის ფუქნციებში არ შედის შიდა სასამართლოების ჩანაცვლება. სასამართლოს ფუქნციაა, უზრუნველყოს, რომ აღნიშნული სასამართლოების გადაწყვეტილებები არ იყოს თვითნებური ან სხვაგვარად აშკარად არაგონივრული (იხ., მაგალითად *Anheuser-Busch Inc. v. Portugal* [დიდი პალატა], no. 73049/01, § 83, ECHR 2007- I).

311. ზემოხსენებული პრეცედენტული სამართლის პრინციპების გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ მეორე-მეოთხე მომჩივნის საჩივრები, საკუთრებასთან დაკავშირებული დავის შედეგების შესახებ, *prima facie* არ წარმოშობს საკითხს კონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად. მართლაც, ეს დებულება არ შეიძლება განიმარტოს, როგორც გარანტია, რომ სასურველი შედეგი იქნეს მიღებული სამოქალაქო სამართალწარმოების შედეგად (იხ., მაგალითად *Burdiashvili and Others v. Georgia* (განჩინება) no. 26290/12, § 36, 2017 წლის 4 აპრილი; იხ., *mutatis mutandis*, *Slivenko and Others v. Latvia* (განჩინება) [დიდი პალატა], no. 48321/99, § 121, ECHR 2002 – II (ამონარიდები); და იხილეთ *Sardin v. Russia* (განჩინება), no. 69582/01, ECHR 2004 – II). უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში „შეფასების აშკარა ხარვეზის“ არარსებობის შესახებ თავისი წინა დასკვნებიდან გამომდინარე (იხ., პარაგრაფები 295-97 ზემოთ), და იმის განმეორებით, რომ ეროვნული კანონის განმარტება და გამოყენება არ არის მისი ფუნქცია, სასამართლო ადგენს, რომ საკუთრების შესახებ დავის სასამართლო განხილვა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მეორე-მეოთხე მომჩივნის საკუთრების უფლებაში ჩარევად (შეადარეთ, მაგალითად, *Zagrebačka banka d.d. v. Croatia*, მითითებული ზემოთ, § 252).

312. დამატებითი ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი მეორე- მეოთხე მომჩივნის საჩივრები არის აშკარად დაუსაბუთებელი და უარყოფილი უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

(ბ) კონვენციის მე-18 მუხლის კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში წარდგენილი საჩივრები

313. სხვა არგუმენტებთან ერთად, მთავრობამ განაცხადა, რომ ვინაიდან ადგილი არ ჰქონდა ჩარევას მეორე-მეოთხე მომჩივნის უფლებებში, დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად, კონვენციის

მე-18 მუხლი არ შეიძლება განხილულ იქნეს წინა „არსებით“ დებულებებთან ერთობლიობაში. აქედან გამომდინარე, მეორე-მეოთხე მომჩივნის საჩივრები ამ უკანსკნელი დებულების შესაბამისად, არის დაუსაბუთებელი.

314. მეორე-მეოთხე მომჩივანი არ დაეთანხმა და ამტკიცებდა, რომ კონვენციის მე-18 მუხლის გამოყენების ფარგლები შესაძლოა ფარავდეს კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლს, ამ უკანსკნელი დებულების ფარგლებში პირდაპირი და ნაგულისხმევი შეზღუდვების არსებობის გათვალისწინებით. სამი მომჩივანი შემდეგ აცხადებდა, რომ საქმის შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, იმ შემთხვევებზე მითითებით, რომლებიც სავარაუდოდ გამოიწვია სახელმწიფოს მიერ „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ წარმოებულმა კამპანიამ (იხ., პარაგრაფები 32–49 ზემოთ), საკუთრების შესახებ დავის სასამართლო განხილვის დომინანტური მიზანი იყოს „რუსთავი 2“-ის გაჩუმება, მისი მფლობელებისთვის – მეორე-მეოთხე მომჩივანი – კომპანიაში მათი წილების ჩამორთმევის გზით.

315. სასამართლო იმეორებს, რომ ზოგადი პრინციპები კონვენციის მე-18 მუხლის განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, განისაზღვრა დიდი პალატის მიერ გადაწყვეტილებაში საქმეზე *Merabishvili v. Georgia* ([დიდი პალატა], no. 72508/13, 2017 წლის 28 ნოემბერი, §§ 287-317). რამდენადაც დგას მე-18 მუხლის გამოყენების საკითხი, სასამართლომ დაადასტურა აღნიშნულ პრეცედენტული მნიშვნელობის საქმეში, რომ ეს დებულება არ შეიძლება არსებობდეს დამოუკიდებლად. მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კონვენციის ან მისი ოქმების ისეთ მუხლთან ერთობლიობაში, რომელიც განსაზღვრავს ან აზუსტებს იმ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთა დაცვა მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა იკისრეს მათი იურისდიქციის ფარგლებში. ხოლო, მე-18 მუხლის დარღვევას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ ირღვევა ის მუხლი, რომელთან ერთობლიობაშიც მოხდა მისი გამოყენება, რაზეც ეს მუხლი ვრცელდება, წინა დებულების დარღვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი უფლება ან თავისუფლება ექვემდებარება კონვენციით დაშვებულ შეზღუდვებს (იქვე., §§ 287 და 290).

316. ზემოთციტირებული სამი პრინციპის გათვალისწინებით, პირველი საკითხი სასამართლოს წინაშე, არის შეიძლება თუ არა, კონვენციის მე-18 მუხლზე დაყრდნობა კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში. ანუ, ის საკითხი, ექვემდებარება თუ არა ამ უკანსკნელი დებულებით დაცული უფლებები და თავისუფლებები დასაშვებ შეზღუდვებს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქმეში *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia*, (no. 14902/04, §§ 263-66, 2011 წლის 20 სექტემბერი), სასამართლომ, შეკითხვაზე ექვემდებარება თუ არა კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი დასაშვებ შეზღუდვებს, საბოლოო პასუხის გაცემის გარეშე, იგულისხმა, რომ კონვენციის მე-18 მუხლი, პრინციპში, გამოყენებული უნდა იქნეს წინა დებულებასთან ერთობლიობაში. თუმცა, განსახილველ საქმეში პრობლემა არის ის, რომ მეორე – მეოთხე მომჩივნის მითითება დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლზე, იყო აშკარად დაუსაბუთებელი. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ ვერ შეძლო დაედგინა სახელმწიფოს მიერ შესაბამისი მომჩივნების საკუთრების ინტერესებში ჩარევის არსებობა (იხ., პარაგრაფები 310-12 ზემოთ), დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი არ შეიძლება ითქვას, რომ ოდესმე იყო საქმესთან შემხებლობაში. ეს არის ის, რაც განასხვავებს მოცემულ საქმეს *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos* საქმისგან, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ინსტანციების ჩარევას მომჩივნის კომპანიის საკუთრების უფლებებსა და დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე შესაბამისი საჩივრების არსებითი მხარის განხილვის პროცესებში, არსებითი დებულების დარღვევებისა და არდარღვევების დადგენის შესახებ (შეადარეთ, *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos*, მითითებული ზემოთ, §§ 558, 563-75, 588-607 და 664).

317. საერთო ჯამში, იმ აფქტის გათვალისწინებით, რომ კონვენციის ზემოთ მითითებული არსებითი დებულების – დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის – შესაბამისად სადავო საკითხიც კი არ შეიძლება არსებობდეს მოცემული საქმის კონკრეტულ გარემოებებში, კონვენციის მე-18 მუხლი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამოუკიდებლად (იხ., *Merabishvili*, მითითებული ზემოთ, § 287; *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos*, მითითებული ზემოთ, §§ 663 და 664; და *Gusinskiy v. Russia*, no. 70276/01, § 73, ECHR 2004 – IV).

318. შესაბამისად, მეორე-მეოთხე მომჩივნის საჩივრები კონვენციის მე-18 მუხლის საფუძველზე, დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში, არის აშკარად დაუსაბუთებელი და უარყოფილ უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

ბ. საქმის არსებითი მხარე

1. მომჩივანთა არგუმენტები

319. მეორე-მეოთხე მომჩივანი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე დავობდა, რომ საკუთრებასთან დაკავშირებული დავის განხილვა არ მომხდარა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ არც პირველ, არც სააპელაციო და არც საკასაციო იურიდიული დონეზე.

320. პირველი ინსტანციის სასამართლოსთან დაკავშირებით, მეორე-მეოთხე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მოსამართლე თ.უ., საქმის განმხილველი ერთადერთი მოსამართლე, არ იყო არც დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და არც მიუკერძოებელი. მათი მტკიცების დასადასტურებლად, სამი მომჩივანი თავდაპირველად აცხადებდა, რომ საქმის განხილვა დაიწყო „forum shopping“-ით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ იცოდნენ რა, რომ მოსამართლე თ.უ. წარმოადგენდა სამოქალაქო საქმეების განმხილველ ერთადერთ მოსამართლეს, რომელიც სპეციალიზირებული იყო ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დავების საკითხებში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, ქ.ბ.-მ ხელოვნურად ჩართო თავის ქმედებაში აბსოლუტურად შეუსაბამო სარჩელი საავტორო უფლებების შესახებ. მეორე მხრივ, მეორე-მეოთხე მომჩივანი მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ მოსამართლე თ.უ.-ს დედას ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ობიექტური დამკვირვებლის თვალთ, საეჭვო იყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიების განახლება და აღნიშნული ქალბატონის წინააღმდეგ ბრალის ოფიციალურად წარდგენა შესაბამისი ინციდენტიდან 20 თვის შემდგომ (იხ., პარაგრაფი 97 ზემოთ). ამ საეჭვო გარემოებამ შესაძლოა საზოგადოება მიიყვანოს იმ მოსაზრებამდე, რომ ამგვარი გაურკვეველი დაყოვნების შემდგომ, მოსამართლის დედის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის განახლებით, რომელიც დაემთხვა „რუსთავი-2“-ის საკუთრების შესახებ დავის განხილვის დაწყებას, ხელისუფლებას სურდა, საქმის განმხილველ მოსამართლეზე ბერკეტის მოპოვება. ის ფაქტი, რომ საბოლოო ჯამში მოსამართლის დედა მსჯავრდებულ იქნა, არ გამორიცხავს ხელისუფლების მიერ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის მოსამართლეზე ზეწოლის განსახორციელებლად გამაყენებას. მესამე, მეორე-მეოთხე მომჩივანი მიუთითებდა მოსამართლე თ.უ.-ს მეუღლის მიერ 2015 წლის 7 ივლისს, 13 აგვისტოსა და 2 ოქტომბერს სოციალურ ქსელ „Facebook“-ში გარცელებულ „პოსტებზე“ და აღნიშნავდა, რომ ეს „პოსტები“ მოიცავდა უარყოფით შეხედულებებს „რუსთავი-2“-თან მიმართებით. სატელევიზიო არხის მიმართ მოსამართლის ოჯახის ასეთი ახლო წევრის მიერ ამგვარი არაობიექტური დამოკიდებულების გათვალისწინებით, სავსებით ობიექტური იყო ის ვარაუდი, რომ თავად მოსამართლე ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი სატელევიზიო კომპანიის საკუთრების შესახებ დავის განხილვისას. მეორე-მეოთხე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ „Facebook“-ის „პოსტებიდან“ გამოტანილი დასკვნა არ მდგომარეობდა იმაში, რომ რომელიმე კონკრეტული „პოსტი“ ზეგავლენას მოახდენდა მოსალართლე თ.უ.-ს კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე, თუმცა, „პოსტების“ ერთობლიობა ქმნიდა გონივრულ საფუძველს იმ შიშისათვის, რომ მოსამართლის მეუღლე და თავად მოსამართლე არ იყვნენ მიუკერძოებლები „რუსთავი 2“-სა და მისი მფლობელების მიმართ. მოსამართლის მეუღლის მიერ აღნიშნული სახის „პოსტების“ არაერთხელ გამოქვეყნების ფაქტი აჩვენებდა, რომ მას თანმიმდევრულად ჰქონდა ეს მოსაზრება. აღნიშნულთან დაკავშირებით, მეორე-მეოთხე მომჩივანი მიუთითებდა სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 4.8 პრინციპზე, რომლის თანახმადაც, მოსამართლემ არ უნდა დაუშვას, რომ მისმა ოჯახურმა, სოციალურმა ან სხვა ურთიერთობებმა არაჯეროვანი ზეგავლენა მოახდინოს მის ქცევაზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მოსამართლის ოჯახის ახლო წევრის ქმედებები საკმარისი იყო იმისათვის, რომ აღნიშნულს გამოეწვია ეჭვი მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, იმ პირდაპირი მტკიცების არარსებობის შემთხვევაშიც კი, რომ მოსამართლე თავადაც იზიარებდა აღნიშნულ შეხედულებებს. და ბოლოს, მეორე-მეოთხე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მოსამართლე თ. უ.-ს მიერ საკუთრების შესახებ დავის განხილვის სისწრაფე, აგრეთვე მის მიერ მომჩივნების საწინააღმდეგოდ გამოტანილი წინასწარი და შუალედური გადაწყვეტილებები, მათ შორის, მოსამართლე თ.უ.-ს უარი საქმიდან მის აცილებაზე, ადასტუებდნენ მის პირად მიკერძოებულობას მათ წინააღმდეგ.

321. სააპელაციო ინსტანციასთან დაკავშირებით, მეორე-მეოთხე მომჩივანი აცხადებდა, რომ საკუთრების შესახებ დავის განხილვისას თბილისის სააპელაციო სასამართლო არ იყო მიუკერძოებელი, საქმის განხილვაში მოსამართლე ნ.გ.-ს მონაწილეობის გამო. კერძოდ, სამი მომჩივანი ამტკიცებდა, რომ აღნიშნულ მოსამართლეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა მოსამართლე თ. უ.-სთან, ვინაიდან ორივე მათგანი წარმოადგენდა საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის დამფუძნებელს, სწორედ იმ მოსამართლეთა ასოციაციის, რომელმაც საჯაროდ დაუჭირა მხარი მოსამართლე თ.უ.-ს და გააკრიტიკა „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი (იხ., პარაგრაფი 135 ზემოთ). აღნიშნულთან დაკავშირებით, მეორე-მეოთხე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ასოციაციის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადება უადგილო იყო, ვინაიდან „რუსთავი 2“ არასოდეს დასხმია თავს სასამართლო სისტემას, იგი მხოლოდ და მხოლოდ მიუკერძოებლად მიუთითებდა სამოქალაქო სამართალწარმოებაზე. ვინაიდან ტელევიზია

წარმოადგენდა საზოგადოებრივ სადარაჯოს, მას ჰქონდა აღნიშნულის განხორციელების სრული უფლება. მეორე-მეოთხე მომჩივანი აგრეთვე უარყოფდა იმას, რომ პირველი მომჩივანი, „რუსთავი 2“, როდესმე შეეცადა ხელოვნურად შეექმნა გარემო მოსამართლეების, მათ შორის ნ.გ.-ს აცილებისათვის. სატელევიზიო არხი მხოლოდ და მხოლოდ იყენებდა გამოხატვის თავისუფლებას, მაშინ, როდესაც მოსამართლეები ვალდებულნი იყვნენ ემოქმედათ თავშეკავებულად და ეთმინათ კანონიერი კრიტიკა მედიის მხრიდან. ისინი აგრეთვე ამტკიცებდნენ, რომ თავად ის ფაქტი, რომ მოსამართლეების კავშირის განცხადებები არ ეხებოდა საქმის არსებით მხარეს, იყო საკმაოდ უმნიშვნელო. მიკერძოებულობის შეფასების მიზნებისათვის, მნიშვნელოვანი იყო ის, რომ აღნიშნული განცხადებები აშკარად მხარს უჭერდა მოსამართლე თ.უ.-სა და მის თვითნებურ გადაწყვეტილებებს.

322. და ბოლოს, რაც შეეხება საკასაციო ინსტანციას, მეორე-მეოთხე მომჩივანი აცხადებდა, რომ მას აკლდა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა შემადგენლობაში ორი მოსამართლის არსებობის გამო – მოსამართლე მ.თ. და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ყოფილ მოსამართლესთან დაკავშირებით მომჩივნები მიუთითებდნენ იმ ფაქტზე, რომ უზენაეს სასამართლოში არჩევამდე, იგი მუშაობდა ყოფილი პრემიერ მინისტრის კუთვნილი ბანკის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, და 2012-2014 წლებში მან კოალიცია „ქართულ ოცნებას“ შეწირულობის სახით გადასცა 34 000 ლარი (დაახლოებით 10 600 ევრო) (იხ., პარაგრაფი 157 ზემოთ), რაც მიუთითებს იმაზე, რომ მას აქვს აშკარა პოლიტიკური სიმპათიები მმართველი პარტიის მიმართ. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ „რუსთავი 2“-ის საკუთრებასთან დაკავშირებული დავა პოლიტიკურად სენსიტიური იყო, გაუმართლებელი იყო საქმის განხილვა აშკარა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე მოსამართლის მიერ. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მომჩივნები მიუთითებდნენ, რომ იგი შესაძლოა მტრულად ყოფილიყო განწყობილი „რუსთავი 2“-ის დირექტორის, ნ.გვ.-ს მიმართ, ვინაიდან სწორედ ამ უკანასკნელმა დააწესა მის მიმართ დისციპლინური სასჯელი 2006 წელს, როდესაც ნ.გვ. იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. ნ.გვ.-ს მიერ აღნიშნულ დისციპლინურ წარმოებას შედეგად მოჰყვა მისი მოსამართლის პოსტიდან დათხოვნა 2006 წელს. მეორე-მეოთხე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ აღნიშნული ფაქტები წარმოადგენდნენ საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ობიექტურ დამკვირვებელს ექვი შეეტანა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიკერძოებულობაში „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორთან მიმართებით. და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ მეორე-მეოთხე მომჩივნის საჩივარი მიმართული იყო უზენაესი სასამართლოს ამ შემადგენლობის ცხრიდან მხოლოდ ორი მოსამართლის წინააღმდეგ (იხ., პარაგრაფი 161 ზემოთ), ისინი ამტკიცებდნენ, რომ სავსებით შესაძლებელი იყო აღნიშნული ორი მოსამართლის მიერ სასამართლოს შემადგენლობის სხვა მოსამართლეებზე ზეგავლენის მოხდენა. ისინი აგრეთვე ამტკიცებდნენ, რომ პრინციპში, უმთავრესი საკითხი მდგომარეობდა არა იმაში, რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი აღნიშნული სახის ზეგავლენას, არამედ იმაში, რომ არსებობდა აღნიშნული ზეგავლენის მოხდენის ალბათობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ორი მოსამართლის მხრიდან დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაკლებობის ფაქტმა შეზღავანა უზენაესი სასამართლოს ის სრული შემადგენლობა, რომელიც განიხილავდა საკუთრების შესახებ დავას, რითაც დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

2. მთავრობის არგუმენტები

323. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მეორე-მეოთხე მომჩივნის პრეტენზიები მოსამართლე თ.უ.-ს, მოსამართლე ნ.გ.-ს, მოსამართლე მ.თ.-სა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შესახებ, არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით მოთხოვნილ მტკიცების სტანდარტებს, და ვერ დაძლიეს პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრეზუმფცია.

324. რაც შეეხება მოსამართლეს თ.უ.-ს, მთავრობა პირველ რიგში აცხადებდა, რომ “forum-shopping”-ით ბრალდება არ იყო დასაბუთებული. უპირველეს ყოვლისა, მომჩივნების ბრალდებების საწინააღმდეგოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოში თ.უ. არ იყო ერთადერთი მოსამართლე, რომელიც წარმოადგენდა ექსპერტს საავტორო უფლებების სფეროში. შესაბამის დროს, იმავე სასამართლოს ორი სხვა მოსამართლე იყო საავტორო უფლებებთან დაკავშირებული დავების განხილვის სპეციალისტი. ამასთანავე, მთავრობა აღნიშნავდა, რომ საკუთრებასთან დაკავშირებული დავის საქმე მოსამართლეს გადაეცა ანბანური თანმიმდევრობით, „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ 1998 წლის ივნისის საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად (იხ., პარაგრაფი 91 ზემოთ). რაც შეეხება მოსამართლე თ.უ.-ს მიმართ არსებულ ეჭვებს, მისი დედის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გამო, მთავრობა აცხადებდა, რომ ეს სამართალწარმოება დაიწყო 2014 წლის იანვარში, 2015 წლის 4 აგვისტოს ქ.ხ.-ს მიერ სასამართლოში საკუთრებასთან დაკავშირებული დავის აღძვრამდე დიდი ხნით ადრე. რაც შეეხება დაყოვნებას,

ინციდენტსა და ქალბატონის წინააღმდეგ გამოტანილ ბრალდებას შორის, მთავრობა მიუთითებდა დოკუმენტებზე, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო პროკურატურის გადაწყვეტილებით, მიეცათ მხარეებისთვის შესარიგებელი დრო (იხ., პარაგრაფი 97). მთავრობა ხაზს უსვამდა იმას, რომ აღნიშნული პრაქტიკა სულაც არ იყო უჩვეულო. მათ წარმოადგინეს სტატისტიკური მონაცემები საქართველოს მთავარი პროკურატურიდან, რომელიც აჩვენებდა, რომ 2014 წლის განმავლობაში, სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების გამოძიება, იმ დანაშაულის, რომელიც ბრალად ედებოდა თ.უ.-ს დედას, აღძრული იყო 1 032 შემთხვევაში, რომელთაგანაც ბრალდება წარდგენილი იყო მხოლოდ 115 საქმესთან დაკავშირებით, ხოლო დანარჩენი კი დასრულდა მხარეების შორის მორიგებით. ამასთანავე, მთავრობის მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტები, რომლებშიც მითითებული იყო, რომ მოსამართლე თ. უ.-ს დედა საბოლოოდ მსჯავრდებულ იქნა 2017 წლის 11 დეკემბერს, მოსამართლე თ.უ.-ს მიერ ქ.ბ.-ს სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (იხ., პარაგრაფი 98 ზემოთ). მოსამართლე თ.უ.-ს არასოდეს გამოუვლენია პირადი მიკერძოება და არ არსებობდა არანაირი გარემოება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მეორე-მეოთხე მომჩივნის შიშის ობიექტურად გამართლება იმის თაობაზე, რომ ქ.ბ.-ს სასარგებლოდ დავის გადაწყვეტის მიზნით, ხელისუფლება ზემოქმედებას ახდენდა მოსამართლეზე.

325. რაც შეეხება მოსამართლე თ.უ.-ს მეუღლის მიერ “Facebook”-ში გამოქვეყნებულ „პოსტს“, მთავრობა ამტკიცებდა, რომ მეორე-მეოთხე მომჩივნის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ვერანაირი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა საქმის განხილვის დროს მოსამართლე თ.უ.-ს მეუღლის ზეგავლენის ქვეშ მოქცევას. არც მომჩივნების მიერ მითითებული ბანგალორის პრინციპები და არც რაიმე სხვა საერთაშორისო დოკუმენტი მოსამართლეთა მიუკერძოებლობაზე, არ კრძალავს მოსამართლის ოჯახის წევრების გამოხატვის თავისუფლებას, ან მოვლენებთან და პიროვნებებთან დაკავშირებით მათ მიერ დადებითი თუ უარყოფითი მოსაზრებების ჩამოყალიბებას. ამასთანავე, გასაჩივრებული „Facebook პოსტები“ არ გამოხატავდა რაიმე სახის მოსაზრებას სამოქალაქო საქმის შედეგებთან დაკავშირებით, აღნიშნული უბრალოდ იყო უარყოფითი კომენტარები „რუსთავი 2“-ისა და მისი გენერალური დირექტორის მიმართ. თუმცა, ვინაიდან ვერ იქნა დამტკიცებული აღნიშნული მოსაზრებების ზეგავლენა მოსამართლეზე, არ შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლეს აკლდა დამოუკიდებლობა ან მიუკერძოებლობა. მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მოსამართლე თ. უ. ხაზს უსვამს იმას, რომ მისი მეუღლე არასოდეს ათანხმებს მასთან „Facebook პოსტებს“ და არც კი იცოდა აღნიშნული „პოსტების“ შესახებ. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მოსამართლე თ.უ.-ს მიერ მიღებული იყო მრავალი გადაწყვეტილება, როგორც პროცედურული ასევე არსებითი, მომჩივნების სასარგებლოდ და აღნიშნული გადაწყვეტილებები შესაძლოა იყოს იმის მანიშნებელი, რომ არ არსებობს მათ მიმართ რაიმე სახის მიკერძოება. და ბოლოს, შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენის საფუძველზე, მთავრობამ სასამართლოს მოუწოდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ მოსამართლე თ.უ.-ს თანამდებობაზე ყოფნის ვადა ამოიწურა 2016 წლის 29 აპრილს. ამის შემდეგ მან მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განმეორებით უვადოდ დანიშვნის მოთხოვნით და მონაწილეობა მიიღო ღია კონკურსში, თუმცა საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული იქნა სხვა კანდიდატის სასარგებლოდ. მოსამართლე თ.უ.-ს კარიერაში განხორციელებულმა აღნიშნულმა ვითარებებმა, მთავრობის აზრით, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მეორე-მეოთხე მომჩივნის მოსაზრების უსაფუძვლობას, იმის თაობაზე, რომ „რუსთავი 2“-ის დავასთან დაკავშირებით მოსამართლე მოქმედებდა ხელისუფლების ზეგავლენის ქვეშ.

326. რაც შეეხება საკუთრების შესახებ დავასთან დაკავშირებით სააპელაციო დონეზე არსებულ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, კერძოდ კი მოსამართლე ნ.გ.-ს წინააღმდეგ წარმოდგენილ პრეტენზიას, მთავრობამ აღიარა, რომ საკუთრების შესახებ დავის განხილვის პერიოდში მოსამართლეები თ.უ. და ნ.გ. სხვა დაახლოებით ორმოცდაათ მოქმედ მოსამართლესთან ერთად იყვნენ მოსამართლეთა ასოციაციის წევრები. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ასოციაციის 2015 წლის 31 აგვისტოს და 20 ოქტომბრის განცხადებები არ მიუთითებდნენ მოსამართლეების თ.უ.-სა და ნ.გ.-ს პირად მიკერძოებულობაზე და მათ წინასწარ განსაზღვრულ პოზიციაზე. სადავო განცხადებები არ ეხებოდა საკუთრების შესახებ დავის არსებით მხარეს. მეტიც, აღნიშნული მიზნად ისახავდა იმ პერიოდში მედიაში განხორციელებული სახიფათო თავდასხმებისაგან სასამართლოს დაცვას. ზოგადად, მთავრობა ამტკიცებდა, შესაბამის შედარებით მასალებზე მითითებით, რომლებიც ეხებოდა ისეთ ქვეყნებს, როგორცაა ავსტრალია, ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და პორტუგალია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოსამართლეთა ასოციაციის მიერ ცალკეული მოსამართლეების დაცვა მედიაში განხორციელებული თავდასხმებისაგან, არ წარმოადგენდა იშვიათობას.

327. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, კერძოდ კი მეორე-მეოთხე მომჩივნის მიერ წარმოდგენილ ბრალდებებს მოსამართლე მ.თ.-სა და აღნიშნული

სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ, მთავრობა აცხადებდა, რომ შესაბამისი პრეტენზიები იყო აშკარად დაუსაბუთებელი. ყოფილ მოსამართლესთან დაკავშირებით, მთავრობამ განაცხადა, რომ მისი კავშირი ბ-ნ ივანიშვილის ოჯახის კუთვნილ ბანკთან, რომელსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა საკუთრების დავასთან, ვერ გამოიწვევდა ვერანაირ ლეგიტიმურ ეჭვს საკუთრების დავის განხილვისას მის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით. მთავრობის მიერ აგრეთვე წარმოდგენილი იქნა დოკუმენტური მტკიცებულება შემდგომ ფაქტებთან დაკავშირებით. 2015 წელს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არჩევამდე, მოსამართლე მ.თ.-ს 1985 წლიდან 2005 წლამდე ეკავა სხვადასხვა პოზიცია საქართველოს სხვადასხვა სასამართლოში. აღნიშნულის შემდგომ ათი წლის განმავლობაში, 2005 წლიდან 2015 წლამდე იგი საქმიანობდა კერძო სექტორში. მან კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შეწირულობა განახორციელა მხოლოდ 2012 და 2014 წლებში, ანუ იმ პერიოდში, როდესაც იგი დასაქმებული იყო კერძო სექტორში. 2015 წლის 12 ივნისს უზენაესი მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შემდგომ, არ მოიპოვება არანაირი ინფორმაცია მოსამართლე მ.თ.-ს პოლიტიკური საქმიანობის შესახებ. პირიქით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წერილის თანახმად, 2015 წლის 12 ივნისის შემდგომ მ.თ.-ს არ განუხორციელებია შეწირულობა კოალიცია „ქართული ოცნების“ ან სხვა პოლიტიკური პარტიის მისამართით. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან დაკავშირებით მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რაც მიუთითებს თავმჯდომარის მიერ „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებაზე იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც მოხდა ათ წელზე მეტი ხნის წინ – 2006 წელს მის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოებისას. მეორე მხრივ, მთავრობა ამტკიცებდა, რომ მოსამართლის მიერ რომელიმე მხარის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება წარსულში არსებული საქმეების გამო, შესაძლოა გამორჩეული იქნეს მაშინ, როდესაც მოსამართლე აშკარად გამოხატავს სამაგიეროს გადახდის სურვილს. ნებისმიერ შემთხვევაში, 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის ცხრავე მოსამართლის მიერ. მოცემულ ვითარებაში, ორი ცალკეული მოსამართლის დამოუკიდებლობასთან და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული ვერანაირი ეჭვი ვერ მოახდენდა გავლენას ცხრა მოსამართლის მიერ ერთსულოვნად მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ამასთან დაკავშირებით, მთავრობამ აგრეთვე აღნიშნა, რომ დიდი პალატის მოსამართლეთა უმრავლესობა (ხუთი – ცხრიდან) უზენაესი სასამართლოს წევრი გახდა 2009-11 წლებში, მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში იყო პრეზიდენტი სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობის პარტია და „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს, ნ.გვ.-ს ეკავა სხვადასხვა მაღალი თანამდებობები მაშინდელ ხელისუფლებაში.

328. და ბოლოს, მთავრობამ სასამართლოს შესთავაზა, სრული კონტექსტით განეხილა მეორე-მეოთხე მომჩივნის პრეტენზიები მიკერძოებულობასთან დაკავშირებით. აღნიშნული კონტექსტის უმთავრეს და აქტუალურ ასპექტს წარმოადგენდა ის, რომ როგორც ეს აღნიშნულია უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში (იხ., პარაგრაფი 173 ზემოთ), „რუსთავი 2“ აწარმოებდა შეთანხმებულ კამპანიას, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა სხვადასხვა მოსამართლეზე ზეწოლა და მათი აცილებისთვის შესაბამისი ვითარების შექმნას. აღნიშნულთან დაკავშირებით, მთავრობამ მიუთითა იმ სხვადასხვა სახის შეურაცხყოფაზე, რომელიც სატელევიზიო არხის გენერალური დირექტორის მიერ მიმართული იყო სხვადასხვა მოსამართლის წინააღმდეგ (იხ., პარაგრაფები 175-76 ზემოთ) და მოუწოდა სასამართლოს გაეთვალისწინებინა აღნიშნული ასპექტი შესაბამისი პრეტენზიების განხილვის დროს.

3. სასამართლოს შეფასება

329. სასამართლო აღნიშნავს, რომ მეორე-მეოთხე მომჩივანმა ეჭვქვეშ დააყენა პირველი ინსტანციის სასამართლოს (თბილისის საქალაქო სასამართლო) სააპელაციო სასამართლოს (თბილისის სააპელაციო სასამართლო) და საკასაციო სასამართლოს (უზენაესი სასამართლო) დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, მოსამართლეების – თ.უ.-ს, ნ.გ.-ს, მ.თ.-ს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის საკუთრების შესახებ დავაში მონაწილეობის გამო. სასამართლო განიხილავს გასაჩივრებული იურისდიქციის თითოეულ დონეს ცალ-ცალკე.

(ა) ზოგადი პრინციპები

330. იმის დასადგენად, შესაძლოა თუ არა სასამართლო მიჩნეულ იქნეს დამოუკიდებლად, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით, ყურადღება უნდა მიექცეს, *inter alia*, მისი წევრების დანიშვნის წესსა და საქმიანობის ვადას, გარე ზეწოლების მიმართ გარანტიების არსებობას და კითხვას – ქმნის თუ არა ორგანო დამოუკიდებლობის შთაბეჭდილებას (იხ., *Maktouf and Damjanović v. Bosnia and Herzegovina* [დიდი პალატა], nos. 2312/08 და 34179/08, § 49, ECHR 2013 (ამონარიდები), დამატებითი მითითებებით). სასამართლოს წევრი დამოუკიდებელი უნდა იყოს როგორც აღმასრულებლებისგან, ისე

ორივე მხარისგან (იხ., მაგალითად, *Ringeisen v. Austria*, 1971 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A, no. 13, გვ. 39, § 95, და *Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 1981 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A, no. 43, გვ. 24, § 55).

331. სასამართლო იმეორებს, რომ მიუკერძოებლობა ჩვეულებრივ აღნიშნავს ცრურწმენის ან მიკერძოებულობის არარსებობას და მისი არსებობა შეიძლება შემოწმდეს სხვადასხვა გზით. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით მიუკერძოებლობის არსებობა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისთვის უნდა დადგინდეს სუბიექტურობის ტესტის მიხედვით, სადაც ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული მოსამართლის შინაგან რწმენასა და ქცევას, რაც ნიშნავს, რომ უნდა გაირკვეს, აქვს თუ არა მოსამართლეს რაიმე პირადი წინასწარ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება ან მიკერძოება მოცემულ საქმესთან დაკავშირებით; ასევე, ობიექტურობის ტესტის მიხედვით, რომლის მიხედვითაც უნდა დადგინდეს, რომ თვითონ სასამართლო და სხვა ასპექტებთან ერთად მისი შემადგენლობა, უზრუნველყოფს თუ არა საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (იხ., მაგალითად, *Kyprianou v. Cyprus* [დიდი პალატა], no. 73797/01, § 118, ECHR 2005-XIII, და *Micallef*, ციტირებული ზევით, § 93). მიუკერძოებლობის საკითხებთან დაკავშირებულ უმეტეს შემთხვევებში სასამართლო აქცენტს აკეთებს ობიექტურობის ტესტზე (იხ., *Micallef*, ციტირებული ზემოთ, § 95 და *Morice v. France* [დიდი პალატა], no. 29369/10, § 75, 2015 წლის 23 აპრილი). თუმცა, არ არსებობს მკვეთრი განსხვავება სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, რამდენადაც მოსამართლის ქცევამ შესაძლოა გამოიწვიოს არა მხოლოდ გარე დამკვირვებლის ობიექტური შეშფოთება მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (ობიექტურობის ტესტი), არამედ, შესაძლოა დააყენოს მისი შინაგანი რწმენის საკითხი (სუბიექტურობის ტესტი) (იხ., *Kyprianou*, ციტირებული ზემოთ, § 119). ამგვარად, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა რთული იყოს მტკიცებულებების მოპოვება, რომელთა მეშვეობითაც უარყოფილ იქნება მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის პრეზუმფცია, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა უზრუნველყოფს დამატებით მნიშვნელოვან გარანტიას (იხ., *Pullar v. the United Kingdom*, 10 ივნისი, 1996, §32, ანგარიშები 1996-III).

332. რაც შეეხება ობიექტურობის ტესტს, მოსამართლის ქცევისგან დამოუკიდებლად უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა დადასტურებადი ფაქტები, რომლებმაც შესაძლოა წარმოშვას ეჭვები მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ეს გულისხმობს, რომ იმის დადგენისას, არსებობს თუ არა კონკრეტულ საქმეში ლეგიტიმური საფუძველი შიშისთვის, რომ კონკრეტულ მოსამართლეს ან საქმის განმხილველ ორგანოს აკლია მიუკერძოებლობა. დაინტერესებული პირის მოსაზრება მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. გადამწყვეტია ის, შესაძლოა თუ არა ასეთი შიშის ობიექტურად დადასტურება (იხ., *Micallef*, ციტირებული ზემოთ, § 96, და *Morice*, ასევე აღნიშნულია ზემოთ § 76). ობიექტურობის ტესტი უმეტესწილად ეხება იერარქიულ ან სხვა კავშირებს მოსამართლესა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს შორის (იხ., *Micallef*, ციტირებული ზემოთ, § 97). ამიტომ, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, არის თუ არა სადავო ურთიერთობები ისეთი ხასიათის და ხარისხის, რომ სასამართლოს მიუკერძოებლობის ნაკლებობაზე მიუთითებდეს (იხ., *Pullar*, ციტირებული ზემოთ, § 38). აქედან გამომდინარე, შეხედულებებსაც კი შესაძლოა გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს ან სხვა სიტყვებით „სამართალი არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ, უნდა ჩანდეს, რომ ის აღსრულდა“ (იხ., *Denisov v. Ukraine* [დიდი პალატა], no. 6639/11, § 63, 25 სექტემბერი, 2018, და *De Cubber v. Belgium*, 26 ოქტომბერი, 1984, § 26, სერია A, no. 86). რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არის ნდობა, რომელსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოები უნდა იწვევდნენ. ამგვარად, ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიმართაც არსებობს ეჭვი მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, უნდა იქნეს ჩამოშორებული (იხ., *Castillo Algar v. Spain*, 1998, § 45, ანგარიშები 1998-VIII). სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ მიკერძოების არსებობა ობიექტურობის ტესტის მიხედვით უნდა გაიზომოს ობიექტური დამკვირვებლის სტანდარტით (იხ., სხვებს შორის, *Pullar*, ციტირებული ზემოთ, § 39, *A.K. v. Liechtenstein*, no. 38191/12, § 75, 9 ივლისი, 2015; და *Miminoshvili v. Russia*, no. 20197/03, § 114, 28 ივნისი, 2011). სასამართლო ისევ აღნიშნავს, რომ შეხედულება, რომ მოსამართლე არ არის მიუკერძოებელი, არ განისაზღვრება მხოლოდ აშკარა ინტერესთა კონფლიქტით (იხ., მაგალითად, *Micallef*, ციტირებული ზემოთ, § 102; *Ramljak v. Croatia*, no. 5856/13, § 31, 27 ივნისი, 2017; და *Dorozhko and Pozharskiy v. Estonia*, nos. 14659/04 და 16855/04, § 58, 24 აპრილი, 2008) ან მოსამართლის ქცევის მანერით (შეადარეთ *Morice*, ციტირებული ზემოთ, § 86), არამედ, ასევე მოსამართლის ქცევით სასამართლო დარბაზის გარეთ (შეადარეთ, *mutatis mutandis*, *Tocono and Profesorii Prometeiști v. Moldova*, no. 32263/03, §§ 17 და 31, 26 ივნისი, 2007).

333. დამოუკიდებლობისა და ობიექტური მიუკერძოებლობის კონცეფციები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და დამოკიდებულია გარემოებებზე, რომლებიც შესაძლოა მოითხოვდეს

ერთობლივ განხილვას (იხ., *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [დიდი პალატა], nos. 55391/13 და 2 სხვა, § 150 , 6 ნოემბერი, 2018, და *Cooper v. the United Kingdom* [დიდი პალატა], no. 48843/99, § 104, ECHR 2003XII).

(ბ) ამ პრინციპების გამოყენება მოცემული საქმის გარემოებებზე

(i) თბილისის საქალაქო სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

334. მეორე-მეოთხე მომჩივანი სამი საფუძვლით აყენებდნენ ექვსეკემ თბილისის საქალაქო სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, რომელმაც განიხილა საკუთრებასთან დაკავშირებული დავა ერთი მოსამართლის შემადგენლობით (მოსამართლე თ.უ.).

(ა) მოსამართლე თ.უ.-სთვის საქმის გადაცემა თბილისის საქალაქო სასამართლოში

335. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ შიდა სასამართლოების ფუნქციაა, რომ მართონ საკუთარი სასამართლო პროცესები, რათა უზრუნველყონ მართლმსაჯულების სათანადო განხორციელება. სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ თავისუფალი შეფასების გარკვეული ზღვარით საქმეების კონკრეტული სასამართლო შემადგენლობებისთვის გასანაწილებლად საჭირო მეთოდების შემუშავების პროცესში. უამრავი ფაქტორი უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ხელისუფლების მიერ საქმეთა განაწილებისას, როგორცაა, მაგალითად, ხელმისაწვდომი რესურსები, მოსამართლეების კვალიფიკაცია, ინტერესთა კონფლიქტები, სასამართლოს დატვირთულობა და ა.შ. სასამართლომ ადრე დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი ფუნქცია არ არის შეაფასოს, არსებობდა თუ არა ხელისუფლებისთვის სამართლებრივი საფუძველი, რათა (ხელმოორედ) გადაეცა საქმე კონკრეტული მოსამართლისთვის ან სასამართლოსთვის, ის უნდა დარწმუნდეს, რომ ასეთი (ხელახალი) გადაცემა შეესაბამება მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს, კერძოდ, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს (შეადარეთ, *mutatis mutandis, Sutyagin v. Russia*, no. 30024/02, § 187 178-93, 3 May 2011). მოცემულ საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებში სასამართლო ვერ ხედავს სასამართლოს “forum shopping”-ის ნიშნებს, რასაც ამტკიცებდნენ მომჩივნები. მომჩივნები აღნიშნავდნენ, რომ თ.უ. იყო ერთადერთი მოსამართლე თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომლის სპეციალიზაცია იყო ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებით გამოვლინდა, რომ, ფაქტობრივად, კიდევ ორი ასეთი სპეციალიზაციის მქონე მოსამართლე იყო ხელმისაწვდომი. ამ თვალსაზრისით ასევე მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოსამართლე თ.უ.-მ თვითონ აღწერა დაწვრილებით, თუ როგორ გადაეცა მას საკუთრებასთან დაკავშირებული დავა. კერძოდ, მან დაადასტურა, რომ საქმის გადაცემის გადაწყვეტილება მიღებული იყო ანბანური თანმიმდევრობით, „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ 1998 წლის 26 ივნისის საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი წესით (იხ. 91-ე და 324-ე პარაგრაფები ზემოთ). მომჩივნებმა ვერ შეძლეს გაებათილებინათ მოსამართლე თ.უ.-ს სარწმუნო განმარტება და მათ არ წარუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა რომელიმე ალტერნატიულ ვერსიას საქმის ამ კონკრეტული მოსამართლისთვის გადაცემის შესახებ.

336. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მეორე-მეოთხე მომჩივნის საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განაწილებასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია და არ შეიძლება წარმოშვას რაიმე დადგენილი ფაქტები, რომლებიც გააჩენდა ობიექტურად გამართლებულ ეჭვს მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

(ბ) მოსამართლე თ.უ.-ს დედის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა

337. სასამართლო მიიჩნევს, რომ ასევე დაუსაბუთებელია მეორე-მეოთხე მომჩივნის მეორე ბრალდება მოსამართლე თ.უ.-ს წინააღმდეგ, რომ მასზე მოახდინეს გავლენა საკუთრების შესახებ დავის განხილვის დროს, დედამისის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესის წამოწყებით.

338. ამასთან დაკავშირებით, სამივე მომჩივნის ერთადერთი არგუმენტი იყო ის, რომ მოსამართლის დედის მიერ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების თარიღსა (2014 წლის 7 იანვარი) და მის წინააღმდეგ ბრალის წაყენების თარიღს (2015 წლის 24 სექტემბერი) შორის დაყოვნება საეჭვო იყო და შესაბამისად მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ სისხლის სამართლის პროცესი განახლდა მას შემდეგ, რაც საკუთრების შესახებ დავა გადაეცა მოსამართლე თ.უ.-ს. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ პროკურატურამ შიდა დონეზე და მთავრობამაც, კონვენციის ფარგლებში მიმდინარე პროცესის დროს,

წარმოადგინა დასაბუთებული განმარტება ამ გარემოებებთან დაკავშირებით. ამგვარად, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, ბრალდებულის – მოსამართლე თ.უ.-ს დედის – ხნიერების და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, ისევე როგორც შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულის ნაკლებად მძიმე ხასიათიდან გამომდინარე (სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლი), პროკურატურამ, კარგად დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მას მისცა დრო დანაშაულის მსხვერპლთან, მის სიძესთან, შესარიგებლად. ასეთი შემარიგებელი პრაქტიკის არსებობა დასტურდება პროკურატურის სტატისტიკური მონაცემებით, რომელიც ეხება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის ქვეშ ჩადენილი დანაშაულებათა საქმისწარმოებას 2014-15 წლებში. პროკურატურამ მხოლოდ მას შემდეგ წაუყენა ბრალდება სამართალდამრღვევს, რაც შერიგების ყველა შესაძლებლობა ამოიწურა (იხ. პარაგრაფები 97-8 და 324 ზემოთ).

339. ამგვარად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მეორე-მეოთხე მომჩივნის ბრალდება მოსამართლე თ.უ.-ს დედის სისხლისსამართლებრივ დევნასა და საკუთრების დავის განხილვას შორის სავარაუდო კავშირზე უარყოფილი უნდა იყოს, როგორც დაუსაბუთებელი (შეადარეთ საქმეს *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia*, nos. 11082/06 and 13772/05, § 541, 25 July 2013).

(γ) მოსამართლე თ.უ.-ს ცოლის „Facebook პოსტები“

340. რაც შეეხება მეორე-მეოთხე მომჩივნის საჩივრებს მოსამართლე თ.უ.-ს მეუღლის მიერ გამოქვეყნებულ „Facebook პოსტებთან“ დაკავშირებით, არასოდეს არ ყოფილა დავის საგანი მხარეებს შორის, რომ სამი შესაბამისი „პოსტი“, რომელიც სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა 2015 წლის 7 ივლისს, 13 აგვისტოსა და 2 ოქტომბერს, იყო მოსამართლის მეუღლის ავტორობით. შესაბამისად, სასამართლოს ამოცანაა დაადგინოს, მოახდინა თუ არა ოჯახის ახლო წევრის ამ კონკრეტულმა ქმედებამ გავლენა მოსამართლის მიერ საკუთარი სასამართლო ფუნქციების შესრულებაზე.

341. ზემოხსენებულ ზოგად პრინციპებზე მითითებით სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ სასამართლო ფუნქციის ლეგიტიმაცია დამოკიდებულია საზოგადოებრივ ნდობაზე. საზოგადოებრივი ნდობა, თავის მხრივ, ემყარება, სხვებს შორის, მოსამართლის ინსტიტუციურ და ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას და მის მიუკერძოებლობას, ეს უკანასკნელი წარმოადგენს აუცილებელ თვისებას მოსამართლისთვის. მიუკერძოებლობა უნდა არსებობდეს როგორც ფაქტი (სუბიექტური ტესტი) და როგორც გონივრული გამოვლინება (ობიექტური ტესტი) (იხ. პრეცედენტული სამართლის პრინციპები, რომლებიც შეჯამებულია 331-333 პარაგრაფებში ზემოთ).

342. ზემოხსენებული სუბიექტური ტესტის მიხედვით, საქმე ეხება იმ მოსამართლის პირად რწმენასა და ქცევას, რომლის მიუკერძოებლობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სასამართლო მიიჩნევს, რომ პრინციპული მნიშვნელობის საკითხია, რომ მოსამართლემ განიხილოს თვითაცილება პროცესიდან, თუკი ამ მოსამართლემ გააკეთა საჯარო განცხადებები საქმის შედეგებთან დაკავშირებით. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამართლე თ.უ.-ს არანაირი მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია. რამდენადაც, სადავო „Facebook პოსტები“ დაწერა არა მოსამართლემ, არამედ მისმა მეუღლემ, გამოყენებული უნდა იყოს ობიექტური ტესტი. იბადება ორი ურთიერთდაკავშირებული კითხვა: (i) იყო თუ არა ეს განცხადებები იმ ხასიათის მატარებელი, რომ წარმოეშვა ობიექტურად გამართლებადი წუხილი „რუსთავი 2“-ის წილებზე საკუთრების უფლების შესახებ დავის სასამართლო განხილვის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით და (ii) შეიძლება თუ არა ითქვას, რომ მოსამართლე თ.უ.-ს ცოლის მიერ გამოქვეყნებული განცხადებები უკავშირდება უშუალოდ თვითონ მოსამართლეს.

343. რაც შეეხება პირველ შეკითხვას, სადავო საჯარო განცხადებების ხასიათთან დაკავშირებით, სასამართლო აღიარებს, რომ ეს განცხადებები წარმოაჩენდა „პოსტების“ ავტორის უარყოფით შეხედულებას „რუსთავი 2“-ის, როგორც ტელეარხისა და პერსონალურად მისი გენერალური დირექტორის, ნ.გვ.-ს, მიმართ. თუმცა, არცერთი მათგანი არ წარმოადგენს საკუთრების შესახებ დავის რეალურ მხარეს. მოსამართლის ცოლს არანაირი ფორმით არ გაუკეთებია კომენტარი მიმდინარე საკუთრების შესახებ დავის საბოლოო შედეგზე. არცერთი „Facebook პოსტი“, მათ შორის „პოსტი“, რომელიც წინ უსწრებდა საკუთრების შესახებ დავის მოსამართლე თ.უ.-სთვის გადაცემას, ვერ იქნება აღქმული, რომ ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს მოსამართლის მეუღლე ცდილობდა ქმრის სასამართლო თანამდებობის ექსპლუატაციას ან მასზე გავლენის მოხდენას.

344. რაც შეეხება მეორე შეკითხვას, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, მოსამართლემ არ უნდა მისცეს მის ოჯახურ, სოციალურ თუ სხვა

ურთიერთობებს საშუალება, გავლენა მოახდინონ მის ქვევაზე სასამართლოში (იხ. ბანგალორის პრინციპების 4.8 პუნქტი, რომელიც ციტირებულია 224-ე პარაგრაფში ზემოთ). სასამართლო მიუკერძოებლობის მოთხოვნა არ ზღუდავს მოსამართლის ოჯახს, გამოხატოს საკუთარი შეხედულებები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ოჯახის ახლო წევრების ქმედებებმა, კონკრეტულ გარემოებებში, უარყოფითად იმოქმედოს მოცემული მოსამართლის მიუკერძოებლობის მიმართ საზოგადოებრივ აღქმაზე (იხ. ბანგალორის პრინციპების შესახებ კომენტარის 67-ე პარაგრაფი, ციტირებულია 225-ე პარაგრაფში ზემოთ). სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულ საქმეში, მეორე-მეოთხე მომჩივანს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დროს, მოსამართლე თ.უ.-ზე გავლენა მოახდინა მისი მეუღლის მიერ სოციალურ ქსელში გაკეთებულმა განცხადებებმა. საქმის მასალებში არ არის მტკიცებულება, რომ მოსამართლემ ოდესმე განიხილა „რუსთავი 2“-ის წილებზე საკუთრების შესახებ დავა მის მეუღლესთან პირადად თუ საჯაროდ. 2015 წლის 19 ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში, მოსამართლემ ხაზი გაუსვა, რომ მის მეუღლეს არასოდეს შეუთანხმებია მასთან „Facebook პოსტების“ შინაარსი და რომ ამ „პოსტების“ არსებობის შესახებ მან არც კი იცოდა. შესაბამისად, სასამართლო, ობიექტური დამკვირვებლის პოზიციიდან, მიიჩნევს, რომ მოსამართლემ საკმარისი დისტანცირება მოახდინა მისი მეუღლის მიერ „Facebook“-ზე გამოქვეყნებული მოსაზრებებისგან.

345. დაბოლოს, სასამართლო ხელახლა აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა ვერ დასაბუთდება გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს დამოუკიდებლობისა თუ მიუკერძოებლობის შესაძლო არარსებობით, თუკი მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა შემდგომ კონტროლს სასამართლო ორგანოს მხრიდან, რომელსაც აქვს სრული იურისდიქცია და უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებული გარანტიების დაცვას (იხ., მაგალითად *Helle v. Finland*, 19 December 1997, §46, Reports 1997-VIII). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ყურადღების მიღმა არ ტოვებს იმ ფაქტს, რომ მეორე-მეოთხე მომჩივანს ჰქონდა წვდომა თბილისის სააპელაციო სასამართლოზე, ინსტანციაზე, რომელსაც აქვს სრული იურისდიქცია ხელახლა შეისწავლოს საკუთრების შესახებ დავა ფაქტებთან და სამართალთან მიმართებით. სააპელაციო სასამართლოს მიუკერძოებლობა განხილულია ქვემოთ (იხ. 349-53 პარაგრაფები ქვემოთ). სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არა მხოლოდ უზრუნველყო საკუთრების შესახებ დავის საქმის ხელახალი არსებითი განხილვა, არამედ შეეხო, მართალია არა ისე დეტალურად, როგორც შემდგომ ეს უზენაესმა სასამართლომ გააკეთა, მეორე-მეოთხე მომჩივნის პრეტენზიას მოსამართლე თ.უ.-ს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე (იხ. პარაგრაფები 106,147 და 173 ზემოთ; განსხვავებისთვის შეადარეთ *Kyprianou*-ს, ციტირებულია 134-ე პარაგრაფში ზემოთ და *Henryk Urban and Ryszard Urban v. Poland*, no. 23614/08, § 54, 30 November 2010).

(ბ) მოსამართლე თ.უ.-ს პროცედურული გადაწყვეტილებები

346. მეორე-მეოთხე მომჩივანი ასევე ჩიოდა, რომ მოსამართლე თ.უ.-ს მიერ მიღებული სხვადასხვა პროცედურული გადაწყვეტილებები და ის სისწრაფე, რომლითაც ამ საქმის შესწავლა მოხდა, მიუთითებდა იმაზე, რომ მოსამართლე მიუკერძოებელი იყო მათ წინააღმდეგ. თუმცა, სასამართლო იმეორებს, რომ ერთი მხარისთვის არახელსაყრელი რიგი პროცედურული გადაწყვეტილებები, არ შეიძლება ამ მხარემ გამოიყენოს, როგორც სასამართლოს მიუკერძოებლობის დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულება (იხ., მაგალითად, *Khodorkovskiy and Lebedev*, ციტირებულია 539 და 540 პარაგრაფებში, და *Miminoshvili*, ციტირებულია 114-ე პარაგრაფში ზემოთ). ამგვარად, მოსამართლე თ.უ.-ს მხრიდან არ გამოვლენილა რაიმე განსაკუთრებული წინასწარი დამოკიდებულების ამსახველი ნიშნები იმ სხვადასხვა პროცედურული გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლითაც მეორე-მეოთხე მომჩივანი უკმაყოფილო იყო.

(ე) დასკვნა

347. სასამართლო ასკვნის, რომ შეუძლებელია იმის თქმა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთი მოსამართლის შემადგენლობას, რომელმაც განიხილა საკუთრების შესახებ დავა, აკლდა დამოუკიდებლობა ან მიუკერძოებლობა. შესაბამისად, ამ ნაწილში არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

(ii) თბილისის სააპელაციო სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

348. მეორე-მეოთხე მომჩივანმა სადავო გახადა თბილისის სააპელაციო სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხი იმაზე დაყრდნობით, რომ მოსამართლე ნ.გ.-ს, რომელიც სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობაში მყოფი სამი მოსამართლიდან ერთ-ერთი იყო,

შესაძლო ახლო ურთიერთობა ჰქონდა მოსამართლე თ.უ.-სთან, რომელმაც გადაწყვეტილება მიიღო პირველ ინსტანციაში. ამ ბრალდების გასამყარებლად მომჩივნებმა მიუთითეს იმ ფაქტზე, რომ ორივე მოსამართლე საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის დამფუძნებელი წევრები იყვნენ და ამ უკანასკნელმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა უადგილო საჯარო განცხადებები პირველი ინსტანციის მოსამართლის მხარდასაჭერად.

349. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, ობიექტური დამკვირვებლის პოზიციიდან, რომ საკითხის რეალისტური და პრაქტიკული გადმოსახედიდან, მეორე-მეოთხე მომჩივნის ბრალდებები მოსამართლე ნ.გ.-ს წინააღმდეგ დაუსაბუთებელია. დასაწყისისთვის, სასამართლო იმეორებს, რომ მოსამართლეს, როგორც ნებისმიერ სხვა ინდივიდს, აქვს გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლება, თუმცა ამ უფლებათა განხორციელებისას, იგი უნდა მოიქცეს ისეთი ფორმით, რომ შეინარჩუნოს სასამართლო თანამდებობის ღირსება და სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა (იხ. განმარტებები ზემოთ 344-ე პარაგრაფში; შეადარეთ *mutatis mutandis*, *N.F. v. Italy*, no. 37119/97, § 31 და 32, ECHR 2001-IX; *Kudeshkina v. Russia*, no. 29492/05, § 86, 26 February 2009; და *Harabin v. Slovakia* (dec.), no. 62584/00, 29 June 2004). მოსამართლეს შეუძლია ჩამოაყალიბოს ან შეუერთდეს მოსამართლეთა გაერთიანებებს ან მონაწილეობა მიიღოს სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც წარმოადგენენ მოსამართლეთა ინტერესებს (იხ. კომენტარი ბანგალორის პრინციპებზე, ციტირებულია 225-ე პარაგრაფში ზემოთ). ამგვარად, სასამართლო ვერ ხედავს ვერაფერს უადგილოს იმ ფაქტში, რომ ორივე მოსამართლე, თ.უ. და ნ.გ., საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის დამფუძნებელი წევრები იყვნენ, თექვსმეტ სხვა მოსამართლესთან ერთად, იმ ასოციაციისა, რომელიც წარმოადგენს მოქმედი მოსამართლეების ინტერესებს. საკუთრების შესახებ დავის განხილვის დროისთვის, მოსამართლე თ.უ. და მოსამართლე ნ.გ. ჯერ კიდევ ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ, ორმოცდაათამდე სხვა მოქმედ ქართველ მოსამართლესთან ერთად.

350. რაც შეეხება 2015 წლის 31 აგვისტოსა და 20 ოქტომბერს მოსამართლეთა ასოციაციის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, სასამართლომ მათშიც შეუფერებელი ვერაფერი აღმოაჩინა. პირველ რიგში, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ეს განცხადებები „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მიერ მოსამართლე თ.უ.-ზე საჯარო შეტევების საპასუხოდ გაკეთდა. ამ კონკრეტული მოსამართლის მისამართით გენერალურმა დირექტორმა თავის სატელევიზიო გამოსვლებში ისეთი ტერმინები და გამოთქმები გამოიყენა, როგორცაა „ზონდერმოსამართლე“ (ეს გამონათქვამი ნაცისტების კონოტაციას შეიცავს), „მოსამართლის ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს“, „უწიგნური“, „კორუმპირებული“, „მარიონეტი“, „თემიდას ფსევდომსახური“, „ნაჯახით შეიარაღებული“, „დაქირავებული“ და „ნამპირალა“ (ქვეყნის შიგნით მიმდინარე სასამართლო განხილვების პროცესში „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მიერ გამოყენებული სხვა ეპითეტები იხ. 175-176 პარაგრაფებში ზემოთ). საქმეში არსებული სხვა მასალებიდან ნათელი ხდება, რომ გენერალური დირექტორი არც კი მალავდა იმას, რომ ამგვარ შეურაცხყოფელ საჯარო გამონათქვამებს განზრახ იყენებდა იმ მიზნით, რომ მოსამართლის პროვოცირება მოეხდინა და მისი აცილების მოთხოვნის საფუძვლები შეექმნა (იხ. პარაგრაფები 104 და 173 ზემოთ). ამ მხრივ, სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია ხაზი გაუსვას, რომ სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეებს შეუძლიათ თავიანთი უფლებები და კანონიერი ინტერესები ხმაურიანი ფორმითაც კი დაიცვან, რომელიც შესაძლოა გადაჭარბებული შეფასებების გაკეთებასაც მოიცავდეს, თუმცა მათ მაინც მოეთხოვებათ, რომ ამგვარი ქცევა შემოიფარგლოს მკაცრად სასამართლო დარბაზში (იხ., მაგალითად, *Čeferin v. Slovenia*, no. 40975/08, § 54, 16 January 2018). თუმცა, ამ შემთხვევაში „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა არჩია მოსამართლე თ.უ.-ს კრიტიკა გაეჟღერებინა არა სასამართლო დარბაზში, მაშინ როცა ამისათვის ყველა შესაძლებლობა ჰქონდა იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროისთვის „რუსთავი 2“ ჩართული იყო პროცესში როგორც მხარე, არამედ „რუსთავი 2“-ის მძლავრი მედია საშუალებები არასათანადოდ გამოეყენებინა მოსამართლის პროვოცირებისა და ამ უკანასკნელის აცილების წინაპირობების ხელოვნურად შექმნის მიზნით.

351. ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე თ.უ.-ს მიმართ მისაღები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართო იყო, ვიდრე რიგითი მოქალაქის შემთხვევაში (იხ. ზემოთ ციტირებული *Morice*, § 131), სასამართლო მიიჩნევს, რომ „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა აღნიშნულ დასაშვები კრიტიკის ზღვარს გადააბიჯა, როცა სატელევიზიო არხის მეშვეობით მოსამართლეს მძიმე პირად შეურაცხყოფას აყენებდა (სხვა საქმეებთან ერთად იხ. *Rodriguez Ravelo v. Spain*, no. 48074/10, § 46, 12 January 2016; *Kincses v. Hungary*, no. 66232/10, § 37, 27 January 2015; *Saday v. Turkey*, no. 32458/96, § 35, 30 March 2006; და *Skalka v. Poland*, no. 43425/98, § 36, 27 May 2003). ვინაიდან „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მხრიდან მოსამართლე თ.უ.-ს მისამართით განხორციელებული უსაფუძვლო მედია შეტევები შეიძლება განხილული იყოს როგორც მოსამართლის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის

შეუფერებელი მცდელობა და ზოგადად წვლილი შეიტანოს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის შელახვაში (იხ. აგრეთვე მისი გამონათქვამები თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის შესახებ პარაგრაფებში 177 და 178 ზემოთ), სასამართლომ ვერ აღმოაჩინა ვერაფერი უადგილო იმაში, რომ მოსამართლეთა ასოციაციამ გადაწყვიტა საჯარო განცხადებები გაეკეთებინა და დაეცვა ზოგადად სასამართლო სისტემა და კერძოდ მოსამართლე თ.უ., მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი დისკრეციის ვალდებულებიდან გამომდინარე შეზღუდული იყო გაეცა პასუხი (იხ. *Radobuljac v. Croatia*, no. 51000/11, § 54, 28 June 2016, და *Morice*, ციტირებულია ზემოთ, §108). რაც შეეხება აღნიშნული განცხადებების შინაარსს, სასამართლომ ისინი ცივილურად და დაბალანსებულად მიიჩნია.

352. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვერ ხედავს მეორე-მეოთხე მომჩივნის არგუმენტებში ვერაფერს ისეთს, რაც მას დაარწმუნებს, რომ ზედმეტი სიახლოვე იყო მოსამართლე თ.უ.-ს და მოსამართლე ნ.გ.-ს შორის, რაც ამ უკანასკნელს ხელს შეუშლიდა საკუთრების დავა განეხილა სააპელაციო დონეზე აუცილებელი მიუკერძოებლობითა და დამოუკიდებლობით.

353. აქედან გამომდინარეობს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, რომელმაც განიხილა საკუთრებასთან დაკავშირებული დავა. სააპელაციო დონეზე დაცული იყო კონვენციის ზემოთ აღნიშნული დებულებით უზრუნველყოფილი გარანტიები (იხ. პრეცედენტული სამართალი – მოცემულია 345-ე პარაგრაფში ზემოთ).

(iii) უზენაესი სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა

354. მეორე-მეოთხე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, რომელიც ცხრა წევრისგან შედგებოდა, შეილახა ორი მოსამართლის – მ.თ.-ს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის – საკუთრებასთან დაკავშირებულ დავაში მონაწილეობის გამო.

(α) რაც შეეხება მოსამართლე მ.თ.-ს

355. მეორე-მეოთხე მომჩივნის საჩივრების არსი მოსამართლე მ.თ.-ს მიმართ ის იყო, რომ მას უარი უნდა ეთქვა დიდი პალატის წევრობაზე, რადგან მან რამდენიმე წლით ადრე ფინანსური შეწირულობა გადასცა კოალიცია „ქართულ ოცნებას“. თუმცა, სასამართლო ამ არგუმენტებს დამაჯერებლად არ მიიჩნევს.

356. პირველ რიგში, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარეობს, რომ „რუსთავი 2“-ის წილების საკუთრებაზე დავა ეხება ორ კერძო მხარეს. არც კოალიცია „ქართული ოცნება“, როგორც პოლიტიკური პარტია და არც ნებისმიერი სახელმწიფო ორგანო არ ყოფილა სასამართლო პროცესის მონაწილე ან დაკავშირებული საქმის არსებით მხარესთან სააპელაციო სასამართლოში (შეადარეთ *Pabla Ky v. Finland*, no. 47221/99, § 33, ECHR 2004-V). მეორე მხრივ, მხედველობაში იღებს რა სასამართლო ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის მნიშვნელობის შესახებ ზოგად კითხვას, სასამართლო მზად არის ჩათვალოს, რომ მოსამართლეების მიერ სადავო პოლიტიკურ დისკუსიებში საჯაროდ მონაწილეობისგან თავშეკავების საჭიროების გარდა (იხ. სასამართლოს დასკვნები 344-ე და 349-ე პარაგრაფებში ზემოთ), უმჯობესია, რომ მოსამართლეებმა საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების ვადის განმავლობაში ასევე თავი შეიკავონ პარტიული პოლიტიკური საქმიანობისგან, როგორცაა პოლიტიკური პარტიებისთვის ან კამპანიებისთვის შეწირულობები (იხ. ასევე ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები, რომლებიც მოცემულია 224-ე და 225-ე პარაგრაფებში ზემოთ). თუმცა, საქმის მასალებიდან გამომდინარე, მოსამართლე მ.თ.-მ აღნიშნულ პოლიტიკურ პარტიას თანხა გადაურიცხა რამდენიმე წლით ადრე, როდესაც ის დასაქმებული იყო კერძო სექტორში (იხ. 327-ე პარაგრაფი ზემოთ). მეორე-მეოთხე მომჩივანმა ვერ შეძლო სასამართლოსთვის ნებისმიერი სხვა ფაქტის წარდგენა, რომელიც დაადასტურებდა მოსამართლე მ.თ.-ს მონაწილეობას ნებისმიერ პარტიულ პოლიტიკურ საქმიანობაში მისი მოსამართლეობის ვადის განმავლობაში.

357. ამგვარად, სასამართლო ასკვნის, რომ არ არსებობდა საკმარისი საფუძვლები მოსამართლე მ.თ.-ს სასამართლო პროცესიდან ჩამოცილებისთვის. სასამართლო იმეორებს, რომ ის ფაქტი, რომ მომჩივანი ასაჩივრებს სხვადასხვა ინსტანციების სასამართლოს ყველა მოსამართლის ან მათი უმეტესობის მიკერძოებას, რომლებიც ჩართული არიან მისი საქმის განხილვაში, შესაძლოა გარკვეულ გარემოებებში მიჩნეული იყოს მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეშლის მცდელობად და შესაბამისად, მიუთითებდეს მიკერძოების შესახებ შუამდგომლობის ბოროტად გამოყენებაზე. შიდა სასამართლოთა მოსამართლეების აცილების მოთხოვნები არ უნდა იყოს მიმართული მოპასუხე სახელმწიფოს

სამართლებრივი სისტემის პარალიზებისკენ და ეს ასპექტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ეხება ბოლო ინსტანციის სასამართლოს და როდესაც ასეთი მოთხოვნები ვერ გადაწყდება სააპელაციო სასამართლოს მიერ (იხ. *A.K.* – ციტირებულია ზემოთ, §§ 80 და 82).

(ბ) რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს

358. მეორე-მეოთხე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც იყო დიდი პალატის შემადგენლობაში, შესაძლოა ჰქონოდა პირადი მიკერძოება „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის წინააღმდეგ, რადგან 2006 წელს ამ უკანასკნელმა მისი იუსტიციის საბჭოს წევრობის დროს, მონაწილეობა მიიღო მის წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინურ პროცესში (იხ. 156-ე პარაგრაფი ზემოთ).

359. სასამართლო მიიჩნევს, რომ პირადი მტრული დამოკიდებულება მხარის მიმართ ჩვეულებრივ უნდა განიხილებოდეს, როგორც საქმიდან ჩამოცილების მყარი საფუძველი, რადგან მოსამართლეებს მოეთხოვებათ იმოქმედონ მტრული განზრახვის გარეშე (შეადარეთ, მაგალითად, *Morice* – ციტირებულია ზემოთ, §§ 165 და 166 და *Debled v. Belgium*, 22 September 1994, § 37, Series A no. 292-B). თუმცა, პრაქტიკაში ძალიან რთულია მოსამართლის პირადი მიკერძოების არსებობის დადგენა სუბიექტურობის ტესტის მიხედვით და სასამართლო ჩვეულებრივ უპირატესობას ანიჭებს, რომ სიტუაცია შეაფასოს ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე. მაგალითად, საქმეში *Tocono and Profesorii Prometeiști* სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსამართლის პირადი წყენა დავის მხარის მიმართ შესაძლოა გამოვლენილიყო მხოლოდ ობიექტურობის ტესტის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა არა მხოლოდ წარსული მოვლენები, რომლებიც ობიექტური დამკვირვებლის თვალსაზრისით, შესაძლოა მიჩნეული ყოფილიყო მტრობის შესაძლო მიზეზად, არამედ განიხილებოდა კითხვაც, გამოხატა თუ არა მოსამართლემ ოდესმე შურისძიების სურვილი (იხ. საქმე *Tocono and Profesorii Prometeiști*, ციტირებულია ზემოთ, §§ 28-33).

360. სასამართლო აღიარებს, რომ მეორე-მეოთხე მომჩივნის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ საჩივრის მხარდასაჭერად მოყვანილმა ფაქტებმა შესაძლოა წარმოშვას მიკერძოების შესახებ დასაბუთებადი პრეტენზია. დისციპლინური სამართალწარმოება, რომელიც იწვევს აცილებას, სერიოზული საკითხია, რომელმაც, პრინციპში, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს შესაბამისი პირის პირად და პროფესიულ ცხოვრებაზე. ამის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს გაფართოებულ შემადგენლობას, რომლის მიმართაც წაყენებული იყო მოთხოვნა თავმჯდომარის აცილების შესახებ, სიღრმისეულად უნდა განეხილა ეს საკითხი. სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ თავისი 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით დაწვრილებით განიხილა მეორე-მეოთხე მომჩივნების შესაბამისი არგუმენტები, ყურადღებით შეაფასა ისინი როგორც სუბიექტურობის, ისე ობიექტურობის ტესტების მიხედვით, რომლებიც მოცემულია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში. შიდა სასამართლოს გადაწყვეტილება მოიცავდა დეტალურ დასაბუთებას, რომელიც დამაჯერებლად აქარწყლებდა მომჩივნების შიშს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (იხ. 162-ე პარაგრაფი ზემოთ).

361. იმეორებს რა, რომ სასამართლო ყოველთვის უნდა მიიჩნეოდეს პირადი განწყობებისა და მიკერძოებისგან თავისუფალ ორგანოდ (იხ., მაგალითად, *Kyprianou* – ციტირებულია ზემოთ, § 119) და რომ აღიარებული უნდა იყოს მოსამართლის პირადი მიუკერძოებლობა, სანამ არ იარსებებს საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება (იხ. *Hauschildt v. Denmark*, 24 May 1989, § 47, Series A no. 154), სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მეორე-მეოთხე მომჩივანს არ წარუდგენია არც ადგილობრივ დონეზე და არც მის წინაშე ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ასეთ ნეგატიურ დამოკიდებულებაზე ნ.გვ.-ს მიმართ წარსული მოვლენების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ათ წელზე მეტი ხნის წინ. გარდა იმისა, რომ არ არსებობდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შურისძიების სურვილის დამადასტურებელი მტკიცებულებები (ასევე, განსხვავებისთვის შეადარეთ *Tocono and Profesorii Prometeiști*, ციტირებულია ზემოთ, §§ 28-33 და *Remli*, ციტირებულია ზემოთ, §§ 43-48), ასევე საქმის მასალებში არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს, რომ მოსამართლემ ოდესმე გამოთქვა ნებისმიერი მოსაზრება „რუსთავი 2“-ზე, ნ.გვ.-ზე ან ამ უკანასკნელის როლზე მის წინააღმდეგ წარმართულ დისციპლინურ საქმეში. იმ გარემოებებში, როდესაც მეორე-მეოთხე მომჩივნი სისტემატურად წარადგენდა უსაფუძვლო აცილების მოთხოვნებს სხვა არაერთი მოსამართლის მიმართ მართლმსაჯულების სამივე დონეზე და როდესაც გრძელდებოდა „რუსთავი 2“-ის შეტევები საქმეში ჩართული ზოგიერთი მოსამართლის მიმართ, სასამართლო მიიჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს

კარგად დასაბუთებული გადაწყვეტილება თავმჯდომარის საქმიდან არაცილებასთან დაკავშირებით არ იყო გაუმართლებელი საქმის გარემოებებიდან გამომდინარე და იმ არგუმენტების მხედველობაში მიღებით, რომლებიც გამოყენებული იყო მის ასაცილებლად.

362. სასამართლო დამატებით მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესაბამისი დისციპლინური პროცედურების შედეგად მოხდებოდა თავმჯდომარის განთავისუფლება მისი მაშინდელი სასამართლო თანამდებობიდან 2006 წელს (მეტი დეტალები ამ დისციპლინური წარმოების შესახებ იხ. *Turava and Others v. Georgia* (dec.) [Committee], nos. 7607/07 and 8710/07, §§ 4-29 and 34-35, 27 November 2018), ის ფაქტი, რომ შემდგომში მან მოახერხა გამხდარიყო ქვეყნის მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოს თავმჯდომარე, ობიექტური დამკვირვებლის თვალსაზრისით ძალზე რთულს ხდის წარსულში მიღებული პროფესიული დარტყმის ხანგრძლივი შედეგების დანახვას. უფრო მეტიც, სასამართლო, ადრეული დასკვნების გათვალისწინებით (იხ. 343-ე პარაგრაფი ზემოთ) ხაზს უსვამს, რომ ნ.გვ. არ ყოფილა არც დავის მონაწილე მხარე და არც საკუთრებასთან დაკავშირებული დავის მონაწილე მხარის წარმომადგენელი.

363. დაბოლოს, სასამართლო ასევე მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო მხოლოდ ერთი მოსამართლე ცხრა მოსამართლისგან შემდგარი დიდი პალატის გაფართოებულ შემადგენლობაში, რომელმაც განიხილა საკუთრების დავა. შესაბამისად, ობიექტური დამკვირვებლის თვალთახედვით, არ შეიძლება ითქვას, რომ სრული გაფართოებული შემადგენლობის რეპუტაცია შეილახა მომჩივნების აცილების მოთხოვნით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასამართლო შემადგენლობამ საქმეზე ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო (შეადარეთ, სხვებს შორის, *Sturua v. Georgia*, no. 45729/05, § 35, 28 March 2017; *Fazli Aslaner v. Turkey*, no. 36073/04, §§ 37-39, 4 March 2014; *Ferragut Pallach v. Spain* (dec.), no. 1182/03, 28 February 2006; *Garrido Guerrero v. Spain* (dec.), no. 43715/98, ECHR 2000-III; *OOO 'Vesti' and Ukhov v. Russia*, no. 21724/03, § 83, 30 May 2013; და *Diennet v. France*, 26 September 1995, § 38, Series A no. 325A). სასამართლო უყურადღებოდ არ ტოვებს იმ ფაქტს, რომ საქმეში *Morice v. France* სასამართლომ დაადგინა, რომ ის ფაქტი, რომ ერთადერთი მოსამართლე, რომლის მიუკერძოებლობაც „იდგა სამართლიანი ეჭვის ქვეშ“ და რომელიც იყო გაფართოებულ შემადგენლობაში, არ იყო გამამწყვეტი ობიექტური მიუკერძოებლობის საკითხისთვის კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად. თუმცა, სასამართლომ ცალსახად დააკონკრეტა, რომ ზემოხსენებული დასკვნა შეზღუდული იყო ფრანგული საქმის „ძალიან თავისებური კონტექსტით“ (იხ. *Morice* – ციტირებულია ზემოთ, §§ 84-86 და 89). ამგვარად, *Morice*-ს საქმისგან სხვა განმასხვავებელ ნიშნებთან ერთად, ამ კონკრეტულ საქმეში მომჩივნებს ჰქონდათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის აცილების მოთხოვნის შესაძლებლობა და მათი მოთხოვნა სერიოზულად იყო განხილული მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით (იხ. 360-ე და 162-ე პარაგრაფები ზემოთ და განსხვავებისთვის შეადარეთ იქვე, §§ 53, 66 და 68). *Morice*-ს საქმეში საფრანგეთის სასამართლოებმა დაადგინეს აშკარა პირადი მტრობის არსებობა მომჩივანსა და მოსამართლეს შორის, რომლის მიკერძოება იყო გასაჩივრებული, მაშინ, როდესაც ამ კონკრეტულ საქმეში მეორე-მეოთხე მომჩივნმა ვერ შეძლო წარედგინა მტკიცებულებები მათსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შორის რაიმე პირადი ან პროფესიული კონფლიქტის შესახებ (იხ. პარაგრაფები 359-362 და 162 ზემოთ და განსხვავებისთვის შეადარეთ იქვე, §§ 50 და 86).

(γ) დასკვნა

364. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის შემადგენლობას, რომელმაც განიხილა საკუთრებასთან დაკავშირებული დავა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და მოსამართლე მ.თ.-ს მონაწილეობით, არ შეიძლება ითქვას, რომ აკლდა დამოუკიდებლობა ან მიუკერძოებლობა. აქედან გამომდინარე, არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

IV. სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესი

365. მიუღებლობის შესახებ მისი ზემოთ მოცემული დასკვნების გათვალისწინებით (იხ. პარაგრაფები 230, 235 და 269 ზემოთ), სასამართლო მიიჩნევს, რომ აღარ არის საჭირო სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის გამოყენების გაგრძელება (შეადარეთ, მაგალითად, *A.D. and Others v. Turkey*, no. 22681/09, §§ 84 and 128, 22 July 2014; *Suleymanov v. Russia*, no. 32501/11, §§ 161 and 162, 22 January 2013; და *Balogun v. the United Kingdom*, no. 60286/09, §§ 34 and 35, 10 April 2012).

ამ მიზეზებით, სასამართლო:

1. ერთხმად აცხადებს საჩივრის იმ ნაწილს მისაღებად, რაც ეხება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ფარგლებში მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნების პრეტენზიებს მოსამართლეების თ.უ., ნ.გ. (წინა მოსამართლესთან მის ახლობლობასთან დაკავშირებით), მ.თ. და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, ხოლო საჩივრის დანარჩენ ნაწილს მიუღებლად;
2. იღებს გადაწყვეტილებას, გაუქმდეს სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის გამოყენება;
3. ადგენს ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი თბილისის საქალაქო სასამართლოში ერთი მოსამართლის შემადგენლობის (მოსამართლე თ.უ.) დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კუთხით;
4. ერთხმად ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობის, რომელშიც შედიოდა მოსამართლე ნ.გ., დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კუთხით;
5. ადგენს ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ არ დარღვეულა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის შემადგენლობის, რომელშიც შედიოდნენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლე მ.თ., დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კუთხით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და ეცნობათ წერილობით 2019 წლის 18 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

მილან ბლაშკო
სექციის განმწესრიგებლის მოადგილე

ანგელიკა ნუსბერგერი
თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე წესის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლე დე გაეტანოს განსხვავებული აზრი.

მოსამართლე დე გაეტანოს ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

1. ვწუხვარ, რომ არ შემიძლია დავეთანხმო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-5 პუნქტებს. ჩემი აზრით, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, მოსამართლე თ.უ.-სა (თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობის ერთადერთი მოსამართლე; იხ., გადაწყვეტილების პარაგრაფი 334) და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან (რომელიც იყო საბოლოო ინსტანციის სასამართლოს შემადგენლობაში; იხ. გადაწყვეტილების პარაგრაფი 354) მიმართებით.

2. არავითარი წინააღმდეგობა არ გამაჩნია ზოგად პრინციპებთან, როგორც მიუკერძოებლობის ობიექტურ ტესტთან დაკავშირებით, რაც აღნიშნულია გადაწყვეტილების 332-ე პარაგრაფში. მე, როგორც პრაქტიკოს მოსამართლეს, დაგროვილი მაქვს უამრავი შეფასება, რა თქმა უნდა, არა უარყოფითი გაგებით (*colorem habet, substantiam vero nullam*), არამედ იმ თვალსაზრისით, რომ ეს მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებისთვის და ზოგ საქმეში, სხვებთან შედარებით, მსგავს შეფასებებს მნიშვნელოვანი წონა უნდა მიენიჭოს ობიექტური მიუკერძოებლობის საკითხების განსაზღვრისას. შიდა სასამართლოების მიერ „რუსთავი 2“-ის საქმის განხილვა იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რასაც მედია-საშუალებები აქტიურად აშუქებდნენ, საქმე პოლიტიკური ელფერითა და ტენდენციებით – ნამდვილად, არ იყო რიგითი საქმე, არამედ მრავალი თვის განმავლობაში საქართველოში წარმოადგენდა კონკრეტული მნიშვნელობის საქმეს. აღნიშნული მიზეზით, შეფასებებს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა.

3. ეჭვგარეშეა, რომ ზოგადად, მოსამართლის ოჯახის წევრები თავისუფალნი არიან, იყვნენ პოლიტიკურად და სოციალურად აქტიურები, ასევე, მათ შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ აზრი იმ საკამათო საკითხებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე. თუმცა, მოსამართლემ ყოველთვის უნდა იქონიოს მხედველობაში, რომ ზოგ შემთხვევაში, ოჯახის ახლო წევრების მსგავსმა ქმედებებმა, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს საზოგადოების დამოკიდებულებაზე მისი მიუკერძოებლობის მიმართ. აღნიშნულს უმრავლესობაც დაეთანხმა გადაწყვეტილების 344-ე პარაგრაფში. თუმცა, შემდეგ უმრავლესობა ობიექტურიდან სუბიექტურ ტესტზე გადავიდა, ვინაიდან მეორე-მეოთხე მომჩივანს „არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება, რომ საქმის განხილვისას

მოსამართლე თ.უ.-ზე გავლენა მოახდინა სოციალურ ქსელში მისი მეუღლის მიერ გამოქვეყნებულმა განცხადებებმა“. შემდგომ უმრავლესობამ აღნიშნა, რომ „საქმის მასალებიდან არ დგინდებოდა მოსამართლის მიერ მის მეუღლესთან „რუსთავი 2“-ის წილებზე საკუთრების დავის ოდესმე, პირადად ან საჯაროდ განხილვის ფაქტი“. უმრავლესობა მტკიცებულების სახით მოსამართლისა და მისი ცოლის პირად საუბარს („pillow talk“) მოელოდა? თუ საჯარო რესტორანში სადილის დროს საუბრის ფარულ ჩანაწერს? შემდგომ, უმრავლესობის თანახმად, მოსამართლე თ.უ.-მ, 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში, მიუთითა, რომ „მისი მეუღლე მას არასდროს უთანხმებდა თავისი „Facebook პოსტების“ შინაარსს და რომ მან არც კი იცოდა მათი არსებობის შესახებ“ (მკაფიო მითითება გადაწყვეტილების 104-ე პარაგრაფზე). უმრავლესობამ მხოლოდ ამ მსჯელობის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოსამართლე თ.უ. სათანადოდ იყო დისტანცირებული მისი ცოლის მიერ „Facebook“-ზე გამოთქმული მოსაზრებებისგან.

4. მე ვითხოვ განსხვავებულ მოსაზრებას. ჩვენ აქ განვიხილავთ როგორც ობიექტური მიუკერძოებლობის საკითხს, ასევე, სავარაუდოდ, საქართველოს სასამართლოებში ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე მგრძობიარე საქმეს. მოსამართლე თ.უ.-ს უხეშმა, თითქმის უპატივცემულო განცხადებამ, რომ გამოქვეყნების დროს მან არ იცოდა მისი ცოლის „Facebook პოსტების“ შესახებ (რადგან, აშკარად, მოგვიანებით მან აღნიშნულს შესახებ იცოდა), თავისთავად, არ შეიძლება გონიერ ობიექტურ შემფასებელს გადააფიქრებინოს ის ვარაუდი, რომ მას და მის მეუღლეს ოჯახური დისკუსიების დროს ნასაუბრები ჰქონდათ საკუთრების დავაზე. ჩემი აზრით, მოსამართლე თ.უ. არ იყო საკმარისად დისტანცირებული მისი მეუღლის მოსაზრებებისგან, რადგან იგი არც მის „Facebook პოსტებს“ უარყოფდა, როგორც შეუსაბამოს და მინიმუმ, არც იმას ამტკიცებდა, რომ ოჯახში მას და მის მეუღლეს შორის არსებობდა „ჩინეთის კედელი“, ანუ შეგნებულად შექმნილი ეთიკური ბარიერი, რომელიც აღკვეთდა კომუნიკაციას (ამ შემთხვევაში, მეუღლეებს შორის) მოსამართლის ფუნქციებთან დაკავშირებულ საკითხებზე. მოსამართლემ უბრალოდ აღნიშნა მისი ცოლის გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რაც არაპირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ იგი ვერაფერ შეუსაბამოს ვერ ხედავდა მის კომენტარებში. უფრო მეტიც, დამოკიდებულებათა პრობლემას ართულებს ის, რომ მან 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში შეურაცხმყოფელი ფორმით აღნიშნა, რომ „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა, ნ.გვ.-მ, ორკესტრირება გაუწია საჯარო კამპანიას მის წინააღმდეგ (იხ. გადაწყვეტილების პარაგრაფი 106). მხოლოდ ამ მსჯელობიდან გამომდინარე, გონიერი შემფასებლისთვის მოსამართლე თ.უ. უნდა ყოფილიყო ასოცირებული მისი ცოლის მიერ „Facebook პოსტებში“ გამოთქმულ მოსაზრებებთან.

5. უფრო მეტიც, უმრავლესობამ საჭიროდ არ მიიჩნია, დეტალურად განეხილა სადავო „Facebook პოსტების“ ხასიათი, რათა დაედგინა მათი გავლენა სამართლიან შემფასებელზე ამ ძალიან დელიკატურ საქმეში. „Facebook პოსტები“ ეხებოდა ან „რუსთავი 2“-ს, როგორც სატელევიზიო არხს ან მის გენერალურ დირექტორს, ნ.გვ.-ს. ამ ორიდან არცერთი წარმოადგენდა რეალურ მხარეს საკუთრების დავაზე. თუმცა, შემფასებლის თვალთ, გონივრული იყო ორივეს, პირველი მომჩივნის – სატელევიზიო არხი „რუსთავი 2“-ისა და პირველი მომჩივნის მესაკუთრეების – მეორე-მეოთხე მომჩივნის, ერთ მთლიანობად აღქმა, რომელსაც „რუსთავი 2“-ის თაობაზე შიდა სასამართლოებში მიმდინარე სასამართლო ისტორიაში იდენტური მიზნები ჰქონდა. რა თქმა უნდა, როგორც შიდა დონეზე, ასევე სასამართლოს წინაშე, სატელევიზიო კომპანიის მესაკუთრეები საჯაროდ გამოხატავდნენ შიშს არხის სარედაქციო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც თავად არხი ბოლომდე იბრძოდა, თავის კორპორატიულ ინტერესებთან ერთად, მესაკუთრეთა უფლებების მატერიალური უფლებების გამო. მსგავს გარემოებებში, როდესაც სატელევიზიო არხისა და მისი მესაკუთრეების საჯაროდ დაფიქსირებული ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა, მოსამართლის ოჯახის ახლო წევრის, კონკრეტულად მისი მეუღლის მხრიდან, ნებისმიერი შეურაცხმყოფელი განცხადება, შეიძლება საზოგადოების მიერ აღქმული იქნეს, როგორც არხის მეპატრონეების, მეორე-მეოთხე მომჩივნის მიმართ მტრული განწყობილების გამომჟღავნება.

6. მოსამართლე თ.უ.-ს მეუღლის მიერ 2015 წლის 7 ივლისს გამოქვეყნებული პირველი „Facebook პოსტი“ ნაკლებად შეურაცხმყოფელი იყო. მან კრიტიკული აზრი დააფიქსირა „რუსთავი 2“-ის მიერ პირდაპირ ეთერში ტრანსლირებული სატელევიზიო მუსიკალური კონკურსის ჟიურის წევრებზე და არა თავად არხზე. თუმცა, 2015 წლის 13 აგვისტოს გამოქვეყნებული მეორე „პოსტი“ იყო საკმაოდ მკაფიო: ამ „პოსტში“ მან „რუსთავი 2“ შეადარა ქართულ ლიტერატურულ პერსონაჟს, არქიფო სეთურს, რომელიც არის „დიდი ძმის“, ტოტალიტარული მმართველის მხატვრული სახე. სამართლიანი და სათანადოდ ინფორმირებული შემფასებელი, ამ შემთხვევაში, თავს ვერ აარიდებდა იმ დასკვნას, რომ მოსამართლის მეუღლეს „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით ჰქონდა სრულიად ნეგატიური („პოლიტიკური“ ხასიათის) მოსაზრებები. რაც შეეხება მისი 2015 წლის 2 ოქტომბრის, მესამე „Facebook პოსტს“, (ანუ მაშინ, როდესაც

მის მეუღლეს აცილების თაობაზე ჯერ არ ჰქონდა მიღებული 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მითუმეტეს, არც 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე) გამოქვეყნებულ მესამე „Facebook პოსტს“, შეიძლება ითქვას, რომ კომენტარები, რომლებიც მან დაამატა წარმოადგენდა ნ.გვ.-ს მიმართ პერსონალურ თავდასხმას, და ვინაიდან, ეს პირდაპირ არ უკავშირდება თავად სატელევიზიო არხს, ჩემთვის განსაკუთრებით შემამფოთებელია აღნიშნული „პოსტის“ საწყისი. „Facebook“-ზე ნ.გვ.-ს მიმართ თავისი უარყოფითი და სატირული მოსაზრებების განახლების მიზნით, მოსამართლის მეუღლემ გააზიარა „გასართობი“ გვერდის, „დაყადაღებული რუსთავი 2“-ის ახალი სტატუსი და ამით, შემთხვევით ან განზრახ, შეეხო 2015 წლის 5 აგვისტოს მისი მეუღლის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხს. ჩემთვის (დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი სამართლიანი შემფასებლისთვის, თუნდაც, მას არ ჰქონდეს მოსამართლის საქმიანობის გამოცდილება), მოსამართლის მეუღლის ქმედებამ გამოამჟღავნა კმაყოფილების ყველა ნიშანი, რაც გამოწვეული იყო მისი მეუღლის მიერ საკუთრების დავის ფარგლებში „რუსთავი 2“-ის ქონებაზე ყადაღის გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებით. 2015 წლის 13 აგვისტოსა და 2 ოქტომბერს „Facebook პოსტების“ გამოქვეყნებით მოსამართლის მეუღლემ საჯარო სივრცეში გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება „რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკაზე და კვლავ გამოამჟღავნა კმაყოფილების ნიშნები სხვის წარუმატებლობაზე („Schadenfreude“), რაც გამოწვეული იყო მისი მეუღლის გადაწყვეტილებით დაეყადაღებინა კომპანიის ქონება. სათანადო, სამართლიანი და ინფორმირებული შემფასებლის თვალსაზრისით, მოსამართლის ოჯახის ახლო წევრის მსგავსი ქმედება ზიანს აყენებს თ.უ.-ს შესაძლებლობას, რომ საკუთრების დავა განიხილოს „რუსთავი 2“-ისა და მისი მესაკუთრეების მიმართ (მეორე-მეოთხე მომჩივანი) აშკარა არაობიექტურობით. თბილისის საქალაქო სასამართლომ უხეშად უარყო აღნიშნული „პოსტებით“ გადმოცემული სრული სურათი და მისი გავლენა ობიექტური მიუკერძოებლობის საკითხზე.

7. აღნიშნულს მივყავარ თბილისის სააპელაციო სასამართლომდე. გადაწყვეტილების 345-ე პარაგრაფში უმრავლესობა ასევე ეყრდნობა საქმეს *Helle v. Finland* (1997 წლის 19 დეკემბერი, § 46, *Reports of Judgments and Decisions* 1997-VIII), რათა უარყოს პრეტენზია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევასთან დაკავშირებით, მოსამართლე თ.უ.-ს მეუღლის „Facebook პოსტების“ გამო. მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა ნამდვილად არ შეიძლება ემყარებოდეს გადაწყვეტილების მიმღები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს სავარაუდო არარსებობას, თუ გადაწყვეტილება დაექვემდებარა გადასინჯვას შესაბამისი სასამართლო ორგანოს მიერ, რომელსაც აქვს სრული იურისდიქცია და უზრუნველყოფს აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული გარანტიების პატივისცემას, მოცემული საქმის ამ გარემოებებში ეს პრინციპი შეუსაბამოა. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნებს, მინიმუმ თეორიულად, ჰქონდათ, ასევე, ხელმისაწვდომობა თბილისის სააპელაციო სასამართლოზე, რომელსაც, რა თქმა უნდა, ჰქონდა სრული იურისდიქცია, შეეფასებინა ფაქტები და სამართლის საკითხები, სააპელაციო სასამართლოს არ შეეძლო პირველი ინსტანციის დონეზე მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევის აღდგენა, ორი მიზეზის გამო: პირველი, თავად სააპელაციო სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე აგრეთვე აქტიურად დავობდნენ მომჩივნები; და მეორე, რაც კიდევ უფრო კრიტიკულია, გადაწყვეტილების 345-ე პარაგრაფში უმრავლესობის მიერ დაფიქსირებული მოსაზრების საპირისპიროდ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ვერ უზრუნველყო აცილების თაობაზე მოსამართლე თ.უ.-ს 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მომჩივანთა სააპელაციო საჩივრის სათანადოდ განხილვა (იხ. გადაწყვეტილების 147-ე პარაგრაფი და შეადარეთ საქმეს *Editorial Board of Grivna Newspaper v. Ukraine*, no. 41214/08, § 68, 2019 წლის 16 აპრილი, მასში არსებულ სხვა მითითებებთან ერთად). დიდი პატივისცემის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოსთან მიმართებით, არ იქნება ფაქტობრივად სწორი, თუ ვიტყვით, რომ აცილების საკითხი აღნიშნულმა სასამართლომ „განიხილა, თუმცა, არა ისეთივე დეტალური ფორმით, როგორც შემდგომ უზენაესმა სასამართლომ“.

8. როგორც უკვე აღინიშნა, ასევე არ ვეთანხმები უმრავლესობის მოსაზრებას უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის შემადგენლობასთან დაკავშირებით მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის არდადგენასთან მიმართებით. თუმცა, ჩემი განსხვავებული პოზიცია ეხება მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და არა მოსამართლე მ.თ.-ს მონაწილეობას. უმრავლესობამ საჩივრის ეს ნაწილი უარყო, ძირითადად, ოთხი საფუძვლით (იხ. გადაწყვეტილების პარაგრაფები 361-363): (1) მეორე-მეოთხე მომჩივნებს არ წარმოუდგენიათ რაიმე ინფორმაცია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ჰქონდა უარყოფითი დამოკიდებულება ნ.გვ.-ს მიმართ; (2) აღნიშნული მომჩივნები სისტემატურად წარადგენდნენ „დაუსაბუთებელ მოთხოვნებს“ რამდენიმე მოსამართლის აცილების თაობაზე; (3) დროის გასვლა (2006 წლიდან, როდესაც ხსენებული თავმჯდომარე გათავისუფლებულ იქნა მოსამართლის თანამდებობიდან დისციპლინური სამართალწარმოების გამო, რომელიც აღიძრა და

ხორციელდებოდა ნ.გვ.-ს მიერ, როდესაც იგი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (იხ. პარაგრაფი 156), 2017 წლამდე, როდესაც უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის შემადგენლობა გამოცხადდა (იხ. პარაგრაფი 161)); და (4) დიდი პალატის გაფართოებულ შემადგენლობაში რამდენიმე მოსამართლიდან ერთი იყო თავმჯდომარე.

9. რაც შეეხება აღნიშნული ოთხი საფუძვლიდან პირველს, აბსოლუტურად გაუგებარია, შემთხვევით თუ განზრახ, უმრავლესობა კვლავ გადადის ობიექტურიდან სუბიექტურ მიუკერძოებლობაზე. მეორე საფუძველთან მიმართებით (გაუგებარია, აცილების მოთხოვნებთან დაკავშირებით ზედსართავი სახელით – „დაუსაბუთებელი“ – უმრავლესობა გულისხმობდა მოთხოვნებს, რომლებიც იყო პროცესის ბოროტად გამოყენება, თუ იმ მოთხოვნებს, რომლებიც აღმოჩნდა უბრალოდ გაუმართლებელი – ყველა გაუმართლებელი მოთხოვნა არ წარმოადგენს პროცესის ბოროტად გამოყენებას), მართებულია აღნიშნოს *falsus in uno, falsus in omnibus* – მოწმეთა სანდოობის შეფასებისას ერთხელ გამოყენებული საერთო სამართლის პრინციპი, რომელიც იურისდიქციათა უმრავლესობიდან ამოღებულ იქნა. შემდგომ, უმრავლესობა ადასტურებს და მიიჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც უარყოფილ იქნა თავმჯდომარესთან დაკავშირებული საჩივარი, იყო „კარგად დასაბუთებული“ (იხ. გადაწყვეტილების პარაგრაფი 162). აღნიშნული გადაწყვეტილების ზედაპირულად განხილვაც ადასტურებს, რომ უზენაესი სასამართლო საკითხს მიუდგა მხოლოდ მიუკერძოებლობის სუბიექტური კუთხით და სრულებით უგულებელყო ობიექტური მხარის განხილვა. დროის გასვლასთან დაკავშირებით, უმრავლესობამ მიიჩნია, რომ „ობიექტური შემფასებლის თვალსაზრისით, რთული იყო წარსულში მიყენებული პროფესიული დარტყმის რაიმე ხანგრძლივი ეფექტის განსაზღვრა.“ მე აღნიშნული (მესამე) საფუძველი, მარტივად რომ ვთქვა, უჩვეულოდ მიმაჩნია. ჩემი, როგორც პრაქტიკოსი მოსამართლის გამოცდილებით, ჩვეულებრივი ადამიანი ქუჩაში იტყვის: „საბოლოოდ, ათი წლის შემდეგ, მას ნამდვილად შეუძლია მიიღოს თავისი“ (უკაცრავად შილოკთან). მაშინ, როდესაც მზად ვარ დავუშვა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ვერ იქნებოდა სუბიექტურად მიკერძოებული „რუსთავი 2“-ის მიმართ – რისი არავითარი მტკიცებულებაც არ არსებობს, ძალიან პრობლემურად მიმაჩნია, რომ ამ მოსამართლემ მონაწილეობა მიიღო საკუთრების დავის განხილვაში „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით, რომლის გენერალური დირექტორი, ადამიანი, რომელიც ყველასთვის ასოცირდება ამ არხთან, არის არხის სახე და სპიკერი და ათი წლის წინ აღძრა საქმე მის წინააღმდეგ, რის შედეგადაც იგი გაათავისუფლეს იმ დროს დაკავებული თანამდებობიდან. უნდა ვაღიაროთ, საქმის *Tocono and Profesorii Prometeiști* (no. 32263/03, §§ 28-33, 2007 წლის 26 ივლისი) გარემოებებისგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს არასდროს გაუჟღერებია, არც პირადად და არც საჯაროდ, არანაირი კომენტარი, რომელიც გამოხატავდა „რუსთავი 2“-ის ან მისი მესაკუთრეების, ან რა თქმა უნდა, გენერალური დირექტორის (ნ.გვ.-ს) მიმართ მტრულ დამოკიდებულებას. თუმცა, ვინაიდან ზემოხსენებული ნ.გვ.-ს მიერ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოება დასრულდა თავმჯდომარის იმ დროს დაკავებული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით, თუნდაც ნებისმიერი დამატებითი გარემოებების არარსებობის პირობებში, წარსულში მიყენებული ასეთი უხეში პროფესიული დარტყმა საკმარისი იყო, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დამოკიდებულება შეფასებულიყო უარყოფითად სამართლიანი დამკვირვებლის მიერ, პირადად „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის, დანამდვილებით იდენტიფიცირებით თუ არა, ახლო ასოციაციით მაინც, თავად არხისა და მისი მესაკუთრეების მიმართ.

10. ბოლოს, რაც შეეხება მეოთხე საფუძველს, უმრავლესობა ცდილობს, რომ ძალიან შერჩევითი მითითებებით მოცემული საქმე განასხვავოს დიდი პალატის გადაწყვეტილებისგან საქმეზე *Morice v. France* ([GC], no. 29369/10, §§ 79-92, ECHR 2015). მაგალითად, 363-ე პარაგრაფში, უმრავლესობის თანახმად, „სასამართლოს არ დავიწყებია ის ფაქტი, რომ საქმეში *Morice v. France* დადგინდა, მხოლოდ ერთი მოსამართლის (როგორც „ღია ნამდვილი ექვისთვის“) ყოფნა გაფართოებულ შემადგენლობაში არ იყო გადამწყვეტი ობიექტური მიუკერძოებლობისთვის, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად“. თუმცა, უმრავლესობა უგულებელყოფს *Morice*-ის პარაგრაფის უდიდეს ნაწილს, საიდანაც ეს აზრია გადმოტანილი. ვცტირებ *Morice*-ის 89-ე პარაგრაფს სრულად:

“89. ბოლოს, სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომ J.M.-ს ყოფნა მოსამართლეთა გაფართოებულ, ათწევრიან შემადგენლობაში არ არის გადამწყვეტი ობიექტური მიუკერძოებლობის საკითხთან მიმართებით, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად. თათბირის საიდუმლოობის გათვალისწინებით, შეუძლებელია J.M.-ს უშუალო გავლენის დადგენა მოცემულ შემთხვევაზე. მაშასადამე, აღწერილ კონტექსტში (იხ. პარაგრაფები 84-86 ზემოთ), ამ სასამართლოს მიუკერძოებლობის საკითხი შესაძლოა ღიად დარჩეს ნამდვილი ექვისთვის.” (ხაზგასმა დამატებულია)

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თათბირი ასევე იყო საიდუმლო; და

ამასთან, აღნიშნულ საქმეში ჩვენ ვსაუბრობთ არა რომელიმე მოსამართლეზე, არამედ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე (შეადარეთ, *mutatis mutandis*, *Perote Pellon v. Spain*, no. 45238/99, § 50, 2002 წლის 25 ივლისი და *Castillo Algar v. Spain*, 1998 წლის 28 ოქტომბერი, § 49, *Reports* 1998VIII). შემდეგ, უმრავლესობა უთითებს *Morice*-ის 84-83-ე და 89-ე პარაგრაფებზე, რათა გაამართლოს მოსაზრება, რომ „... სასამართლომ [*Morice*-ში] მკაფიოდ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დასაბუთება ეხებოდა საფრანგეთის საქმის მხოლოდ „მეტად გამონაკლის კონტექსტს“. დიდი პატივისცემის მიუხედავად, რა შეიძლება იყოს შიდა სასამართლოებში „რუსთავი 2“-ის საქმეზე უფრო მეტად საგამონაკლისო? საქმის სენსიტიურობიდან გამომდინარე, მიუხედავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და ნ.გვ.-ს შორის არსებული პიროვნული დაპირისპირების აშკარა მტკიცებულების არარსებობისა (363-ე პარაგრაფის ბოლოს უმრავლესობა კვლავ გადადის სუბიექტურ მიუკერძოებლობაზე) და თავმჯდომარისა და ხსენებული ნ.გვ.-ს წინა ისტორიის გათვალისწინებით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ყოფნა იმ შემადგენლობაში, რომელსაც საქმეზე ეროვნულ დონეზე საბოლოო სიტყვა უნდა ეთქვას, საკმარისი მიზეზი უნდა ყოფილიყო თავმჯდომარის თვითაცილების ან აცილებისთვის. ობიექტური შემფასებლის თვალსაზრისით, თუნდაც ერთმა მიკერძოებულმა მოსამართლემ შესაძლოა მოსამართლეთა გაფართოებული შემადგენლობა აშკარად გახადოს მოწყვლადი და სინამდვილეში, საჭირო არ არის არსებულ შემთხვევაზე ამ მოსამართლის რეალური გავლენის ფარგლების დადგენა (იხ. *Morice*, მოხსენიებული ზემოთ, § 89).

11. შეჯამების სახით, მიუკერძოებლობის სუბიექტური და ობიექტური ტესტების დაპირისპირებითა და *Morice*-ის არსის იგნორირებით, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით უმრავლესობა მივიდა დასკვნამდე, რომელიც ჩემთვის დამაბნეველია. მინდა ვირწმუნო, რომ აზრთა სხვადასხვაობა ზემოაღნიშნულ ორ საკითხზე გამოწვეულია ობიექტური მიუკერძოებლობის მიმართ ჩემი, როგორც პრაქტიკოსი მოსამართლის მგრძობიარე დამოკიდებულებით და არა იმ ფაქტით, რომ სასამართლო შორსაა ცხოვრებისა და შიდა დონეზე სასამართლო განხილვის რეალობისგან.

¹სალაპარაკო ქართულში „არქიფო სეთურის“ ლიტერატურული გმირი, იგივე „მამა-მარჩენალი“, „დიდი ძმის“ ტიპური ტოტალიტარული მმართველის სინონიმი გახდა, რომელიც ტოტალურ თვალთვალს, დეზინფორმაციას, დაშინებასა და მანიპულირებას იარაღად იყენებს ხალხის სამართავად, რათა ისინი ლიდერის პიროვნების კულტზე დამოკიდებული გახადოს და ეს იყოს წამყვანი იდეოლოგია. „ასინეთა“ არის იგივე ნაწარმოების ქალი პერსონაჟის სახელი.